

საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კათილდღეობის კვლევა

საქართველოში მოსახლეობის კათილდღეობის
კვლევის მენეთე ეტაპი
2017 წ.

ანგარიში შემუშავდა „ანალიზისა და
კონსულტაციის ჯგუფის“ (ACT) მიერ

22 ოქტომბერი, 2018

თბილისი, საქართველო



act

ეს ანგარიში მომზადდა „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის“ (ACT) მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით. მისი წამყვანი ავტორია დავით გოგილაშვილი, „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის“ წარმომადგენელი. ანგარიშის შემუშავებაში წვლილი შეიტანეს თინათინ ბაუმბა, ანდრია ნადირაძემ და ნინო ძოწენიძემ გაეროს ბავშვთა ფონდიდან ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და პარტნიორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. კვლევის დიზაინი, შერჩევა და მონაცემთა შეწონვა „ანალიზისა და საკონსულტაციო ჯგუფის“ წარმომადგენელმა ლაშა ბოკუჩავამ შეიმუშავა.

© გაეროს ბავშვთა ფონდი
ივნისი, 2018 გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)
tbilisi@unicef.org www.unicef.ge <http://data.unicef.ge>

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მოკლე მიმოხილვის ანგარიში შეიმუშავა „ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა“ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გადმოცემული კვლევის შედეგები, ინტერპრეტაცია და დასკვნები გამოხატავენ ავტორის მოსაზრებას და არ არის აუცილებელი ასახავდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის შეხედულებს.

შინაარსი

| | |
|--|----|
| მოკლე მიმოხილვა | 7 |
| 1. შესავალი..... | 11 |
| 2. ზოგადი ინფორმაცია | 12 |
| 2.1 ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები | 12 |
| 2.2 კვლევის აღწერა და რესპონდენტთა შერჩევის მეთოდოლოგია..... | 20 |
| 2.2.1 ზოგადი მიდგომა რესპონდენტთა შერჩევის მიმართ | 20 |
| 2.2.2 „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მე-5 ეტაპის დროს განხორციელებული შერჩევა..... | 22 |
| 2.2.3 კვლევის ინსტრუმენტები | 22 |
| 2.2.4 მონაცემების შეწონვა..... | 23 |
| 2.2.5 შერჩევის ცდომილება | 24 |
| 2.2.6 შემოსავლები და ხარჯები ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) | 27 |
| 2.2.7 ინფლაციის გასათვალისწინებლად შეტანილი შესწორებები | 27 |
| 2.2.8 საველე სამუშაოების მენეჯმენტი..... | 28 |
| 2.2.9 საველე სამუშაოები | 29 |
| 2.2.10 ინტერვიუერების ტრენინგი | 30 |
| 2.2.11 საველე სამუშაოების განხორციელება | 32 |
| 2.2.12 რესპონდენტების შერჩევის პროცედურა | 32 |
| 2.2.13 განმეორებითი ვიზიტის პროცედურა | 34 |
| 2.2.14 ხარისხის კონტროლი..... | 34 |
| 2.2.15 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი | 36 |
| 2.2.16 მონაცემთა შევსება..... | 36 |
| 2.3 ეთიკური მოსაზრებები..... | 37 |
| 3. კეთილდღეობის მახასიათებლები..... | 39 |
| 3.1 შინამეურნეობის შემოსავალი..... | 39 |
| 3.1.1 მთლიანი შემოსავალი..... | 39 |
| 3.1.2 შემოსავალი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ-ზე) გაანგარიშებით | 43 |
| 3.2 მოხმარების დონე შინამეურნეობებში..... | 45 |
| 3.2.1 მთლიანი მოხმარება..... | 45 |
| 3.2.2 შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) გაანგარიშებით (ეზპ) | 48 |
| 3.3 შემოსავლისა და მოხმარების უთანასწორობა..... | 50 |

| | |
|---|------------|
| 4. კეთილდღეობის განზომილებები | 56 |
| 4.1 სამომხმარებლო სიღარიბე | 56 |
| 4.1.1 სიღარიბის ზღვრული დონეები | 57 |
| 4.1.2 სიღარიბის ტენდენციები სხვადასხვა ჯგუფებში | 58 |
| 4.1.3. სიღარიბე სოფლად და ქალაქებში | 61 |
| 4.1.4 შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები | 63 |
| 4.1.5 პენსიონერთა შინამეურნეობები | 66 |
| 4.1.6 სიღარიბე და განათლება | 69 |
| 4.1.7 სიღარიბე და დასაქმება | 72 |
| 4.2 მატერიალური დეპრივაცია | 76 |
| 4.2.1 შინამეურნეობების ხანგრძლივი მოხმარების საგნები | 76 |
| 4.2.2 საყოფაცხოვრებო პირობები | 79 |
| 4.2.3 ორმაგი მატერიალური დეპრივაცია | 81 |
| 4.3 სუბიექტური სიღარიბე | 82 |
| 4.4 კომუნალური მომსახურების ნაკლებობა | 87 |
| 4.4.1 2017 წლის შედარება 2009, 2011, 2013 და 2015 წლებთან | 87 |
| 4.4.2 წყალი და სანიტარული პირობები | 89 |
| 4.5 სოციალური გარიყულობა | 91 |
| 4.6 მრავალმხრივი სიღარიბე და დეპრივაცია | 94 |
| 5. ტენდენციები და მიმართულებები | 103 |
| 5.1 ტენდენციების და მიმართულებების მოკლე მიმოხილვა | 103 |
| 5.1.1 ახლად გადარიბებული შინამეურნეობების მახასიათებლები | 103 |
| 5.1.2 სამომხმარებლო კვინტილში მომხდარი გადაადგილებები | 107 |
| 5.2 სამომხმარებლო სიღარიბის ალბათობის მოდელირება | 110 |
| 6. სოციალური ტრანსფერები | 113 |
| 6.1 სოციალური ტრანსფერების მიღება | 113 |
| 6.2 სოციალური ტრანსფერების გავლენა სიღარიბეზე | 115 |
| 6.3 პენსიები | 116 |
| 6.3.1 პენსიების მიზნობრიობა | 116 |
| 6.3.2 პენსიების დაფარვა | 118 |
| 6.3.3 პენსიების დონე | 120 |
| 6.3.4 პენსიების ეფექტურობა სიღარიბის შემცირებაში | 121 |
| 6.4 მიზნობრივი სოციალური დახმარება (მსდ) | 123 |

| | |
|---|------------|
| 6.4.1 მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების სამიზნეთა განსაზღვრა..... | 123 |
| 6.4.2 მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების (მსდ+ბდ) დაფარვა | 126 |
| 6.4.3 მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვის დახმარების დონე | 129 |
| 6.4.4 მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების ეფექტიანობა სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით | 130 |
| 6.4.5 მიზნობრივი სოციალური დახმარება და ახლად გაღარიბებული შინამეურნეობები | 135 |
| 6.5 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები..... | 136 |
| 6.5.1 კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების სამიზნეთა განსაზღვრა..... | 136 |
| 6.5.2 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების დაფარვის არეალი | 136 |
| 6.5.3 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების დონე..... | 137 |
| 6.5.4 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების ეფექტიანობა სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით | 138 |
| 7. ჯანდაცვის მომსახურებები | 142 |
| 7.1 ზოგადი მიმოხილვა..... | 142 |
| 7.2 2017 წელს ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შემადგენლობა..... | 142 |
| 7.3 ჯანდაცვის კატასტროფული ხარჯები | 146 |
| 7.4 ჯანმრთელობის დაზღვევა | 147 |
| 7.4.1 ჯანმრთელობის დაზღვევა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მიზნობრივი სოციალური დახმარების სარეიტინგო ქულების მიხედვით | 148 |
| 7.4.2 ჯანმრთელობის დაზღვევა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოხმარების დონეების მიხედვით..... | 148 |
| 7.5 ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ბარიერები | 149 |
| 7.6 ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯების გამაღარიბებელი ზემოქმედება | 151 |
| 8. შინამეურნეობის მართვის სტრატეგიები | 154 |
| 8.1 ზოგადი მიმოხილვა..... | 154 |
| 8.2 შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზები | 155 |
| 8.3 დამატებითი საარსებო წყაროები | 156 |
| 8.4 გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის ზემოქმედების შემსუბუქება | 160 |
| 8.5 ვალი და სესხის აღება | 162 |
| 8.6 მომავლის პერსპექტივები..... | 166 |

| | |
|--|------------|
| 9. ბავშვთა კეთილდღეობა | 169 |
| 9.1 ბავშვთა სიღარიბე | 169 |
| 9.2 შემოსავლისა და მოხმარების სტრუქტურები | 173 |
| 9.3 დაბადების რეგისტრაცია | 175 |
| 9.4 დასწრება სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში | 178 |
| 9.5 ბავშვის განვითარება | 183 |

მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია 2017 წლის ივლის-აგვისტოში „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგების მიმოხილვა. აღნიშნული კვლევა 2009 წელს დაწყებული კვლევების მეხუთე ანგარიშს წარმოადგენს. იგი გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით მიმდინარე ერთობლივი ღონისძიებების ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ შინამეურნეობების მრავალეტაპიან პანელურ გამოკითხვას წარმოადგენს, რომელიც ორწლიანი ინტერვალებით ტარდება და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ყველა რეგიონს მოიცავს. კვლევის მეხუთე ეტაპის დროს შესაბამისი კითხვარები 4697-მა შინამეურნეობამ შეავსო და მიღებული შედეგები რეპრეზენტატიულია ქვეყნის მასშტაბით. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევისთვის“ რესპონდენტთა შერჩევის მეთოდს საფუძვლად უდევს ორეტაპიანი კლასტერული შერჩევა. შერჩევის ზომის განლევის გამო და რესპონდენტთა საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით, კვლევის მეოთხე ეტაპიდან (2015 და 2017 წლებში) კომბინირებული შერჩევის გამოყენება დაიწყო. დამატებითი შერჩევა შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით განხორციელდა. 2015 წელს, დამატებით შერჩეულ იქნა 1491 რესპონდენტი, ხოლო 2017 წელს - 814 რესპონდენტი. კვლევების პირველ და მეხუთე რაუნდებს შორის შერჩევის ზომის განლევის მაჩვენებელი 42%-ია, რაც რვაწლიანი პერიოდისთვის დასაშვებ ნორმას წარმოადგენს.

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებს წარმოაჩენს. მასში შესწავლილია სამომხმარებლო სიდარიბე, მატერიალური დეპრივაცია, სუბიექტური სიღარიბე, სოციალური გარიყულობა, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, შინამეურნეობების მიერ სირთულეებთან განმკლავების სტრატეგია და ბავშვთა კეთილდღეობა. მასში აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური შემწეობების როლსა და საქართველოში განხორციელებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმის“ შედეგების იდენტიფიკაციას. ის დეტალურ ინფორმაციას აწვდის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს სოციალური დახმარების ახალი მეთოდოლოგიისა და ბავშვთა დახმარების სქემის დანერგვის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ.

კვლევის შედეგების მთავარი ბენეფიციარები არიან საქართველოს მთავრობა, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგად ნათელი გახდა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე შემოსავლები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. კვლევის შედეგების მიხედვით, თუ 2015 წელს საქართველოში შინამეურნეობების სამუალო თვიური შემოსავალი

608.9 ლარს შეადგენდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 771.9 ლარამდე გაიზარდა, რაც ინფლაციის გათვალისწინებით შესწორების შემდეგ 18.8%-იან ზრდას ნიშნავს.

2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობების ხარჯები შემცირდა. შეფასების მიხედვით, შინამეურნეობების თვიური საშუალო ნომინალური ხარჯები 4.1%-ით შემცირდა, 821.8 ლარიდან (2015 წ.) 788.6 ლარამდე (2017 წ.). ინფლაციის გათვალისწინებით შესწორების შემდეგ შინამეურნეობების თვიური ხარჯები 10.1%-ით არის შემცირებული.

საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები იზრდება. “მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” წინა ანგარიშების მსგავსად, წარმოდგენილ ანგარიშიც საქართველოს მოსახლეობის სიღარიბისა და კეთილდღეობის მდგომარეობაში ცვლილებების შეფასება სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა. ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (უკიდურესი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) გაანგარიშებით თვეში 82.8 ლარს შეესაბამება). 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა შესაბამისად 2.6, 2.9, 4.3, და 2.0 პროცენტული ერთეულით გაიზარდა.

2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობებისა და მოსახლეობის წილი შესაბამისად 20.7%-დან 22.5%-მდე და 23.1%-დან 24.8%-მდე გაიზარდა (ფარდობითი სიღარიბის ზღვარი დადგენილია მედიანური მოხმარების 60%-ზე, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) თვეში 177.1 ლარს შეესაბამება). ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 26.8%-დან 31.6%-მდე გაიზარდა. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები პენსიონერების წილიც 19.3%-დან 20.4%-მდე გაიზარდა.

საქართველოში, ზოგადი სიღარიბის მასშტაბი გაიზარდა. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 16.4%-ს შეადგენდა, 2017 წელს ის 19.6%-მდე გაიზარდა; საქართველოში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7%, ბავშვების 27.6% და პენსიონერების 17.6% (ზოგადი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 2.5 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 165.5 ლარს შეესაბამება).

ამ კვლევის ძირითადი მიგნებები გვიჩვენებს, რომ საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ არის.

შესწავლილ პერიოდში შემცირდა ბავშვების მატერიალური დეპრივაციის დონე, ისევე როგორც შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების საცხოვრებლის

მხრივ დეპრივაციის დონე. სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის ყველა ჯგუფში შემცირდა. სიღარიბის სუბიექტური აღქმის შემცირება შეიძლება შემოსავლების დონის რეალური ზრდით იყოს გამოწვეული.

ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში, 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში იმ პანელურ შინამეურნეობათა რაოდენობა, რომლებიც გაღარიბდნენ, გაცილებით მეტია ვიდრე იმათი, რომლებმაც სიღარიბეს დააღწიეს თავი. ამასთან ერთად, ზოგად სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების ნახევარზე მეტი ქრონიკულ სიღარიბეში ცხოვრობს.

2017 წლის “მოსახლეობის კეთილდღეობს კვლევა” ყურადღებას დახმარების სამ ძირითად სახეზე ამახვილებს: პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება პლიუს ბავშვთა შემწეობა (TSA+CB) და სხვადასხვა კატეგორიის შემწეობები. 2017 წელს, კვლევის მიგნებების თანახმად, შინამეურნეობების 67.5% გარკვეული ტიპის სოციალურ შემწეობას იღებდა. პენსია ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს პენსიონერების მდგომარეობაზე. პენსიების სახით გაცემული სოციალური ტრანსფერების არარსებობის შემთხვევაში უკიდურეს სიღარიბეში მყოფი პენსიონერების რაოდენობა მკვეთრად იზრდება 3.7%-დან 34.1%-ამდე.

მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვთა შემწეობასთან ერთად (TSA+CB) მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბავშვთა სიღარიბის შემცირებაში. ამ შემოსავლის არარსებობის შემთხვევაში უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ბავშვების რაოდენობა 6.8%-დან 13.1%-ამდე იზრდება.

კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარებები უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების მდგომარეობაზე, ვიდრე სიღარიბის დონეზე ქვეყანაში. აღნიშნული დახმარებებით სიღარიბის მაჩვენებელის კლება ეროვნულ დონეზე ყველა ჯგუფისათვის 3 პროცენტზე ნაკლებია. ამ დახმარების დაკარგვის შემთხვევაში, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ისეთი შინამეურნეობების ხვედრითი წილი, რომლის წევრიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, 11.2%-დან 23.8%-მდე იზრდება, ხოლო იმ შინამეურნეობებისთვის, სადაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ადამიანი ცხოვრობს, ეს მაჩვენებელი 8.5%-დან 15.6%-მდე იზრდება.

2017 წლის “მოსახლეობის კეთილდღეობს კვლევის” შედეგები გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ შორის, შინამეურნეობების ხარჯების ძირითადი წილი მედიკამენტებზე მოდის როგორც აბსოლუტური გამოსახულებით (ერთ ეპივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით - 296 ლარი 2017 წელს და 233 ლარი 2015 წელს), ასევე პროცენტულად (69% - 2017 წელს და 67% - 2015 წელს).

გასული ორი წლის მანძილზე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შემზღუდველი დაბრკოლებები მნიშვნელოვნად შემცირდა. 2015 წელს შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის დახლოებით 43.1%-ის მინიმუმ ერთი ოჯახის წევრს დასჭირდა სამედიცინო მომსახურება, რომელიც აღნიშნული შინამეურნეობებისათვის ფინანსურად არ იყო ხელმისაწვდომი. ორი წლის შემდეგ, იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი,

რომლებსაც ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე დაბრკოლებები ჰქონდათ, საგრძნობლად შემცირდა და 22.3% შეადგინა.

შინამეურნეობების წევრები მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზებად ძირითადად ფასების ზრდას, სერიოზულ ავადმყოფობასა და შინამეურნეობის შემოსავლის შემცირებას ასახელებენ. შემოსავლის ალტერნატიული წყაროებია დახმარების მიღება ნათესავებისგან ან მეგობრებისგან და სესხის აღება ფინანსური ინსტიტუტებიდან. 1,534-მა შინამეურნეობამ 1,629-ჯერ ისარგებლა სესხით (საბანკო ან სალომბარდო სესხი - 80.3%; ნათესავები/მეგობრები - 6.1% და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები - 8.7%). უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ქვედა კვინტილში, ბანკებისა და ლომბარდების სესხებით სარგებლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97%-ია; ამის მიუხედავად, განათლებას აღარ იღებს 15-18 წლამდე ყოველი მებუთე ღარიბი ბავშვი. საბავშვო ბაღების არარსებობის გამო, დაახლოებით 14 000 ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ დადის.

1. შესავალი

2009 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფმა) მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის კეთილდღეობის მრავალსაფეხურიანი პანელური კვლევა დაიწყო. ეს კვლევა მიზნად ისახავდა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შეფასებას საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახის კეთილდღეობაზე. 2009 წლის შემდეგ, 2017 წლის ჩათვლით, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ხუთი ტალღა განხორციელდა. რვაწლიანი პერიოდის მანძილზე „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს მთავრობას დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლების შესახებ, შესაბამისი პოლიტიკის გატარების მიზნით. მაგალითად, 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, მიზნობრივი სოციალური დახმარების კომპლექსური რეფორმა დაიწყო. აღნიშნული რეფორმა 2013 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგებს ეყრდნობოდა.

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია 2017 წლის ივლის-აგვისტოში „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგების მიმოხილვა. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ მრავალეტაპიან კვლევას წარმოადგენს, რომელიც ორწლიანი ინტერვალებით ტარდება და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ყველა რეგიონს მოიცავს. კვლევის მეხუთე ეტაპის დროს შესაბამისი კითხვარები 4697-მა შინამეურნეობამ შეავსო და მიღებული შედეგები რეპრეზენტაციულია ქვეყნის მასშტაბით.

აღნიშნულ კვლევას სამი მიზანი აქვს. ესენია: 1. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციების გამოვლენა; 2. კეთილდღეობის ძირითადი ინდიკატორების დინამიკის შეფასება და მათი შედარება გასული რაუნდების შედეგებთან; და 3. საქართველოში განხორციელებული „მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმის“ შედეგების იდენტიფიკაცია და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება სოციალური დახმარების ახალი მეთოდოლოგიისა და სქემის დანერგვის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ.

კვლევის მეხუთე ეტაპის დროს მიღებული მონაცემების საფუძველზე შესწავლილ იქნა ისეთი სოციალური მოვლენების გავრცელების არეალი, როგორიცაა სამომხმარებლო სიღარიბე, მატერიალური დეპრივაცია, სუბიექტური სიღარიბე და სოციალური გარიყულობა. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოო სოციალური ტრანსფერების როლისა და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებს.

კვლევის შედეგების მთავარი ბენეფიციარები არიან საქართველოს მთავრობა, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

2. ზოგადი ინფორმაცია


2.1 ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები

სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში არსებული ტენდენციები ზოგ შემთხვევაში პრობლემატურია, ხოლო სხვა შემთხვევებში იმედის მომცემი. 2015-2016 წლებში ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის რეალური მაჩვენებელი (ე.ი. ინფლაციაზე შესწორებული მაჩვენებელი) 2015 წელს 2.9%-ს შეადგენდა. საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში ლარის ძლიერმა გაუფასურება¹ აშშ დოლარით გამოსახული რეალური მშპ 20%-ით შეამცირა. ეკონომიკურმა დაღმავლობამ რუსეთში და ეკონომიკური ზრდის შენელებამ საქართველოს სხვა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში) საქართველოზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. კერძოდ, შემცირდა ექსპორტი (-22.9%), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (-9.1%) და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილები (-25.0%). ფისკალური სტიმულების მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული სიტუაციით გამოწვეულმა ხანგრძლივმა შოკმა 2016 წელს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შეანელა. რეალური მშპ-ს ზრდა კიდევ უფრო შემცირდა 2.8%-მდე, რაც გასული წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით 0.1%-ით ნაკლებია (დიაგრამა 2.1).

2017 წელს საქართველოს ეკონომიკამ სწრაფი აღმავლობა განიცადა ექსპორტის კარგი მაჩვენებლების (+29.1%), სწრაფად მზარდი ტურიზმის, უცხოური ინვესტიციების ზრდისა (+16.2%) და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კერძო ფულადი გზავნილების ზრდის (+19.8%) შედეგად.

¹ საშუალოდ, 2015 წელს, ქართული ლარი დოლართან მიმართებაში 28.5%-ით გაუფასურდა.

დიაგრამა 2.1: ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მმპ)



წყარო: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ (საქსტატი), 2018.

შენიშვნა: ნომინალური მმპ ნაჩვენებია საბაზო ფასებში.

2017 წელს, საბაზო ფასების მიხედვით, საქართველოს ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 38,042 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 11.8%-იან ზრდას ნიშნავს. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ (საქსტატის) მონაცემების მიხედვით, 2017 წელს რეალური მმპ, წლიურ ჭრილში, 5%-ით გაიზარდა. ეკონომიკური აღმავლობა ასევე აისახა შემდეგი სექტორების რეალური ზრდის ტემპზე: სამშენებლო სექტორში - 11.2%-ით, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში - 11.2%-ით, ფინანსურ შუამავლობაში - 9.2%-ით, ტრანსპორტის სექტორში - 7.2%-ით, სამთო-მომპოვებელ სექტორსა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში - 7.1%-ით, ვაჭრობის სექტორში - 6.6%-ით, უძრავი ქონების სექტორში (გაქირავებასა და ბიზნეს-აქტივობებში) - 6.3%-ით და მსუბუქ მრეწველობაში - 5.0%-ით. რეალური დამატებითი ღირებულების შემცირება აღინიშნა სოფლის მეურნეობაში, სატყეო სექტორსა და მეთევზეობაში (-2.7%) და შინამეურნეობების მიერ პროდუქტების გადამუშავებაში (-2.7%). 2018 წლისთვის საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზი დადგებითია. საქართველოს ეროვნული ბანკის

„მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის“ (2018)² მიხედვით, 2018 წელს მშპ-ს საპროგნოზო წლიური ზრდა 4.5% უნდა იყოს. უფრო პესიმისტურია მსოფლიო ბანკის ჯგუფისა³ და საერთაშორისო სავალუტო ფონდის⁴ პროგნოზები, რომელთა თანახმადაც, მშპ-ს ზრდა 2018 წელს 4.2%-ს მიაღწევს.

ფასების სტაბილურობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებული საზომი ერთეულია სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), რომელიც ქვეყნის შიგნით სამომხმარებლო ფასების ცვლილებას ასახავს. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ (საქსტატი) სამომხმარებლო ფასების ინდექსს საქონლისა და მომსახურების ყოველწლიურად განახლებული კალათის საფუძველზე ანგარიშობს. სამომხმარებლო კალათა⁵ 305 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგება, რომლებიც 12 მსხვილ ჯგუფად იყოფა. სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე გაზომილი წლიური ინფლაცია 2015 წლის ივლისში 4.9%-ით გაიზარდა 2014 წლის ივლისთან შედარებით (საშუალოდ 4.0% 2015 წელს). ეს ზრდა გამოწვეული იყო ფასების ცვლილებით სამომხმარებლო კალათაში შემავალი შემდეგი ჯგუფების პროდუქტებზე: აღკოპოლური სასმელები და თამბაქო (+11.7%), საკვები პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები (+7.1%) და ჯანდაცვა (+7.3%). საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში შემავალი პროდუქტების ქვეჯგუფებს შორის ფასების ზრდა აღინიშნა: ხილსა და ყურძენზე (+18.7%), ბოსტნეულზე (+18.7%), ზეთსა და ცხიმებზე (+11.2%), ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე (+8.2%). ამასთან ერთად, ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქტებზე⁶, მოწყობილობებსა და აპარატურაზე (+16.6%) და ამბულატორიულ მომსახურებაზე (+6.0%) (ცხრილი 2.1).

იმის მიუხედავად, რომ 2015 წელს საქართველოში საშუალო წლიური ინფლაცია გაიზარდა, 2016 წელს მან კლება დაიწყო და საშუალოდ 2.2%-მდე შემცირდა. 2015 წლის ივლისიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 1.5%-ი შეადგინა. წლიური ინფლაციის შენელების მიუხედავად, ცალკეულ პროდუქტებთან დაკავშირებული

² საქართველოს ეროვნული ბანკი (2018), „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში - თებერვალი“, გამოქვეყნებულია მისამართზე:

https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2018/mpr_2018q1_publish_eng.pdf

³World Bank 2018, “Global Economic Prospects”, გამოქვეყნებულია მისამართზე:

<http://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects>

⁴ International Monetary Fund (2017), “World Economic Outlook”, გამოქვეყნებულია მისამართზე:

<http://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/09/19/world-economic-outlook-october-2017>

⁵საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო (საქსტატი), “ინფლაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ”, გამოქვეყნებულია მისამართზე:

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/methodology/Inflation%20Calculation%20Methodology%20Note%202018.pdf

⁶გულსისხლმარლვთა გამაფართოებელი მედიკამენტები (11.3%), ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები (31.1%-მდე), ანტიბიოტიკები (21.1%-მდე), ვიტამინები (17.7%-მდე), საჭმლის მომნელებელი სისტემის მედიკამენტები (15.2%-მდე) და ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები (15.1%).

მდგომარეობის უფრო დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს“ კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასების წლიურმა ცვლილებამ 13.1%-ს მიაღწია. საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები მხოლოდ 1.1%-ით გაიზარდა. ამავე დროს, წყალმომარაგების, ელექტროენერგიის, გაზისა და სხვა საწვავების ფასები 9.2%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივლისში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ელექტროენერგიის ტარიფი 27.5%-ით გაიზარდა. ჯანდაცვის ჯგუფის პროდუქტების შემთხვევაში ინფლაციამ 4.1%-ს მიაღწია. ამავე ჯგუფში ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი - 8.7% ამბულატორიულ მომსახურებაზე აღინიშნა (ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1: ინფლაციის ინდიკატორები ინდივიდუალური სამომხმარებლო ფასების ჯგუფების მიხედვით (%)

| | ივლისი 2015 * | ივლისი 2016 * | ივლისი 2017 * | ივლისი 2015-2017 * |
|---|------------------|------------------|------------------|-----------------------|
| საკვები პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები | 7.1% | 1.1% | 7.1% | 8.3% |
| ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო | 11.7% | 13.1% | 17.3% | 32.6% |
| ტანსაცმელი და ფეხსაცმელი | -1.3% | -4.1% | -2.4% | -6.4% |
| საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 0.4% | 6.1% | 1.0% | 7.2% |
| ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება | 7.8% | 1.1% | 1.5% | 2.7% |
| ჯანმრთელობის დაცვა | 7.3% | 4.1% | 6.9% | 11.3% |
| ტრანსპორტი | -0.8% | -8.6% | 12.6% | 3.0% |
| კავშირგაბმულობა | 0.1% | 3.9% | -1.0% | 2.9% |
| დასვენება, გართობა და კულტურა | 4.2% | 0.9% | 1.0% | 1.9% |
| განათლება | 3.0% | 2.2% | 1.2% | 3.4% |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები | 5.1% | 5.4% | 2.5% | 8.1% |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება | 8.1% | 1.0% | 4.0% | 5.0% |
| ინფლაცია | 4.9% | 1.5% | 6.0% | 7.6% |

წყარო: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ (საქსტატი), 2018; ავტორის გაანგარიშებები. შენიშვნა: *2015 წლის ივლისი შედარებულია 2014 წლის ივლისთან; *2016 წლის ივლისი შედარებულია 2015 წლის ივლისთან; *2017 წლის ივლისი შედარებულია 2016 წლის ივლისთან; *2017 წლის ივლისი შედარებულია 2015 წლის ივლისთან.

წლიურმა ინფლაციის დონემ 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის ივლისამდე მოიმატა და 6%-ი შეადგინა, რაც ეროვნული ბანკის იმავე პერიოდის მიზნობრივ მაჩვენებელს - 4%-ს, აღემატებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ფასების ცვლილებით შემდეგი ჯგუფების პროდუქტებზე: საკვებ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+7.1%), ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (+17.3%), ტრანსპორტსა (+12.6%) და ჯანდაცვაზე (+6.9%) (ცხრილი 2.1). საკვები პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში შემავალ პროდუქტებს შორის ინფლაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ზრდამ შემდეგი ქვეჯგუფების პროდუქტებზე: ბოსტნეულზე (+25.6%), ხილსა და ყურძენზე (+15.9%), რძეზე, ყველსა და კვერცხზე (+9.3%), ხორცზე (+9.1%), ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე (+5.6%), ზეთსა და ცხიმებზე (+5.5%) და თევზზე (+4.4%). აგრეთვე გაიზარდა „ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს“ ჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასებიც (+17.3%). ალკოჰოლურ სასმელებზე ფასების მატებამ (+1.3%), ხოლო თამბაქოზე (+37.1%) შეადგინა. რაც შეეხება, ტრანსპორტის ჯგუფში შემავალ პროდუქტებსა და სერვისებს, ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო სამუალებების ექსპლუატაციაზე (+18.0%), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (+4.0%) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (+3.4%). ჯანდაცვის ჯგუფში ფასების მატება აღინიშნა სამედიცინო პროდუქტის⁷, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფსა (+18.1%) და ამბოლატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (+5.5%). 2017 წელს ინფლაციის ზრდა ერთჯერადმა ფაქტორებმა გამოიწვია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდა, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის დევალვაცია და თამბაქოსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის⁸ ზრდის კიდევ ერთი ტალღა. ფაქტობრივად, 2015 წლის ივლისთან შედარებით, 2017 წლის ივლისში ინფლაციის დონე 7.6%-მდე გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ საკვებ პროდუქტებსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+8.3%), ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (+32.6%), კომუნალურ სერვისზე (წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვ.) (+7.2%) და ჯანდაცვის პროდუქტებსა და მომსახურებაზე (+11.3%).

უმუშევრობის დონე⁹ საქართველოში კვლავაც მაღალია. ამ კუთხით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა დასაქმებულთა განაწილება. საქართველოში სამუშაო ძალის რაოდენობა (დასაქმებულები + უმუშევრები) 2015-2016 წლებში 2021.5 ათასი კაციდან 1998.3 ათას კაცამდე მეტყობდა. დასაქმებულთა უმეტესობა (ე.ი. თვითდასაქმებულები და დაქირავებულები) თვითდასაქმებულია. 2016 წელს, დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში თვითდასაქმებულთა

⁷გულსისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტები (25.2%-მდე), ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები (4.4%-მდე), ანტიბიოტიკები (13.6%-მდე), ვიტამინები (18.5%-მდე), საჭმლის მომნელებელი სისტემის მედიკამენტები (23.2%-მდე) და ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები (14.0%).

⁸2017 წლის პირველი იანვრიდან აქციზის გადასახადი გაიზარდა თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და ავტომობილებზე.

⁹უმუშევრობის სტატისტიკური მონაცემები მოცემულია საქსტატის შეფასებებზე დაყრდნობით და არ არის კორექტირებული 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე.

და დაქირავებულთა წილები, შესაბამისად, 57.3% და 42.3% იყო. თვითდასაქმებულ პირთა თითქმის 48%-ი სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირებული, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 8.2%-ია. ამავდროულად, 2016 წელს, დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1.1%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა 0.7%-ით შემცირდა. საინტერესოა, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დონე 0.2%-ით შემცირდა (უმუშევრობის დონე 2016 წელს - 11.8%, ხოლო 2015 წელს - 12%; დასაქმების დონე 2016 წელს - 59.5%, ხოლო 2015 წელს - 59.7%). იმავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა 6.5 ათასი კაცით შემცირდა. 2016 წელს უმუშევრობის დონე ქალაქში უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად (21.1% და 5.0%), მირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმების გამო.


საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად კვლავაც რჩება ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონე. 2016 წელს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის უმუშევრობის თვალსაზრისით, ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენდნენ 15-19 და 20-24 წლის ახალგაზრდები. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (31.9%). გასულ წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 5.7 პროცენტული ერთეულით გაიზარდა. უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალი იყო 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც და 30.0%-ს უდრიდა. „ევროპის განათლების ფონდის“ მონაცემების მიხედვით (2017)¹⁰, საქართველოში, 2016 წელს, 15-24 წლის ახალგაზრდებს შორის უმუშევარი, განათლების არმქონე ან ტრენინგის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების წილი 27.9%-ს უდრიდა. ამავე დროს, 2016 წელს, საქართველოს მოქალაქის საშუალო ხელფასი თვეში 940 ლარი იყო, ხოლო 2015 წელს - თვეში 900 ლარი. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ხელფასის წლიური ზრდის მაჩვენებელი 2.2%-ით გაიზარდა (2010 წლის ფასებში). აბსოლუტური გამოსახულებით, მამაკაცების ხელფასი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ქალების: მამაკაცების საშუალო ნომინალურმა ხელფასმა 1074.3 ლარიდან (2015 წ.) 1116.6 ლარამდე (2016 წ.) მოიმატა, ხოლო ქალების საშუალო ნომინალურმა ხელფასმა - 692.5 ლარიდან (2015 წ.) 731.2 ლარამდე (2016 წ.).

2016 და 2017 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 9.4 მილიარდი ლარიდან 10.3 მილიარდ ლარამდე. იმავე პერიოდში, ქვეყნის მთლიან ბიუჯეტში ჯანდაცვის ხარჯები 0.6 პროცენტული ერთეულით, ხოლო სოციალურ დახმარებაზე გაწეული ხარჯები - 1 პროცენტული ერთეულით შემცირდა. 2016 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი 0.4 პროცენტული ერთეულით გაიზარდა (დიაგრამა 2.2).

¹⁰European Training Foundation (2017), "Education, Training and Employment Developments",
გამოქვეყნებულია მისამართზე:

https://www.etf.europa.eu/sites/default/files/m/A07E788AAC06EBDBC125824A003E3996_Georgia%202017.pdf

დიაგრამა 2.2: სახელმწიფო ხარჯების განაწილება (%)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

შენიშვნა: 2015, 2016 და 2017 წლების მონაცემები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან არის აღებული, ხოლო 2018 წლის მონაცემები - კანონიდან „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და ამგვარად წინასწარია. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იყო 8.8 მილიარდი ლარი, 2016 წლის - 9.4 მილიარდი ლარი, 2017 წლის - 10.3 მილიარდი ლარი, ხოლო 2018 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი - 11.3 მილიარდი ლარი.

2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მთლიანი სახელმწიფო ხარჯებისთვის 11.3 მილიარდი ლარია გამოყოფილი, რაც გასულ წელთან შედარებით 9.7%-იან ზრდას ნიშნავს. 2018 წლს, მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისთვის გაწეული ხარჯების წილი 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდება. ამასთანავე, მოსალოდნელია ჯანდაცვის ხარჯების წილის შემცირებაც 0.7 პროცენტული პუნქტით, სოციალური დაცვის ხარჯებისა კი - 1.0 პროცენტული პუნქტით (დიაგრამა 2.2).

პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება (ბავშვთა დახმარების პროგრამასთან ერთად) და სხვადასხვა კატეგორიებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებები, საქართველოში სოციალური დაცვის მთავარი ინსტრუმენტებია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის

ხარჯვით ნაწილში ყველაზე დიდი წილი სოციალურ ტრანსფერებს უკავია და 2017 წელს ცენტრალური ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 24.6%-ს შეადგენდა. სოციალური პენსიების წილი სოციალური დაცვისთვის გამოყოფილი მთლიანი ხარჯების დაახლოებით 62%-ს უდრიდა. საქართველოში სოციალური დახმარების ყველაზე დიდ პროგრამას ხანდაზმულობის პენსია წარმოადგენს. ხანდაზმულობის პენსიის თანხა ფიქსირებულია და საპენსიო ასაკის (65 წელს გადაცილებულ მამაკაცებსა და 60 წელს გადაცილებულ ქალებზე) ყველა პირზე გაიცემა. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ხანდაზმულობის პენსია 729,162-მა ადამიანმა მიიღო და მისმა მთლიანმა თანხამ 132,268,484 ლარი შეადგინა¹¹. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაში, ფულადი დახმარების სიდიდით მეორე ადგილზეა მიზნობრივი სოციალური დახმარება (TSA). მისი მიზანია იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობების გაუმჯობესება, რომლებიც ფინანსურ და მატერიალურ პრობლემებს განიცდიან. 2013 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობამ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ტექნიკური ასპექტების გადასინჯვა წამოიწყო. შედეგად, ახალი კანონმდებლობა მიიღეს, რომელმაც მიზნობრივი სოციალური დახმარების ფორმულა და სქემა შეცვალა. ასევე, დაემატა ახალი მიზნობრივი პროგრამა - „ბავშვთა დახმარების პროგრამა“ (CPB). მისი განხორციელება 2015 წლის ივნისში დაიწყო¹², ხოლო კომპენსაციები 2015 წლის აგვისტოში განისაზღვრა. მიზნობრივი სოციალური დახმარების ოდენობა 30-60 ლარის ფარგლებში მერყეობს და მოწყვლადობის ქულაზეა დამოკიდებული. ამასთან ერთად, თითოეული ოჯახი, რომელსაც 100 000 ქულამდე აქვს, 16 წლამდე ასაკის ყოველი ბავშვისთვის 10 ლარს იღებს. 2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 324,177 შინამეურნეობა (ანუ 977,055 ადამიანი) იყო რეგისტრირებული¹³. აღნიშნულ პერიოდში, ყოველთვიური ფულადი დახმარება 132,051 ოჯახმა (შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 12.4%-მა), ე.ი. 459,699 ადამიანმა მიიღო. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის თვიური ბიუჯეტი 21,128,468 ლარს შეადგინდა. საქართველოში სოციალური დაცვისთვის განკუთვნილი კიდევ ერთი დახმარებაა ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიებისთვის დადგენილი შეღავათები. ამ ტიპის დახმარებაში შედის სოციალური ჰაკეტი, ოჯახის დახმარება, კომუნალური გადასახადების შეღავათები და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებისთვის დადგენილ შეღავათებს მარჩენალდაკარგულები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, ომის ვეტერანები და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები იღებენ. ამავე დროს, მუნიციპალიტეტების უმეტესობა ფულად და მატერიალურ დახმარებებსაც გასცემს, თუმცა მათი ბენეფიციარების რაოდენობა და დახმარების თანხები საკმაოდ მცირეა.

¹¹ სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017

¹² World Bank 2016, “Continuous Improvement: Strengthening Georgia’s Targeted Social Assistance Program”, იხ. ბმული: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/24812>

¹³ სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017

2.2 კვლევის აღწერა და რესპონდენტთა შერჩევის მეთოდოლოგია

2.2.1 ზოგადი მიდგომა რესპონდენტთა შერჩევის მიმართ

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ მრავალეტაპიან კვლევას წარმოადგენს, რომელიც ორწლიანი ინტერვალებით ტარდება. კვლევის პირველი ეტაპი 2009 წელს განხორციელდა. მას შემდეგ, „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ კიდევ 5-ჯერ ჩატარდა, 2017 წლის ჩათვლით.

შერჩევის მეთოდად ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევაა გამოყენებული. რესპონდენტების შერჩევის ზოგადი მიდგომა შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად:

I ეტაპი - პირველი სამი რაუნდის შერჩევის (2009, 2011 და 2013 წლები) ბაზა დაფუძნებულია 2009 წელს ფორმირებულ შერჩევაზე, სადაც ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის დიზაინით შერჩეული იქნა 6758 შინამეურნეობა. 2009 წელს შერჩეული შინამეურნეობები გაერთიანდნენ 606 PSU-ში (Primary Sampling Unit). 2009 წლის შერჩევის ჩარჩო 2008 წელს საქართველოს მიერ ჩატარებული „შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის“ მონაცემთა ბაზას ეფუძნებოდა. კვლევის შემდგომი რაუნდების დროს, შერჩევის მოცულობა ფორმირდებოდა წინა წლებში არსებულ გამოპასუხებაზე დაფუძნებით და შესაბამისად შეადგინა: 2011 წელს - 4808 ერთეული და 2013 წელს - 4147 ერთეული (ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2: გამოპასუხების დონე 2009, 2011 და 2013 წლის რაუნდებისთვის

| ეტაპი – წელი | პირველადი შერჩევა (2009) | ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა | გამოპასუხების რაოდენობა | პირველადი შერჩევის განლევის მაჩვენებელი | |
|----------------------|--------------------------------|---|----------------------------|--|------------------|
| | | | | ტალღა | სულ 1-3 ეტაპი |
| პირველი ეტაპი - 2009 | 6758 | 4808 | 71.15% | | |
| მეორე ეტაპი - 2011 | 4808 | 4147 | 86.25% | 13.75% | 22.50% |
| მესამე ეტაპი - 2013 | 4147 | 3726 | 89.85% | 10.15% | |

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან 2013 წლამდე, გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა შემცირდა 22.5%-მდე და 4808 შინამეურნეობიდან დაეცა 3716 შინამეურნეობამდე. სწორედ ეს კლება გახდა მიზეზი, რამაც გამოიწვია მომდევნო ტალღებში შერჩევის დიზაინის კორექტირება.

II ეტაპი - მეოთხე რაუნდიდან მოყოლებული (2015 და 2017 წლები), შერჩევის ზომის გაზრდის მიზნით შემუშავებული იქნა კომბინირებული მიდგომა და 2009 წელს ფორმირებული სიის ერთულებთან ერთად დანაკარგის კომპენსირება განხორციელდა დამატებითი შერჩევით. დამატებითი შერჩევა გენერირებულია იმავე კლასტერებში, რაც ფორმირებული იყო 2009 წელს. დამატებითი შერჩევისთვის ვისარგებლებლეთ შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით. 2015 წელს დამატებით შერჩეული იქნა 1491 რესპონდენტი, ხოლო 2017 წელს 814 რესპონდენტი (ცხრილი 2.3).

ცხრილი 2.3: გამოპასუხების დონე 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლის რაუნდებისთვის

| რაუნდი – წელი | შერჩევის ზომა | | | | ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა | | | | პირველადი შერჩევის განლევის მაჩვენებელი | | |
|----------------------|--------------------------|---------------------------|---------------------------|-----------------|-----------------------------------|---------------------------|---------------------------|-----------------|---|---------------|---------------------------|
| | პირველადი შერჩევა (2009) | დამატებითი შერჩევა (2015) | დამატებითი შერჩევა (2017) | მთლიანი შერჩევა | პირველადი შერჩევა (2009) | დამატებითი შერჩევა (2015) | დამატებითი შერჩევა (2017) | მთლიანი შერჩევა | ტალღა | სულ 1-5 ტალღა | გამოპასუხების მაჩვენებელი |
| პირველი ეტაპი - 2009 | 6758 | 0 | 0 | 6758 | 4808 | 0 | 0 | 4808 | 0.0% | 42.0% | 71.1% |
| მეორე ეტაპი - 2011 | 4808 | 0 | 0 | 4808 | 4147 | 0 | 0 | 4147 | 13.7% | | 86.3% |
| მესამე ეტაპი - 2013 | 4147 | 0 | 0 | 4147 | 3726 | 0 | 0 | 3726 | 10.2% | | 89.8% |
| მეოთხე ეტაპი - 2015 | 4147 | 1491 | 0 | 5638 | 3042 | 1491 | 0 | 4533 | 18.4% | | 80.4% |
| მეხუთე ეტაპი - 2017 | 4147 | 1491 | 814 | 6452 | 2791 | 1092 | 814 | 4697 | 8.3% | | 72.8% |

კომბინირებული შერჩევის მეთოდოლოგიის შედეგად, ჯამური შერჩევის ზომა შენარჩუნებული იქნა 4500-4800 შინამეურნეობის ფარგლებში. მსგავსი მიდგომით გაიზარდა კვლევის საიმედოობა და შემცირდა შერჩევის ცდომილება. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელთან მიმართებაში, პირველადი სიებიდან დანაკარგი განისაზღვრება **42%-ით**, რაც 8 წლიანი პერიოდისთვის სრულიად მისაღები ნორმაა. გარდა დამატებითი შერჩევისა, 2015 წლიდან გადაწყდა საველე სამუშაოები ჩატარებულიყო ყველა იმ ოჯახში, რომლებთანაც 2013 წელს ვერ მოხერხდა დაკავშირება. შესაბამისად, საწყისი ბაზიდან 2015 და 2017 წელს საველე სამუშაოები ჩატარდა 4147 რესპონდენტთან (ცხრილი 2.3).

2.2.2 „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მე-5 ეტაპის შერჩევის დიზაინი

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, მეხუთე რაუნდის (2017 წელი) შერჩევა ფორმირებული იქნა კომბინირებული დიზაინით. კერძოდ გამოყენებული იქნა ორი მიდგომა:

სიებზე დაფუძნებული შერჩევა - მეხუთე რაუნდის შერჩევაში სრულად აისახა 2015 წელს გამოკითხული ოჯახების სია. ამასთან, დაკონტაქტება განხორციელდა ყველა იმ ოჯახთან, რომელთანაც ვერ ჩატარდა ინტერვიუ 2015 წელს. სულ სიებით გამოიკითხა **3883** შინამეურნეობა, საიდანაც 2791 შინამეურნეობა მოხვდა 2009 წლის ორიგინალი სიიდან, ხოლო 1092 შინამეურნეობა 2015 წლის დამატებითი შერჩევიდან.

დამატებითი შერჩევა - მეხუთე რაუნდის დამატებით შერჩევაში აისახა **814** შინამეურნეობა. დამატებითი შერჩევის მოცულობის კლასტერებში გადანაწილება განხორციელდა ორ ეტაპად: (1) პირველ რიგში შეივსო ის კლასტერები, სადაც 2015 წელს 2009 წელთან შედარებით გამოკითხული იქნა უფრო ნაკლები რესპონდენტი. (2) მას შემდეგ, რაც შეივსო ნაკლები კლასტერები, დარჩენილი რაოდენობა გადანაწილდა შემთხვევითად შერჩეულ კლასტერებში. დამატებითი შერჩევისთვის გამოყენებული იქნება შემთხვევითი ხეტიალის პრინციპი, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს:

- 1) **საწყისი წერტილის შერჩევა** - პირველად თითოეული PSU-თვის, შერჩეული იქნა საწყისი წერტილი. ქალაქის ტიპის კლასტერებისთვის უკვე არსებული სიებიდან შეირჩა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შემთხვევითი მისამართი, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებაში საწყისი წერტილის რანგში აღებული იქნა სოფლის ცენტრი.
- 2) **შინამეურნეობის შერჩევა შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით** - შინამეურნეობების შერჩევისთვის ინტერვიუერებს დაურიგდათ შემთხვევითი ხეტიალის პრინციპის შესასრულებლად საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს მოძრაობის მარშუტსა და ბიჯით რესპონდენტების შერჩევის ტექნიკის აღწერას.
- 3) **საბოლოო რესპონდენტის შერჩევა** - საკვლევი საკითხების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება შინამეურნეობას, გამოიკითხა შინამეურნეობის ყველაზე ინფორმირებული წევრი. ხოლო ინდივიდუალურ საკითხებზე გამოიკითხა შინამეურნეობის ის წევრი, რომელსაც ბოლოს ქონდა დაბადების დღე.

საბოლოოდ, 2017 წელს გამოიკითხა **4697** შინამეურნეობა.

2.2.3 კვლევის ინსტრუმენტები

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევისთვის“ საჭირო მონაცემები შეგროვდა კომპიუტერზე დაფუძნებული პერსონალური გამოკითხვის სისტემის (CAPI) მეშვეობით. აღნიშნული სისტემით განხორციელდა კითხვარის წინასწარი შემოწმება.

კვლევის წინა ეტაპების დროს, მონაცემების შეგროვება ხდებოდა დაბეჭდილი კითხვარების საშუალებით. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ყველა ეტაპზე ერთი და იგივე კითხვარი გამოიყენებოდა, მცირედი ცვლილებებით.

2.2.4 მონაცემების შეწონვა

პოპულაციის წონითი კოეფიციენტის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა სტრატიფიკაციის ნიშნები და საქსტატის მიერ მოწოდებული შეფასებული პოპულაციის ზომა შინამეურნეობების დონეზე თითოეული სტრატისტვის (2016 წლის მონაცემები). შეფასებული პოპულაციის ზომა სტრატების მიხედვით მიანიშნებს იმ შინამეურნეობების რაოდენობას, რომელიც შეფასებული იქნა საქსტატის მიერ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის დროს 2016 წელს და გათვალისწინებულია აქტუალაციზაციისა და არგამოპასუხების შედეგები. წინამდებარე ანგარიშში ორი ტიპის წონა გამოიყენება. ესენია:

- 1) პოპულაციის წონა (W1) - პოპულაციის წონა საშუალებას იძლევა 2017 წლის მონაცემები გაანალიზებული იქნეს დამოუკიდებლად. პოპულაციის წონითი კოეფიციენტი გაანგარიშებული იქნა 4697 რესპონდენტისტვის.
- 2) პანელური წონა (W2) - პანელური წონა საშუალებას იძლევა ცალკე გაანალიზდეს იმ რესპონდენტთა ჯგუფი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლის კვლევებში. პანელური წონითი კოეფიციენტი გაანგარიშებული იქნა 2396 რესპონდენტისტვისთვის

პოპულაციის წონის დასაანგარიშებლად გამოყენებული იყო შემდეგი ფორმულა:

$$W\mathbf{1}_i = \frac{N_i^*}{n_i}$$

სადაც,

$W\mathbf{1}_i$ არის i -ური სტრატის წონითი კოეფიციენტი, რომელიც ერთნაირია კონკრეტული სტრატის ყველა რესპონდენტისტვისთვის.

N_i^* არის i -ური სტრატის შეფასებული პოპულაცია, რომელიც აღებული იქნა საქსტატის 2016 წლის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან.

n_i არის i -ურ სტრატაში გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა.

პანელური წონითი კოეფიციენტის გაანგარიშებისას, ისევე როგორც პოპულაციის წონითი კოეფიციენტის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა სტრატიფიკაციის ნიშნები და საქსტატის მიერ მოწოდებული შეფასებული პოპულაციის ზომა თითოეული სტრატისტვის

(2016 წლის მონაცემები). პოპულაციის წონის გაანგარიშების ფორმულა გამოიყურება შემდეგნაირად:

$$W2_i = \frac{N_i^*}{n_i^p}$$

სადაც,

$W2_i$ არის i -ური სტრატის წონითი კოეფიციენტი, რომელიც ერთნაირია კონკრეტული სტრატის ყველა რესპონდენტისთვის.

N_i^* არის i -ური სტრატის შეფასებული პოპულაცია, რომელიც აღებული იქნა საქსტატის 2016 წლის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან.

n_i^p არის i -ურ სტრატაში გამოკითხული რესპონდენტების ის რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას დებულობდა ხუთივე წლის კვლევაში (2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლები).

2.2.5 შერჩევის ცდომილება

შერჩევის ცდომილების გაანგარიშებისთვის პირველ რიგში შევარჩიეთ შესაბამისი ცვლადები. სულ შერჩეული იქნა 10 ცვლადი, რომელთაგან 4 თანხობრივი ცვლადია, ხოლო 6 დიქოტომიური.

თანხობრივი ცვლადები:

1. ჯამური თვიური შემოსავალი;
2. შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით;
3. ჯამური თვიური სამომხმარებლო ხარჯი;
4. შინამეურნეობის საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით;

დიქოტომიური ცვლადები:

1. მიზნობრივი სოციალური დახმარების, 10 ლარიანი დახმარების ან ორივე ამ დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა;
2. მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა;
3. უკიდურესი სიღარიბე - სამომხმარებლო ხარჯი (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით) 82.8 ლარზე ნაკლებია;
4. ახალი უკიდურესი სიღარიბე - სამომხმარებლო ხარჯი (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით) 125.8 ლარზე ნაკლებია;

5. ფარდობითი სიღარიბე - სამომხმარებლო ხარჯი (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით) 177.1 ლარზე ნაკლებია;
6. საარსებო მინიმუმი - სამომხმარებლო ხარჯი (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით) 148.3 ლარზე ნაკლებია;

ცდომილების შეფასება განხორციელდა ქალაქ/სოფლისა და ქვეყნის დონეზე. სტანდარტული შეცდომის შეფასებისთვის ვისარგებლეთ STATA-ს SVY პროცედურით, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსური შერჩევის დიზაინის შემდეგ მახასიათებლებს: სტრატიფიკაცია, კლასტერიზაცია და წონითი კოეფიციენტები. შერჩევის ცდომილება ქალაქ/სოფლისა და ქვეყნის დონეზე მოცემულია ცხრილი 2.4-ის და 2.5-ის სახით.

ცხრილი 2.4: შერჩევის ცდომილება ქალაქ/სოფლისა და ქვეყნის დონეზე თანხობრივი ცვლადებისთვის

| ქალაქი/სოფელი | ცდომილება საშუალოსთვის | | | | | საშუალო ცდომილება |
|---------------|------------------------|---------------------------------|--|--|--|-------------------|
| | n | მთლიანი თვიური შემოსავალი | შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი (ეზპ) | მთლიანი თვიური სამომხმარებლო ხარჯები | შინამეურნეობის საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯები (ეზპ) | |
| ქალაქი | 1546 | 7.0% | 6.1% | 5.7% | 4.5% | 5.8% |
| სოფელი | 3151 | 5.3% | 4.5% | 3.9% | 3.6% | 4.3% |
| სულ | 4697 | 4.7% | 4.1% | 3.6% | 3.0% | 3.8% |

ცხრილი 2.5: შერჩევის ცდომილება ქალაქ/სოფლისა და ქვეყნის დონეზე დიქოტომიური ცვლადებისთვის

| ქალაქი/ სოფელი | ცდომილება პროპორციისთვის | | | | | | | საშუალო ცდომილება |
|-------------------|--------------------------|--|---|--|--|--|--|----------------------|
| | n | მიზნობრივი სოც. დახმარების, 10 ლარის ან ორივეს მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა | მხოლოდ მიზნობრივი სოც. დახმარების მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა | უკიდურესი სიღარიბე - 82.8 ლარზე ნაკლები მოხმარება (ეზპ) | უკიდურეს სიღარიბე - 125.8 ლარზე ნაკლები მოხმარება (ეზპ) | ფარდობითი სიღარიბე - 177.1 ლარზე ნაკლები მოხმარება (ეზპ) | საარსებო მინიმუმი - 148.3 ლარზე ნაკლები მოხმარება (ეზპ) | |
| ქალაქი | 1546 | 2.0% | 2.0% | 1.2% | 2.0% | 2.5% | 2.4% | 2.0% |
| სოფელი | 3151 | 1.2% | 1.1% | 0.8% | 1.3% | 1.8% | 1.5% | 1.3% |
| სულ | 4697 | 1.2% | 1.1% | 0.8% | 1.2% | 1.5% | 1.4% | 1.2% |

2017 წლის შერჩევის მოცულობა (n=4697) საკმარისია საიმედო და მაღალი სიზუსტის მქონე შედეგების მისაღებად. საშუალო ჯამური ცდომილება თანხობრივი ცვლადებისთვის განისაზღვრა 3.8%-ით, ხოლო დიქოტომიური ცვლადებისთვის - 1.2%-ით.

2.2.6 შემოსავლები და ხარჯები ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ)

წინა კვლევების მსგავსად, ახლაც სხვადასხვა სიდიდისა და შემადგენლობის შინამეურნეობების მონაცემთა ურთიერთშედარება შემოსავლებისა და ხარჯების საფუძველზე განხორციელდა. ამ სტატისტიკური მონაცემების ზოგიერთი მაჩვენებელი შესწორდა (ლარში - ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებული მეთოდების შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა, მოხდა შინამეურნეობების წევრთა ასაკისა და სქესის მიხედვით კლასიფიცირება და მათთვის ეკვივალენტური ზრდასრული პირის (ეზპ-ის) კოეფიციენტის მინიჭება (ცხრილი 2.6). ამ კოეფიციენტების ჯამი გვიჩვენებს ეკვივალენტური ზრდასრული პირების რაოდენობას შინამეურნეობაში. დიდი შინამეურნეობების თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინების მიზნით ეკვივალენტურ ზრდასრულ პირთა რაოდენობა აყვანილია $\alpha=1$ ხრთი წევრისგან შემდგარი შინამეურნეობისთვის და $\alpha=0.8$ უფრო დიდი შინამეურნეობებისთვის.

ცხრილი 2.6: შინამეურნეობაში ეკვივალენტური ზრდასრული პირების რაოდენობის დასათვლელად გამოყენებული სკალა

| ასაკი | სქესი | ეკვივალენტური ზრდასრული პირის კოეფიციენტი |
|--------------------|------------|---|
| <8 | | 0.64 |
| ≥ 8 და <16 | | 1 |
| ≥ 16 და <65 | მამრობითი | 1 |
| ≥ 16 და <60 | მდედრობითი | 0.84 |
| ≥ 65 | მამრობითი | 0.88 |
| ≥ 60 | მდედრობითი | 0.76 |

2.2.7 ინფლაციის გასათვალისწინებლად შეტანილი შესწორებები

სამომხმარებლო ფასების საერთო დონის მუდმივი ზრდის გათვალისწინება მოხდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) მეშვეობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის მონაცემების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი¹⁴ საველე სამუშაოების დასრულების დროისთვის, ანუ 2009 წლის ივლისისთვის 129.6-ს, 2011 წლის აგვისტოსთვის 152.1-ს, 2013 წლის აგვისტოსთვის 151.1-ს, 2015 წლის აგვისტოსთვის 164.6-ს და 2017 წლის აგვისტოსთვის 175.6-ს შეადგენდა. ოთხ კვლევას შორის განსხვავებების შესაძარებლად, 2017 წლის ფულადი მაჩვენებლები გადაყვანილ იქნა 2009 წლის ფასებში, რისთვისაც ისინი 175.6-ზე გაიყო და 129.6-ზე გამრავლდა.

2.2.8 საველე სამუშაოების მენეჯმენტი

მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების ორგანიზება კომპლექსური იყო და სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი ბევრი თანამშრომლის მონაწილეობით ხორციელდებოდა. მომდევნო ქვეთავში აღწერილია საველე ჯგუფის შემადგენლობა და სხვადასხვა სახის სამუშაოების განხორციელების პროცესი.

საველე კვლევის ჯგუფი: საველე ჯგუფების მუშაობას საველე სამუშაოების მენეჯერი ზედამხედველობდა. ACT-მ ამ ფუნქციის შესრულება ყველაზე მცოდნე და გამოცდილ თანამშრომლებს დაავალა. საველე სამუშაოებს შემდეგ პოზიციებზე მყოფი თანამშრომლები ასრულებდნენ:

- საველე სამუშაოების მენეჯერი (1);
- რეგიონალური კოორდინატორები (9) და თბილისის საველე სამუშაოების კოორდინატორი (1);
- ინტერვიუერები (125).

საველე სამუშაოების მენეჯერი: საველე სამუშაოების მენეჯერი ACT-ის თბილისის სათაო ოფისიდან ხორციელდებოდა. საველე სამუშაოების მენეჯერი პასუხს აგებდა საველე კვლევის ჯგუფების მუშაობის ზოგად კოორდინაციაზე, ლოჯისტიკურ და საორგანიზაციო საკითხებზე, შერჩევის აკურატულობაზე, სამუშაოს დროულ შესრულებაზე და ა.შ. საველე სამუშაოების მენეჯერი კვლევითი ჯგუფების კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებდა და იმავდროულად პროექტის ხელმძღვანელს ინფორმაციას აწვდიდა დაგეგმვისა და განხორციელების ყველა დეტალის შესახებ. საველე სამუშაოების მენეჯერი უზრუნველყოფდა, რომ საველე პერსონალს გეგმის შესაბამისად ემოქმედა, ყველა საველე დოკუმენტი ჩაებარებინა. ის სამუშაოების მიმდინარეობის ანგარიშებს ადგენდა და საველე ჯგუფების მიერ საველე სამუშაოების განხორციელების გეგმის შესრულებას აკონტროლებდა. საველე სამუშაოების მენეჯერი რეგულარულად აბარებდა ანგარიშს პროექტის მენეჯერს და რეგულარულად აწვდიდა მას, როგორც სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე ინფორმაციას

¹⁴ სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) ინდექსირებულია 2005 წელზე. ამგვარად, 2005 =100.0.

არსებული პრობლემებისა და სირთულეების შესახებ და სათანადო გადაწყვეტილებებს ადგილზე იღებდა.

რეგიონალური კოორდინატორები: რეგიონალური კოორდინატორები საველე მენეჯერთან ერთად მუშაობდნენ სამუშაოებისთვის საჭირო რესურსების, მარშრუტის გეგმისა და საბიუჯეტო ხარჯების განსაზღვრაზე. რეგიონალური კოორდინატორები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საველე სამუშაოების მენეჯერის წინაშე და უშუალოდ მუშაობდნენ ინტერვიუერებთან და საველე პერსონალთან, საველე სამუშაოების სათანადო შესრულების უზრუნველსაყოფად. ყოველდღე, რეგიონალური კოორდინატორები თითოეული ინტერვიუერის სამუშაო არეალს, დატვირთვას და დეტალურ გრაფიკს ადგენდნენ და ზოგადად თვალს ადევნებდნენ, რომ ინტერვიუების რაოდენობა თანაბრად ყოფილიყო განაწილებული ჯგუფის წევრებს შორის. ამასთან ერთად, ისინი ჯგუფის წევრებს ყოველდღიური საველე სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დოკუმენტაციას აწვდიდნენ. რეგიონალურმა კოორდინატორებმა უზრუნველყვეს, რომ ტრენინგი გაეარა ბევრ ინტერვიუერს, რადგან გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მათ ერთმანეთის შეცვლა შესძლებოდათ. საველე სამუშაოების დროს რეგიონალური კოორდინატორები, მობილური ტელეფონების მეშვეობით, მუდმივ კონტაქტში იყვნენ ჯგუფის წევრებთან, რომ რაიმე პრობლემებისა და სირთულეების შემთხვევაში, ისინი ადგილზე გადაწყვიტათ. რეგიონალური კოორდინატორები პასუხს აგებდნენ საველე სამუშაოების ყოველდღიურ მონიტორინგსა და რეგისტრაციაზე და დასახული გეგმების შესრულების უზრუნველყოფაზე. ყოველი სამუშაო კვირის ბოლოს რეგიონალური კოორდინატორები საველე სამუშაოების მენეჯერს ყოველკვირეულ ანგარიშს აბარებდნენ.

საველე ინტერვიუერები: ინტერვიუერების მთავარი მოვალეობა პროექტის ინსტრუქციების მკაცრი შესრულება იყო. პერსონალი შეირჩა ACT-ს „ინტერვიუერების მონაცემთა ბაზიდან“, შესაბამისი პროცედურების დაცვით. რეგიონალურმა კოორდინატორებმა მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილების გათვალისწინებით შეადგინეს ინტერვიუერების საწყისი სია და საველე მენეჯერს წარუდგინეს. ამის შემდეგ, საველე სამუშაოების მენეჯერმა საბოლოო მონაცემთა ბაზა შეიმუშავა და პროექტის მენეჯერს წარუდგინა. თავდაპირველ სიაში 136 კანდიდატი შევიდა, რომელთაგან საველე სამუშაოებისთვის საბოლოოდ 125 ინტერვიუერი შეირჩა. საველე ინტერვიუერები მკაცრად გაწერილი პროცედურების, ნორმებისა და გრაფიკის მიხედვით მუშაობდნენ და ყოველი სამუშაო დღის ბოლოს რეგიონალურ კოორდინატორებს ანგარიშს აბარებდნენ.

2.2.9 საველე სამუშაოები

უპირველეს ყოვლისა, საველე მენეჯერმა, პროექტის მენეჯერთან კოორდინაციის გზით, შერჩევის განაწილების საფუძველზე, თითოეულ რეგიონში კვლევის განხორციელების დეტალური გეგმა შეიმუშავა.

თითოეულ რეგიონში სამუშაოების შესრულების ვადები წინასწარ განისაზღვრა და ყველა რეგიონალურმა კოორდინატორმა ეს ინფორმაცია საველე სამუშაოების დაწყებამდე მიიღო.

კვლევით გათვალისწინებული საველე სამუშაოები შემდეგი ფაზებისგან შედგებოდა:

- ინტერვიუერების ინფორმირება შევსებული კითხვარების ჩაბარების ბოლო ვადის შესახებ;
- საველე ვიზიტები და ინტერვიუები;
- შევსებული კითხვარების ატვირთვა;
- შევსებული კითხვარების ლოგიკური კონტროლი;
- მონაცემთა ხარისხის კონტროლის პროცედურების განხორციელება;
- დია კითხვების კოდირება;

2.2.10 ინტერვიუერების ტრენინგი

საველე სამუშაოების დაწყებამდე შემუშავდა რამდენიმე დოკუმენტი:

- კვლევის ინსტრუმენტი / კითხვარი;
- კვლევის დროს გამოსაყენებელი ილუსტრაციები / თვალსაჩინო მასალა;
- ინტერვიუერების მარშრუტის ბარათები/განმეორებითი ვიზიტის ბარათები;
- საველე ვიზიტის რეგისტრაციის ფორმა;
- ინტერვიუერის ტექნიკური ანგარიშის ფორმა.

იუნისეფის მიერ მიწოდებულ მასალებსა და ინსტრუქციებზე დაყრდნობით პროექტის მენეჯერმა ინსტრუქციები თითოეული კითხვისთვის მოამზადა და საველე პერსონალს დაურიგა. საველე პერსონალის ტრენინგი ACT-ის არსებული პროცედურებისა და ფორმების შესაბამისად ჩატარდა. 2.7 ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ იყო განაწილებული ტრენინგები.

ცხრილი 2.7: საველე პერსონალის ტრენინგები

| თარიღი | ადგილი | ტრენერი | საველე პერსონალი |
|------------|---------|-------------------------|--|
| 19.07.2017 | თბილისი | პროექტის მენეჯერი | მცხეთა-მთიანეთის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორი, რევიზიის სპეციალისტი და თბილისის ინტერვიუერები |
| 20.07.2017 | თბილისი | რევიზიის სპეციალისტი | სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორები |
| 20.07.2017 | ქუთაისი | პროექტის მენეჯერი | იმერეთისა და გურიის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორები |
| 21.07.2017 | თბილისი | რევიზიის სპეციალისტი | ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორები |
| 21.07.2017 | ზუგდიდი | პროექტის მენეჯერი | სამეგრელო-ზემო სვანეთის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორები |
| 22.07.2017 | ბათუმი | პროექტის მენეჯერი | აჭარის ინტერვიუერები და რეგიონალური კოორდინატორები |

ყველა ინტერვიუერს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა შემდეგ საკითხებზე:

- კვლევის თემა (ამოცანები და შესასრულებელი სამუშაო);
- კვლევის ინსტრუმენტი;
- შერჩევის მეთოდოლოგია;
- საველე ფორმების შევსების ინსტრუქციები;
- ინსტრუქციები პლანშეტის გამოყენების შესახებ;

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ტრენინგების დღის წესრიგია ნაჩვენები:

ცხრილი 2.8: ტრენინგის დღის წესრიგი

| ნაგრძლიობა | სესია | აქტივობა |
|------------|---|---|
| 15 წუთი | გახსნა მიზნები და ამოცანები | <ul style="list-style-type: none"> • შესავალი სიტყვა; • ყველა დამსწრის გაცნობა; • ტრენინგის დღის წესრიგის განხილვა; • პროცედურული საკითხები; • ზოგადი ინფორმაცია კვლევისა და მისი განმახორციელებელი მხარეების შესახებ; • კვლევის სტრუქტურის, მიზნებისა და ამოცანების მიმოხილვა; |
| 2 საათი | კვლევის კითხვარის შინაარსი | <ul style="list-style-type: none"> • კითხვებისა და ცხრილების განხილვა; • თითოეული კითხვის შევსების დეტალური ინსტრუქციები; • კითხვა-პასუხი |
| 15 წუთი | სადილის შესვენება | |
| 1 საათი | კვლევის კითხვარის შინაარსი | <ul style="list-style-type: none"> • კითხვებისა და ცხრილების განხილვა; • თითოეული კითხვის შევსების დეტალური ინსტრუქციები; • კითხვა-პასუხი |
| 45 წუთი | სიმულაციური ინტერვიუები | <ul style="list-style-type: none"> • სიმულაციური ინტერვიუების ჩატარება ინტერვიუერების მიერ, პლანშეტების გამოყენებით |
| 15 წუთი | საველე სამუშაოებთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და დახურვა | <ul style="list-style-type: none"> • საველე სამუშაოების გრაფიკი • შევსებული კითხვარების ჩაბარების გრაფიკი • საველე სამუშაოებისთვის საჭირო დოკუმენტაციის დარიგება. |

ტრენინგების დროს შესრულებული სიმულაციური ინტერვიუების შემდეგ ყველა ინტერვიუერს თითო კითხვარი დაურიგდა, რომელიც სახლში უნდა შეევსოთ და აეტვირთათ. პროექტის მენეჯერმა, საველე სამუშაოების მენეჯერმა, მონაცემთა ბაზის მენეჯერმა და

რევიზიის სპეციალისტმა, ტრენინგის პარალელურად, შევსებული კითხვარები მონაცემთა ბაზაში შეამოწმეს (20-22 ივლისს, 2017) და საველე სამუშაოების დაწყებამდე თითოეულ ინტერვიუერს დამატებითი ინსტრუქციები მისცეს.

2.2.11 საველე სამუშაოების განხორციელება

ყველა რეგიონში მთავარი საველე სამუშაოები 2017 წლის 22 ივლისს დაიწყო. ინტერვიუერები შევსებულ კითხვარებს წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად ტვირთავდნენ.

საველე სამუშაოების დასასრულს ყველა რეგიონის კოორდინატორმა და ინტერვიუერმა საველე სამუშაოების განხორციელების პროცესის შესახებ ანგარიშები დაწერეს და საველე სამუშაოების მენეჯერს გაუგზავნეს. ამასთან ერთად, ინფორმაცია საველე სამუშაოების განხორციელების შესახებ საველე სამუშაოების მენეჯერთან საუბრის დროსაც იყო განხილული.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესის დროს რაიმე სერიოზულ სირთულეებს ადგილი არ ჰქონია გარდა იმ ფაქტისა, რომ სამუშაოები ზაფხულში მიმდინარეობდა, ბევრი ადამიანი დასასვენებლად იყო წასული და საჭირო რესპონდენტების მოძებნა გაძნელდა, განსაკუთრებით თბილისში. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ კითხვარი გრძელი იყო და შინამეურნეობების მოძებნა გართულდა, დღეში ორზე მეტი ინტერვიუს ჩატარება თითქმის შეუძლებელი გახდა. ინტერვიუერები, უმეტეს შემთხვევაში, იძულებულნი იყვნენ ერთსა და იმავე მისამართზე რამდენჯერმე დაბრუნებულიყვნენ, რომ ინტერვიუ შესაბამისი შინამეურნეობისაგან აეღოთ.

2.2.12 რესპონდენტების შერჩევის პროცედურა

რესპონდენტების სწორად შერჩევისა და საკონტაქტო ინფორმაციის სწორად დაფიქსირების მიზნით, ინტერვიუერებს ორი სხვადასხვა სახელმძღვანელო გადაეცათ.

პანელური კვლევის ჩასატარებლად ინტერვიუერებმა მიიღეს დეტალური მისამართები, სახელები და ინფორმაცია შინამეურნეობების შემადგენლობის შესახებ (წევრების რაოდენობა, ასაკი და სქესი). ამასთან ერთად, მათ მიიღეს შემდეგი ინსტრუქციები:

- უპირველეს ყოვლისა, მოძებნეთ სწორი მისამართი;
- გაარკვიეთ ვინ ცხოვრობს ამჟამად აღნიშნულ მისამართზე და ემთხვევა თუ არა შინამეურნეობის უფროსის გვარი და სახელი სიაში მითითებულ გვარსა და სახელს;
- ჰქითხეთ შინამეურნეობის წარმომადგენელს თუ შინამეურნეობის რამდენი წევრი ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, აგრეთვე ჰქითხეთ მათი (თუნდაც ზოგიერთის) ასაკისა და სქესის შესახებ;

- ჰკითხეთ შინამეურნეობის წარმომადგენელს ჩაუტარდათ თუ არა გამოკითხვა 2015, 2013, 2011 და/ან 2009 წლებში.
- თუ შინამეურნეობის მისამართი, გვარი და სიდიდე სიაში მოცემულ მონაცემებს ემთხვევა და ისინი დაადასტურებენ, რომ წინა ეტაპების დროს გამოკითხვა ჩაუტარდათ, დაიწყეთ ინტერვიუ.
- თუ შეცვლილია მხოლოდ შინამეურნეობის ზომა, შეამოწმეთ რამდენად ლოგიკურია ეს ცვლილება (ბავშვის დაბადება, წევრის გარდაცვალება, განქორწინება და ა.შ.). ლოგიკური კავშირის აღმოჩენის შემთხვევაში, გამოავლინეთ რესპონდენტი და შეთანხმდით მასთან გამოკითხვის ჩატარებაზე;
- თუ ერთ-ერთი გარემოება სიაში მოცემულ მონაცემს არ ემთხვევა, შეეცადეთ დაადგინოთ ამის ლოგიკური მიზეზები. თუ ახსნა ვერ მოიძებნა, მიმართეთ ზედამხედველს და იმოქმედეთ მისი მითითებების შესაბამისად;
- თუ სიაში მოცემულ მონაცემებს რამდენიმე ფაქტორი არ ემთხვევა, შეეცადეთ იგივე უბანში ან დასახლებაში შინამეურნეობის ახალი მისამართი იპოვოთ.
- თუ სახლში არავინ დაგხვდათ, ჩაწერეთ პირველი კონტაქტის შედეგი და საველე სამუშაოების პერიოდში კიდევ სამჯერ სცადეთ მათთან დაკავშირება;
- თუ ინტერვიუსთვის დანიშნულ დროს გამოკითხვის ჩატარება ვერ ხერხდება (მაგალითად რესპონდენტს არ სცალია ან სახლში არ არის), მისი გამოკითხვა კიდევ სამჯერ სცადეთ (საერთო ჯამში - ოთხი მცდელობა);
- თუ სასურველ პოტენციურ რესპონდენტთან დაკავშირება მოხერხდა, მაგრამ დრო ინტერვიუსთვის მოხერხებული არ არის, განმეორებით ეწვიეთ შინამეურნეობას რესპონდენტისთვის სასურველ დროს.

შემთხვევითი შერჩევის განსახორციელებლად ყველა ინტერვიუერმა მიიღო ინფორმაცია შერჩევის ადგილის შესახებ, შესაბამისი კოდებითა და ინფორმაციით ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობის შესახებ. მათ აგრეთვე დაურიგდათ „მარშრუტის ბარათები“, ყველა კონტაქტის შედეგების აღსარიცხად. შემთხვევითი შერჩევის პროცედურის განსახორციელებლად ინტერვიუერმა შემდეგი ინსტრუქცია მიიღეს:

- პირველად გამოსაკითხი შინამეურნეობა საწყისი პუნქტია. შემდეგი შინამეურნეობის შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული “ბიჯის ზომით”: სოფლის ტიპის დასახლებებში ეს იყო ყოველი მე-5 შინამეურნეობა, ხოლო ურბანულ დასახლებებში - თითო სადარბაზოში სამი შინამეურნეობა. თუ რომელიმე არჩეულ შინამეურნეობაში მუდმივი მაცხოვრებლები საერთოდ არ იყვნენ, ინტერვიუ მეზობელ შინამეურნეობას უტარდებოდა. თუ არჩეულ შინამეურნეობაში ვიღაც მუდმივად ცხოვრობდა, მაგრამ კარი არავინ გააღო, ინტერვიუერი მასთან მოგვიანებით ბრუნდებოდა.
- ინტერვიუერი ერთ მისამართზე სამჯერ ბრუნდებოდა, ანუ, თუ პირველი მცდელობისას გამოკითხვა ვერ მოხერხდა, ადგილი ჰქონდა კიდევ სამ მცდელობას.

2.2.13 განმეორებითი ვიზიტის პროცედურა

თუ ვიზიტის მომენტში სასურველი შინამეურნეობის გამოკითხვა ვერ ხერხდებოდა (მაგ.: სახლში არავინ იყო), ინტერვიუერი ამ შინამეურნეობაში კიდევ სამჯერ ბრუნდებოდა. შინამეურნეობასთან დაკავშირების მიზნით, განმეორებითი ვიზიტები დღის სხვადასხვა პერიოდებში ტარდება. თუ რესპონდენტთან კონტაქტი შედგა, მაგრამ მას ვიზიტის დრო არ აწყობდა, ინტერვიუერი ხელმეორედ მიდიოდა აღნიშნულ შინამეურნეობაში, რესპონდენტისთვის მოსახერხებელ დროს.

თუ შინამეურნეობის მთავარმა რესპონდენტმა (ინფორმირებულმა წევრმა და პირმა, რომლის დაბადების დღის თარიღიც ყველაზე ბოლოს იყო - „ბოლო დაბადების დღის მეთოდი“) გამოკითხვაზე უარი თქვა ან კონტაქტის დამყარება მესამე ვიზიტის დროსაც ვერ მოხერხდა, ინტერვიუს „წარუმატებელი“ სტატუსი ენიჭებოდა და გამოკითხვა შერჩევის ჩარჩოში ან სიაში შესულ სხვა შინამეურნეობას უტარდებოდა.

განმეორებითი ვიზიტის პროცედურა (ე.ი. ვიზიტის თარიღი, დრო, წარუმატებლობის მიზეზები) აღწერილი იყო „განმეორებითი ვიზიტის ბარათზე“.

2.2.14 ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლს საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლისა და შემოწმების ზედამხედველი ახორციელებდა შესაბამისი კონტროლის ჯგუფების მეშვეობით. ყოველ რეგიონში ხარისხის კონტროლის ცალკე ჯგუფი მუშაობდა. მონაცემების ხარისხის კონტროლი ორ ფაზისგან შედგებოდა: საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლი და ლოგიკური კონტროლი.

თითოეულ რეგიონში მომუშავე „ხარისხის კონტროლის ჯგუფი“ 1-3 წევრისგან შედგებოდა, რაც სამუშაოს მოცულობასა და გრაფიკზე იყო დამოკიდებული. თანამშრომლები მკაცრად განსაზღვრული საოპერაციო პროცედურების შესაბამისად მოქმედებდნენ. საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლის პროცესი საველე სამუშაოების პარალელურად მომდინარეობდა, შეგროვებული მონაცემების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლის პროცედურებში გამოყენებული იყო შემდეგი სახის ტექნიკა:

- **კონტროლი დასწრების გზით:** თითოეულ რეგიონში ინტერვიუების სამი პროცენტი რეგიონალური კოორდინატორების დასწრებით ჩატარდა. თბილისში ინტერვიუებს საველე სამუშაოების კოორდინატორი ესწრებოდა. ინტერვიუების მთლიანი რაოდენობიდან მინიმუმ ერთი კოორდინატორის დასწრებით ჩატარდა.
- **სატელეფონო კონტროლი:** ჩატარებული ინტერვიუების 15% ხარისხის კონტროლის ჯგუფის წევრებმა რესპონდენტების სატელეფონო გამოკითხვით შეამოწმეს;

- ვიზიტი რესპონდენტთან:** კვლევის ერთ-ერთ ეტაპზე ჩატარებული ინტერვიუების 5%-ის გადამოწმება რესპონდენტთან ხელმეორე ვიზიტის გზით მოხდა. რესპონდენტთან მეორე ვიზიტი ხარისხის კონტროლის ჯგუფის წევრებმა განახორციელეს.
- კითხვარების გადამოწმება:** მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანილი ყველა შევსებული კითხვარის შევსების სისწორე და სიზუსტე ACT-ის რევიზიის სპეციალისტებმა შეამოწმეს. ყველა პრობლემატური საკითხი საველე დეპარტამენტს უკან დაუბრუნდა, შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირებისთვის. კითხვარების დაახლოებით 37%-ში შეტანილი ინფორმაცია დამატებით გადამოწმდა სატელეფონო ზარების მეშვეობით.

ცხრილ 2.9-ში მოცემულია ინფორმაცია ხარისხის კონტროლის შესახებ ინტერვიუზე დასწრების, ვიზიტის ან სატელეფონო ზარის საშუალებით, რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 2.9: კონტროლი დასწრების, სატელეფონო ზარებისა და ვიზიტის საშუალებით, რეგიონების მიხედვით

| რეგიონები | დასწრება (3 %) | ვიზიტი (5 %) | სატელეფონო ზარი (15 %) | დამატებითი სატელეფონო კონტროლი (37 %) |
|------------------------|-------------------|-----------------|------------------------------|--|
| თბილისი | 14 | 23 | 70 | 174 |
| აჭარა | 10 | 16 | 48 | 118 |
| გურია | 10 | 17 | 51 | 128 |
| იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი | 28 | 46 | 139 | 346 |
| კახეთი | 18 | 29 | 88 | 219 |
| მცხეთა-მთიანეთი | 9 | 15 | 45 | 111 |
| ქვემო ქართლი | 17 | 29 | 87 | 216 |
| სამცხე-ჯავახეთი | 10 | 17 | 50 | 124 |
| სამეგრელო/ზემო სვანეთი | 13 | 22 | 65 | 161 |
| შიდა ქართლი | 13 | 21 | 63 | 156 |
| სულ | 141 | 235 | 705 | 1754 |

2.2.15 მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

შეგროვებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პაკეტებით SPSS 20.0 და Stata 14. კოდირება, მონაცემთა ბაზის მენეჯმენტი და მისი გაწმენდა განხორციელდა SPSS-ში, ხოლო მონაცემთა ანალიზი - Stata-ში.

ღია კითხვების კოდირება მოხდა მას შემდეგ, რაც კითხვარმა გაიარა ხარისხის კონტროლის ყველა პროცედურა: ხარისხის კონტროლი და ლოგიკური კონტროლი.

მონაცემთა საბოლოო ფაილი გაიწინდა SPSS 20.0-ის მეშვეობით, SPSS სინტაქსის ენით. გაწმენდის პროცესი გულისხმობდა კავშირების შემოწმებას ცვლადებსა და შეტანილი მონაცემების ლოგიკას შორის და ზოგადად მონაცემთა ბაზაში ისეთი შეცდომების არსებობის შემოწმებას, როგორიცაა:

- გამოტოვება;
- შეცდომით შეყვანილი მონაცემი/ოპერატორის შეცდომა;
- ცვლილება /კოდირების შეცდომა;
- რეგისტრაციის შეცდომა;
- სხვა ტიპის უზუსტობები;
- მონაცემთა გამორჩენა კითხვარიდან ან მონაცემთა ბაზიდან;
- ცვლადების ლოგიკური კონტროლი;

მონაცემთა ბაზის მენეჯერი პასუხს აგებდა მონაცემთა ბაზის სიზუსტეზე და მჭიდროდ თანამშრომლობდა სტატისტიკოსთან და კვლევის ანალიტიკოსთან.

სტატისტიკური ცხრილები და შესაბამისი შედეგები Stata-ში გაანალიზდა და მომზადდა. ყველა მიღებული შედეგი, მათ შორის Stata-ს ფაილები, ცხრილები და დიაგრამები შემოწმდა იუნისეფის საქართველოს ოფისის მიერ.

2.2.16 მონაცემთა ჩანაცვლება

კვლევის ზოგმა რესპონდენტმა თავისი შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული კომპონენტების ზუსტი თანხა ვერ დაასახელა. იმდენად, რამდენადაც ამ თანხების ცოდნა აუცილებელი იყო ოჯახის მთლიანი შემოსავლისა და სამომხმარებლო ხარჯების გამოანგარიშებისათვის, „არ ვიცი“ პასუხის შემთხვევაში საჭირო გახდა ნაკლული ინფორმაციის შევსება გარკვეულ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებით. თოთოეული შინამეურნეობის შემთხვევაში, „არ ვიცი“ პასუხების შესავსებად შინამეურნეობის წევრების სტრატიფიკაცია გაკეთდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: რეგიონი, დასახლებული პუნქტის ტიპი (ქალაქი/სოფელი) და სქესი. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც

პასუხი იყო „არ ვიცი“ ან უარი პასუხზე, ის ჩანაცვლდა შესაბამისი სტრატის შეუწონავი 5%-იანი „შეკვეცილი საშუალოთი“¹⁵.

2.3 ეთიკური საკითხები

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ კითხვარმა გაიარა საქართველოს „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ ექსპერტთა საბჭოს (IRB) დამოუკიდებელი ეთიკური შემოწმება.

ეთიკური ქცევის მთავარი პრინციპები დაცული იყო საველე სამუშაოების განხორციელებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში. ეთიკური პრინციპები რესპონდენტებისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღებასა და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას ითვალისწინებდა.

რესპონდენტისგან ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, ინტერვიუს დაწყებამდე რესპონდენტი იღებდა ზეპირსიტყვიერ ინფორმაციას კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაციის, ამოცანებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. უფრო მეტიც, რესპონდენტების მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, მათი პირადი ინფორმაცია კვლევის სხვა მასალებისგან ცალკე ინახებოდა და მასზე წვდომა მხოლოდ პროექტის თანამშრომლებს ჰქონდათ.

დასკვნა

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ მრავალეტაპიან კვლევას წარმოადგენს, რომელიც ორწლიანი ინტერვალებით ტარდება. კვლევის პირველი ეტაპი 2009 წელს განხორციელდა. მას შემდეგ, „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ კიდევ 5-ჯერ ჩატარდა, 2017 წლის ჩათვლით.

ინტერვიუების საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით, მეოთხე რაუნდიდან მოყოლებული (2015 და 2017 წლები), შემუშავებული იქნა კომბინირებული მიდგომა და 2009 წელს ფორმირებული სიის ერთულებთან ერთად დანაკარგის კომპენსირება განხორციელდა დამატებითი შერჩევით. დამატებითი შერჩევა გენერირებულია იმავე კლასტერებში, რაც ფორმირებული იყო 2009 წელს. კომბინირებული შერჩევის მეთოდოლოგიის შედეგად, 2017 წელს შერჩევის ზომამ 4,697 შინამეურნეობა მოიცვა. კვლევების პირველ და მეხუთე რაუნდებს

¹⁵ ტერმინი „შეკვეცილი საშუალო“ აღნიშნავს მონაცემთა გასაშუალოების მეთოდს, რომლის დროსაც საშუალო მნიშვნელობის გამოანგარიშებამდე არსებულ მონაცემებს აკლებენ ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი სიდიდეების მცირე პროცენტს. ამის შემდეგ, „შეკვეცილი საშუალო“ სიდიდის გამოანგარიშება ხდება საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობის დასადგენად არსებული ფორმულით. „შეკვეცილი საშუალო მნიშვნელობის“ მეშვეობით მცირდება მკვეთრად განსხვავებული სიდიდეების ზემოქმედება საშუალო სიდიდეზე.

შორის შერჩევის ზომის განლევის მაჩვენებელი 42%-ია, რაც რვაწლიანი პერიოდისთვის დასაშვებ ნორმას წარმოადგენს.

კვლევის სხვადასხვა ეტაპებზე მოხდა შემოსავლის, ხარჯისა და სიღარიბის ზღვრის მაჩვენებლების კორექტირება საქსტატის მიერ დადგენილი სამომხმარებლო ფასების ინდექსის გათვალისწინებით.

იქ სადაც ამის საჭიროება არსებობდა, თანხობრივი სტატისტიკური მონაცემები შესწორდა (ლარში - ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებული მეთოდების შესაბამისად: მოხდა შინამეურნეობების წევრთა ასაკისა და სქესის მიხედვით კლასიფიცირება, მათთვის ეკვივალენტური ზრდასრული პირის (ეზპ-ის) კოეფიციენტის მინიჭება და მონაცემთა კორექტირება თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინებით.

ცდომილება შეფასდა ქალაქის/სოფლისა და ქვეყნის დონეზე. შერჩევის ცდომილების გამოანგარიშებისთვის საჭირო სტანდარტული ცდომილების დადგენა მოხდა STATA SVY პროცედურის გამოყენებით. ის რთული დიზაინის მქონე შერჩევის ისეთ სპეციფიკაციებს ითვალისწინებს, როგორიცაა: სტრატიფიკაცია, კლასტერიზაცია და წონის კოეფიციენტები. საშუალო ცდომილება 1.2%-დან 3.8%-მდე შუალედში მერყეობს.


3. კეთილდღეობის მახასიათებლები

3.1 შინამეურნეობის შემოსავალი

3.1.1 მთლიანი შემოსავალი

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” შედეგების მიხედვით, 2017 წელს საქართველოში შინამეურნეობების საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი 608.9 ლარიდან (2015 წ.) 771.9 ლარამდე¹⁶ ანუ 26.8%-ით გაიზარდა. ხელფასით მიღებული შემოსავლის წილი შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლის 52.2%-ს შეადგენს. შემოსავლის კატეგორიებს შორის სიდიდით მეორეა სოციალური ტრანსფერები (22.4%), ხოლო მესამე - თვითდასაქმება (19.1%). შემოსავლების სხვა კომპონენტები, როგორიცაა ქირით მიღებული შემოსავალი, კერძო ფულადი გადარიცხვები, უცხოეთიდან ფულადი გზავნილები და შემოსავლის სხვა წყაროები შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლის 6.4%-ს შეადგენენ (დიაგრამა 3.1).

დიაგრამა 3.1: შინამეურნეობების საშუალო მთლიანი თვიური შემოსავლის განაწილება (%) წყაროების მიხედვით 2017




2017 წელს, ქალაქის შინამეურნეობების საშუალო ნომინალური შემოსავალი იყო 867.1 ლარი, ხოლო სოფლის - 672.7 ლარი. საშუალოდ, ქალაქის შინამეურნეობების შემოსავალი 29%-ით აღემატებოდა სოფლის შინამეურნეობების შემოსავალს. ხელფასის წილი შინამეურნეობების

¹⁶ 2017 წელს, 1 ლარს იგივე მსყიდველობითი უნარი ჰქონდა, რაც 0.951 საერთაშორისო დოლარს (IMF World Economic Outlook Database, October 2017).

მთლიან თვიურ შემოსავალში ურბანულ დასახლებებში 64.8%-ია, ხოლო სოფლად 35.2%. ამის საპირისპიროდ, „თვითდასაქმებით მიღებული შემოსავლის“ წილი სოფლებში უფრო მაღალია (მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 30%) ვიდრე ქალაქებში (10.9%). უფრო მეტიც, „სოციალური ტრანსფერებით მიღებული შემოსავალი“ სოფლის ტიპის დასახლებებში მნიშვნელოვნად მაღალია (27.1%), ვიდრე ურბანულ დასახლებებში (18.9%) (დიაგრამა 3.2).

დიაგრამა 3.2: შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება (%) სოფლისა და ქალაქის დასახლებებში, 2017



2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, შინამეურნეობების ნომინალური თვიური შემოსავლების სტრუქტურაში - ხელფასის, თვითდასაქმებისა და სოციალური ტრანსფერების წილი შესაბამისად 30.9%-ით, 53.6%-ით და 21.2%-ით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, კერძო გადარიცხვების, ქირით მიღებული შემოსავლის, უცხოეთიდან მიღებული კერძო ფულადი გზავნილებისა და სხვა სახის შემოსავლების წილები შემცირდა შესაბამისად 23.0%-ით, 22.8%-ით, 35.6%-ით და 14.9%-ით (ცხრილი 3.1).

კვლევის წინა ეტაპზე მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით, შინამეურნეობის რეალური სამუალო თვიური შემოსავალი¹⁷ 18.8%-ით გაიზარდა. ამასთან ერთად, შინამეურნეობების რეალური თვიური შემოსავლის სტრუქტურაში, ხელფასით, თვითდასაქმებითა და სოციალური ტრანსფერებით მიღებული შემოსავლების წილები შესაბამისად 22.7%-ით, 44.0%-ით და 23.6%-ით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, კერძო ფულადი გადარიცხვებით, ქირით, უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილებითა და სხვა წყაროებით მიღებული შემოსავლები შესაბამისად 27.8%-ით, 27.6%-ით, 39.6%-ით და 20.3%-ით შემცირდა (ცხრილი 3.1).

¹⁷ ინფლაციის გასათვალისწინებლად 2009 წლის ფასები შესწორებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით.


ცხრილი 3.1: 2009 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობათა საშუალო შემოსავლები, მიდინარე და 2009 წლის ფასების გათვალისწინებით

| წელი | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|--|------------------|-------|-------|-------|-------|------------------|-------|-------|-------|-------|
| | მიმდინარე ფასები | | | | | 2009 წლის ფასები | | | | |
| სულ | 321.8 | 371.8 | 562.2 | 608.9 | 771.9 | 321.8 | 316.8 | 482.2 | 479.4 | 569.7 |
| ხელფასები | 156.5 | 185.9 | 268.3 | 307.7 | 402.8 | 156.5 | 158.4 | 230.1 | 242.3 | 297.3 |
| თვითდასაქმება | 51.1 | 53.4 | 76.9 | 95.8 | 147.1 | 51.1 | 45.5 | 66.0 | 75.4 | 108.6 |
| სოციალური ტრანსფერები | 74.5 | 87.6 | 118.4 | 142.7 | 173.0 | 74.5 | 74.7 | 101.6 | 112.4 | 127.7 |
| კერძო ტრანსფერები | 8.0 | 7.8 | 13.4 | 7.8 | 6.0 | 8.0 | 6.6 | 11.5 | 6.1 | 4.4 |
| ქირით მიღებული შემოსავალი | 1.5 | 1.8 | 11.1 | 2.4 | 1.9 | 1.5 | 1.5 | 9.5 | 1.9 | 1.4 |
| უცხოეთიდან განხორციელებული ტრანსფერები | 7.9 | 11.9 | 18.6 | 17.1 | 11.0 | 7.9 | 10.2 | 16.0 | 13.5 | 8.1 |
| სხვა წყაროები | 22.2 | 23.2 | 55.5 | 35.5 | 30.2 | 22.2 | 19.7 | 47.6 | 27.9 | 22.3 |

დიაგრამა 3.3 გვიჩვენებს შემოსავლის ცვლილებას სხვადასხვა შეძლებისა და კატეგორიის შემოსავლის მქონე ჯგუფებს შორის. შემოსავლების ცვლილებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო შინამეურნეობების უდარიბესი 10%-ის (პირველი დეცილის) მიერ სოციალური ტრანსფერებით, თვითდასაქმებით და ხელფასებით მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ. მეორე დეცილში შემავალი შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა ძირითადად სოციალური ტრანსფერების ზრდას უკავშირდება.

მე-3-დან მე-8 დეცილებში შემავალი შინამეურნეობების შემოსავლების ცვლილება გამოიწვია ხელფასის, თვითდასაქმებისა და სოციალური ტრანსფერებიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ. ხელფასმა ყველაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა შინამეურნეობების უმდიდრესი 20%-ის (მე-9 და მე-10 დეცილების) შემოსავლების ცვლილებაზე. ამასთან ერთად, პირველი დეცილის შემოსავლების შემცირების გამომწვევი ძირითადი ფაქტორი იყო სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება. უცხოეთიდან მიღებული კერძო ტრანსფერები კი შემცირებულია ყველა სოციალური ფენისთვის.

დიაგრამა 3.3: 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში ნომინალურ შემოსავალში მომხდარი ცვლილების ძირითადი გამომწვევი ფაქტორები, შემოსავლების წყაროებისა და დეცილების მიხედვით (n=2,396)



შენიშვნა: პანელური შინამეურნეობებისთვის გამოყენებულია პანელური წონები

3.1.2 შემოსავალი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ-ზე) გაანგარიშებით

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა” გვიჩვენებს, რომ 2017 წელს, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებული საშუალო ნომინალური შემოსავალი 31.3%-ით გაიზარდა 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით (265.2 ლარი) და 348.1 ლარი შეადგინა. ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებული თვიური შემოსავალი ქალაქში სტატისტიკურად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. საშუალოდ, ქალაქის შინამეურნეობების ნომინალური შემოსავალი (ეზპ) 36%-ით აღემატება სოფლის შინამეურნეობების ნომინალურ შემოსავალს. ამავე დროს, მთასა და ბარში მცხოვრები შინამეურნეობების ნომინალურ ეზპ შემოსავლებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ბარში საშუალო შემოსავალი (ეზპ-ზე) 17.7%-ით უფრო მაღალია ვიდრე მთიან რეგიონებში (ცხრილი 3.2).


ცხრილი 3.2: შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი (ეზპ) დასახლების ტიპებისა და რელიეფის მიხედვით, 2017 წელს

| მდებარეობა | n | საშუალო თვიური შემოსავალი (ეზპ) | t | Sig. |
|------------|------|---------------------------------|------|------|
| ქალაქი | 1546 | 399,9 | 7.49 | *** |
| ქალაქი | 3151 | 294,1 | | |
| სულ | 4697 | 348,1 | | |
| ბარი | 4152 | 353,0 | 3.33 | *** |
| მთა | 545 | 299,9 | | |
| სულ | 4697 | 348,1 | | |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * $p < 0.05$; ** $p < 0.01$; *** $p < 0.001$

როგორც დიაგრამა 3.4 გვიჩვენებს, ინფლაციის გათვალისწინებით შესწორების შემდეგ, შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი (ეზპ) გაიზარდა 208.8 ლარიდან (2015 წ.) 256.9 ლარამდე (2017 წ.), ე.ი ზრდამ 23.1% შეადგინა. ქალაქში, შინამეურნეობის საშუალო რეალური შემოსავალი (ეზპ) 14.0%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლად - 38.3%-ით.

დიაგრამა 3.4: შინამეურნეობების შემოსავალი (ეზპ) 2009 და 2017 წლებში (2009 წლის ფასებით)




3.2 მოხმარების დონე შინამეურნეობებში

3.2.1 მთლიანი მოხმარება¹⁸

შეფასების მიხედვით, 2017 წელს, შინამეურნეობის ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხარჯებმა 788.6 ლარი შეადგინა. 2017 წელს, შინამეურნეობების ბიუჯეტებში, სამომხმარებლო ხარჯების ძირითად კატეგორიებს შორის ყველაზე მაღალი წილი (36.7%) საკვებ პროდუქტებს ეკავათ. შინამეურნეობების მიერ ხანგრძლივი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯების წილი იყო 33.8%, ხოლო ჯანდაცვაზე და არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯების წილი იყო 8.7% და 14.8% შეადგინა. ამასთან ერთად, შემოსავლების მცირე წილი დაიხარჯა განათლებაზე (2.8%) და გარეთ კვებაზე (3.1%) (დიაგრამა 3.5).

დიაგრამა 3.5: შინამეურნეობების მთლიანი საშუალო თვიური მოხმარების განაწილება (%) კატეგორიების მიხედვით




ნომინალური გამოსახულებით, 2017 წელს ქალაქის მოსახლეობის ხარჯები საშუალოდ 827.3 ლარს უდრიდა, რაც სოფლის მოსახლეობის მიერ იმავე პერიოდში გაწეულ ხარჯებს (748.2 ლარს) 10.6%-ით აღემატებოდა. სახლში კვებისთვის შეძენილ სასურსათო პროდუქტებზე გაწეული ხარჯები ქალაქის შინამეურნეობის მთლიანი თვიური მოხმარების 32.9%-ს და სოფლის შინამეურნეობის მთლიანი ხარჯების 41.2%-ს შეადგენდა. ამის საპირისპიროდ, „გარეთ კვების“ ხარჯები ქალაქში უფრო მაღალი იყო (მთლიანი ხარჯების 3.7%) ვიდრე სოფელში (2.4%). ამასთან ერთად, „გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები“ და „განათლებაზე“ გაწეული ხარჯები ურბანულ დასახლებებში

¹⁸ ტერმინი „მოხმარება“ გულისხმობს როგორც შინამეურნეობის მიერ პირდაპირ მოხსენიებულ და ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებულ ხარჯებს, ასევე ზემოხსენებული მოხმარების საფუძველზე გამოანგარიშებულ სხვა ხარჯებსაც.

გაცილებით უფრო მაღალია (36.3% და 3.7%) ვიდრე სოფლად (30.9% და 1.8%). ქალაქში შინამეურნეობების სამედიცინო ხარჯები შეადგენდა მათი მთლიანი თვიური ხარჯების 8.5%-ს, ხოლო სოფლად - 8.9%-ს (დიაგრამა 3.6).

დიაგრამა 3.6: შინამეურნეობების საშუალო მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების განაწილება (%) კატეგორიების მიხედვით, სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, 2017 წ.



კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში შინამეურნეობების ნომინალური საშუალო თვიური ხარჯები 4.1%-ით შემცირდა, 821.8 ლარიდან (2015 წ.) 788.6 ლარამდე (2017 წ.). უკანასკნელი 2 წლის მანძილზე, შინამეურნეობების ნომინალური საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურაში საკვებ პროდუქტებზე, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებსა და განათლებაზე გაწეული ხარჯების წილები შესაბამისად 12.0%-ით, 14.8%-ით და 15.0%-ით შემცირდა. ხოლო, სამედიცინო ხარჯების, გარეთ კვებისა და არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული მიმდინარე ხარჯების წილები შესაბამისად 13.4%-ით, 15.3%-ით და 62.0%-ით გაიზარდა (ცხრილი 3.3).

ინფლაციის გათვალისწინებით, შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 10.1%-ით შემცირდა. რეალური გამოსახულებით, შინამეურნეობების ხარჯების მთლიან სტრუქტურაში¹⁹ საკვებ პროდუქტებზე, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებსა და განათლებაზე გაწეული ხარჯების წილები შესაბამისად 17.5%-ით, 20.1%-ით და 20.3%-ით შემცირდა. ამავე დროს, სამედიცინო ხარჯები, გარეთ კვების ხარჯები და არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული მიმდინარე ხარჯები შესაბამისად 6.3%, 8.0% და 51.8%-ით გაიზარდა. (ცხრილი 3.3).

¹⁹ კორექტირება 2009 წლის ფასების საფუძველზე.


ცხრილი 3.3: შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება (ლარი) კატეგორიების მიხედვით, 2009 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, მიმდინარე და 2009 წლის ფასები.

| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 | | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|--|------------------|-------|-------|-------|-------|-------|------------------|-------|-------|-------|------|
| | მიმდინარე ფასები | | | | | | 2009 წლის ფასები | | | | |
| ყოველთვიური მთლიანი მოხმარება | 441.5 | 542.4 | 671.5 | 821.8 | 788.6 | 441.5 | 462.2 | 576.0 | 647.1 | 582.0 | |
| შინამეურნეობაში კვება | 176.4 | 263.4 | 290.9 | 329.2 | 289.8 | 176.4 | 224.4 | 249.5 | 259.2 | 213.9 | |
| არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული გრძელვადიანი ხარჯები | 152.4 | 186.8 | 235.0 | 312.4 | 266.3 | 152.4 | 159.2 | 201.6 | 246.0 | 196.5 | |
| განათლება | 17.5 | 20.9 | 25.5 | 26.0 | 22.1 | 17.5 | 17.8 | 21.9 | 20.5 | 16.3 | |
| ჯანდაცვა | 45.6 | 50.4 | 42.6 | 60.6 | 68.7 | 45.6 | 42.9 | 36.5 | 47.7 | 50.7 | |
| გარეთ კვება | 11.4 | 10.9 | 14.2 | 21.4 | 24.7 | 11.4 | 9.3 | 12.2 | 16.9 | 18.2 | |
| არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული მიმდინარე ხარჯები | 38.1 | 10.1 | 63.4 | 72.2 | 117.0 | 38.1 | 8.6 | 54.4 | 56.9 | 86.3 | |

დიაგრამა 3.7 გვიჩვენებს შინამეურნეობების ნომინალური სამომხმარებლო ხარჯების შემადგენლობის ცვლილებას სხვადასხვა შეძლების მქონე ჯგუფებში და ხარჯების სხვადასხვა კატეგორიებში. 2013 წლიდან მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა ფინანსურ პროდუქტებს, როგორებიცაა საბანკო სესხები და განვადება, გამოყოფს შინამეურნეობის არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული გრძელვადიანი ხარჯებიდან. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში პანელური შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების შემცირება ძირითადად საკვებზე, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე, ფინანსურ მომსახურებასა და განათლებაზე ხარჯების შემცირებამ გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ საკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები მთლიან განაწილებაში შემცირდა, თუმცა ცვლილება ყველაზე დიდი იყო შინამეურნეობების უღარიბეს 20%-ში (პირველ და მეორე დეცილებში). გარეთ კვების ხარჯები გაიზარდა განაწილების ქვედა 90%-ში, ხოლო არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები გაიზარდა მთლიან განაწილებაში. საინტერესოა, რომ განაწილების ქვედა 90%-ში სამედიცინო ხარჯები გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო შინამეურნეობების უღარიბეს 10%-ში, მიუხედავად 2013 წელს დაწყებული „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა“.

დიაგრამა 3.7: ნომინალური მოხმარების ცვლილების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები, წყაროებისა და დეცილების მიხედვით, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში (n=2,396)



3.2.2 შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯები ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) გაანგარიშებით (ეზპ)

როდესაც შინამეურნეობის მოხმარება ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებითაა წარმოდგენილი, 2017 წლის საშუალო მაჩვენებელი 356.7 ლარი, მედიანური მაჩვენებელი კი – 295.1 ლარია. ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ეზპ) გაანგარიშებული თვიური ხარჯები ქალაქში სტატისტიკურად უფრო მაღალია ვიდრე სოფლად. საშუალოდ ქალაქის შინამეურნეობების ნომინალური სამომხმარებლო ხარჯები

(ეზპ) 12%-ით აღემატებოდა სოფლის შინამეურნეობების მაჩვენებელს. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო მაღალმთიან რაიონებსა და ბარს შორისაც. ბარში მცხოვრები შინამეურნეობების საშუალო ნომინალური სამომხმარებლო ხარჯები 13.6%-ით უფრო მაღალი იყო მაღალმთიან რაიონებთან შედარებთ (ცხრილი 3.4).


3.8 დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ ინფლაციის გათვალისწინებით, 2017 წელს შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები (ეზპ) 6.3%-ით შემცირდა, 281 ლარიდან (2015 წ.) 263 ლარამდე (2017 წ.). ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შინამეურნეობების რეალურმა საშუალო თვიურმა მოხმარებამ ქალაქში 278 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლებში - 248 ლარი. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შინამეურნეობების რეალური სამომხმარებლო ხარჯები სოფლად 0.4%-ით შემცირდა, ხოლო ქალაქში - 10.9%-ით.

ცხრილი 3.4: 2017 წელს შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება (ეზპ, ლარი) დასახლების ტიპისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით.

| მდებარეობა | n | საშუალო თვიური მოხმარება (ეზპ) | t | Sig. |
|------------|------|--------------------------------|------|------|
| ქალაქი | 1546 | 376.4 | 3.78 | *** |
| სოფელში | 3151 | 336.3 | | |
| სულ | 4697 | 356.7 | | |
| ბარში | 4152 | 360.7 | 2.64 | ** |
| მთაში | 545 | 317.6 | | |
| სულ | 4697 | 356.7 | | |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; *p<0.05; **p<0.01; ***p< 0.001

დიაგრამა 3.8: შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები (ეზპ) 2009 - 2017 წლებში (2009 წლის ფასებით)



3.3 შემოსავლისა და მოხმარების უთანასწორობა


შემოსავლების ან მოხმარების მხრივ უთანასწორობის გასაზომად ყველაზე ხშირად ჯინის კოეფიციენტს იყენებენ. ეს კოეფიციენტი ლორენცის მრუდს ემყარება, რომელიც მოსახლეობის მთლიანი შემოსავლის ან მოხმარების კუმულაციურ პროპორციებს ყ ღერძზე ასახავს, ხოლო მოსახლეობის წილებს (უდარიბესიდან უმდიდრესამდე - შემოსავლების ან მოხმარების მიხედვით) - x ღერძზე. ჯინის კოეფიციენტი იღებს 0 დან 1-ამდე მნიშვნელობებს, სადაც 0 იდეალურ თანასწორობას აღნიშნავს, ხოლო 1 - აბსოლუტურ უთანასწორობას.

საქართველოში, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შემოსავლების უთანასწორობა მცირდით შემცირდა: 0.43-დან 0.42-მდე. ქალაქებში ეს მაჩვენებელი 0.42-დან 0.41-მდე შემცირდა, ხოლო სოფლებში 0.39-დან 0.42-მდე გაიზარდა (დიაგრამა 3.9).


ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შინამეურნეობებს შორის მოხმარების მხრივ უთანასწორობა უფრო დაბალია (ჯინის კოეფიციენტი = 0.36), ვიდრე შემოსავლის მხრივ (ჯინის კოეფიციენტი = 0.42). მთლიანობაში, საქართველოში მოხმარების უთანასწორობა 2015 წლის შემდეგ არ შეცვლილა (2015 წელს ჯინის კოეფიციენტი = 0.36, ხოლო 2017 წელს ჯინის კოეფიციენტი = 0.36). ამის მიუხედავად, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში,

ქალაქებში მოხმარების უთანასწორობა 0,37-დან 0,35-მდე შემცირდა, ხოლო სოფლებში 0,35-დან 0,36-მდე გაიზარდა (დიაგრამა 3.10). დიაგრამაზე 3.11 ნაჩვენები ლორენცის მრუდი აგებულია შინამეურნეობების ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებული თვიური შემოსავლებისა და მოხმარების მაჩვენებლების საფუძველზე, რომელიც 2017 წლის “მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” შედეგად გამოვლინდა.


დიაგრამა 3.9: ჯინის კოეფიციენტი შინამეურნეობების თვიური შემოსავლის საფუძველზე (ეზპ), 2009 - 2017 წწ.



დიაგრამა 3.10: ჯინის კოეფიციენტი შინამეურნეობების თვიური მოხმარების საფუძველზე (ეზპ), 2009 - 2017 წწ.



დიაგრამა 3.11: შინამეურნეობების თვიური შემოსავლისა და მოხმარების (ეზპ) უთანასწორობა ლორენცის მრუდზე, 2017 წწ.



დასკვნა

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგების მიხედვით, ბოლო ორი წლის მანძილზე შინამეურნეობების რეალური შემოსავლები გაიზარდა. საქართველოში შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში 608.9 ლარიდან 771.9 ლარამდე გაიზარდა. ინფლაციის გათვალისწინებით შესწორების შეტანის შემდეგ ირკვევა, რომ წინა პერიოდთან შედარებით, შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 18.8%-ით გაიზარდა. რეალური გამოსახულებით, შინამეურნეობების თვიური შემოსავლების სტრუქტურაში ხელფასის, თვითდასაქმებისა და სოციალური ტრანსფერების წილები შესაბამისად 22.7%-ით, 44.0%-ით და 23.6%-ით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, კერძო ფულადი გადარიცხვებით, ქირით, უცხოეთიდან განხორციელებული კერძო ტრანსფერებითა და სხვა წყაროებით მიღებული შემოსავლები შესაბამისად 27.8%-ით, 27.6%-ით, 39.6%-ით და 20.3%-ით შემცირდა. ნომინალური გამოსახულებით, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებული შემოსავალი 31.3%-ით გაიზარდა 265.2 ლარიდან (2015 წ.) 348.1 ლარამდე (2017 წ.). ინფლაციის გათვალისწინებით, ზრდამ 23.1% შეადგინა.

საშუალოდ, ურბანულ დასახლებებში მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავალი 29%-ით აღემატება სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების შემოსავალს. 2017 წელს, ნომინალური გამოსახულებით, ქალაქის შინამეურნეობების შემოსავალი 867.1 ლარს შეადგენდა, ხოლო სოფლის შინამეურნეობების - 672.7 ლარს. შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურა ქალაქებსა და სოფლებში განსხვავდებოდა. ქალაქებში შინამეურნეობის მთლიან თვიურ შემოსავალში ხელფასის წილი 64.8%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლად - 35.2%-ს. ამის საპირისპიროდ, თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი სოფლებში უფრო მაღალი იყო (მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 30%) ქალაქთან შედარებით (10.9%). ამასთან ერთად, „სოციალური ტრანსფერებით მიღებული შემოსავალი“ სოფლის ტიპის დასახლებებში მნიშვნელოვნად მაღალია (27.1%), ვიდრე ურბანულ დასახლებებში (18.9%). ქალაქში, შინამეურნეობის საშუალო რეალური შემოსავალი (ეზპ) 14.0%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლად - 38.3%-ით.

შედარებით შეძლებული შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა ძირითადად ხელფასებითა და თვითდასაქმებით მიღებული შემოსავლების ზრდამ გამოიწვია, მაშინ, როდესაც ხელმოკლე შინამეურნეობების შემოსავლების ზრდაში წამყვანი როლი სოციალურმა ტრანსფერებმა, ხელფასებმა და თვითდასაქმებამ ითამაშეს. 2015-დან 2017 წლამდე პანელური შინამეურნეობების შემოსავლებში მომხდარი ცვლილებების ანალიზმა დაგვანახა, რომ შედარებით შეძლებული შინამეურნეობების შემოსავლების ზრდას ყველაზე მეტად ხელფასებისა და თვითდასაქმების ზრდამ შეუწყო ხელი. განაწილების ქვედა ჯგუფში გადამწყვეტი როლი სოციალური ტრანსფერების, ხელფასებისა და თვითდასაქმების ზრდამ შეასრულა. სხვა წყაროებით მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად შემცირდა პირველ

დეცილში, ხოლო უცხოეთიდან მიღებული კერძო ფულადი გზავნილები მთელ განაწილებაში შემცირდა.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობების ხარჯები რეალურად შემცირდა. საქართველოში, გასული ორი წლის მანძილზე, ნომინალური გამოსახულებით, შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯები (788.6 ლარი) 4.1%-ით შემცირდა 821.8 ლარიდან (2015 წ.) 788.6 ლარამდე (2017 წ.). ინფლაციის გათვალისწინებით, გასული ორი წლის მანძილზე შინამეურნეობების საშუალო თვიური მოხმარება 10.1%-ით შემცირდა. რეალური გამოსახულებით, შინამეურნეობების თვიური ხარჯების სტრუქტურაში საკვების, გრძელვადიანი არასაკვები პროდუქტებისა და განათლების წილები შემცირდა შესაბამისად 17.5%-ით, 20.1%-ით და 20.3%-ით. ამავე დროს, ჯანდაცვაზე, გარეთ კვებასა და მიმდინარე არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯები გაიზარდა შესაბამისად 6.3%-ით, 8.0%-ით და 51.8%-ით. საინტერესოა, რომ განაწილების ქვედა 90%-ში სამედიცინო ხარჯები გაიზარდა მიუხედავად 2013 წელს დაწყებული „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა“. ამასთან ერთად, შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები (ეზპ) 6.3%-ით შემცირდა, 281 ლარიდან (2015 წ.) 263 ლარამდე (2017 წ.).

საშუალოდ, ქალაქის შინამეურნეობები უფრო მეტს ხარჯავენ გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე, სახლის გარეთ კვებასა და განათლებაზე, ხოლო სოფლის შინამეურნეობები - სახლში კვებასა და ჯანდაცვაზე. ნომინალური გამოსახულებით, 2017 წელს ქალაქის მცხოვრებლები საშუალოდ 827.3 ლარს ხარჯავდნენ, რაც 10.6%-ით აღემატება იგივე პერიოდში სოფლის მცხოვრებლების მიერ გაწეულ ხარჯებს (748.2 ლარს). მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ ურბანულ დასახლებებში, შინამეურნეობის მიერ სახლში კვებაზე გაწეული ხარჯები მთლიანი თვიური ხარჯების 32.9%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლად - 41.2%-ს. ამის საპირისპიროდ, „გარეთ კვების ხარჯები“ ქალაქებში უფრო მაღალი იყო (მთლიანი ხარჯების 3.7%), ვიდრე სოფლებში (2.4%). ამასთან ერთად, „გრძელვადიანი მოხმარების „არასაკვებ პროდუქტებსა“ და „განათლებაზე“ გაწეული ხარჯები ურბანულ დასახლებებში გაცილებით აღემატებოდა (36.3% და 3.7%) სოფლებში იგივე კატეგორიებზე გაწეულ ხარჯებს (30.9% და 1.8%). ქალაქებში, სამედიცინო ხარჯებმა მთლიანი თვიური ხარჯების 8.5% შეადგინა, ხოლო სოფლებში - 8.9%. საშუალოდ, ქალაქის შინამეურნეობების ნომინალური მოხმარება ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, 12%-ით უფრო მაღალია სოფლის შინამეურნეობებთან შედარებით. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, რეალური სამომხმარებლო ხარჯები, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შემცირდა სოფლის შინამეურნეობებში 0.4%-ით და ქალაქის შინამეურნეობებში - 10.9%-ით.

გასული ორი წლის მანძილზე, პანელური შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების შემცირება ძირითადად საკვებზე, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე, ფინანსურ მომსახურებასა და განათლებაზე გაწეული ხარჯების შემცირებამ გამოიწვია.

საკვებზე, გრძელვადიანი მოხმარების არასაკვებ პროდუქტებზე, ფინანსურ მომსახურებასა და განათლებაზე გაწეული ხარჯები ყველა სოციალური ფენისთვის შემცირდა. გარეთ კვების ხარჯები გაიზარდა განაწილების ქვედა 90%-ში, ხოლო არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული მიმდინარე ხარჯები გაიზარდა მთლიან განაწილებაში. სამედიცინო ხარჯები გაიზარდა განაწილების ქვედა 90%-ში. ეს ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო შინამეურნეობების უდარიბეს 10%-ში.

საქართველოში შემოსავლების უთანასწორობა მცირედით შემცირდა, ხოლო მოხმარების უთანასწორობა კი, იმავე დონეზე დარჩა. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ერთ ევივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, შემოსავლების მხრივ არსებული უთანასწორობა 0.43-დან (2015 წ.) 0.42-მდე (2017 წ.) შემცირდა, ხოლო მოხმარების მხრივ უთანასწორობა უცვლელი დარჩა (2015 წელს ჯინის კოეფიციენტი = 0.36, ხოლო 2017 წელს ჯინის კოეფიციენტი = 0.36). შემოსავლების მსგავსად, მოხმარების მხრივ უთანასწორობა სოფლებში უფრო დიდია (ჯინის კოეფიციენტი = 0.36) ვიდრე ქალაქებში (ჯინის კოეფიციენტი = 0.35).

4. კეთილდღეობის განზომილებები

ამ თავში სიღრმისულად არის განხილული საქართველოს დარიბი მოსახლეობის ფულადი და არაფულადი მდგომარეობა. კერძოდ, მასში გაანალიზებულია სამომხმარებლო სიღარიბე და ისეთი ძირითადი კომუნალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა, როგორიცაა წყალმომარაგება, კანალიზაცია თუ გათბობა, აგრეთვე კეთილდღეობის ისეთი სოციალური ასპექტები, როგორიცაა განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, ფინანსური სერვისები და სოციალური დახმარება.

4.1 სამომხმარებლო სიღარიბე

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” წინა ანგარიშების მსგავსად ეს ანგარიშიც საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესაფასებლად მოხმარების მაჩვენებლებს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ სიღარიბის შესაფასებლად შეიძლება ფულადი განზომილებები გამოვიყენოთ და კეთილდღეობის ინდიკატორად შემოსავალი ან მოხმარება ავირჩიოთ. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, შინამეურნეობათა ეკონომიკური სტატუსის შესაფასებლად მოხმარება უფრო სანდო ინდიკატორად ითვლება, ვიდრე შემოსავალი, შემდეგი მიზეზების გამო:

- შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად მოხმარება უფრო საიმედო ინდიკატორია, ვიდრე შემოსავალი. მოხმარება უკეთესად აფასებს შინამეურნეობის გრძელვადიან ან „მუდმივ“ შემოსავალს, რადგან ის, ჩვეულებრივ, შემოსავალზე ნაკლებად მერყეობს. ისეთი კრიზისული ვითარებები, როგორებიცაა სამსახურის დაკარგვა, ან შრომის ნაყოფიერებისთვის საზიანო ავადმყოფობა, შეიძლება შემოსავლის შემცირების მიზეზად იქცეს. თუმცა ამ პერიოდში, მოხმარების პრობლემების მოსაგვარებლად, შინამეურნეობამ შეიძლება დანაზოგები დახარჯოს ან სესხი აიღოს.²⁰
- შინამეურნეობის მიერ პროდუქტების/მომსახურების მოხმარების მაჩვენებელი უფრო სანდოა, ვიდრე შემოსავალი, რადგანაც შინამეურნეობების უმეტესობა ძალიან ხშირად რეალურზე ნაკლებ შემოსავალს ასახელებს. შემოსავლებისთვის თვალყურის უშეცდომოდ მიდევნება ძალიან რთულია, როცა მრავალი ადამიანია ჩართული მცირე მეურნეობებში და/ან როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არაფორმალურ სექტორშია დასაქმებული. ამ მიზეზების გამო, საქართველოში სიღარიბის უფრო ზუსტ საზომად შემოსავალი კი არა, მოხმარება ითვლება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც სწორედ მოხმარების მაჩვენებლებს იყენებს სიღარიბისა და უთანასწორობის დონის შესაფასებლად.

²⁰ Friedman (1957) A theory of the consumption function.

თუმცა სიღარიბის საზომად მოხმარების მონაცემთა გამოყენება გარკვეულ სირთულეებსაც შეიცავს. კერძოდ, ამ მიდგომას ეკონომიკური შოკების ზუსტად დაფიქსირება არ შეუძლია. სწორედ იმის გამო, რომ მოხმარება ნაკლებად მერყეობს, ვიდრე შემოსავალი, ამ ინდიკატორმა შეიძლება გვიან დააფიქსიროს შინამეურნეობის მდგომარეობის გაუარესება და მნელად მისაწვდომი გახადოს მისთვის გაღარიბების საწინააღმდეგო მექანიზმები. გარდა ამისა, არც შემოსავლისა და არც მოხმარების მაჩვენებელს არ შეუძლია კეთილდღეობის ისეთი პარამეტრების გამოვლენა, როგორებიცაა სოციალური სერვისების (მაგალითად, ჯანდაცვის და განათლების) ხელმისაწვდომობა. ამის გამო, წარმოდგენილ ანალიზში რამდენიმე არაფულადი ინდიკატორიც არის გამოყენებული.

აյ გამოყენებული მოხმარების ცვლადი მოიცავს როგორც შინ და გარეთ კვების, ასევე არასაკვები პროდუქტების მოხმარების სიდიდეებსაც. ეს გულისხმობს ყველა სახის მოხმარებას - საკუთარი წარმოების პროდუქციისა თუ ნატურით მიწოდებული საქონლისა და სერვისების (მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სერვისების) მოხმარების ჩათვლით.

ღარიბ შინამეურნეობებში (სადაც მოხმარების მაჩვენებელი სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთაა) მცხოვრები მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს „მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი“ ეწოდება, ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტულ მაჩვენებელს კი - „შინამეურნეობათა სიღარიბის მაჩვენებელი“. ბავშვთა²¹ სიღარიბის მაჩვენებელი არის იმ ბავშვთა პროცენტული წილი, რომლებიც ღარიბ შინამეურნეობებში ცხოვრობენ. პენსიონერთა სიღარიბის მაჩვენებელი კი, არის სიღარიბის ზღვარზე დაბალი მოხმარების მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები საპენსიო ასაკის ადამიანთა წილი საპენსიო ასაკის მთელ მოსახლეობაში. გარკვეულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების ან ცალკეული ადამიანების სიღარიბის სიღრმე არის აღნიშნული ზღვრული სიდიდის ის პროცენტი, რომლითაც საშუალოდ უნდა გაიზარდოს მოხმარება, რომ ღარიბი ოჯახი ამ ზღვრულ დონეზე უფრო მაღალ სეგმენტში გადავიდეს.

4.1.1 სიღარიბის ზღვრული დონეები

წარმოდგენილ ანგარიშში, სამომხმარებლო სიღარიბის შეფასებისას სიღარიბის სამი ძირითადი ზღვარია გამოყენებული. ესენია: ორი აბსოლუტური (უკიდურესი და ზოგადი) ზღვარი და ერთი ფარდობითი ზღვარი. სიღარიბის აბსოლუტური ზღვრები საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, აშშ დოლარებში განისაზღვრება და „ზოგადი სიღარიბის

²¹ ბავშვთა უფლებების კონვენცია ბავშვებად მიიჩნევს 18 წლამდე ასაკის პირებს (გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, მუხლი 1.). მიუხედავად ამისა, ამ ანგარიშში, ზრდასრულთა კატეგორიაში შევიყვანეთ პირები 16 წლიდან ზემოთ, „საქსტატის“ პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც თითოეულ შინამეურნეობაში ეკვივალენტური ზრდასრული პირების რაოდენობის დასაწარიშებლად ამ ათვლის წერტილს იყენებს. იგივე ზღვარია გამოყენებული მსოფლიო ბანკის ანგარიშში „საქართველოში სიღარიბის დონის შესახებ“ (2008) და 2009, 2011, 2013 და 2015 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევებში.

ზღვარი“ დღეში - 2.50 აშშ დოლარს, „უკიდურესი სიღარიბის ზღვარი“ კი - დღეში 1.25 აშშ დოლარს შეადგენს. გამოყენებულ მეთოდოლოგიას გადაჰყავს დოლარი ლარში 2009 წლის კურსით, და შემდგომ მას აკორექტირებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) გამოყენებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით, „ფარდობითი სიღარიბის“ ზღვარი დადგენილია ქვეყნის მედიანური მოხმარების 60%-ზე. მოხმარების შესაბამისი ზღვრის მიხედვით სიღარიბის დონის გაზომვა ამ მაჩვენებლების პანელურ მონაცემებთან ხანგრძლივ პერიოდში შედარების საშუალებას იძლევა. ამ მიზნით, ჩვენ 2017 წელსაც ვიყენებთ იმავე ფარდობით და აბსოლუტურ ზღვრულ განსაზღვრებებს, რომლებსაც 2009, 2011, 2013 და 2015 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევებში ვიყენებდით. მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევის თანახმად, ხსენებულ წელს შინამეურნეობათა მედიანური მოხმარება (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) 295.1 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ფარდობითი სიღარიბის ზღვარი მედიანური მოხმარების 60% (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით) თვეში 177.1 ლარია.

იმისათვის, რომ უკიდურესი (დღეში 1.25 აშშ დოლარი) და ზოგადი (დღეში 2.5 აშშ დოლარი) სიღარიბის ზღვრები მოსახლეობის კეთილდღეობის წინა წლების კვლევებში მიღებულ მონაცემებთან შეგვედარებინა, 2017 წლის ანგარიშში ლარი/თვეში მაჩვენებლით გამოსახული სიღარიბის ზღვარი სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე განახლდა, 2017 წლის ფასების ასახვის მიზნით, რის შედეგადაც უკიდურესი სიღარიბის ზღვარი თვეში 82.8 ლარით, ხოლო ზოგადი სიღარიბისა კი 165.5 ლარით (ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) განისაზღვრა. ურთიერთშედარების მიზნით, აგრეთვე განიხილება სიღარიბის ორი დამატებითი ზღვარი. ესენია: გამოკითხვის თვესა და წელს არსებული საარსებო მინიმუმი და 1.90 აშშ დოლარით განსაზღვრული ახალი აბსოლუტური დღიური ზღვარი (რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ უკიდურესი სიღარიბის ახალ ზღვრად განიხილება). უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს ბავშვთა ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ სამომხმარებლო სიღარიბის დონის გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდოლოგიები განსხვავდება: პირველ რიგში, მსოფლიო ბანკი იყენებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტით (PPP) განსაზღვრულ გაცვლით კურსს სიღარიბის ზღვრის დონის დასადგენად ლარში და მეორე, მსოფლიო ბანკი სიღარიბის მაჩვენებლებს ერთ სულ მოსახლეზე ითვლის, ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდი კი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე.

4.1.2 სიღარიბის ტენდენციები სხვადასხვა ჯგუფებში

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ბოლო ეტაპზე მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა. ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს („უკიდურესი სიღარიბის ზღვრად“ მიჩნეულია 1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ

ზრდასრულ პირზე თვეში 82.8 ლარს შეესაბამება). 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა, შესაბამისად, 2.6, 2.9, 4.3, და 2.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (ცხრილი 4.1).

2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების წილმა 1.8 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 20.7%-დან 22.5%-მდე გაიზარდა („ფარდობითი სიღარიბის“ ზღვარი დადგენილია მედიანური მოხმარების 60%-ზე, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 177.1 ლარს შეესაბამება). ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი 26.8%-დან 31.6%-მდე გაიზარდა. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისა და პენსიონერების წილები შესაბამისად 23.1%-დან 24.8%-მდე და 19.3%-დან 20.4%-მდე გაიზარდა (ცხრილი 4.1).

ზოგადი სიღარიბის უფრო რეალისტური ზღვრის ქვემოთ იმყოფება შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7%, ბავშვების 27.6% და პენსიონერების 17.6%. (ზოგადი სიღარიბის ზღვარად მიჩნეულია დღეში 2.5 აშშ დოლარი, რაც ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 165.5 ლარს შეესაბამება). 2017 წელს, 2015 წელთან შედარებით, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების წილი შესაბამისად 3.2, 3.3, 5.9 და 2.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში ზოგადი სიღარიბის ზრდა სამწუხარო ფაქტია, ეს მაჩვენებლები მაინც უკეთესია 2013 წელთან შედარებით, როდესაც, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შინამეურნეობების 21.8%, მოსახლეობის 24.6%, ბავშვების 28.4% და პენსიონერთა 20.6% ცხოვრობდა (ცხრილი 4.1).

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (საარსებო მინიმუმად დადგენილია თვეში 148.3 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე); კვლევის შედეგების მიხედვით, ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ არის. შეფასების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით, შინამეურნეობების 15.8%, მოსახლეობის 17.5%, ბავშვების 22.1% და პენსიონერების 13.9% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვების და პენსიონერების რიცხვი შესაბამისად 3.9, 4.2, 6.5 და 3.5 პროცენტული ერთეულით გაიზარდა (ცხრილი 4.1). ამასთან ერთად, 2011-დან 2017 წლამდე პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსის 15.4%-იანი ზრდის მიუხედავად, საარსებო მინიმუმის თვიური ოდენობა, იგივე პერიოდში, მხოლოდ 8.0%-ით გაიზარდა.

ცხრილი 4.1: სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებლების ურთიერთშედარება

| სიღარიბის ზღვარი | საზომი ერთეული | | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 |
|--------------------------|---------------------|--------------|------|--------------|------|--------------|------|--------------|------|--------------|------|
| | | ლარი | WMS |
| უკიდურესი | შინამეურნეობები (%) | 61.1 | 8.9 | 71.7 | 8.3 | 71.2 | 3.1 | 77.6 | 1.7 | 82.8 | 4.3 |
| | მოსახლეობა (%) | | 9.9 | | 9.1 | | 3.9 | | 2.1 | | 5.0 |
| | ბავშვები (%) | | 11.5 | | 9.4 | | 6.0 | | 2.5 | | 6.8 |
| | პენსიონერები (%) | | 7.3 | | 8.1 | | 1.9 | | 1.7 | | 3.7 |
| ფარდობითი | შინამეურნეობები (%) | 89.7 | 23.7 | 109.2 | 21.8 | 137.2 | 20.1 | 171.8 | 20.7 | 177.1 | 22.5 |
| | მოსახლეობა (%) | | 25.7 | | 23.5 | | 22.9 | | 23.1 | | 24.8 |
| | ბავშვები (%) | | 28.4 | | 25.2 | | 27.1 | | 26.8 | | 31.6 |
| | პენსიონერები (%) | | 22.2 | | 21.3 | | 18.7 | | 19.3 | | 20.4 |
| ზოგადი | შინამეურნეობები (%) | 122.2 | 41.5 | 143.4 | 35.4 | 142.4 | 21.8 | 155.1 | 16.4 | 165.5 | 19.6 |
| | მოსახლეობა (%) | | 44.8 | | 37.9 | | 24.6 | | 18.4 | | 21.7 |
| | ბავშვები (%) | | 49 | | 40.8 | | 28.4 | | 21.7 | | 27.6 |
| | პენსიონერები (%) | | 41.7 | | 36.6 | | 20.6 | | 15.0 | | 17.6 |
| საარსებო მინიმუმი | შინამეურნეობები (%) | 109.0 | 34.4 | 137.3 | 32.9 | 129.4 | 18.0 | 139.8 | 11.9 | 148.3 | 15.8 |
| | მოსახლეობა (%) | | 37.1 | | 35.6 | | 20.6 | | 13.3 | | 17.5 |
| | ბავშვები (%) | | 40.7 | | 38.6 | | 24.8 | | 15.6 | | 22.1 |
| | პენსიონერები (%) | | 34 | | 33.7 | | 16.4 | | 10.5 | | 13.9 |
| 1.90 აშშ დოლარი/დღეში | შინამეურნეობები (%) | 92.9 | 25.2 | 108.8 | 21.7 | 108.2 | 11.4 | 117.9 | 7.2 | 125.8 | 11.0 |
| | მოსახლეობა (%) | | 27.4 | | 23.4 | | 13.4 | | 8.1 | | 12.4 |
| | ბავშვები (%) | | 30.4 | | 25.1 | | 16.3 | | 9.8 | | 16.1 |
| | პენსიონერები (%) | | 24.1 | | 21.2 | | 9.6 | | 6.3 | | 9.2 |

შენიშვნა: 2009 - n=4,646 შინამეურნეობები; 16,832 მოსახლეობა; 3,167 ბავშვები; 3,383 პენსიონერები; 2011 - n=4,147 შინამეურნეობები; 14,837 მოსახლეობა; 2,713 ბავშვები; 3,121 პენსიონერები; 2013 - n=3,726 შინამეურნეობები; 13,282 მოსახლეობა; 2,374 ბავშვები; 2,883 პენსიონერები; 2015 - n=4,533 შინამეურნეობები; 16,155 მოსახლეობა; 2,939 ბავშვები; 3,503 პენსიონერები; 2017 - n=4,697 შინამეურნეობები; 16,038 მოსახლეობა; 2,805 ბავშვები; 3,696 პენსიონერები;

4.1.3. სიღარიბე სოფლად და ქალაქებში

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა” გვიჩვენებს, რომ სიღარიბის სამივე ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა სოფლებში უფრო მეტია, ვიდრე ქალაქებში (გარდა 2017 წლის უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლისა). როცა საქმე უკიდურეს სიღარიბეს ეხება, სიღარიბის სიღრმე ქალაქებში უფრო დიდი იყო ყველა წელს - 2011 წლის გარდა. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში ქალაქებში უკიდურესი სიღარიბის სიღრმე გაიზარდა 23.4%-დან 29.3%-მდე, სოფლებში კი 22.9%-დან 28.0%-მდე. 2017 წელს უკიდურეს სიღარიბეში მყოფთა მოხმარება საშუალოდ 28.7%-ით უნდა გაზრდილიყო, რომ შინამეურნეობები უკიდურესი სიღარიბიდან გამოსულიყვნენ (ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.2: უკიდურესი სამომხმარებლო სიღარიბის ცვლილება 2009-დან 2017 წლამდე პერიოდში

| | | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|----------------------|------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| შინამეურნეობა (%) | ქალაქი | 8.6 | 7.0 | 2.7 | 1.5 | 4.5 |
| | სოფელი | 9.3 | 9.6 | 3.5 | 1.9 | 4.0 |
| | სულ | 8.9 | 8.3 | 3.1 | 1.7 | 4.3 |
| სიღარიბის სიღრმე (%) | ქალაქი | 33.9 | 24.0 | 24.1 | 23.4 | 29.3 |
| | სოფელი | 26.5 | 29.4 | 19.0 | 22.9 | 28.0 |
| | სულ | 30.1 | 27.1 | 21.3 | 23.1 | 28.7 |

შენიშვნა: 2009 (n=4,646), 2011 (n=4,147), 2013 (n=3,726), 2015 (n=4,533), 2017 (n=4697).

როგორც 4.3 ცხრილიდან ჩანს, სოფლად ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 24.1%, ხოლო ქალაქებში - 20.9%. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების რაოდენობა ქალაქებში გაიზარდა 3.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლებში მცირედით შემცირდა, 0.4 პროცენტული პუნქტით. ქალაქებში სიღარიბის სიღრმე 7.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სოფლად - 4.5 პროცენტული პუნქტით. უფრო მეტიც, 2017 წელს, ქალაქებში სიღარიბის სიღრმემ სოფლად არსებულ სიღარიბის სიღრმეს 2.5 პროცენტული პუნქტით გადაჭარბა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წელს, ფარდობით სიღარიბეში მყოფთა მოხმარება საშუალოდ 31.8%-ით უნდა გაზრდილიყო, რომ შინამეურნეობები ფარდობითი სიღარიბიდან გამოსულიყვნენ.

ცხრილი 4.3: ფარდობითი სამომხმარებლო სიღარიბის ცვლილებები 2009-დან 2017 წლამდე პერიოდში

| | | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|----------------------|------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| | ქალაქი | 19.9 | 18.0 | 16.3 | 17.0 | 20.9 |
| შინამეურნეობა (%) | სოფელი | 27.7 | 25.6 | 24.1 | 24.5 | 24.1 |
| | სულ | 23.7 | 21.8 | 20.1 | 20.7 | 22.5 |
| | ქალაქი | 32.6 | 29.5 | 28.4 | 25.9 | 33.1 |
| სიღარიბის სიღრმე (%) | სოფელი | 26.5 | 30.5 | 26.7 | 26.1 | 30.6 |
| | სულ | 29.1 | 30.0 | 27.4 | 26.0 | 31.8 |

შენიშვნა: 2009 (n=4,646), 2011 (n=4,147), 2013 (n=3,726), 2015 (n=4,533), 2017 (n=4697).

შეფასების მიხედვით, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ქალაქის შინამეურნეობების 18.4% და სოფლის შინამეურნეობების 20.8% ცხოვრობს. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ქალაქში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების რაოდენობა გაიზარდა 4.8 პროცენტული ერთეულით, ხოლო სოფლებში - 1.6 პროცენტული ერთეულით. 2015 წლის შემდგომ პერიოდში ზოგადი სიღარიბის სიღრმე მნიშვნელოვნად გაიზარდა (ცხრილი 4.4)

ცხრილი 4.4: ზოგადი სამომხმარებლო სიღარიბის ცვლილებები 2009-დან 2017 წლამდე პერიოდში

| | | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|----------------------|------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| | ქალაქი | 34.9 | 30.8 | 17.5 | 13.6 | 18.4 |
| შინამეურნეობა (%) | სოფელი | 48.3 | 40.1 | 26.2 | 19.2 | 20.8 |
| | სულ | 41.5 | 35.4 | 21.8 | 16.4 | 19.6 |
| | ქალაქი | 34.7 | 31.9 | 28.9 | 23.8 | 32.6 |
| სიღარიბის სიღრმე (%) | სოფელი | 32.2 | 34.3 | 27.2 | 24.6 | 30.2 |
| | სულ | 33.1 | 33.2 | 27.9 | 24.2 | 31.4 |

შენიშვნა: 2009 (n=4,646), 2011 (n=4,147), 2013 (n=3,726), 2015 (n=4,533), 2017 (n=4697).

4.1.4 შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები

2017 წელს, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 33%-ს სულ მცირე, ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ კვლევის ხუთივე ეტაპზე შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება უკიდურესი, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც. ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების 27.2% ფარდობით სიღარიბეში, ხოლო 24.5% ზოგად სიღარიბეში ცხოვრობს. ეს ციფრები მნიშვნელოვნად იზრდება როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხება: ფარდობით სიღარიბის შემთხვევაში - თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში - 33.4%-მდე (ცხრილები 4.5(ა) - 4.5(გ)).

ცხრილი 4.5(ა): უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig. |
|---------------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| ბავშვის გარეშე | 7.8 | ** | 7.2 | ** | 1.9 | *** | 1.3 | * | 3.5 | ** |
| ბავშვიანი | 10.5 | | 9.9 | | 5.1 | | 2.4 | | 5.9 | |
| ბავშვის გარეშე | 7.8 | *** | 7.2 | ** | 1.9 | *** | 1.3 | * | 3.5 | ** |
| 1 ან 2 ბავშვით | 9.8 | | 10 | | 4.2 | | 2.5 | | 5.2 | |
| 3 და მეტი ბავშვით | 16 | | 9.5 | | 10.2 | | 1.2 | | 9.8 | |
| სულ | 8.9 | | 8.3 | | 3.1 | | 1.7 | | 4.3 | |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.5(ბ): ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig. |
|---------------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| ბავშვის გარეშე | 21.5 | *** | 19.9 | *** | 16.5 | *** | 17.7 | *** | 19.1 | *** |
| ბავშვიანი | 26.8 | | 24.5 | | 26.1 | | 25.5 | | 29.2 | |
| ბავშვის გარეშე | 21.5 | *** | 19.9 | *** | 16.5 | *** | 17.7 | *** | 19.1 | *** |
| 1 ან 2 ბავშვით | 25.4 | | 23.7 | | 25.1 | | 24.5 | | 27.2 | |
| 3 და მეტი ბავშვით | 36.7 | | 30.1 | | 32.5 | | 31.7 | | 39.9 | |
| სულ | 23.7 | | 21.8 | | 20.1 | | 20.7 | | 22.5 | |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.5(გ): ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობის %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობის %) | χ^2 Sig. |
|---------------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|--|---------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| ბავშვის გარეშე | 38.3 | *** | 33.0 | *** | 18.3 | *** | 13.8 | *** | 16.6 | *** |
| ბავშვიანი | 46 | | 39.0 | | 27.6 | | 20.5 | | 25.6 | |
| ბავშვის გარეშე | 38.3 | *** | 33.0 | *** | 18.3 | *** | 13.8 | *** | 16.6 | *** |
| 1 ან 2 ბავშვით | 44.2 | *** | 37.5 | *** | 26.6 | *** | 20.0 | *** | 24.1 | |
| 3 და მეტი ბავშვით | 59.1 | | 49.5 | | 33.3 | | 24.3 | | 33.4 | |
| სულ | 41.5 | | 35.4 | | 21.8 | | 16.4 | | 19.6 | |

მენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * $p < 0.05$; ** $p < 0.01$; *** $p < 0.001$

4.1.5 პენსიონერთა შინამეურნეობები

ხანშიშესულ პენსიონერებად ითვლებიან 64 წელს გადაცილებული მამაკაცები და 59 წელს გადაცილებული ქალები. სულ მცირე, ერთი პენსიონერი მაინც ცხოვრობს შინამეურნეობების ნახევარზე მეტში (58.9%-ში). ბავშვიანი შინამეურნეობების 48%-ში ცხოვრობს ერთი, ან მეტი პენსიონერი. შინამეურნეობათა 16.1%-ში კი ცხოვრობს, სულ მცირე, ერთი ხანშიშესული პენსიონერი და ერთი ბავშვი. ისევე, როგორც კვლევის წინა ეტაპებზე, იმ შინამეურნეობებში, სადაც მხოლოდ ხანშიშესული პენსიონერები ცხოვრობდნენ, სიღარიბის მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე სხვა²² ტიპის შინამეურნეობებში [ცხრილები 4.6(ა) - 4.6(გ)].

ცხრილი 4.6(ა): უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობ ების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობები ს %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეო ბების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნე ობების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეო ბების %) | χ^2 Sig. |
|--|--|------------------|--|------------------|--|------------------|--|------------------|--|------------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| არა მხოლოდ პენსიონერები | 9.5 | | 9.0 | | 3.5 | | 1.9 | | 4.9 | |
| მარტოხელა პენსიონერი | 6.2 | | 4.9 | | 1.7 | | 0.6 | | 2.5 | *** |
| მხოლოდ პენსიონერებისგა ნ შემდგარი შინამეურნეობები , სადაც ერთზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს | 6.0 | * | 5.4 | ** | 0.0 | ** | 0.9 | * | 1.0 | |

²² არა მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარ შინამეურნეობად ითვლება ყველა შინამეურნეობა, გარდა ისეთებისა, რომლის წევრები მხოლოდ პენსიონერები არიან.

| | | | | | | | | | | |
|-----|-----|--|-----|--|-----|--|-----|--|-----|--|
| სულ | 8.9 | | 8.3 | | 3.1 | | 1.7 | | 4.3 | |
|-----|-----|--|-----|--|-----|--|-----|--|-----|--|

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.6(გ): ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნე ობების %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობე ბის %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობე ბის %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობე ბის %) | χ^2 Sig. | სიღარიბის მაჩვენებელ ი (შინამეურნე ობების %) | χ^2 Sig. |
|--|--|------------------|--|------------------|--|------------------|--|------------------|--|------------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| არა მხოლოდ პენსიონერები | 24.5 | | 23.0 | | 22.1 | | 22.5 | | 23.8 | |
| მარტოხელა პენსიონერი | 18.8 | * | 14.8 | ** | 11.7 | ** | 12.7 | | 17.4 | ** |
| მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარი შინამეურნეობები, სადაც ერთზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს | 21.1 | | 17.9 | | 9.8 | | 11.4 | * | 16.8 | |
| სულ | 23.7 | | 21.8 | | 20.1 | | 20.7 | | 22.5 | |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.6(გ): ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების რაოდენობის მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| შინამეურნეობის ტიპი | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig . | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig . | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig . | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig . | სიღარიბის მაჩვენებელი (შინამეურნეობების %) | χ^2 Sig . |
|---|--|----------------|--|----------------|--|----------------|--|----------------|--|----------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| არა მხოლოდ პენსიონერები | 42.6 | | 36.6 | | 23.8 | | 17.9 | | 20.9 | |
| მარტოხელა პენსიონერი | 34.0 | | 28.5 | | 13.3 | | 10.1 | | 14.8 | |
| მხოლოდ პენსიონერების გან შემდგარი შინამეურნეობები, სადაც ერთზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს | 38.3 | ** | 31.9 | *** | 11.1 | *** | 8.0 | *** | 13.9 | *** |
| სულ | 41.5 | | 35.4 | | 21.8 | | 16.4 | | 19.6 | |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

4.1.6 სიღარიბე და განათლება

შინამეურნეობებში, მთლიან მოსახლეობასა თუ ბავშვებში სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია შინამეურნეობის ზრდასრულ წევრთა განათლების მაღალ დონესთან. უფრო მეტიც, განათლების დონის ზრდასთან ერთად სიღარიბის სიღრმეებიც მცირდება (ცხრილები 4.7(ა) - 4.7(გ)).

ცხრილი 4.7(ა): უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობის წევრთა შორის განათლების უმაღლესი დონის მიხედვით (სიღარიბის ზღვარი = 82.8 ლარს), 2017 წ.

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | მოსახლეობის სიღარიბე (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|----------------------|--------------------------------|---------------|-------------------------|--|-----------------------------|-------------------------|
| განათლების დონე: | | | | | | |
| არავითარი | 11.5 | | 32.7 | | 16.2 | 29.6 |
| საშუალო | 6.7 | | 27.2 | | 9.0 | 12.2 |
| პროფესიული | 3.8 | *** | 26.8 | | 3.8 | 4.6 |
| უმაღლესი | 2.3 | | 32.0 | | 2.7 | 3.5 |
| სულ (n=4,697) | 4.3 | | 28.7 | | 5.0 | 6.9 |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; *p<0.05; **p<0.01; ***p< 0.001

ცხრილი 4.7(გ): ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობის წევრთა შორის განათლების უმაღლესი დონის მიხედვით (სიღარიბის ზღვარი = 177.1 ლარს), 2017 წ.

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|----------------------|--------------------------------|---------------|----------------------|--|---|-------------------------|
| განათლების დონე: | | | | | | |
| არავითარი | 37.0 | *** | 39.8 | | 49.9 | 77.3 |
| საშუალო | 34.1 | | 33.5 | | 38.9 | 46.6 |
| პროფესიული | 23.4 | | 30.1 | | 26.6 | 34.6 |
| უმაღლესი | 13.0 | | 28.7 | | 14.7 | 19.2 |
| სულ (n=4,697) | 22.5 | | 31.8 | | 24.8 | 31.6 |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.7(გ): ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა შინამეურნეობის წევრთა შორის განათლების უმაღლესი დონის მიხედვით (სიღარიბის ზღვარი = 165.5 ლარს), 2017 წ.

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|----------------------|--------------------------------|---------------|----------------------|--|---|-------------------------|
| განათლების დონე: | | | | | | |
| არავითარი | 34.3 | *** | 38.6 | | 46.4 | 72.7 |
| საშუალო | 31.2 | | 31.9 | | 35.7 | 43.5 |
| პროფესიული | 20.6 | | 29.2 | | 23.2 | 30.6 |
| უმაღლესი | 10.3 | | 30.9 | | 11.7 | 14.4 |
| სულ (n=4,697) | 19.6 | | 31.4 | | 21.7 | 27.6 |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

კვლევის შედეგების მიხედვით, სიღარიბის მაჩვენებელი კლებულობს შინამეურნეობებში ქალთა განათლების დონის ზრდასთან ერთად. ერთად, როგორც უკიდურესი, აგრეთვე ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში, ღარიბი შინამეურნეობებისა და მატერიალური პრობლემის მქონე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები მკვეთრად იკლებს ქალთა განათლების დონის ზრდის კვალდაკვალ. ეს აისახება არა მხოლოდ რესურსების უკეთ მართვაში, არამედ სავარაუდოდ იმაშიც, რომ უკეთესი განათლება მეტ არჩევანს იძლევა, როცა საქმე ეხება ოჯახზე ზრუნვასა და ანაზღაურებად სამუშაოს შორის ბალანსის დაცვას ეხება. იმ შინამეურნეობებს შორის, რომლის წევრ ქალებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, სიღარიბის მაჩვენებლები დაახლოებით ნახევარჯერ უფრო დაბალია სხვა შინამეურნეობებთან შედარებით [ცხრილები 4.8(ა) - 4.8(გ)].

ცხრილი 4.8(ა): უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის ცვალებადობა (სიღარიბის ზღვარი = 82.8 ლარი) შინამეურნეობებში ქალთა განათლების უმაღლესი დონის მიხედვით 2017 წელს

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | მოსახლეობის სიღარიბე (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|------------------------------------|--------------------------------|---------------|----------------------------|--|-----------------------------|----------------------------|
| ქალთა განათლების უმაღლესი დონე: | 11.8 | *** | | | | |
| არავითარი | | | 36.2 | | 14.9 | 24.5 |
| საშუალო | | | 26.0 | | 6.9 | 9.5 |
| პროფესიული | | | 24.6 | | 4.5 | 6.3 |
| უმაღლესი | | | 34.3 | | 2.8 | 3.3 |
| სულ (n=4,449) | | | 28.5 | | 5.0 | 6.9 |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$; გამორიცხავს მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებისაგან შემდგარ შინამეურნეობებს

ცხრილი 4.8(ბ): ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლის ცვალებადობა (სიღარიბის ზღვარი = 177.1 ლარი) შინამეურნეობებში ქალთა განათლების უმაღლესი დონის მიხედვით, 2017 წ.

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | მოსახლეობის სიღარიბე (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|---------------------------------------|--------------------------------|---------------|----------------------------|--|-----------------------------|----------------------------|
| ქალთა განათლების უმაღლესი დონე: | 36.6 | *** | | | | |
| არავითარი | | | 40.5 | | 47.1 | 66.8 |
| საშუალო | | | 31.5 | | 35.0 | 42.1 |
| პროფესიული | | | 32.3 | | 23.7 | 31.8 |
| უმაღლესი | | | 29.0 | | 14.6 | 19.0 |
| სულ (n=4,449) | | | 31.7 | | 24.9 | 31.6 |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$; გამორიცხავს მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებისაგან შემდგარ შინამეურნეობებს

ცხრილი 4.8(გ): ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლის ცვალებადობა (სიღარიბის ზღვარი = 165.5 ლარი) შინამეურნეობებში ქალთა განათლების უმაღლესი დონის მიხედვით, 2017 წ.

| | შინამეურნეობის სიღარიბე (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | | მოსახლეობის სიღარიბე (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|---------------------------------------|--------------------------------|------------------|----------------------------|--|-----------------------------|----------------------------|
| ქალთა განათლების უმაღლესი დონე: | 33.7 | *** | | | | |
| | | | 39.8 | | 43.7 | 61.5 |
| | | | 30.5 | | 31.5 | 38.7 |
| | | | 31.1 | | 21.0 | 28.5 |
| | | | 31.7 | | 11.5 | 14.0 |
| | | | 31.5 | | 21.7 | 27.5 |
| სულ (n=4,449) | 19.5 | | | | | |

შენიშვნა: *ns* - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$; გამორიცხავს მხოლოდ მამრობითი სქესის ჩარმომადგენლებისაგან შემდგარ შინამეურნეობებს

4.1.7 სიღარიბე და დასაქმება

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა შეიცავს მონაცემებს იმის შესახებ, იყო თუ არა ჩართული წინა კვირის განმავლობაში შინამეურნეობის 15 წელს გადაცილებული რომელიმე წევრი რაიმე საქმიანობაში (თუნდაც ერთი საათით). თუმცა ჩვენი მონაცემები უმუშევრობის ან დასაქმების დონის გამოთვლის საშუალებას არ იძლევა. წინამდებარე ანგარიში დასაქმებასთან დაკავშირებით შინამეურნეობაში არსებულ პირობებს რამდენიმე კატეგორიად ყოფს:

- **ჰყავს რეგულარულად დასაქმებული წევრი (მარჩენალი)** - ამ ჯგუფში ის შინამეურნეობები შედიან სადაც რომელიმე წევრი მუშაობს კერძო ან საჯარო დაწესებულებაში ხელფასისა თუ სარგოს სანაცვლოდ, ან თვითდასაქმებულია ვაჭრობაში, ხელობაში, ან რაიმე პროფესიულ საქმიანობაში.
- **ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი** - ეს ჯგუფი აერთიანებს რეგულარულად დასაქმებულებს და იმათ, ვინც საკუთარ მიწას ამუშავებს, მესაქონლეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა ან დროებით სამუშაოს ასრულებს ფულადი თუ ნატურით ანაზღაურების სანაცვლოდ.
- **ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი** - ამ ჯგუფში შედიან ის შინამეურნეობები, რომლის რომელიმე წევრი დასაქმებულია ან აქვს მიწა, მიუხედავად იმისა, თვითონ ამუშავებს ამ ნაკვეთს თუ - არა.

4.9 ცხრილიდან ჩანს, რომ 2015-2017 წლებში შემცირდა იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, სადაც რომელიმე წევრი დასაქმებულია ან „გარკვეულწილად დასაქმებული/მიწის

მფლობელია“ შესაბამისად 4.5 და 3.4 პროცენტული პუნქტით. შინამეურნეობათა მხოლოდ ნახევარს ჰყავს რეგულარული მარჩენალი. 2015 წლის შემდეგ ასეთი შინამეურნეობების პროცენტული წილი შედარებით გაიზარდა.

ცხრილი 4.9: შინამეურნეობების დასაქმების სტატუსი 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში, შინამეურნეობების სამი კატეგორიის დეფინიციის საფუძველზე

| შინამეურნეობის სტატუსი | შინამეურნე ობების %, 2009 (n=4,646) | შინამეურნე ობების %, 2011 (n=4,147) | შინამეურნეობ ების %, 2013 (n=3,726) | შინამეურნეობ ების %, 2015 (n=4,533) | შინამეურნეობ ების %, 2017 (n=4,697) |
|---|--|--|--|--|--|
| ჰყავს რეგულარული მარჩენალი | 39.5 | 41.4 | 49.0 | 50.0 | 50.3 |
| ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი | 57.8 | 63.1 | 80.2 | 70.0 | 65.5 |
| ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 80.6 | 82.7 | 87.4 | 85.1 | 81.7 |

4.10(ა) - 4.10(გ) ცხრილებში თითოეულ ზემოხსენებულ კატეგორიაში შემავალი შინამეურნეობები შედარებულია დანარჩენ შინამეურნეობებთან. სიღარიბის მაჩვენებელი ბევრად უფრო მცირეა იმ შინამეურნეობებში, რომლის თუნდაც ერთი პირი არის დასაქმებული. მაგალითად, შინამეურნეობაში რეგულარულად დასაქმებული წევრის ყოლა ორჯერ ამცირებს ბავშვთა ზოგადი და ფარდობითი სიღარიბის რისკს.

ცხრილი 4.10(ა): უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა (< 82.8 ლარი) შინამეურნეობების წევრთა დასაქმების პარამეტრების მიხედვით, 2017 წ. (n=4,697)

| | შინამეურნეობის სიღარიბის მაჩვენებელი (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | t-test sig | სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|---|--|------------------|-------------------------|---------------|--|----------------------------|
| ჰყავს რეგულარული მარჩენალი | 2.3 | *** | 35.6 | *** | 2.7 | 3.8 |
| არ ჰყავს მარჩენალი | 6.3 | | 26.2 | | 8.4 | 12.4 |
| ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი | 2.7 | *** | 34.5 | *** | 3.1 | 4.6 |
| ყველა უმუშევარია | 7.3 | | 24.5 | | 10.6 | 16.7 |

| | | | | | | |
|--|------------|-----|-------------|-----|------------|------------|
| ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 3.2 | | 31.9 | | 3.7 | 5.2 |
| არ ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 9.1 | *** | 23.7 | *** | 14.2 | 22.0 |
| სულ | 4.3 | | 28.7 | | 5.0 | 6.8 |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.10(b): ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა (< 177.1 ლარი)
შინამეურნეობების წევრთა დასაქმების პარამეტრების მიხედვით, 2017 წ. (n=4,697)

| | შინამეურნეობის სიღარიბის მაჩვენებელი (%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | t-test sig | სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|--|--|------------------|-------------------------|---------------|--|----------------------------|
| ჰყავს რეგულარული მარჩენალი | 14.5 | | 28.0 | | 16.9 | 22.6 |
| არ ჰყავს მარჩენალი | 30.5 | *** | 33.6 | *** | 36.4 | 48.4 |
| ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი | 17.1 | | 29.2 | | 19.9 | 26.6 |
| ყველა უმუშევარია | 32.5 | *** | 34.4 | *** | 39.9 | 53.6 |
| ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 19.3 | | 29.7 | | 22.0 | 28.8 |
| არ ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 36.3 | *** | 36.8 | *** | 44.4 | 57.9 |
| სულ | 22.5 | | 31.8 | | 24.8 | 31.6 |

შენიშვნა: ns - უძნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$

ცხრილი 4.10(გ): ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა (< 165.5 GEL) შინამეურნეობების წევრთა დასაქმების პარამეტრების მიხედვით, 2017 წ. (n=4,697)

| | შინამეურნეობის სიღარიბის მაჩვენებელი(%) | χ^2 Sig. | სიღარიბის სიღრმე (%) | t-test sig | სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (%) | ბავშვთა სიღარიბე (%) |
|--|---|---------------|----------------------------|---------------|--|----------------------------|
| ჰყავს რეგულარული მარჩენალი | 12.0 | *** | 28.4 | *** | 13.9 | 18.6 |
| არ ჰყავს მარჩენალი | 27.3 | | 32.7 | | 33.0 | 44.2 |
| ჰყავს გარკვეულწილად დასაქმებული წევრი | 14.5 | *** | 29.2 | *** | 16.8 | 22.6 |
| ყველა უმუშევარია | 29.3 | | 33.4 | | 36.3 | 49.6 |
| ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 16.4 | *** | 29.8 | *** | 18.7 | 24.6 |
| არ ჰყავს დასაქმებული წევრი ან მიწის მფლობელი | 33.9 | | 34.9 | | 42.2 | 55.3 |
| სულ | 19.6 | | 31.4 | | 21.7 | 27.6 |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * p<0.05; ** p<0.01; *** p< 0.001

ზემოთ აღწერილი დეფინიციების გამო, წარმოდგენილ ცხრილებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. გასათვალისწინებელია, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული შეკითხვები მხოლოდ გამოკითხვამდე ერთი კვირით ადრინდელ პერიოდს მოიცავს, ხოლო სიღარიბის შეფასება ეფუძნება შეკითხვებს, რომლებიც გასული წლისა (ჯანდაცვა, განათლება, გრძელვადიანი ხარჯები, არასაკვები ხარჯები) და გასული კვირის მოხმარებას (შინ და გარეთ კვება და მიმდინარე არასაკვები ხარჯები) ეხება. შინამეურნეობაში შეიძლება არ აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც რაიმე სახით დასაქმებულები იყვნენ ბოლო კვირის განმავლობაში, რის გამოც ეს შინამეურნეობა „დაუსაქმებელთა“ კატეგორიაში მოხვდა. მაგრამ ამ შინამეურნეობის ერთი ან მეტი წევრი შეიძლება დასაქმებული ყოფილიყო წლის სხვა პერიოდებში და შესაბამისად მის მიერ პროდუქციის/მომსახურების მოხმარების საერთო დონე შეიძლება უფრო მაღალი აღმოჩნდეს, ვიდრე ეს მისი დასაქმების სტატუსიდან გამოდინარე არის მოსალოდნელი. მაგალითად, დასაქმების ან მიწის არმქონე შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 229.1 ლარს შეადგენს.

4.2 მატერიალური დეპრივაცია

სიღარიბე მრავალგანზომილებიანი ფენომენია. საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ზემოთ მოცემული ანალიზი მოხმარების მონაცემებს ეფუძნება, რადგანაც ასეთი მიდგომა შინამეურნეობების საცხოვრებელი პირობების დადგენისა და ღარიბთა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. იმის გამო, რომ სიღარიბე მხოლოდ მოხმარების დეფიციტით არ შემოიფარგლება და მრავალგანზომილებიან ხასიათს ატარებს, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის შეფასების მიზნით ამ ანგარიშში სიღარიბის არაფულადი განზომილებებიც არის გათვალისწინებული.

4.2.1 შინამეურნეობების ხანგრძლივი მოხმარების საგნები

წარმოდგენილ დოკუმენტში, მატერიალური დეპრივაცია იზომება ხანგრძლივი მოხმარების გარკვეული საგნების შინამეურნეობაში არსებობის მიხედვით. წინა ანგარიშების მსგავსად, აქაც ანალიზისას გათვალისწინებულია შემდეგი საგნები: ავტომობილი, მობილური ტელეფონი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, მაცივარი, მტვერსასრუტი და უთო. როგორც ქვემოთ ნაჩვენები 4.11 ცხრილიდან ჩანს, ხანში შესულ პენსიონერთა დიდი ნაწილი ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც არ არის ხსენებულ საგანთა უმეტესობა - განსაკუთრებით, ისეთი ელექტრონელსაწყოები, როგორებიცაა მობილური ტელეფონები და ტელევიზორები. ვინაიდან სამომხმარებლო სიღარიბეს ხანში შესულ პენსიონერთა შედარებით მცირე ნაწილი განიცდის, მატერიალური დეპრივაცია სხვაგვარ სურათს იძლევა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ხანდაზმული ადამიანები არ თვლიან საჭიროდ ხანგრძლივი მოხმარების იმავე საქონლის ქონას, რაც ანალოგიურ ეკონომიკურ პირობებში მყოფ სხვა ასაკობრივ ჯგუფებს აუცილებლად მიაჩნიათ.

ცხრილი 4.11: მირითადი საყოფაცხოვრებო საგნების არქონა 2017 წელს (n=4,697)

| | ხსენებული ნივთის არმქონე შინამეურნეობების % | ასეთ შინამეურნეო- ბებში მცხოვ- რები მთლიანი მოსახლეობის % | ასეთ შინამეურ- ნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ასეთ შინამეურნეობებშ ი მცხოვრებ პენსიონერთა % |
|----------------------|--|---|---|--|
| მტვერსასრუტი | 69.5 | 66.7 | 65.6 | 70.9 |
| ავტომობილი | 69.4 | 61.3 | 56.9 | 70.9 |
| სარეცხი მანქანა | 29.2 | 23.6 | 20.7 | 31.3 |
| მაცივარი | 11.1 | 8.6 | 8.0 | 11.1 |
| მობილური ტელეფონი | 8.0 | 5.2 | 4.0 | 9.7 |
| უთო | 7.9 | 6.0 | 5.5 | 8.6 |
| ტელევიზორი | 4.4 | 3.4 | 3.8 | 4.7 |

თუკი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შევადარებთ გარკვეული საგნების არმქონე შინამეურნეობათა პროცენტულ მაჩვენებლებს, შევნიშნავთ, რომ 2017 წელს ასეთი შინამეურნეობების საერთო წილი უფრო ნაკლებია, ვიდრე იყო 2009, 2011 და 2013 წლებში. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ისეთი შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც არ ჰქონდათ მტვერსასრუტი, ავტომობილი, მობილური ტელეფონი და ტელევიზორი გაიზარდა შესაბამისად 3.0, 2.6, 5.1 და 1.1 ერთეულით (ცხრილი 4.12).

ცხრილი 4.12: მირითადი საყოფაცხოვრებო საგნების არქონა 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | რომელიმე ნივთის არმქონე შინამეურნეობე ბის %, 2009 | რომელიმე ნივთის არმქონე შინამეურნეობე ბის %, 2011 | რომელიმე ნივთის არმქონე შინამეურნეობე ბის %, 2013 | რომელიმე ნივთის არმქონე შინამეურნეობე ბის %, 2015 | რომელიმე ნივთის არმქონე შინამეურნეობე ბის %, 2017 |
|----------------------|--|--|--|--|--|
| მტვერსასრუტი | 79.3 | 76.9 | 73.8 | 66.5 | 69.5 |
| ავტომობილი | 78.7 | 76.1 | 70.5 | 66.8 | 69.4 |
| სარეცხი მანქანა | 67.7 | 59.8 | 44.4 | 34.3 | 29.2 |
| მაცივარი | 42.8 | 32.9 | 21.8 | 15.7 | 11.1 |
| მობილური ტელეფონი | 34.9 | 20.5 | 14.8 | 2.9 | 8.0 |
| უთო | 15.1 | 14.8 | 9.4 | 10.8 | 7.9 |
| ტელევიზორი | 8.7 | 7.1 | 3.7 | 3.3 | 4.4 |

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში” მოცემული განმარტების მიხედვით მატერიალურ დეპრივაციად მიიჩნევა იმ შინამეურნეობების მდგომარეობა, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან ხუთი ან მეტი საგანი არ აქვთ. ცხრილი 4.13 გვიჩვენებს, რომ მატერიალურ დეპრივაციას შინამეურნეობათა 6.1% განიცდის. უფრო მეტიც, შეფასების მიხედვით, ასეთ შინამეურნეობებში მთელი მოსახლეობის 3.7%, ბავშვების 2.4% და პენსიონერების 7.1 პროცენტი ცხოვრობს.


ცხრილი 4.13: ხანგრძლივი მოხმარების იმ შერჩეული საგნების რაოდენობა, რომლებიც შინამეურნეობებს არ ჰქონდათ 2017 წელს (n=4,697)

| იმ შერჩეული საგნების რაოდენობა, რომლებიც შინამეურნეობებს არ აქვთ | არმქონე შინამეურნეობების % | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში % | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი % | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების წილი % |
|--|----------------------------|--|--|--|
| 0 | 15.0 | 19.2 | 21.4 | 13.9 |
| 1 | 25.5 | 27.3 | 27.7 | 25.3 |
| 2 | 27.9 | 28.3 | 28.0 | 27.1 |
| 3 | 16.8 | 14.9 | 14.0 | 17.2 |
| 4 | 8.8 | 6.7 | 6.4 | 9.4 |
| 5 | 4.0 | 2.5 | 1.6 | 4.8 |
| 6 | 1.6 | 1.0 | 0.8 | 1.7 |
| 7 | 0.5 | 0.2 | 0.0 | 0.6 |
| | 100 | 100 | 100 | 100 |

შენიშვნა: გამუქებული გრაფები იმ შინამეურნეობებს აღნიშნავს, რომელთაც ხუთი ან მეტი სახის ნივთი აკლიათ.

დიაგრამა 4.1 გვიჩვენებს, რომ მატერიალური დეპრივაცია უფრო მეტად ეხება პენსიონერებს (7.1%), ვიდრე ბავშვებს (2.4%) ან მთლიან მოსახლეობას (3.7%). ბოლო ორი წლის განმავლობაში, მატერიალური დეპრივაციის დონე ყველა ჯგუფში გაიზარდა, ბავშვების გარდა. 2015 წლის შემდეგ, მატერიალურ დეპრივაციაში მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი 0.4 პროცენტული ერთეულით შემცირდა.

დიაგრამა 4.1: მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებლების ცვლილება 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში



4.2.2 საყოფაცხოვრებო პირობები

ცხრილი 4.14 გვიჩვენებს, რომ 2017 წელს საცხოვრებლის პრობლემად ყველაზე ხშირად სახელდებოდა სახურავიდან წყლის ჩამოსვლა, ნეტიანი საცხოვრებელი, დაზიანებული სახურავი, იატაკი და კედლები. აღსანიშნავია, რომ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი (27.6%) ცხოვრობს ისეთ შინამეურნეობებში, რომლებიც საცხოვრებელი ფართის სიმცირეს განიცდიან.

ცხრილი 4.14: შინამეურნეობების მიერ საცხოვრებელთან დაკავშირებით დასახელებული პრობლემები, 2017 წ. (n=4,697)

| | პრობლემების მეონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინა- მეურნეობებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის % | ამგვარ შინა- მეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინა- მეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|---|---|---|---|---|
| დაზიანებული სახურავი, ჟონავს | 25.7 | 24.8 | 25.6 | 26.2 |
| დაზიანებული იატაკი ან კედლები მიწის იატაკი | 24.1 | 22.7 | 23.3 | 23.6 |
| ნეტიანი საცხოვრებელი | 7.4 | 6.9 | 7.1 | 7.1 |
| | 25.3 | 24.2 | 25.5 | 26.0 |

| | | | | |
|----------------------------------|------|------|------|------|
| ფანჯრის ჩამსხვრეული მინები | 10.4 | 10.4 | 12.2 | 10.2 |
| არასაკმარისი განათება | 6.1 | 5.6 | 5.6 | 6.1 |
| ხმაური | 6.0 | 5.9 | 6.0 | 5.5 |
| ფართის სიმცირე | 16.7 | 20.5 | 27.6 | 14.5 |

2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მქონე შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა (მიწის იატაკისა და მცირე ფართის გარდა). იმის მიუხედავად, რომ 2017 წელს პრობლემურ საბინაო პირობებში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მიწის იატაკის ან მცირე საცხოვრებელი ფართის მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი გაიზარდა შესაბამისად 1.5 და 5.0 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 4.15).

ცხრილი 4.15: საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული წილი 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|----------------------------------|------|------|------|------|------|
| დაზიანებული სახურავი, ჟონავს | 43.0 | 36.9 | 33 | 33.9 | 25.6 |
| დაზიანებული იატაკი ან კედლები | 40.3 | 35 | 28.3 | 31.4 | 23.3 |
| მიწის იატაკი | 13.9 | 11.5 | 4.7 | 5.6 | 7.1 |
| ნესტიანი საცხოვრებელი | 43.1 | 38.6 | 29 | 31.1 | 25.5 |
| ფანჯრის ჩამსხვრეული მინები | 20.3 | 16.8 | 10.8 | 15.2 | 12.2 |
| არასაკმარისი განათება | 11.6 | 12.1 | 4.6 | 6.3 | 5.6 |
| ხმაური | 10.2 | 9.3 | 6.3 | 8.1 | 6.0 |
| ფართის სიმცირე | 39.2 | 32.4 | 24.4 | 22.6 | 27.6 |

ივარაუდება, რომ შინამეურნეობა საცხოვრებლის თვალსაზრისით დეპრივაციას განიცდის მაშინ, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პრობლემების ნუსხიდან, სულ მცირე, ორი პრობლემის წინაშე დგას და როდესაც ინტერვიუერიც ადასტურებს, რომ საცხოვრებლის მდგომარეობა მძიმე, ან ძალიან მძიმეა. ამ განსაზღვრების მიხედვით, საცხოვრებლის დეპრივაციის მაჩვენებელმა 2017 წელს 20.0% შეადგინა. შეფასების მიხედვით, მთელი მოსახლეობის 18.6%-ს, ბავშვების 20.2%-ს და პენსიონერების 19.6%-ს საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საცხოვრებლის მხრივ დეპრივაცია ბევრად უფრო მძიმეა სოფლებში, ვიდრე ქალაქებში -

თუმცა ამ მხრივ ბავშვები გამონაკლისს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო დეპრივაციის პროცენტული მაჩვენებელი ქალაქში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში უფრო დაბალია, ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის (ცხრილი 4.16).

ცხრილი 4.16: საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით დეპრივაციაში მყოფი მოსახლეობა ქალაქებსა და სოფლებში, 2017 წ.

| | ქალაქი | სოფელი | სულ | სხვაობის მნიშვნელობა |
|--|--------|--------|------|-------------------------|
| დეპრივაციაში მყოფი შინამეურნეობების % | 15.5 | 24.8 | 20.0 | *** |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | 15.0 | 22.0 | 18.6 | *** |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | 19.0 | 21.2 | 20.2 | ns |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % | 14.8 | 24.0 | 19.6 | *** |

2015-2017 წლებში საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციის მაჩვენებლები მნიშვნელოვად შემცირდა. იმავე პერიოდში, საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციაში მცხოვრები მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა შესაბამისად 4.3, 3.5 და 4.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა (ცხრილი 4.17).

ცხრილი 4.17: საცხოვრებელი პირობების მხრივ დეპრივაციაში მყოფი შინამეურნეობები და ჯუფები 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში


| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|---------------------|------|------|------|------|------|
| შინამეურნეობები (%) | 27.6 | 25.9 | 20.6 | 24.7 | 20.0 |
| მოსახლეობა (%) | 26.5 | 23.8 | 19.1 | 22.8 | 18.6 |
| ბავშვები (%) | 27.5 | 22.2 | 17.9 | 23.6 | 20.2 |
| პენსიონერები (%) | 28.9 | 28.3 | 19.5 | 24.4 | 19.6 |

4.2.3 ორმაგი მატერიალური დეპრივაცია

“მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” დეფინიციის თანახმად, ორმაგი მატერიალური დეპრივაცია გულისხმობს იმ შინამეურნეობებს, რომლებიც განიცდიან მატერიალურ დეპრივაციას ხანგრძლივი მოხმარების საგნების თვალსაზრისით და ამავე დროს აქვთ მძიმე

საცხოვრებელი პირობები. 2015 წლის შემდეგ, ორმაგ მატერიალურ დეპრივაციაში მყოფი შინამეურნეობის პროცენტული წილი ყველა ჯგუფში გაიზარდა, ბავშვების გარდა. ორმაგ მატერიალურ დეპრივაციაში მყოფ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა პროცენტული წილი შემცირდა 2.3%-დან (2015 წ.) 1.5%-მდე (2017 წ.). აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მატერიალურმა დეპრივაციამ მნიშვნელოვნად იკლო ყველა ჯგუფში (დიაგრამა 4.2).

დიაგრამა 4.2: ორმაგ მატერიალურ დეპრივაციაში მყოფი შინამეურნეობები და ჯგუფები, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში



4.3 სუბიექტური სიღარიბე


სუბიექტური სიღარიბე შინამეურნეობების თვითშეფასებით განისაზღვრება. სუბიექტურად ღარიბ შინამეურნეობებად მიიჩნევა ის შინამეურნეობები, რომლებიც აცხადებენ, რომ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით ვერ უზრუნველყოფენ, ან ისე ცუდად იკვებებიან, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. იმის მიუხედავად, რომ 2017 წელს სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა, მაინც იკლო ადამიანთა განცდამ, რომ ისინი სიღარიბეში იმყოფებიან. საინტერესოა, რომ 2017 წელს სუბიექტურად ღარიბი ოჯახების წილმა 33.7% შეადგინა, ხოლო 2015 წელს - 38.4%. უფრო მეტიც, სუბიექტურად ღარიბი შინამეურნეობები მთლიანი მოსახლეობის 30%-ს, ბავშვების 27.5%-ს და პენსიონერთა 36.0%-ს მოიცავდა. სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლის ასეთი ვარდნა შეიძლება შემოსავლის რეალური ზრდითაც აიხსნას (ცხრილი 4.18).

ცხრილი 4.18: სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლების ცვლილება 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში.

| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|---|------|------|------|------|------|
| სუბიექტური სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % | 39.2 | 40.8 | 26.9 | 38.4 | 33.7 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | 36.9 | 36.3 | 24.3 | 36.0 | 30.0 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | 36.3 | 32.1 | 22.9 | 37.2 | 27.5 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % | 43.7 | 43.3 | 25.8 | 40.1 | 36.0 |

თუკი სუბიექტური სიღარიბის შეფასების შედეგებს ფულადი სიღარიბის მაჩვენებლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ყველა ჯგუფი (ბავშვების გარდა) იმაზე ბევრად უფრო პესიმისტურად აფასებს საკუთარ მდგომარეობას, ვიდრე მათი სამომხმარებლო სიღარიბის მონაცემები გვიჩვენებს. საინტერესოა, რომ ბავშვთა ზოგადი და სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლებს შორის პროცენტული სხვაობა მინიმალურია. კერძოდ, თუ ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ შინამეურნეობებში ბავშვების 27.6% ცხოვრობს, სუბიექტური შეფასების მიხედვით ეს მაჩვენებელი 27.5%-ს შეადგენს (დიაგრამა 4.3).

დიაგრამა 4.3: სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლების შედარება სიღარიბის სხვა მაჩვენებლებთან, 2017 წ.




2017 წელს შინამეურნეობები უმთავრეს პრობლემად, ყველაზე ხშირად ოჯახის წევრების უმუშევრობას, მედიკამენტების ყიდვასა და საცხოვრებელ პირობებს ასახელებდნენ. სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდის მიუხედავად, 2017 წელს, იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მთავარ პრობლემად მედიკამენტების შეძენას ასახელებენ 26.4%-დან (2015 წ.) 27.8%-მდე გაიზარდა. თუკი ჩვენი კვლევის წინა ეტაპებზე შინამეურნეობების 12.4%-მა უმთავრეს პრობლემებად სესხების და საბანკო კრედიტების დაფარვა დაასახელა, 2017 წლისთვის ასეთი შინამეურნეობების პროცენტული წილი 11.2%-მდე შემცირდა (ცხრილი 4.19).

ცხრილი 4.19: 2017 წელს შინამეურნეობების მიერ დასახელებული მირითადი პრობლემები 2009, 2011, 2013 და 2015 წლებთან შედარებით.

| პრობლემა | შინამეურნეობების % 2009 | შინამეურნეობების % 2011 | შინამეურნეობების % 2013 | შინამეურნეობების % 2015 | შინამეურნეობების %, 2017 |
|----------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|--------------------------|
| უმუშევრობა | 36.3 | 32.2 | 41.0 | 27.9 | 22.0 |
| მედიკამენტების შეძენა | 17.5 | 14.6 | 18.4 | 26.4 | 27.8 |
| სამედიცინო მომსახურებები | 14.3 | 18.7 | 11.6 | 5.7 | 5.4 |
| საცხოვრებელი პირობები | 9.3 | 9.1 | 8.3 | 9.7 | 11.9 |
| შიმშილი ან არასათანადო კვება | 8.1 | 6.8 | 4.7 | 8.8 | 9.3 |
| საბანკო ვალების დაფარვა | 5.8 | 9.4 | 8.3 | 12.4 | 11.2 |
| კომუნალური გადასახადების გადახდა | 5.7 | 6.8 | 4.3 | 5.6 | 7.7 |
| დასვენება და გართობა | 1.7 | 1 | 2.1 | 1.9 | 2.6 |
| ტანსაცმლის შეძენა | 0.5 | 0.5 | 0.3 | 0.4 | 0.5 |
| ავეჯი | 0.4 | 0.3 | 0.7 | 0.9 | 1.3 |
| სასკოლო ნივთების შეძენა | 0.3 | 0.5 | 0.3 | 0.3 | 0.3 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| შემთხვევათა რაოდენობა | 4,624 | 3,932 | 3,584 | 4,155 | 4,194 |

ამასთან ერთად, 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგები გვიჩვენებენ, რომ უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით ხშირად ბავშვიან შინამეურნეობებში გვხვდება (ბავშვიანი შინამეურნეობების 28%-ში, მაშინ, როცა იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ, ეს მაჩვენებელი 19%-ია). უბავშვო შინამეურნეობებმა ყველაზე დიდ პრობლემად მედიკამენტების შეძენა დაასახელეს (უბავშვო შინამეურნეობების 33%-მა და ბავშვიანი შინამეურნეობების 17%-მა). იმ ბავშვიან შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ძირითად პრობლემას სესხის ან საბანკო კრედიტის გადახდა წარმოადგენდა, 16%-დან 17%-მდე გაიზარდა; უბავშვო შინამეურნეობებში კი ეს მაჩვენებელი 2017 წელს 8%-მდე შემცირდა, 2015 წლის 10%-თან შედარებით (დიაგრამა 4.4).

დიაგრამა 4.4: ბავშვიანი და უბავშვო შინამეურნეობების მიერ 2017 წელს დასახელებული ძირითადი პრობლემები



4.4 კომუნალური მომსახურების ნაკლებობა

4.4.1 2017 წლის შედარება 2009, 2011, 2013 და 2015 წლებთან

2009, 2011, 2013 და 2015 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევების მიხედვით, შინამეურნეობა იმ შემთხვევაში მიიჩნეოდა კომუნალურ მომსახურებას მოკლებულად, თუ მას ჰქონდა სირთულეები წყლის²³, სანიტარიული პირობების²⁴ ან გათბობის²⁵ ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. იგივე განსაზღვრების საფუძველზე, ცხრილი 4.20 გვიჩვენებს, რამდენად ბევრი შინამეურნეობა განიცდიდა პრობლემებს წყლის, სანიტარიული პირობებისა თუ გათბობის საჭიროებების დაკმაყოფილების მხრივ, 2017 წელს. 2017 წელს, ზემოხსენებული პრობლემის მქონე შინამეურნეობების წილი შესაბამისად 30.6%-ს, 49.1%-ს და 12.8%-ს შეადგენდა.

ცხრილი 4.20: შინამეურნეობები, რომლებსაც კომუნალურ მომსახურებებზე ხელი არ მიუწვდებათ, 2017 წ. (n=4,697)

| | პრობლემების მქონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|-----------|---|--|--|--|
| წყალი | 30.6 | 30.3 | 30.6 | 32.7 |
| სანიტარია | 49.1 | 50.7 | 52.1 | 51.9 |
| გათბობა | 12.8 | 9.4 | 6.9 | 14.1 |

გაუმჯობესება შეინიშნება წყლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. 2015 – 2017 წლებში იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც საცხოვრებლებში ცივი წყალი ან წყალმომარაგება არ ჰქონდათ 32.7%-დან 30.6%-მდე შემცირდა. იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც სანიტარულ პირობებთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონდათ, 51.2%-დან 49.1%-მდე შემცირდა, ხოლო იმ შინამეურნეობების წილი, რომლებსაც გათბობა არ აქვთ, 11.6%-დან 12.8%-მდე გაიზარდა.

ამ ანგარიშში, კომუნალური მომსახურების არქონა შეიძლება სიღარიბის ერთ-ერთ განზომილებად ჩაითვალოს. შეფასების მიხედვით, 2017 წელს წყალზე, სანიტარიულ პირობებსა და გათბობაზე ხელი შინამეურნეობათა 5.3%-ს არ მიუწვდებოდა; 25.1%-ს არ

²³ წყალი: შინამეურნეობას აქვს პრობლემები წყლით უზრუნველყოფის მხრივ, თუკი არ მიეწოდება ცივი წყალი ან წყალი არ არის შეყვანილი საცხოვრებელში.

²⁴სანიტარიული პირობები: შინამეურნეობას აქვს პრობლემები სანიტარიული პირობების მხრივ, თუკი საცხოვრებელში არ არის კანალიზაციის სისტემა ან სააბაზანო.

²⁵ გათბობა: შინამეურნეობას აქვს პრობლემები გათბობის მხრივ, თუკი საცხოვრებელი პრაქტიკულად არ გამთბარა წინა ზამთრის განმავლობაში, ან თუკი გათბობის საშუალებებზე წლიური დანახარჯი შინამეურნეობის მთლიანი წლიური ხარჯის 10 პროცენტს აღემატებოდა.

ჰქონდა ორი ტიპის კომუნალური მომსახურება; შინამეურნეობათა 43%-ს კი არც ერთი კომუნალური მომსახურების ნაკლებობას არ განიცდიდა (ცხრილი 4.21).

ცხრილი 4.21: შინამეურნეობები და პირები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ რამდენიმე სახის კომუნალურ მომსახურებაზე, 2017 წ. (n=4,697)

| კომუნალური მომსახურებების წვდომის პრობლემების რაოდენობა | პრობლემების მქონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|---|--------------------------------------|---|---|---|
| 0 | 43.3 | 42.8 | 41.9 | 40.0 |
| 1 | 26.3 | 27.7 | 29.2 | 27.5 |
| 2 | 25.1 | 25.8 | 26.4 | 26.2 |
| 3 | 5.3 | 3.7 | 2.5 | 6.3 |

კომუნალური სიღარიბე განისაზღვრება იმ შემთხვევაშიც, როცა შინამეურნეობას ხელი არ მიუწვდება თუნდაც ერთ კომუნალურ მომსახურებაზე. როგორც 4.22 ცხრილშია ნაჩვენები, 2013 წლის შემდეგ ამ საზომის მიხედვით სიღარიბის მაჩვენებლის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ადგილი არ ჰქონია.

ცხრილი 4.22: კომუნალური სიღარიბის მაჩვენებლების ცვალებადობა 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|---|------|------|------|------|------|
| იმ შინამეურნეობების %, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ თუნდაც ერთ ძირითად კომუნალურ მომსახურებაზე | 62.7 | 64.4 | 56.7 | 56.0 | 56.7 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | 61.5 | 62.4 | 55.6 | 55.0 | 57.2 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | 60.3 | 59.8 | 53.7 | 53.9 | 58.1 |
| ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % | 68.8 | 69.5 | 60.6 | 59.1 | 60.0 |

4.4.2 წყალი და სანიტარული პირობები

სხვადასხვა შინამეურნეობებში წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შეფასების მიზნით გამოვიყენეთ კლასიფიკაცია, რომელიც ადგენდა - „გაუმჯობესებულია“ თუ „არ არის გაუმჯობესებული“ სასმელი წყლის წყარო²⁶.

მიუწედავად იმისა, რომ წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მონაცემები 2009 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში არ არის წარმოდგენილი, 2011-2017 წლების იგივე მონაცემები შეიძლება აღირიცხოს ისე, რომ მოერგოს ამ კლასიფიკაციას. ცხრილში 4.23 შედარებულია წყლის გაუმჯობესებული წყაროების ხელმისაწვდომობა 1990 წლის შემდეგ.²⁷ მიღებული შედეგების მიხედვით, იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, ვისაც ხელი მიუწვდება მხოლოდ წყლის არგაუმჯობესებულ წყაროებზე, 19%-დან (1990 წ.) 2.5%-მდე (2017 წ.) შემცირდა. ეს კლება სოფლებში უფრო შეიმჩნევა, თუმცა წყლის არგაუმჯობესებული წყაროების მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი სოფლებში თითქმის ორჯერ უფრო მაღალია (4.5%), ვიდრე მთელი მოსახლეობის მასშტაბით (2.5%). როგორც ზემოთ მოყვანილი 4.23 ცხრილიდან ჩანს, წყლის გაუმჯობესებული წყაროს ხელმისაწვდომობის პრობლემა უფრო მეტად სოფლებში იჩენს თავს. 2017 წლის მონაცემებით, მთელი მოსახლეობის თითქმის 77.6%-ს სასმელი წყალი შენობაში აქვს შეყვანილი, მაგრამ ეს მაჩვენებელი სოფლად 62.2%-ს უდრის, რაც 2015 წელთან შედარებით 10.4 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.

რაც შეეხება გაუმჯობესებულ სანიტარულ მდგომარეობას, ეს ისეთი ჰიგიენური პირობების არსებობას გულისხმობს, რომელიც ადამიანებს ფეკალურ მასებთან კონტაქტს არიდებს.²⁸ ცხრილი 4.24 გვიჩვენებს, რომ გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მდგომარეობა ქალაქებში 1.3 პროცენტული პუნქტით გაუარესდა, ხოლო სოფლად - 8.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა. ქვეყნის მასშტაბით, გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა 3.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

²⁶ გაუმჯობესებული: წყალგაყვანილობა მიერთებულია შენობასთან, ნაკვეთთან ან ეზოსთან; წყალგაყვანილობა მიერთებულია მეზობლის ნაკვეთთან; საერთო ონგანი/მილდგარი; მილოვანი ჭა/ჭაბურღლილი; დაცული ამოთხრილი ჭა; დაცული წყარო; წვიმის წყალი. არ არის გაუმჯობესებული: დაუცველი ამოთხრილი ჭა; დაუცველი წყარო; ცისტერნით/რეზერვუარით აღჭურვილი მცირე ზომის საზიდარი; ავტოცისტერნა; წყლის ზედაპირი (მდინარე, კაშხალი, ტბა, ტბორი, ნაკადული, არხი, სარწყავი არხი); ბოთლის წყალი;

²⁷ პროგრესი სანიტარიული პირობებისა და სასმელი წყლის გაუმჯობესების მხრივ - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის/გაეროს ბავშვთა ფონდის „წყალმომარაგებისა და სანიტარიული პირობების ერთობლივი მონიტორინგის“ 2010 წლის ანგარიში (2010).

²⁸ გაუმჯობესებული სანიტარული პირობები: ავზიდან ან ხელით ჩარეცხა: 1) საკანალიზაციო სისტემაში, 2) სეპტიკურ ცისტერნაში, 3) ორმოიან საპირფარეშოში; ვენტილაციის მქონე გაუმჯობესებული ორმოიანი საპირფარეშო; ორმოიან საპირფარეშო ბეტონის იატაკით; კომპოსტის ტუალეტი; ცუდი სანიტარული პირობები: ავზიდან ან ხელით ჩარეცხა სხვაგან; ორმოიანი საპირფარეშო ბეტონის იატაკის გარეშე ან ღია ორმო; ურნა; „შეკიდული“ ტუალეტი; არანაირი პირობები, ბუჩქები ან მდელო (ღია დეფეკაცია), საზოგადოებრივი ან საზიარო სანიტარული საშუალებები.

ცხრილი 4.23: წყლის გაუმჯობესებული წყაროების ხელმისაწვდომობა 1990 - 2017 წლებში

| | 1990 ^a | 2000 ^a | 2008 ^a | 2011 WMS | 2013 WMS | 2015 WMS | 2017 WMS |
|---|-------------------|-------------------|-------------------|---|---|---|---|
| მოსახლეობა ('000) | 5460 | 4745 | 4413 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=14739 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=13282 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=16155 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=16038 |
| სასმელი წყლის წყაროები ქალაქებში (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| ნაკვეთსა და შენობაში შეყვანილი წყალგაყვანილობა | 81 | 86 | 92 | 81.5 | 91.8 | 92.7 | 92.9 |
| სხვა გაუმჯობესებული | 13 | 11 | 8 | 17.6 | 8.1 | 6.6 | 6.7 |
| გაუმჯობესების გარეშე | 6 | 3 | 0 | 0.9 | 0.1 | 0.6 | 0.4 |
| სასმელი წყლის წყაროები სოფლებში (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| ნაკვეთსა და შენობაში შეყვანილი წყალგაყვანილობა | 19 | 34 | 51 | 20.4 | 54.4 | 52.2 | 62.6 |
| სხვა გაუმჯობესებული | 47 | 46 | 45 | 70.3 | 42.5 | 39.9 | 32.9 |
| გაუმჯობესების გარეშე | 34 | 20 | 4 | 9.3 | 3.1 | 7.9 | 4.5 |
| სასმელი წყლის წყაროები მთლიანობაში (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| ნაკვეთსა და შენობაში შეყვანილი წყალგაყვანილობა | 53 | 61 | 73 | 51.4 | 73.4 | 72.8 | 77.6 |
| სხვა გაუმჯობესებული | 28 | 28 | 25 | 43.6 | 25 | 23 | 19.9 |
| გაუმჯობესების გარეშე | 19 | 11 | 2 | 5.1 | 1.6 | 4.2 | 2.5 |

^a მონაცემთა წყარო: პროგრესი სანიტარიული პირობებისა და სასმელი წყლის გაუმჯობესების მხრივ
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის/გაეროს ბავშვთა ფონდის „წყალმომარაგებისა და
სანიტარიული პირობების ერთობლივი მონიტორინგის პროგრამის“ 2010 წლის ანგარიში.

<http://www.wssinfo.org/documents-links/documents/>

ცხრილი 4.24: გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა 1990 - 2017 წლებში

| | 1990 ^a | 2000 ^a | 2008 ^a | 2011 WMS | 2013 WMS | 2015 WMS | 2017 WMS |
|---|-------------------|-------------------|-------------------|---|---|---|---|
| მოსახლეობა ('000) | 5460 | 4745 | 4413 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=14930 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=13282 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=16155 | სარწმუნო შერჩევის ზომა n=16038 |
| სანიტარული პირობები ქალაქში (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| გაუმჯობესებული | 97 | 96 | 96 | 94.3 | 97.5 | 93.9 | 92.6 |
| საზიარო | 3 | 3 | 3 | 0.2 | 0 | 0 | 0 |
| გაუმჯობესების გარეშე | 0 | 1 | 1 | 5.5 | 2.5 | 6.1 | 7.4 |
| ღია დეფეკაცია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სანიტარული პირობები სოფლად (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| გაუმჯობესებული | 95 | 94 | 93 | 57.4 | 73.8 | 57.9 | 66.0 |
| საზიარო | 1 | 1 | 1 | 1 | 0.1 | 0 | 1.3 |
| გაუმჯობესების გარეშე | 2 | 3 | 4 | 41.6 | 26.1 | 42.1 | 32.5 |
| ღია დეფეკაცია | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0.2 |
| სანიტარული პირობები მთლიანობაში (მოსახლეობის %) | | | | | | | |
| გაუმჯობესებული | 96 | 95 | 95 | 76 | 85.8 | 76.1 | 79.2 |
| საზიარო | 2 | 2 | 2 | 0.6 | 0.1 | 0 | 0.6 |
| გაუმჯობესების გარეშე | 1 | 2 | 2 | 23.4 | 14.1 | 23.9 | 20.1 |
| ღია დეფეკაცია | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0.1 |

^a მონაცემთა წყარო: პროგრესი სანიტარიული პირობებისა და სასმელი წყლის გაუმჯობესების მხრივ - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის/გაეროს ბავშვთა ფონდის „წყალმომარაგებისა და სანიტარიული პირობების ერთობლივი მონიტორინგის პროგრამის“ 2010 წლის ანგარიში.

<http://www.wssinfo.org/documents-links/documents/>

4.5 სოციალური გარიყულობა

სიღარიბის მეხუთე განზომილება, რომელიც წარმოდგენილ ანალიზში არის განხილული, სხვადასხვა სახის სერვისების ხელმისაწვდომობას ასახავს. 2009 წელს სოციალური გარიყულობის ეს ასპექტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ა) **არსერული განათლება:** მიესადაგება შემთხვევას, როდესაც შინამეურნეობის რომელიმე წევრს შეიძლება ჰქონდეს მეტი განათლების მიღების სურვილი, ან როცა

შინამეურნეობაში არ არის 15 წელს გადაცილებული არც ერთი პირი, რომელსაც მიღებული აქვს თუნდაც საშუალო განათლება.

- ბ) **დაუსაქმებლობა ან მიწის არქონა:** მიესადაგება შემთხვევას, როდესაც შინამეურნეობის არც ერთი წევრი არ ფლობს მიწის ნაკვეთს და 15 წელს გადაცილებული არც ერთი პირი არ იყო რაიმე ფორმით დასაქმებული გამოკითხვამდე ერთი კვირის განმავლობაში.
- გ) **სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა:** მიესადაგება იმ შემთხვევაში, თუკი ბოლო ერთი წლის განმავლობაში შინამეურნეობის რომელიმე წევრს დასჭირდა სამედიცინო მომსახურება ან მედიკამენტები და ვერ მიიღო ფულის არქონის ან სერვისის არარსებობის გამო.
- დ) **სესხის ან კრედიტის მიუწვდომლობა:** მიესადაგება იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში შინამეურნეობის რომელიმე წევრმა უშედეგოდ სცადა ფულის სესხება კერძო გამსესხებლისაგან, ბანკისგან, ლომბარდისგან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან.
- ე) **სოციალური დახმარების მიუწვდომლობა:** მიესადაგება იმ შემთხვევაში, თუ ბოლო 12 თვის განმავლობაში შინამეურნეობამ მოითხოვა სოციალური დახმარება, მაგრამ ვერ მიიღო, ან მიიღო ნაწილობრივ.

ცხრილი 4.25 გვიჩვენებს იმ შინამეურნეობათა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც განიცდიან სოციალურ გარიყულობას ზემოთ ჩამოთვლილ ხუთივე ასპექტში და იმ პირების, ბავშვებისა და პენსიონერების პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც ამგვარ შინამეურნეობებში ცხოვრობენ. ბავშვების 15.6% ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, სადაც ზრდასრულთა საგანმანათლებლო საჭიროებები არ არის დაკამაყოფილებული, პენსიონერები კი, უფრო ჭარბობენ ისეთ შინამეურნეობებში, რომლებიც მიწის არქონისა და უმუშევრობის პრობლემას განიცდიან.

ცხრილი 4.25: შინამეურნეობები და პირები, რომლებიც სოციალურ გარიყულობას სხვადასხვა ასპექტში განიცდიან, 2017 წ. (n=4697)

| | პრობლემის მქონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|--------------------------------|--|--|--|--|
| არასრული განათლება | 8.2 | 9.5 | 15.6 | 7.0 |
| მიწის ან სამუშაოს არქონა | 18.4 | 12.8 | 9.7 | 22.1 |

| | | | | |
|--|------|------|------|------|
| სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა | 22.9 | 22.0 | 19.0 | 25.0 |
| კრედიტის მიუწვდომლობა | 3.6 | 4.0 | 4.7 | 2.5 |
| სოციალური დახმარების მიუწვდომლობა | 9.5 | 8.4 | 7.4 | 9.2 |

შინამეურნეობების დონეზე, 2015 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნა სოციალური გარიყულობის ყველა ასპექტში, მიწის ფლობისა და დასაქმების გარდა. 2015-2017 წლებში, მიწის ფლობასა ან დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი 3.5% პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, სამედიცინო მომსახურების წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების პროცენტულმა მაჩვენებელმა 44.1%-დან 22.9%-მდე დაიკლო, ხოლო განათლების წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი 15.3%-დან 8.2%-მდე შემცირდა. ამასთან ერთად, 11.9%-დან 9.5%-მდე შემცირდა იმ შინამეურნეობათა წილი, რომლებსაც კრედიტებზე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ (ცხრილი 4.26).

ცხრილი 4.26: 2009 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში სოციალური გარიყულობის ასპექტებში მომხდარი ცვლილებები

| | პრობლემის მქონე შინამეურნეობების % | | | | |
|---|------------------------------------|------|------|------|------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| არასრული განათლება | 19.9 | 18.1 | 14.3 | 15.3 | 8.2 |
| მიწის ან სამუშაოს არქონა | 19.9 | 17.3 | 12.6 | 14.9 | 18.4 |
| სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა | 58.6 | 49.9 | 39.7 | 44.1 | 22.9 |
| კრედიტის მიუწვდომლობა | 4.3 | 2.4 | 3.5 | 5.0 | 3.6 |
| სოციალური დახმარების მიუწვდომლობა | 19.9 | 14.5 | 15.0 | 11.9 | 9.5 |

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში“ მოცემული დეფინიციის მიხედვით, სოციალურად გარიყულად მიიჩნეოდა ის შინამეურნეობა, რომელიც გარიყულობის ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტებიდან სამ ასპექტში მაინც განიცდიდა პრობლემებს. 2017 წელს ამ კატეგორიაში შინამეურნეობათა 2.8% მოხვდა, რაც მთელი მოსახლეობის 2.6%-ს, ბავშვების 2.9 %-ს და პენსიონერების 2.5%-ს მოიცავდა. ერთდროულად ხუთივე ასპექტში პრობლემებს არც ერთი შინამეურნეობა არ განიცდიდა (ცხრილი 4.27).

ცხრილი 4.27: შინამეურნეობები და პირები, რომლებიც სოციალურ გარიყულობას რამდენიმე ასპექტში განიცდიან, 2017 წ. (n=4,697)

| სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებული პრობლემების რაოდენობა | პრობლემების მქონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|---|--------------------------------------|---|---|---|
| 0 | 56.5 | 59.9 | 60.5 | 53.6 |
| 1 | 30.3 | 28.2 | 27.8 | 33.1 |
| 2 | 10.4 | 9.3 | 8.8 | 10.8 |
| 3 | 2.4 | 2.1 | 2.2 | 2.3 |
| 4 | 0.5 | 0.5 | 0.8 | 0.3 |

შენიშვნა: გამუქებული გრაფები იმ შინამეურნეობებს აღნიშნავს, რომლებიც სოციალურ გარიყულობას განიცდიან.

4.6 მრავალმხრივი სიღარიბე და დეპრივაცია

ცხრილი 4.28 აჯამებს, რა მასშტაბებით ზემოქმედებს საქართველოს მოსახლეობაზე სიღარიბისა და დეპრივაციის სხვადასხვა ასპექტი. ბავშვების წილი არაპროპორციულად დიდია სამომხმარებლო სიღარიბის ყველა ზღვარს ქვემოთ მყოფ შინამეურნეობებში. ამასთან ერთად, ბავშვები ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან სიღარიბის არა-ფულადი მაჩვენებლების მიხედვითაც (ორმაგი მატერიალური დეპრივაციის, სუბიექტური სიღარიბისა და კომუნალური მომსახურებების ნაკლებობის გამოკლებით).

ცხრილი 4.28: შინამეურნეობები და პირები, რომლებზეც სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რამდენიმე ასპექტი ვრცელდება, 2017 წ.

| განზომილება | პრობლემების მქონე შინამეურნეობების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % |
|-----------------------------------|--------------------------------------|---|---|---|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |

| | | | | |
|--|------|------|------|------|
| ორმაგი მატერიალური დეპრივაცია | 4.0 | 2.4 | 1.5 | 4.5 |
| სუბიექტური სიღარიბე | 33.7 | 30.0 | 27.5 | 36.0 |
| სოციალური გარიყულობა | 2.8 | 2.6 | 2.9 | 2.5 |
| კომუნალური მომსახურების არქონა | 56.7 | 57.2 | 58.1 | 60.0 |
| წყლის გაუმჯობესებულ ი წყაროების არარსებობა | 2.5 | 2.5 | 2.6 | 2.5 |
| გაუმჯობესებულ ი სანიტარული პირობების არქონა | 19.8 | 20.1 | 21.4 | 21.0 |

როგორც 4.29 ცხრილიდან ჩანს, 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი, ფარდობითი
და ზოგადი სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილები შესაბამისად 2.9, 1.7 და
3.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სოციალურად გარიყული მოსახლეობის წილი
3.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ამასთან ერთად, 6.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა
იმ მოსახლეობის წილი, რომელიც სუბიექტურად თავს ღარიბად აღიქვამდა. იმავე პერიოდში,
უკიდურესი, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ მყოფი ბავშვების წილი
შესაბამისად 4.3, 4.8 და 5.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. თუმცა, ამავე დროს, ორმაგ
მატერიალურ დეპრივაციაში მცხოვრები ბავშვების წილი შემცირდა 0.8 პროცენტული
პუნქტით, ხოლო სოციალურად გარიყული ბავშვების წილი - 5.5 პროცენტული პუნქტით.
სუბიექტური შეფასების საფუძვლზე, ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილი
9.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ცხრილი 4.29: სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის სხვადასხვა განზომილებებში
მომხდარი ცვლილებები 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| განზომილება | სიღარიბესა და დეპრივაციაში მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა (%) | | | | | სიღარიბესა და დეპრივაციაში მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები (%) | | | | |
|-----------------------|---|------|------|------|-------------|---|------|------|------|-------------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| უკიდურესი სიღარიბე | 9.9 | 9.1 | 3.9 | 2.1 | 5.0 | 11.5 | 9.4 | 6 | 2.5 | 6.8 |
| ფარდობითი სიღარიბე | 25.7 | 23.5 | 22.9 | 23.1 | 24.8 | 28.4 | 25.2 | 27.1 | 26.8 | 31.6 |
| ზოგადი სიღარიბე | 44.8 | 37.9 | 24.6 | 18.4 | 21.7 | 49 | 40.8 | 28.4 | 21.7 | 27.6 |

| | | | | | | | | | | |
|--------------------------------------|------|------|------|------|-------------|------|------|------|------|-------------|
| ორმაგი მატერიალური დეპრივაცია | 12.7 | 7.6 | 3.6 | 2.3 | 2.4 | 13.1 | 5.7 | 2.9 | 2.3 | 1.5 |
| სუბიექტური სიღარიბე | 37.1 | 35.2 | 24.3 | 36 | 30.0 | 36.4 | 31.1 | 22.9 | 37.2 | 27.5 |
| სოციალური გარიყულობა | 8.1 | 5.6 | 4.1 | 5.7 | 2.6 | 8.6 | 6.7 | 5.6 | 8.1 | 2.9 |
| კომუნალური მომსახურების არქონა | 61.5 | 62.4 | 55.6 | 55.0 | 57.2 | 60.3 | 59.8 | 53.7 | 53.9 | 58.1 |

დეპრივაციის მაჩვენებელი უშუალოდაა დამოკიდებული იმაზე, თუ შეძლებულობის რომელ კვინტილს განეკუთვნებიან შინამეურნეობები. ცხრილი 4.30(ა) გვიჩვენებს, რომ კომუნალური მომსახურებების უკმარისობას უდარიბეს კვინტილში მყოფ შინამეურნეობათა 69.8% განიცდის მაშინ, როცა ყველაზე შეძლებულ კვინტილში ეს მაჩვენებელი 39.6%-ს შეადგენს. გარდა ამისა, პირველი კვინტილის შინამეურნეობათა 60.2% და მეორე კვინტილის შინამეურნეობათა 43.1% თავს სუბიექტურად ღარიბად მიიჩნევს. მეხუთე კვინტილის შინამეურნეობათა 10%-ზე მეტი თვლის, რომ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით ვერ უზრუნველყოფს, ან ისე მცირედით იკვებება, რომ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ცხრილი 4.30(ა): შეძლებულობის თითოეული კვინტილის შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დეპრივაციის სხვადასხვა განზომილებების მიხედვით განიცდიან, 2017 წ. (n=4,697)

| | კვინტილი | | | | | სულ |
|-----------------------------------|----------|------|------|------|------|------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| კომუნალური მომსახურების არქონა | 69.8 | 65.5 | 59.8 | 48.8 | 39.6 | 56.7 |
| სუბიექტური სიღარიბე | 60.2 | 43.1 | 33.3 | 21.5 | 10.5 | 33.7 |
| მატერიალური დეპრივაცია | 9.7 | 3.9 | 3.7 | 2.0 | 0.5 | 4.0 |
| სოციალური გარიყულობა | 7.5 | 2.6 | 2.6 | 0.8 | 0.5 | 2.8 |

ცხრილი 4.30(ბ) გვიჩვენებს, რომ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების თითქმის სამ მეოთხედზე მეტს ხელი არ მიუწვდება ერთ ან მეტ კომუნალურ მომსახურებაზე; მათი 55.8% სუბიექტურ სიღარიბებში ცხოვრობს, 6.2% მატერიალურ დეპრივაციას განიცდის, 10% ვერ სარგებლობს სოციალური მომსახურებებით, და ერთ მეოთხედზე მეტს არ აქვს გაუმჯობესებული სანიტარული პირობები. ეს მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია იმ ადამიანების მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებში ცხოვრობენ (ცხრილი 4.30 ბ). აშკარაა, რომ სიღარიბე

უარყოფით ზემოქმედებას მრავალ სხვადასხვა დონეზე ახდენს. სამომხმარებლო სიღარიბე მნიშვნელოვნად ზრდის სხვა განზომილებებში არსებული სიღარიბის ალბათობას.

ცხრილი 4.30(ბ): ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ზემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც დეპრივაციას განიცდის სხვადასხვა განზომილებებში, 2017 წ. (n=16,038)

| | შინამეურნეობების ყოველთვიური ეკივალენტური ხარჯები | | პირსონოს chi2 მნიშვნელობის დონე |
|--|---|--------------|---------------------------------|
| | < 177.1 ლარი | ≥ 177.1 ლარი | |
| კომუნალური მომსახურების არქონა | 71.2 | 52.6 | *** |
| სუბიექტური სიღარიბე | 55.8 | 21.5 | *** |
| მატერიალური დეპრივაცია | 6.2 | 1.2 | *** |
| სოციალური გარიყულობა | 5.8 | 1.5 | *** |
| წყლის გაუმჯობესებული წყაროების არქონა | 3.5 | 2.2 | |
| გაუმჯობესებული სანიტარული პირობების არქონა | 24.7 | 18.5 | *** |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * p<0.05; ** p<0.01; *** p< 0.001

დასკვნა

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ბოლო ეტაპზე მიღებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ წინა ანგარიშების მსგავსად, საქართველოს მოსახლეობის სიღარიბისა და კეთილდღეობის მდგომარეობა, წარმოდგენილ ანგარიშშიც სამომხმარებლო ხარჯების ანალიზის საფუძველზე შეფასდა. ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (უკიდურესი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 82.8 ლარს შეესაბამება). შეფასების თანახმად, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი პირების წილი სოფლად 4.0%-ია, ხოლო ურბანულ დასახლებებში - 4.5%. 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა, შესაბამისად, 2.6, 2.9, 4.3, და 2.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შინამეურნეობების 22.5% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და სოფლისა და ქალაქის დასახლებებს შორის სხვაობა დიდია (24.1% -

20.9%). გასული ორი წლის განმავლობაში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობებისა და მოსახლეობის წილი, შესაბამისად, 20.7%-დან 22.5%-მდე და 23.1%-დან 24.8%-მდე გაიზარდა (ფარდობითი სიღარიბის ზღვარი დადგენილია მედიანური მოხმარების 60%-ზე, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 177.1 ლარს შესაბამება). ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა 26.8%-დან 31.6%-მდე გაიზარდა. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პენსიონერთა წილიც 19.3%-დან 20.4%-მდე გაიზარდა. შეფასებების მიხედვით, სოფლებში ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 24.1%, ხოლო ურბანულ დასახლებებში - შინამეურნეობების 20.9%.

საქართველოში, ზოგადი სიღარიბის დონე გაიზარდა. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 16.4%-ს შეადგენდა, 2017 წელს ის 19.6%-მდე გაიზარდა; ამის მიუხედავად, 2013 წელთან შედარებით მდგომარეობა მაინც უკეთესია. საქართველოში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7%, ბავშვების 27.6% და პენსიონერების 17.6% (ზოგადი სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია 2.5 აშშ დოლარი დღეში, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 165.5 ლარს შეესაბამება). შეფასების მიხედვით, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სოფლად შინამეურნეობების 20.8% და ქალაქად - 18.4% ცხოვრობს. 2015 წელთან შედარებით, 2017 წელს ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რიცხვი, შესაბამისად, 3.2, 3.3, 5.9 და 2.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში ზოგადი სიღარიბის ზრდა სამწუხარო ფაქტია, ეს მაჩვენებლები მაინც უკეთესია 2013 წელთან შედარებით, როდესაც, ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შინამეურნეობების 21.8%, მოსახლეობის 24.6%, ბავშვების 28.4% და პენსიონერთა 20.6% ცხოვრობდა.

ამ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა; ყოველი მეზუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაკავშირდებული არ არის. შეფასების მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით, შინამეურნეობების 15.8%, მოსახლეობის 17.5%, ბავშვების 22.1% და პენსიონერების 13.9% საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (საარსებო მინიმუმად დადგენილია თვეში 148.3 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე). 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რიცხვი შესაბამისად 3.9, 4.2, 6.5 და 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ბავშვიან შინამეურნეობებში სიღარიბის მაჩვენებლები უფრო მაღალია. 2017 წელს, შინამეურნეობების 33%-ს სულ მცირე ერთი ბავშვი მაინც ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც. მაგალითად, ფარდობითი და ზოგადი

სიღარიბის ზღვრებს ქვემოთ ცხოვრობს ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების, შესაბამისად 27.2% და 24.5%. როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხებათ, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში - 33.4%-მდე იზრდება.

ბავშვთა სიღარიბის რისკი უფრო დაბალია ისეთ შინამეურნეობებში, რომლის ზრდასრული წევრის განათლების დონე შედარებით მაღალია ან რომლის ზრდასრულ წევრსაც რეგულარული ანაზღაურებადი სამუშაო აქვს. სიღარიბის ყველა დონეზე, დარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული წილი კვლავაც უფრო მაღალია, ვიდრე, მთელი მოსახლეობის, ან პენსიონერთა პროცენტული წილი. შინამეურნეობებში, მთლიან მოსახლეობასა თუ ბავშვებში სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ოჯახებში ზრდასრულთა განათლების მაღალ დონესთან. ამასთან ერთად, შინამეურნეობაში რეგულარულად დასაქმებული წევრის ყოლა ორჯერ მეტად ამცირებს ბავშვთა ზოგადი და ფარდობითი სიღარიბის რისკს.

შესწავლით პერიოდში შემცირდა ბავშვების მატერიალური დეპრივაციის დონე და შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციის დონე. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ 2017 წელს მატერიალურ დეპრივაციას შინამეურნეობების 6.1% განიცდიდა²⁹. თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს პენსიონერებზე (7.1%) ვიდრე ბავშვებზე (2.4%) ან მთლიან მოსახლეობაზე (3.7%). ბოლო ორი წლის მანძილზე მატერიალური დეპრივაციის მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა ყველა ჯგუფისათვის, გარდა ბავშვებისა (ბავშვთა მატერიალური დეპრივაცია 0.4 პროცენტული ერთეულით შემცირდა). რაც შეეხება საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციას³⁰, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუარესებული სოფლებში ვიდრე ქალაქებში. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში, იმ შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების რაოდენობა, რომლებიც საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციას განიცდიან, შესაბამისად 4.7, 4.3, 3.5 და 4.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სიღარიბის სუბიექტური შეფასების მაჩვენებელი მოსახლეობის ყველა ჯგუფში შემცირდა. იმის მიუხედავად, რომ 2017 წელს სამომხმარებლო სიღარიბე გაიზარდა, თავს ღარიბად ნაკლები ადამიანი გრძნობს. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2017 წელს სუბიექტური სიღარიბე

²⁹ მატერიალურ დეპრივაციად მიიჩნევა იმ შინამეურნეობების მდგომარეობა, რომლებსაც არ აქვთ ხუთი ან მეტი საგანი ქვემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან: მტვერსასრუტი, მანქანა, სარეცხის მანქანა, მაცივარი, მობილური ტელეფონი, უთო და ტელევიზორი.

³⁰ შინამეურნეობა საცხოვრებლის თვალსაზრისით დეპრივაციას განიცდის თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი პრობლემების ნუსხიდან სულ მცირე ორი პრობლემის წინაშე დგას: სახურავიდან წვიმა ჩამოდის, იატაკი ან კედლები დაზიანებულია, იატაკი მიწისაა, ფანჯრები ჩამტვრეულია, საცხოვრებელში არ არის საკმარისი სინათლე, ხმაური შემოდის ან ის მეტისმეტად პატარაა. ამასთან ერთად, ინტერვიუერმაც უნდა დაადასტუროს, რომ საცხოვრებლის მდგომარეობა მძიმე, ან ძალიან მძიმეა.

შინამეურნეობების 33.7%-ში³¹ დაფიქსირდა, ხოლო 2015 წელს - 38.4%-ში. უფრო მეტიც, სუბიექტურად ღარიბი შინამეურნეობები მთლიანი მოსახლეობის 30%-ს, ბავშვების 27.5%-ს და პენსიონერთა 36.0%-ს მოიცავს. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ბავშვებთან მიმართებაში, სხვაობა ზოგად სიღარიბესა და სუბიექტურ სიღარიბეს შორის მცირეა. კერძოდ, ბავშვების 27.6% ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ შინამეურნეობებში ცხოვრობს, ხოლო 27.5% - სუბიექტურად ღარიბ შინამეურნეობებში. სუბიექტური სიღარიბის დონის შემცირება შეიძლება ფაქტიური შემოსავლების ზრდით იყოს გამოწვეული.

უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა ბავშვიანი შინამეურნეობებისთვის, მაშინ, როცა იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ, მთავარი პრობლემა მედიკამენტების ფასებია. 2017 წლის კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით ხშირად ბავშვიან შინამეურნეობებში გვხვდება (ბავშვიანი შინამეურნეობების 28%-ში, მაშინ, როცა იმ შინამეურნეობებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ, ეს მაჩვენებელი 19%-ია). იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავდათ, ყველაზე მძიმე პრობლემა წამლების ყიდვის შესაძლებლობაა (ეს პრობლემა დაასახელა უბავშვო შინამეურნეობების 33%-მა და ბავშვიანი შინამეურნეობების 17%-მა). იმ ბავშვიან შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ძირითად პრობლემას სესხის ან საბანკო კრედიტის გადახდა წარმოადგენდა, 16%-დან (2015 წ.) 17%-მდე გაიზარდა; უბავშვო შინამეურნეობებში კი ეს მაჩვენებელი 10%-დან (2015 წ.) 8%-მდე (2017 წ.) შემცირდა.

საქართველოში შემცირდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე. იმ შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ქვეყნის მასშტაბით 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა, 4.2%-დან (2015 წ.) 2.5%-მდე (2017 წ.). უფრო მეტიც, მოსახლეობის 20.1% ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, რომლებსაც გაუმჯობესებულ სანიტარულ პირობებზე ხელი არ მიუწვდება. 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 3.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყველა ასპექტში, „მიწაზე საკუთრებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის“ გარდა. სოციალური გარიყულობა არაფულადი სიღარიბის კიდევ ერთ განზომილებაა, რომელიც ამ კვლევაში იქნა შესწავლილი³². 2015 წლის შემდეგ, სოციალური გარიყულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად

³¹ სუბიექტური სიღარიბე შინამეურნეობების თვითშეფასებით განისაზღვრება. სუბიექტურად ღარიბ შინამეურნეობებად მიიჩნევა ის შინამეურნეობები, რომლებიც აცხადებენ, რომ ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით, ან რომ იკვებებიან ისე ცუდად, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

³² შინამეურნეობა სოციალურად გარიყულად ითვლება თუ გარიყულობის ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტებიდან მას მინიმუმ სამი ახასიათებს: არასრული განათლება, მიწის არქონა ან უმუშევრობა, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის არქონა, კრედიტებზე წვდომის არქონა და სოციალურ დახმარებაზე წვდომის არქონა.

გაუმჯობესდა ყველა ასპექტში, მიწაზე საკუთრებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის გარდა. იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებიც მიწაზე საკუთრების ან დასაქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე იდგნენ, 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე შინამეურნეობების რიცხვი შემცირდა 44.1%-დან 22.9%-მდე; განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობის მქონე შინამეურნეობების წილი შემცირდა 15.3%-დან 8.2%-მდე; კრედიტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი შემცირდა 5.0%-დან 3.6%-მდე და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი შემცირდა 11.9%-დან 9.5%-მდე. მთლიანობაში, 2017 წელს სოციალურ გარიყულობას განიცდიდა შინამეურნეობების 2.8%, მათ შორის მთლიანი მოსახლეობის 2.6%, ბავშვების მთლიანი რაოდენობის 2.9% და პენსიონერების მთლიანი რაოდენობის 2.5%.

სავარაუდოდ, სიღარიბის მიმართ შინამეურნეობებისა და ცალკეული პირების მოწყვლადობა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებით იყო გამოწვეული. 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შედეგები გვიჩვენებს, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოში სიღარიბის დონე გაიზარდა. როგორც წესი, სიღარიბის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას მიიჩნევენ.³³ 2014 წელს, რეალური მშპ (ეროვნულ ვალუტაში) 4.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2015 წელს მისი ზრდის ტემპი 2.9%-მდე შემცირდა. საგულისხმოა, რომ 2015 წელს ლარის ძლიერმა გაუფასურებამ³⁴ აშშ დოლარით გამოსახული რეალური მშპ 20%-ით შეამცირა. 2016 წელს, რეალური მშპ-ს ზრდა კიდევ უფრო შენელდა 2.8%-მდე. ამის მიუხედავად, 2017 წელს, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 5%-ს გაუტოლდა. თუმცა, აღნიშნულმა ზრდამ შინამეურნეობებს ეკონომიკური კეთილდღეობა ვერ მოუტანა, რადგანაც სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა. გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2017 წელს მიღწეული ზრდა ინკლუზიური არ იყო. ამასთან ერთად, გასული ორი წლის მანძილზე, ლარის ძლიერ დევალვაციასთან ერთად, სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვებ პროდუქტებზე, თამბაქოზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, ჯანდაცვაზე, კომუნალურ მომსახურებაზე და ტრანსპორტზე. ასეთმა ეკონომიკურმა წნებმა შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურა შეცვალა. 2015 წელს ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით შინამეურნეობები, შემცირებული შემოსავლების მიუხედავად, მეტს ხარჯავდნენ (საშუალო ხარჯები 821.8 ლარი იყო, ხოლო საშუალო შემოსავალი 608.9 ლარი). კერძოდ, შინამეურნეობების საშუალო მთლიანმა შემოსავალმა საშუალო მოხმარების 74% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, 2013 წელთან შედარებით, რეალური საშუალო შემოსავალი 0.6%-ით შემცირდა, ხოლო

³³ Iceland, J., Kenworthy, L., & Scopilliti, M. (2005), Macroeconomic performance and poverty in the 1980s and 1990s: A state level analysis. Discussion Paper, 1299-05. Madison, WI: Institute for Research on Poverty.

³⁴ საშუალოდ, 2015 წელს, ქართული ლარი დოლართან მიმართებაში 28.5%-ით გაუფასურდა.

ხარჯები 12.4%-ით გაიზარდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2015 წელს ჭარბი ხარჯები დანაზოგების, სესხებისა და სხვა წყაროების მეშვეობით იფარებოდა. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი 608.9 ლარიდან 771.9 ლარამდე გაიზარდა. იმავე პერიოდში, შინამეურნეობების საშუალო ხარჯები, შესაბამისად, 821.8 ლარიდან 788.6 ლარამდე შემცირდა. 2017 წელს, ბალანსი შინამეურნეობების საშუალო შემოსავალსა და ხარჯებს შორის შემცირდა, რადგანაც საშუალო შემოსავალმა საშუალო მოხმარების 98% შეადგინა. ერთის მხრივ, შინამეურნეობებმა ნაკლები თანხების ხარჯვა დაიწყეს, ხოლო მეორეს მხრივ შემოსავალის ზრდა არ აღმოჩნდა საკმარისი ხარჯების დასაფარად.


ზოგადად, შინამეურნეობების ხარჯების განაწილება პროდუქტების ფასსა და მოხმარების მოცულობას ასახავს. კვლევა გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების მიერ საკვებზე, განათლებასა და გრძელვადიანი მოხმარების პროდუქტებზე გაწეული ხარჯები შემცირდა სამომხმარებლო ფასების ზრდასთან ერთად. დიდი ალბათობით, შინამეურნეობებმა დანაზოგები ამოწურეს, ხოლო დამატებით ფინანსურ რესურსებზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ, რის გამოც ისინი უფრო მოწყვლადნი გახდნენ. უფრო მეტიც, ფართოდ გავრცელებული ფაქტია, რომ დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების ბიუჯეტში საკვებზე გაწეული ხარჯების წილი უფრო მაღალია. ეს ნიშნავს, რომ 2015 წელს დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებზე უფრო მეტად აისახა ინფლაციური პროცესები, ვიდრე მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და დარიბი მოსახლეობის ჯგუფში მეტმა შინამეურნეობამ და პიროვნებამ გადაინაცვლა.

5. ტენდენციები და მიმართულებები

5.1 ტენდენციების და მიმართულებების მოკლე მიმოხილვა

3.1.1 თავში მითითებულია, რომ 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში შინამეურნეობების რეალური საშუალო შემოსავალი საქართველოში გაიზარდა, მაშინ როცა შინამეურნეობების სამუალო რეალური სამომხმარებლო ხარჯები შემცირდა. ამასთან ერთად, 4.1.1 თავში ნაჩვენებია, რომ სიღარიბის მაჩვენებლები სამივე სამომხმარებლო ზღვრის საფუძველზე 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობების 38.4% 2015 წელს საკუთარ თავს ღარიბად მიიჩნევდა საკუთარი სუბიექტური შეფასების საფუძველზე, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 4.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ერთი შეხედვით, სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლების კლება შეიძლება აიხსნას შემოსავლის დონის რეალური ზრდით (დიაგრამა 5.1).

დიაგრამა 5.1 შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავალი და მოხმარება (ერთ ეპივალენტურ ზრდასრულ პირზე) 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლების მუდმივ ფასებში



5.1.1 ახლად გაღარიბებული შინამეურნეობების მახასიათებლები

სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებლები არ წარმოაჩენს კეთილდღეობის ცვლილების დინამიკას, რამდენადაც ისინი ცვლილების წმინდა ეფექტურია. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ზოგიერთმა შინამეურნეობამ დაძლია სიღარიბე, ხოლო ზოგიერთი კი გაღარიბდა. ზოგადი სიღარიბის დონეზე, პანელური³⁵ შინამეურნეობების მხოლოდ 9.4%-მა დაძლია

³⁵ შინამეურნეობები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში“ 2015 და 2017 წლებში მიიჩნევიან პანელურ შინამეურნეობებად.

ზოგადი სიღარიბე აღნიშნული ორი წლის განმავლობაში ხოლო პანელური შინამეურნეობების 13.5% კი ახლად გადარიბდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფარდობითი სიღარიბის ზღვარზე პანელური შინამეურნეობების 11.5%-მა დაძლია სიღარიბე მაშინ როცა პანელური შინამეურნეობების 14.0% ახლად გადარიბდა (ცხრილი 5.1).

ცხრილი 5.1: შინამეურნეობების სიღარიბის სტატუსის ცვლილება 2015 წლიდან 2017 წლამდე შუალედში (n=2,396)

| სიღარიბის ზღვარი | თავი დააღწია სიღარიბეს (%) | არაფერი შეცვლილა (%) | გაღარიბდა (%) | შინამეურნეობების % მაჩვენებელი ვინც თავი დააღწია სიღარიბეს |
|---------------------|-------------------------------|----------------------------|---------------|---|
| უკიდურესი | 1.7 | 93.7 | 4.6 | -2.9 |
| ფარდობითი | 11.5 | 74.6 | 14.0 | -2.5 |
| ზოგადი | 9.4 | 77.1 | 13.5 | -4.0 |

5.2 ცხრილი პანელური მონაცემების საშუალებით ახდენს ფარდობით სიღარიბეში ახლად მოხვედრილ შინამეურნეობებისა და დანარჩენი შინამეურნეობების ურთიერთშედარებას. პანელურ შინამეურნეობებში, რომლებმაც ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ გადაინაცვლეს 2015 წლის შემდეგ საშუალოდ უფრო მეტი ალბათობით არის წარმოდგენილი ისეთი წევრები, რომლებსაც საშუალოზე დაბალი დონის განათლება აქვთ მიღებული, არ ჰყავთ ბავშვები და აზერბაიჯანული ან სომხური წარმოშობის არიან. ახლად გაღარიბებულ შინამეურნეობებს შორის 47.9 % სოფლად ცხოვრობს. ახლად გაღარიბებული შინამეურნეობების 2.7%-ს ერთი წევრი მაინც ყავს შეზღუდული შესაძლებლობებით მაშინ, როცა ასეთი პირები დანარჩენი შინამეურნეობის მხოლოდ 2.2%-ში არიან წარმოდგენილნი. იძულებით გადაადგილებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის არსებობა შინამეურნეობაში მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს გაღარიბების ალბათობაზე (ცხრილი 5.2).

ცხრილი 5.2: სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ახლად გადარიბებული შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი სხვა შინამეურნეობებთან შედარებით 2017 წელს (სულ n=2,396)

| ახლად გაღარიბებული შინამეურნეობები 2017(n=329) | სხვა შინამეურნეობები (n=2067) | χ^2 Sig | |
|--|-------------------------------------|--------------|----|
| სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების % | 47.9 | 49.2 | ns |
| მხოლოდ პენსიონერებისაგან შემდგარი შინამეურნეობები (%) | 18.7 | 19.5 | ns |

| | | | |
|---|------|------|----|
| შინამეურნეობები, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ცხოვრობენ (%) | 2.7 | 2.2 | ns |
| შინამეურნეობები, რომლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ (%) | 8.1 | 5.5 | ns |
| შინამეურნეობების მიერ მიღებული განათლების უმაღლესი დონე: | | | |
| % საშუალოზე დაბალი | 3.3 | 2.5 | ** |
| % საშუალო | 41.4 | 31.3 | |
| % პროფესიული | 23.7 | 19.7 | |
| % უმაღლესი | 31.6 | 46.5 | |
| შინამეურნეობაში ქალის მიერ მიღებული განათლების უმაღლესი დონე: | | | |
| % საშუალოზე დაბალი | 4.3 | 3.7 | * |
| % საშუალო | 46.7 | 35.7 | |
| % პროფესიული | 20.2 | 18.8 | |
| % უმაღლესი | 24.4 | 37.0 | |
| ბავშვთა რაოდენობა შინამეურნეობაში: | | | |
| % არცერთი | 59.6 | 68.0 | * |
| % ერთი ან ორი | 29.2 | 26.9 | |
| % სამი ან მეტი | 11.2 | 5.1 | |
| % აზერბაიჯანული შინამეურნეობები | 7.1 | 4.1 | * |
| % სომხური შინამეურნეობები | 12.8 | 6.4 | * |

გაღარიბებას ხშირად თან ახლავს სხვა გარემოებების გაუარესებაც. 5.3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაღარიბებული შინამეურნეობები, უფრო დიდი ალბათობით განიცდიან დეპრივაციას სხვა განზომილებებშიც. მაგალითად, ახლად გაღარიბებული შინამეურნეობა ორჯერ და უფრო მეტად დგას მატერიალური დეპრივაციის საფრთხის წინაშე, ვიდრე სხვა შინამეურნეობები (ცხრილი 5.3).


ცხრილი 5.3: გაღარიბებული შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, რომლებიც განიცდიან დეპრივაციას სხვა განზომილებებში (n=2,396)

| | გაღარიბების ფარდობითი მაჩვენებელი 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში | საერთო ალბათობის კოეფიციენტი | მანტელ- ჰანზსელის მნიშვნელობის დონე. |
|--|--|------------------------------------|---|
| | არა | კი | |
| განიცდის მატერიალურ დეპრივაციას (%) | 2.9 | 7.5 | 2.7 |
| განიცდის სოციალურ გარიყულობას (%) | 2.3 | 3.7 | 1.6 |
| არ აქვს კომუნალური მომსახურება (%) | 56.6 | 71.2 | 1.9 |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * p<0.05; ** p<0.01; *** p< 0.001

„მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ პანელური მონაცემების საფუძველზე შეფასდა ქრონიკული სიღარიბე. შინამეურნეობა ითვლება ქრონიკულად ღარიბად, თუ ის მოხვდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სამჯერ ან მეტჯერ 2011 წელს ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ შემდეგ. შინამეურნეობების 12.2%, მოსახლეობის 14.5%, ბავშვების 18.2% და პენსიონერების 10.1% ქრონიკულად ღარიბია და ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. კვლევის შედეგები მიუთითებს რომ აუცილებელია სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწა რათა უკეთესად განხორციელდეს ქრონიკულად ღარიბი მოსახლეობის დახმარება (დიაგრამა 5.2).


დიაგრამა 5.2: ქრონიკულად ღარიბი შინამეურნეობები, რომლებიც სამჯერ და მეტჯერ აღმოჩნდნენ ფარდობით და ზოგად სიღარიბეში (n=2396)




5.1.2 სამომხმარებლო კვინტილში მომხდარი გადაადგილებები

გასული ორი წლის განმავლობაში შინამეურნეობები არა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, არამედ სამომხმარებლო კვინტილებს შორისაც გადაადგილდებოდნენ. შეფასების თანახმად, პირველი კვინტილის პანელური შინამეურნეობების დაახლოებით 44% 2017 წელსაც ამავე კვინტილში დარჩა, მაშინ როცა პირველი კვინტილის შინამეურნეობების შესაბამისად 11% და 3% 2017 წელს მეოთხე და მეხუთე კვინტილებში გადაადგილდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, შინამეურნეობების მნიშვნელოვანი წილი ზედა კვინტილებიდან ქვედა კვინტილებში გადაადგილდა ე.ი. მოწყვლადი გახდა. საშუალოდ, მე-2 და მე-4 კვინტილების შინამეურნეობების 25%, მოსახლეობის 27%, ბავშვების 25% და პენსიონერების 24.3% იმავე კვინტილში დარჩა, ხოლო დანარჩენმა ერთი ან მეორე მიმართულებით გადაინაცვლა. მეხუთე კვინტილის შინამეურნეობების 18% გადაადგილდა პირველ ან მეორე კვინტილში. შინამეურნეობების დინამიკის შედარებისას (მოსახლეობა, ბავშვები და პენსიონერები) აღმოჩნდა, რომ ღარიბი ბავშვები ყველაზე ნაკლებად დინამიურ ჯგუფს წარმოადგენენ. კერძოდ, 2015 წელს პირველ კვინტილში მყოფი ბავშვების უდიდესი წილი 2017 წელსაც ამ კვინტილში დარჩა (56%) (დიაგრამა 5.3 - დიაგრამა 5.6).


დიაგრამა 5.3: შინამეურნეობების გადაადგილება სამომხმარებლო კვინტილებს შორის, 2015-2017




დიაგრამა 5.4: მოსახლეობის გადაადგილება სამომხმარებლო კვინტილებს შორის, 2015-2017



დიაგრამა 5.5: ბავშვების გადაადგილება სამომხმარებლო კვინტილებს შორის, 2015-2017



დიაგრამა 5.6: პენსიონერების გადაადგილება სამომხმარებლო კვინტილებს შორის, 2015-2017



5.2 სამომხმარებლო სიღარიბის ალბათობის მოდელირება

სტატისტიკური რეგრესიული მოდელის გამოყენება შეიძლება იმის პროგნოზირებისთვის, გადაკვეთს თუ არა კონკრეტული მახასიათებლის მქონე შინამეურნეობა სიღარიბის დადგენილ ზღვარს. ჩვენ ანალიზში გამოყენებულია ლოჯისტიკური რეგრესია. აღნიშნულ რეგრესიაში ამხსნელ ცვლადებად შეირჩა ადგილმდებარეობის, დემოგრაფიული, განათლებისა და დასაქმების მახასიათებლები.

განსაზღვრულ მახასიათებლებზე დაყრდნობით სიღარიბის ალბათობის დასადგენად რამდენიმე მოდელი იყო გამოყენებული. ლოჯისტიკური რეგრესიის მოდელი, რომელიც აფასებს შინამეურნეობის მიერ ფარდობითი სიღარიბის (177.1 ლარი) ზღვრის გადაკვეთას, გვიჩვენებს კონკრეტული შინამეურნეობის მახასიათებლების ცვლის ეფექტს შინამეურნეობის გაღარიბების ალბათობაზე მაშინ, როცა სხვა ყველა ცვლადი უცვლელია (ცხრილი 5.4).

როგორც 5.4 ცხრილშია ნაჩვენები, მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარ შინამეურნეობებს გაღარიბების ბევრად მცირე ალბათობა აქვთ. 4.1.5 ქვეთავი აგრეთვე გვიჩვენებს, რომ მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარ შინამეურნეობებს გაღარიბების სხვებზე მცირე ალბათობა აქვს, რაც შეიძლება ხელისუფლების მხრიდან საპენსიო ხარჯების ზრდის შედეგი იყოს.

ფარდობით სიღარიბეში აღმოჩენის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება, თუ შინამეურნეობაში 3 ან მეტი ბავშვია. ასევე, ფარდობით სიღარიბეში ყოფნის ალბათობა მაღალია იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებიც ორმაგ მატერიალურ დეპრივაციას განიცდიან.

სიღარიბის ალბათობა მცირდება, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი შემოსავლის შემომტანია. ასევე, ის შინამეურნეობები, სადაც განათლებული ქალი წევრები არიან წარმოდგენილნი, ფარდობით სიღარიბეში აღმოჩენის დაბალი ალბათობით ხასიათდებიან.

ცხრილი 5.4: შინამეურნეობის ფარდობით სიღარიბესთან დაკავშირებული მახასიათებლების (შინამეურნეობის თვიური ხარჯი ეზპ-ზე 177.1 ლარზე ნაკლები) ლოჯისტიკური რეგრესია, 2017 წ.

| შინამეურნეობის მახასიათებელი | B კოეფიციენტი | ალბათობის კოეფიციენტი | ვალდის მნიშვნელობის დონე |
|--|---------------|-----------------------|--------------------------|
| ქალაქად ცხოვრება სოფელთან შედარებით | | | |
| ქალაქი | -0.09 | 0.91 | ns |
| ბავშვების რაოდენობა (ბავშვების არყოლასთან შედარებით) | | | |

| | | | |
|---|-------|------|-----|
| 1 ან 2 | 0.26 | 1.29 | ns |
| 3 ან მეტი | 1.00 | 2.72 | ** |
| მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარი შინამეურნეობები სხვებთან შედარებით | | | |
| მხოლოდ მარტოხელა პენსიონერები | -0.68 | 0.51 | ** |
| ერთ პენსიონერზე მეტი | -0.58 | 0.56 | ** |
| დასაქმება | | | |
| შინამეურნეობაში რომელიმე დასაქმებული პირი | -0.98 | 0.38 | *** |
| იძულებით გადადგილებული პირის შინამეურნეობა | | | |
| | 0.33 | 1.89 | ns |
| შინამეურნეობები ორმაგი მატერიალური დეპრივაციით | | | |
| | 0.63 | 2.62 | ** |
| ჭალთა განათლების დონე შინამეურნეობაში იმ შინამეურნეობასთან შედარებით სადაც ჭალი საერთოდ არ არის წარმოდგენილი | | | |
| განათლების გარეშე | -1.25 | 0.29 | *** |
| განათლებით | -1.27 | 0.28 | *** |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო ; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$; შემთხვევების რაოდენობა = 2,396

დასკვნა

2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვარზე მნიშვნელოვნად მეტი პანელური შინამეურნეობა გადარიბდა ვიდრე დააღწია თავი სიღარიბეს. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პანელური შინამეურნეობების მხოლოდ 9.4%-მა დააღწია თავი ზოგად სიღარიბეს აღნიშნული ორი წლის განმავლობაში, ხოლო პანელური შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 13.5% ახლად გაღარიბდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფარდობითი სიღარიბის ზღვარზე პანელური შინამეურნეობების მთელი რაოდენობის 11.5%-მა დააღწია თავი ფარდობით სიღარიბეს, მაშინ როცა პანელური შინამეურნეობების 14.0% ახლად გაღარიბდა.

ბავშვები რჩებიან ყველაზე ნაკლებად დინამიურ ჯგუფად სამომხმარებლო კვინტილებს შორის გადაადგილების თვალსაზრისით. შეფასების თანახმად, 2015 წელს შინამეურნეობების

პირველი კვინტილის დაახლოებით 44% პირველ კვინტილში დარჩა 2017 წელსაც, მაშინ როცა პირველი კვინტილის შინამეურნეობების 11% და 3% 2017 წელს შესაბამისად მეოთხე და მეხუთე კვინტილებში გადაადგილდა. შინამეურნეობების დინამიკის შედარებისას (მოსახლეობა, ბავშვები და პენსიონერები) აღმოჩნდა, რომ ღარიბი ბავშვები ყველაზე ნაკლებად დინამიურ ჯგუფს წარმოადგენენ. კერძოდ, 2015 წელს პირველ კვინტილში მყოფი ბავშვების უდიდესი წილი 2017 წელსაც ამ კვინტილში დარჩა (56%).

ზოგად სიღარიბეში მყოფი ოჯახების ნახევარზე მეტი ქრონიკულად ღარიბია. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ (WMS) პანელური მონაცემების საფუძველზე შეფასდა ქრონიკული სიღარიბე. შინამეურნეობა ითვლება ქრონიკულად ღარიბად, თუ ის 2011 წლის შემდეგ „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში“ მოხვდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ სამჯერ ან მეტჯერ. შედეგები მიუთითებს, რომ შინამეურნეობების დაახლოებით 12.2%, მოსახლეობის 14.5%, ბავშვების 18.2% და პენსიონერების 10.1% ქრონიკულად ღარიბებს წარმოადგენ და ცხოვრობენ ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. კვლევის შედეგები მიუთითებს რომ აუცილებელია სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწა რათა უკეთესად განხორციელდეს ქრონიკულად ღარიბი მოსახლეობის დახმარება.

ფარდობით სიღარიბეში აღმოჩენის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება იმ შინამეურნეობებისთვის, სადაც 3 ან მეტი ბავშვია, მაშინ როცა ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება ისეთი შინამეურნეობებისთვის, სადაც მხოლოდ პენსიონერები არიან წარმოდგენილნი. სიღარიბის ალბათობა ასევე მცირდება ისეთი ოჯახებისთვის სადაც განათლებული ქალები და შემოსავლის შემომტანი წევრები არიან წარმოდგენილნი.

6. სოციალური ტრანსფერები

6.1 სოციალური ტრანსფერების მიღება

სოციალური შეღავათები უმთავრესი საშუალებაა მოსახლეობის ღარიბ და დაუცველ ჯგუფთა ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით რესურსების გადასანაწილებლად. 2017 წელს ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ ანალიზი ფოკუსირებულია სარგებლის სამ ძირითად კლასზე, ესენია: პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება (მსდ) ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად (შემდეგში მოხსენიებულია როგორც მსდ+ბდ), და კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები. 2017 წელს შინამეურნეობების მთელი რაოდენობის 67.5%-მა მიიღო სოციალური ტრანსფერების გარკვეული სახეობა. შინამეურნეობების რაოდენობა, რომელმაც ერთი სახის დახმარებაზე მეტი მიიღო, 11.4% შეადგინა. სხვა ჯგუფებს შორის, ბავშვების წილი უმაღლესია (35.3%) იმ ჯგუფებს შორის, რომელთაც არ მიუღიათ საერთოდ რაიმე სახის დახმარება (ცხრილი 6.1).

ცხრილი 6.1: შინამეურნეობები რომლებმაც მიიღეს სოციალური დახმარების სხვადასხვა კომბინაცია 2017 წელს

| მიღებული სოციალური დახმარების ტიპი | შინამეურნეობების % წილი (n=4,697) | მთლიანი მოსახლეობის % წილი რომელიც ასეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების % წილი | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების % წილი |
|---|---|--|---|--|
| მხოლოდ პენსიები | 47.0 | 44.8 | 34.9 | 80.3 |
| მსდ+ბდ | 3.8 | 4.4 | 7.8 | 0.0 |
| კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები მხოლოდ | 5.2 | 5.6 | 7.0 | 0.6 |
| მსდ+ბდ | 4.8 | 5.0 | 6.4 | 7.8 |
| პენსია და კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები | 5.3 | 5.4 | 6.2 | 8.5 |
| მსდ და კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები მხოლოდ | 0.7 | 0.8 | 1.6 | 0.0 |

| | | | | |
|---|------|------|------|-----|
| პენსია, მსდ და კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები | 0.6 | 0.7 | 0.9 | 0.9 |
| არცერთი ზემოაღნიშნული | 32.5 | 33.4 | 35.3 | 1.8 |

შენიშვნა: მიზნობრივი სოციალური დახმარება (მსდ/TSA) მოიცავს 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებას 10 ლარის ოდენობით. კატეგორიებზე დამყარებული დახმარება აღარ არის წინა რაუნდების შესაძარისი, რადგან მონაცემთა ბაზა შესწორდა და განახლდა.

კვლევის მიგნებების თანახმად, შინამეურნეობების დაახლოებით 57.8%-მა მიიღო პენსია. ოჯახების რაოდენობამ, რომლებმაც მიიღეს მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად (მსდ+ბდ) 10% შეადგინა, მაშინ როცა კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები 2017 წელს მიღებული იყო 11.7% -ის მიერ. რა თქმა უნდა, არსებობს ალბათობა, რომ ზოგიერთ შინამეურნეობას შესაძლოა რეალურად არ სჭირდებოდეს რაიმე სახის სოციალური დახმარება. თუმცა თუ შევაფასებთ შინამეურნეობების სიღარიბის სტატუსს მათი სამომხმარებლო ხარჯების საფუძველზე, სოციალური ტრანსფერების გამოკლებით (პენსიები, მსდ +ბდ და კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები), კვლავ რჩება უკიდურეს სიღარიბეში მყოფი 3.9%, ფარდობით სიღარიბეში მყოფი 12.8% და ზოგად სიღარიბეში მყოფი 11.7% შინამეურნეობების, რომლებიც საერთოდ არ იღებენ დახმარებას. თუ საპენსიო შემოსავალი ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, პენსიების მიმღები ოჯახების დაახლოებით 81.4% გადაინაცვლებს უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, 73.2% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და 74.1% ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად (მსდ+ბდ) ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, მაშინ ასეთი დახმარების მიმღები ოჯახების დაახლოებით 27.7% აღმოჩნდება უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, 19.9% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და 20.7% კი ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. და თუ კატეგორიებზე დამყარებული შეღავათი ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, აღნიშნული ტიპის დახმარების მიმღები ოჯახების 19.2% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდება, 16.1% ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და 16.2% კი ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ცხრილი 6.2).

ცხრილი 6.2: შინამეურნეობები, რომლებიც სამი განსხვავებული ტიპის სოციალურ დახმარებას იღებენ სიღარიბის სტატუსის მიხედვით მოხმარების საფუძველზე, სოციალური ტრანსფერებიდან ერთ-ერთის გამორიცხვით, 2017

| მიღებული სოციალური დახმარების ტიპი | შინამეურნეობების % წილი 2017 წელს (n=4,697) | უკიდურესად დარიბი შინამეურნეობების % წილი (შეწონვის გარეშე n=1229) | ფარდობით სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % წილი (შეწონვის გარეშე n=2187) | ზოგად სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % წილი (შეწონვის გარეშე n=2073) |
|---|---|---|---|--|
| პენსიები | 57.8 | 81.4 | 73.2 | 74.1 |
| მსდ+ბდ | 10.0 | 27.7 | 19.9 | 20.7 |
| კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები | 11.7 | 19.2 | 16.1 | 16.2 |
| ჩამოთვლილთაგან არცერთი | 32.5 | 3.9 | 12.8 | 11.7 |

შენიშვნა: სვეტებში მოცემული რიცხვების ჯამი არ არის 100% -ის ტოლი, რადგან ზოგიერთი შინამეურნეობა ერთზე მეტი სახის დახმარებას იღებს

6.2 სოციალური ტრანსფერების გავლენა სიღარიბეზე

საქართველოში სოციალური ტრანსფერების უმრავლესობა ისეა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს მწირი რესურსების მიმართვას ყველაზე გაჭირვებული შინამეურნეობებისკენ. სოციალური ტრანსფერის კონკრეტული ფორმა შიძლება კარგად იყოს მიმართული, მაგრამ თუ მისი დაფარვა ძალზე მცირეა ან გადახდილი დახმარების თანხა ძალზე დაბალი, ტრანსფერმა შესაძლოა ვერ იქონიოს გავლენა სიღარიბის მაჩვენებელზე ან სიღარიბის სიღრმეზე. მომდევნო თავებში ჩვენ განვიხილავთ პენსიებს, მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად და კატეგორიებზე დამყარებულ შეღავათებს. შევაფასებთ მათ ზემოქმედებას, მიზნობრიობის, დაფარვის, დონისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით (ჩანართი 6.1).

ჩანართი 6.1: სოციალური ტრანსფერების შეფასება

მიზნობრიობა: შეღავათის მიმღებთა წილი, რომლებიც შინამეურნეობათა უღარიბეს ჯგუფში ხვდებიან

დაფარვა: შინამეურნეობების უღარიბესი ჯგუფის წილი, რომლებიც შეღავათის მიმღებნი არიან

დონე: მიღებული შეღავათის საშუალო ოდენობა

ეფექტურობა: ხარისხი, რომლითაც შეღავათის მიღება ამცირებს სიღარიბის მაჩვენებელს და სიღარიბის სიღრმეს

6.3 პენსიები

6.3.1 პენსიების მიზნობრიობა

საპენსიო ტრანსფერები მატერიალური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე არ განისაზღვრება და როგორც ცხრილი 6.3 გვიჩვენებს, ისინი, სხვა შეღავათებთან შედარებით, უფრო თანაბრადაა განაწილებული სხვადასხვა სარეიტინგო ქულის მქონე შინამეურნეობებს შორის. საქართველოში შინამეურნეობების ნახევარზე მეტში (58.9%) საპენსიო ასაკის ერთი პირი მაინც არის წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა შინამეურნეობაში არ არის პენსიონერი, პენსიის დაფარვა საყოველთაო არ არის.


ცხრილი 6.3: სამი სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების მიმღები შინამეურნეობები, მინიჭებული სარეიტინგო ქულების მიხედვით, 2017 (n=4,697)

| მიღებული სოციალური დახმარების ტიპი | 0 -დან 30,000 -მდე % (n=120) | 30,001 -დან 57,000 -მდე % (n=237) | 57,001 -დან 60,000 -მდე % (n=37) | 60,001-დან 65,000 -მდე % (n=43) | 65,001 -დან 100,000 - მდე % (n=253) | 100,000 - ზე მეტი % (n=231) | ქულების რაოდენობა უცნობია % (n=1088) | განაცხადი არ გაუკეთებია % (n= 2688) |
|---|------------------------------------|---|--|---------------------------------------|--|-----------------------------------|---|---|
| პენსიები | 48.3 | 54.6 | 65.3 | 65.3 | 66.5 | 58.6 | 63.1 | 55.7 |
| მსდ+ბდ | 100 | 94.7 | 89.1 | 88.0 | 17.0 | 0 | 0 | 0 |
| კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები | 11.5 | 17.1 | 34.6 | 14.0 | 17.9 | 15.1 | 14.1 | 9.4 |
| ჩამოთვლილთაგან არცერთი | 0 | 0 | 0 | 0 | 19.6 | 33.0 | 30.1 | 39.7 |

შენიშვნა: სვეტებში მოცემული რიცხვების ჯამი არ არის 100% -ის ტოლი, რადგან ზოგიერთი შინამეურნეობა ერთზე მეტი სახის დახმარებას იღებს; ^aეს ის შინამეურნეობებია, რომლებსაც არ მიუმართავთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის

თუკი შინამეურნეობის ერთი ეკვივალენტური ზრდასრული პირის მოხმარების ყოველთვიურ მაჩვენებელს გამოვაკლებთ ეკვივალენტური ზრდასრული პირის საპენსიო შემოსავალს, ეს ტრანსფერამდელი მოხმარება შეიძლება დაიყოს ათეულებად (დეცილებად) მინიმალურიდან მაქსიმალურამდე. 6.1 დიაგრამა გვიჩვენებს, რომ თუკი პენსიების მიმღები შინამეურნეობების 17.3%, მოსახლეობის უღარიბეს მეათედში შედის, უმდიდრეს სამ დეცილს საპენსიო შემოსავლის მქონეთა 6%-ზე მეტი მიეკუთვნება. ცხადია რომ პენსიები მხოლოდ ღარიბებისთვის არ არის გამიზნული.

დიაგრამა 6.1: პენსიების მიმღები შინამეურნეობების განაწილება პენსიის ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილებში, 2017 (შეწონვის გარეშე $n=2,771$)



6.3.2 პენსიების დაფარვა

6.4 ცხრილი გვიჩვენებს პენსიის ტრანსფერამდელი დეცილების მოხმარების დონეებს ყველა შინამეურნეობაში. უღარიბესი დეცილის მოხმარების უარყოფითი მაჩვენებლები ნიშნავს იმას, რომ ზოგ შემთხვევაში ტრანსფერი მოხმარებას აღემატება. ცხრილი, აგრეთვე, გვიჩვენებს პენსიების განაწილებას შინამეურნეობების ყველა დეცილს შორის. უღარიბესი დეცილის შინამეურნეობათა უმრავლესობა იღებს პენსიებს. მეცხრე და მეათე დეცილებში, სადაც ეკვივალენტური ზრდასრული პირის პენსიამდელი საშუალო მოხმარება 509 ლარი და 870 ლარია, შინამეურნეობების 44.0% და 34.3% იღებს პენსიას ხანდაზმული ასაკის გამო.

ცხრილი 6.4: შინამეურნეობების მიერ პენსიების მიღება, პენსიის მიღებამდე გათვლილი ეზპ-ის მოხმარების დეცილის მიხედვით, 2017 წ (n=4,697)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება(ლარი) | ეზპ-ის საშუალო ყოველთვიური მოხმარება პენსიამდე | დეცილში პენსიის მიმღები შინამეურნეობების % 2017 |
|---------------------|--|--|---|--|
| 1 | -226.08 | 12.87 | -56.33 | 99.5 |
| 2 | 14.05 | 78.12 | 48.54 | 82.6 |
| 3 | 78.33 | 119.89 | 99.90 | 68.0 |
| 4 | 120.09 | 166.21 | 141.83 | 57.4 |
| 5 | 166.24 | 214.53 | 189.12 | 50.8 |
| 6 | 214.57 | 274.71 | 244.34 | 47.4 |
| 7 | 274.82 | 345.35 | 309.72 | 50.6 |
| 8 | 345.43 | 443.28 | 390.11 | 42.7 |
| 9 | 443.40 | 594.32 | 508.79 | 44.0 |
| 10 | 594.33 | 4356.68 | 869.77 | 34.3 |
| Total | -226.08 | 4356.68 | 274.07 | 57.8 |

შენიშვნა: ეზპ-ის პენსიამდელი მოხმარების დეცილის ჯგუფი ყველა შინამეურნეობის რეიტინგის საფუძველზეა დადგენილი

თუ მონაცემებს ხელახლა გავაანალიზებთ და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ შინამეურნეობებზე, რომლებშიც საპენსიო ასაკის ერთი პირი მაინც ცხოვრობს დავინახავთ, რომ პენსიებს თითქმის ყველა ეს შინამეურნეობა იღებს. ამგვარად, პენსიების დაფარვა საკმაოდ მაღალია (ცხრილი 6.5).

ცხრილი 6.5: პენსიების მიღება იმ შინამეურნეობებში, სადაც ცხოვრობენ საპენსიო ასაკის პირები, ეზპ-ის პენსიის მიღებამდე გათვლილი მოხმარების დეცილის მიხედვით, 2017 (შეწონვის გარეშე ქ=2748)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება(ლარი) | ეზპ-ის საშუალო ყოველთვიური მოხმარება პენსიამდე | დეცილში პენსიის მიმღები შინამეურნეობების % 2017 |
|---------------------|--|--|---|--|
| 1 | -226.08 | 12.87 | -56.88 | 100.00 |
| 2 | 14.05 | 78.12 | 47.03 | 98.19 |
| 3 | 78.33 | 119.89 | 98.79 | 98.66 |
| 4 | 120.15 | 166.21 | 141.08 | 99.39 |
| 5 | 166.24 | 214.53 | 188.94 | 98.06 |
| 6 | 214.57 | 274.69 | 244.63 | 97.58 |
| 7 | 274.82 | 345.35 | 309.73 | 94.29 |
| 8 | 345.99 | 443.28 | 388.47 | 92.54 |
| 9 | 443.63 | 594.32 | 509.82 | 97.42 |
| 10 | 596.41 | 2688.35 | 835.11 | 90.37 |
| სულ | -226.08 | 2688.35 | 208.37 | 97.26 |

6.3.3 პენსიების დონე

კვლევის თანახმად იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც საპენსიო ასაკის პირები ცხოვრობენ, მიღებული პენსიის საშუალო ოდენობა თვეში 234 ლარს შეადგენს (მედიანური 180 ლარი). ფაქტობრივად, ეს შეადგენს იმ შინამეურნეობების მოხმარების 32%-ს, რომლებშიც, სულ მცირე, ერთი პენსიონერი მაინც ცხოვრობს (საშუალოდ, თვეში 735.8 ლარი შინამეურნეობაზე). იმ შინამეურნეობებში, სადაც მხოლოდ ერთი პენსიონერი ცხოვრობს, საშუალო პენსია მოხმარების 61.3%-ია (2015 წლის შემდეგ გაიზარდა 10.4 პროცენტულ პუნქტამდე), და ერთზე მეტი პენსიონერისგან შემდგარ შინამეურნეობებში კი ის შეადგენს 68.7%-ს (გაიზარდა 11.7 პროცენტულ პუნქტამდე 2015 წლის შემდეგ).

6.3.4 პენსიების ეფექტურობა სიღარიბის შემცირებაში

საქართველოში შინამეურნეობები საკმაოდ კომპლექსური სტრუქტურით გამოირჩევა, რომლებშიც, ხშირად, სამი თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ. 2017 წელს შინამეურნეობათა 33.4%-ში სულ მცირე, ერთი ბავშვი იყო წარმოდგენილი (შემცირდა 5.1 პროცენტულ პუნქტამდე 2015 წლის შემდეგ), და ასეთი შინამეურნეობების თითქმის ნახევარში ცხოვრობდა ერთი პენსიონერი მაინც. მეორე მხრივ, შინამეურნეობათა 58.9%-ში ცხოვრობდა, სულ მცირე, ერთი პენსიონერი (მაჩვენებელი გაიზარდა 1.5 პროცენტულ პუნქტამდე 2015 წლის შემდეგ); ასეთ შინამეურნეობათა ერთ მესამედს კი ჰყავდა ბავშვი წევრი (ცხრილი 6.6).

ცხრილი 6.6: ბავშვებიანი და პენსიონერებიანი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი, 2015 წელს და 2017 წელს

| | 2015 | | | 2017 | | |
|----------------|--------------------|------------|------|--------------------|------------|------|
| | პენსიონერის გარეშე | პენსიონერი | სულ | პენსიონერის გარეშე | პენსიონერი | სულ |
| ბავშვის გარეშე | 22.7 | 38.8 | 61.5 | 23.9 | 42.8 | 66.6 |
| ბავშვი | 19.9 | 18.6 | 38.5 | 17.3 | 16.1 | 33.4 |
| სულ | 42.6 | 57.4 | 100 | 41.1 | 58.9 | 100 |

შენიშვნა: შერჩევის ზომა 2015 წელს = 4,533; შერჩევის ზომა 2017 წელს = 4,697

თუკი საპენსიო შემოსავალს ამოვიღებთ შინამეურნეობის მოხმარების მაჩვენებლიდან, რომელიც სიღარიბის მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოიყენება, ხსენებული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზრდება. ფაქტიურად, ეს ეხება არა მხოლოდ პენსიონერებს, არამედ ოჯახის სხვა წევრებსაც. პენსიონერთა თითქმის მეხუთედი ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლებიც ფარდობითი სიღარიბის ზღვრის მიხედვით „ღარიბად“ მიიჩნევა. პენსიების სახით გაცემული სოციალური ტრანსფერების არარსებობის შემთხვევაში, ფარდობითი სიღარიბე პენსიონერებისთვის მკვეთრად გაიზრდება 20.4%-დან 56.5%-მდე. ფარდობით სიღარიბეში მყოფ შინამეურნეობებში, დაახლოებით ბავშვების მთლიანი რაოდენობის 9.7 % ცხოვრობს, რომლებმაც პენსიის შემოსავლის წყალობით თავი დააღწიეს სიღარიბეს. ეს ეფექტი 2015 წლის შედეგის იდენტურია - როდესაც პენსიებმა ბავშვების 9.7% გამოიყვანა სიღარიბიდან (ცხრილი 6.7).

ცხრილი 6.7: საპენსიო შემოსავლის სავარაუდო გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % (n=4,697) | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ყველა ბავშვის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ყველა პენსიონერის % |
|--|--|---|--|--|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| პენსიების გამოკლებით | 21.1 | 16.5 | 13.1 | 34.1 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |
| პენსიების გამოკლებით | 42.5 | 40.2 | 41.3 | 56.5 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |
| პენსიების გამოკლებით | 39.9 | 37.1 | 37.3 | 53.9 |

სიღარიბის დონეზე გავლენის გარდა, სოციალურ ტრანსფერებს შეუძლია შინამეურნეობებისათვის სიღარიბის დასაძლევად საჭირო მოხმარების მოცულობის გაზრდა. 6.8 ცხრილი ასახავს პენსიის გავლენას სიღარიბის სიღრმეზე იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც შეღავათის მიმღები პენსიონერები ცხოვრობენ. უკიდურესად გაჭირვებულ შინამეურნეობაში პენსიის მიღება 78.8 პროცენტული პუნქტით ამცირებს სიღარიბის საშუალო სიღრმეს მაშინ როცა ფარდობით და ზოგად სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობებისთვის შესაბამისად 42.5 და 44.3 პროცენტული პუნქტით ამცირებს (ცხრილი 6.8). შედეგები მიუთითებს, რომ პენსიები უდიდეს გავლენას ახდენს პენსიონერებზე. მხოლოდ 2017 წელს მთავრობის საპენსიო ტრანსფერებმა 1.6 მლრდ. ლარი შეადგინა.

ცხრილი 6.8: პენსიის გავლენა სიღარიბის ნაპრალზე იმ ღარიბ შინამეურნეობებში, სადაც პენსიონერები ცხოვრობენ, 2017

| სიღარიბის ზღვარი | ღარიბი შინამეურნეობების მიერ პენსიის მიღება | |
|-----------------------------------|---|------------------|
| | სიღარიბის სიღრმე | უფასო (გრძელები) |
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8ლარი) | 28.7 | 78.8 |
| პენსიების გამოკლებით | 107.5 | |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 30.4 | 42.5 |
| პენსიების გამოკლებით | 72.9 | |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 30.2 | 44.3 |
| პენსიების გამოკლებით | 74.5 | |

6.4 მიზნობრივი სოციალური დახმარება (მსდ)

2017 წელს მთავრობის ტრანსფერებმა მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად (მსდ+ბდ) 258 მლნ. ლარი შეადგინა. პენსიებისგან განსხვავებით, ამ დახმარების გაცემა ხდება ირიბი ნიშან-თვისებებით ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე. ცხრილი 6.3 გვიჩვენებს, რომ შესაბამის ქულებზე დაყრდნობით ამ შეღავათის მიმღები შინამეურნეობების მაჩვენებელი 17%-დან 100%-მდე მერყეობს. უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობები, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 65,000-დან 100,000-მდე, იღებენ მხოლოდ 10 ლარს ერთ ბავშვზე 16 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის.


მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად გამოიყენება ღარიბი შინამეურნეობების იდენტიფიკაციისთვის. მიუხედავად ამისა, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების მხოლოდ 37.4%, ფარდობით სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების 25.8% და ზოგად სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების 27.2% იღებს დახმარებას.

6.4.1 მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების სამიზნეთა განსაზღვრა

როცა განვახორციელებთ შინამეურნეობების მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიღებამდე არსებული მოხმარების მიხედვით

დახარისხებას და სათანადო დეცილებსა თუ კვინტილებში დაჯგუფებას, დავინახავთ, რომ გაცემული მიზნობრივი სოციალური დახმარების 69.7% უღარიბეს დეცილზე ნაწილდება და აქედან ოთხ მეტუთედზე მეტი (85.1%) შინამეურნეობების უღარიბეს 20%-ზე გაიცემა. ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გამოკლებით, მთელი მიზნობრივი სოციალური დახმარების 69.5% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 64.8% იყო) გადაეცემა უღარიბეს ოჯახებს და 85% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 82% იყო) გადაეცემა შინამეურნეობების უღარიბეს მეტუთედს (დიაგრამა 6.2).

დიაგრამა 6.2ა: დახმარების განაწილება 2017 და 2015 წელს




შენიშვნა: დახმარების განაწილება ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილის მიხედვით

მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიმღები შინამეურნეობების ნახევარზე მეტი (54.5%) უღარიბეს დეცილს მიეკუთვნება, ხოლო 71.6% შინამეურნეობების უღარიბეს მეტუთედს. შინამეურნეობების 57.9% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 52.4%-ს შეადგინდა) რომლებმაც მიზნობრივი სოციალური დახმარება მიიღეს მიეკუთვნებიან უღარიბეს დეცილს და მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა 74.7% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 72.0% იყო) მიეკუთვნება შინამეურნეობების უღარიბეს მეტუთედს (დიაგრამა 6.2ბ).

მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარება კარგად არის სამიზნეზე ორიენტირებული გარკვეული ფორმით: დახმარების მიმღები შინამეურნეობების ძალზე მცირე რაოდენობა მიეკუთვნება დეცილებს, სადაც შეძლებული

შინამეურნეობებია წარმოდგენილი. თუმცა, ღარიბ დეცილებში შემავალი შინამეურნეობების კვლავაც დიდი რაოდენობა არ იღებს დახმარებას. ეს ნიშნავს, რომ ბევრი რამ არის გამოსასწორებელი.

დიაგრამა 6.2ბ: შინამეურნეობების განაწილება მიზნობრივი სოციალური დახმარების სტატუსის მიხედვით 2017 და 2015 წელს



შენიშვნა: დახმარების განაწილება ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილის მიხედვით

მიზნობრივი სოციალური დახმარება უკეთესად არის მიმართული ბავშვიანი შინამეურნეობებისკენ. 2017 წლისთვის ბავშვიანი შინამეურნეობების 15.4% იღებდა მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად და მათი 12.6% იღებდა მხოლოდ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, ბავშვის გარეშე შინამეურნეობები იღებდნენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად ან მხოლოდ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

ცხრილი 6.9: შინამეურნეობების მიერ მიზნობრივი სოციალური დახმარებისა (ბავშვისთვის განკუთვნილი დახმარებასთან ერთად) და მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება ბავშვების მიხედვით (<16 წელზე უმცროსი) (n=4,697)

| | მსდ+ბდ | | მხოლოდ მსდ | |
|-----------------------------------|-------------|----------------|-------------|----------------|
| | ბენეფიციარი | არაბენეფიციარი | ბენეფიციარი | არაბენეფიციარი |
| შინამეურნეობები ბავშვის გარეშე | 7.3 | 92.7 | 7.3 | 92.7 |
| ბავშვიანი შინამეურნეობები | 15.4 | 84.7 | 12.6 | 87.4 |

6.4.2 მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების (მსდ+ბდ) დაფარვა

ცხრილი 6.10ა გვიჩვენებს მოხმარების დონეებს მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების ტრანსფერამდე შინამეურნეობების ყველა დეცილში. ცხრილი, ასევე, გვიჩვენებს მიზნობრივი სოციალური დახმარების დაფარვას შინამეურნეობების ყველა დეცილში. 6.10ა ცხრილის თანახმად, პირველ და მეორე დეცილებში შინამეურნეობების საშუალო მოხმარება ფარდობითი სიღარიბის ზღვრის (177.1 ლარი ეზპ-ზე თვეში) ქვემოთაა. მხოლოდ უღარიბესი დეცილის შინამეურნეობების 54.3% და მეორე დეცილში მყოფი შინამეურნეობების 17.0% იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად. თუ იგივე ანალიზს გავიმეორებთ მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარებისთვის (ცხრილი 6.10ბ), მაშინ აღნიშნული ოჯახების წილი პირველ და მეორე დეცილებში, რომლებიც იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, გაუტოლდება შესაბამისად 52.3%-ს (2015 წელს ეს მაჩვენებელი 59.4% იყო) და 15.2%-ს (2015 წელს ეს მაჩვენებელი 22.1% იყო).

ცხრილი 6.10ა: მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვისთვის განკუთვნილი დახმარების მიღება ეკვივალენტური ზრდასრული პირის ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილის მიხედვით 2017 წელს (n=4,697)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის საშუალო ყოველთვიური მოხმარება მსდ+ბდ მიღებამდე | დეცილში მსდ+ბდ მიმღები შინამეურნეობების % წილი 2017 |
|---------------------|--|---|--|--|
| 1 | -90.76 | 102.93 | 51.27 | 54.34 |
| 2 | 103.08 | 157.25 | 131.86 | 17.01 |
| 3 | 157.25 | 198.58 | 178.94 | 7.24 |

| | | | | |
|-----|--------|---------|--------|------|
| 4 | 198.74 | 242.53 | 219.92 | 6.17 |
| 5 | 242.60 | 291.31 | 266.21 | 6.09 |
| 6 | 291.46 | 345.19 | 319.17 | 3.3 |
| 7 | 345.40 | 409.20 | 376.91 | 2.46 |
| 8 | 409.48 | 503.12 | 453.10 | 1.89 |
| 9 | 503.20 | 667.86 | 574.76 | 0.98 |
| 10 | 668.26 | 4356.68 | 929.62 | 0.16 |
| სულ | -85.06 | 4356.68 | 350.08 | 9.97 |

შენიშვნა: ^a მსდ+ბდ მიღებამდე გათვლილი ეზპ-ის მოხმარების დეცილის ჯგუფი ყველა შინამეურნეობის მაჩვენებლის საფუძველზე დადგენილი


ცხრილი 6.10ბ: მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება ეკვივალენტური ზრდასრული პირის ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილის მიხედვით 2017 წელს (n=4,697)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის საშუალო ყოველთვიური მოხმარება მსდ მიღებამდე | დეცილში მსდ მიმღები შინამეურნეობების % წილი 2017 |
|---------------------|---|---|---|--|
| 1 | -85.06 | 103.10 | 52.96 | 52.3 |
| 2 | 103.45 | 157.25 | 132.40 | 15.22 |
| 3 | 157.32 | 198.76 | 179.07 | 5.88 |
| 4 | 198.78 | 242.53 | 220.00 | 5.53 |
| 5 | 242.60 | 291.31 | 266.30 | 4.66 |
| 6 | 291.46 | 345.19 | 319.22 | 2.43 |
| 7 | 345.40 | 409.20 | 376.95 | 1.62 |
| 8 | 409.48 | 503.12 | 453.13 | 1.7 |
| 9 | 503.20 | 667.86 | 574.78 | 0.98 |
| 10 | 668.26 | 4356.68 | 929.62 | 0.1 |
| სულ | -85.06 | 4356.68 | 350.32 | 9.05 |

შენიშვნა: ^a მსდ-ს მიღებამდე გათვლილი ეზპ-ის მოხმარების დეცილის ჯგუფი ყველა შინამეურნეობის მაჩვენებლის საფუძველზეა დადგენილი

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნა 2009 წლის შემდეგ, უდარიბესი მეათედის დაახლოებით 47.8% და მომდევნო უდარიბესი მეათედის 84.8% კვლავ არ იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. 2015 წლიდან 2017 წლამდე შუალედში მიზნობრივი სოციალური დახმარების დაფარვა შემცირდა შესაბამისად 7.2 და 6.9 პროცენტული პუნქტით პირველ და მეორე დეცილის ჯგუფებში (დიაგრამა 6.3).

დიაგრამა 6.3: შინამეურნეობების მიერ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება დეცილების მიხედვით 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში



როგორც უკვე აღინიშნა ანალიზის დასაწყისში, 2013 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ დაიწყო მიზნობრივი სოციალური დახმარების სტრუქტურული რეფორმა. შედეგად მიზნობრიობის ფორმულა შეიცვალა და ბავშვების დახმარების პროგრამა (ბდპ) იქნა შემოღებული. თუმცა, ახალი პროგრამა მოგვიანებით, 2015 წელს დაიწყო და კომპენსაციები დაინერგა იმავე წლის აგვისტოში. სიმულაციის მიზნებისთვის ჩვენ ვუშვებთ, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვების დახმარება (10 ლარი 16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე) რომელიც მიღებული იყო 2017 წელს ბენეფიციარების მიერ, მიღებული უნდა ყოფილიყო 2013 წელს. ამდენად, ჩვენ განვახორციელეთ მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების კორექტირება 2017 წლის ფასების ინფლაციით, რომ გვენახა განსხვავება ფაქტიურ და პოტენციურ შედეგებს შორის. როგორც 6.11 ცხრილშია ნაჩვენები, უდარიბეს დეცილში არსებული ოჯახების წილი იქნებოდა 56.9%, რაც 6.10a ცხრილში მოცემული ფაქტიური შედეგების გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2.5

პროცენტული პუნქტით. პირველი და მეორე დეცილების შინამეურნეობების საშუალო მოხმარება (ეზპ-ზე) კვლავ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს (177.1 ლარი) ქვევითაა.

ცხრილი 6.11: მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვის დახმარება ეკვივალენტური ზრდასრული პირის ტრანსფერამდელი მოხმარების დეცილის მიხედვით 2017 წლის ფასებით (n=4,697)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება (ლარი) | საშუალო ყოველთვიური მოხმარება მსდ+ბდ მიღებამდე | დეცილში მსდ+ბდ მიმღები შინამეურნეობების % წილი |
|---------------------|--|---|--|---|
| 1 | -109.1 | 101.3 | 44.5 | 56.9 |
| 2 | 101.3 | 156.6 | 130.1 | 16.6 |
| 3 | 156.6 | 197.4 | 178.4 | 7.4 |
| 4 | 197.4 | 241.9 | 219.3 | 5.4 |
| 5 | 242.0 | 291.3 | 265.8 | 4.9 |
| 6 | 291.3 | 344.9 | 318.8 | 3.3 |
| 7 | 345.1 | 408.7 | 376.7 | 2.6 |
| 8 | 408.9 | 503.1 | 453.0 | 1.6 |
| 9 | 503.2 | 667.9 | 574.7 | 1.0 |
| 10 | 668.3 | 4356.7 | 929.6 | 0.2 |
| სულ | -109.1 | 4356.7 | 349.0 | 10.0 |

შენიშვნა: ^aმსდ+ბდ მიღებამდე გათვლილი ეზპ-ის მოხმარების დეცილის ჯგუფი ყველა შინამეურნეობის მაჩვენებლის საფუძველზეა დადგენილი

6.4.3 მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვის დახმარების დონე

რაც შეეხება იმ შინამეურნეობებს, რომლებიც იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვის დახმარებასთან ერთად, ხსენებულ შემწეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქს მათ მთლიან მოხმარებაში. საშუალოდ ეს ოჯახები იღებენ 66.9 ლარს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (71.4 ლარს მედიანური მნიშვნელობით). მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვის დახმარებასთან ერთად შეადგენს ეკვივალენტური ზრდასრული პირის მიხედვით აღნიშნული შემწეობის მიმღები შინამეურნეობების მოხმარების 36.0%. თუ განვიხილავთ მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარებს, ასეთი შინამეურნეობები საშუალოდ იღებენ 70.9 ლარს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (71.5

ლარი მედიანური მნიშვნელობით). მიზნობრივი სოციალური დახმარება მისი ბენეფიციარი შინამეურნეობების მოხმარების (ეზპ-ის მიხედვით) 39.3%-ის ეკვივალენტურია.

6.4.4 მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების ეფექტურობა სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ აჩვენებს, რომ შინამეურნეობების საერთო რაოდენობის 4.3% უკიდურესად ღარიბია. თუ მიზნობრივი სოციალური დახმარებით და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარებით მიღებული შემოსავალი ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბის დონე ბავშვებს შორის გაიზრდება 6.8%-დან 13.1%-მდე, და პენსიონერებს შორის 3.7%-დან 5.6%-მდე. უკიდურესად ღარიბად მიჩნეულ შინამეურნეობებში ბავშვების საერთო რაოდენობის 6.3%-მა დაძლია უკიდურესი სიღარიბე შინამეურნეობის მიერ მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიღებით (ცხრილი 6.12ა).

ცხრილი 6.12ა: მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % (n=4,697) | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების მთლიანი რაოდენობის % |
|--|---|---|---|---|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 7.4 | 8.8 | 13.1 | 5.6 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 24.2 | 26.7 | 34.2 | 22.1 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 21.6 | 24.0 | 30.8 | 19.5 |

6.12ბ ცხრილი ასახავს მიზნობრივი სოციალური დახმარების გავლენას (ბავშვის დახმარების გამოკლებით) 2017 წლის სიღარიბის მაჩვენებლებზე. თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბის დონე ბავშვებს

შორის გაიზრდება 6.8%-დან 12.9%-მდე. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული შემწეობის მიხედვით უკიდურესად დარიბად მიჩნეულ შინამეურნეობებში ბავშვების საერთო რაოდენობის 6.1%-მა დაძლია სიღარიბე.

ცხრილი 6.12ბ: მიზნობრივი სოციალური დახმარების სავარაუდო გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % (n=4,697) | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების მთლიანი რაოდენობის % |
|-----------------------------------|---|---|--|--|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| მსდ -ის გამოკლებით | 7.3 | 8.6 | 12.9 | 5.6 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |
| მსდ -ის გამოკლებით | 24.1 | 26.6 | 34.1 | 22.1 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |
| მსდ -ის გამოკლებით | 21.5 | 23.8 | 30.4 | 19.4 |

იმავე დაშვების გათვალისწინებით რაც 6.4.3 თავშია მოცემული, შეფასდა მიზნობრივი სოციალური დახმარებითა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარებით მიღებული შემოსავლის (2017 წლის კორექტირებული ფასებით) გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე. ცხრილი 6.12გ მიუთითებს, რომ თუ **მიზნობრივი სოციალური დახმარება** და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარება ამოღებული იქნება შინამეურნეობის მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბე ბავშვებს შორის გაიზრდება 6.8%-დან 13.8%-მდე. ასეთ შემთხვევაში, ბავშვების მთლიანი რაოდენობის 7% დაძლევს უკიდურეს სიღარიბეს .

ცხრილი 6.12გ: მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების სავარაუდო გავლენა სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წლის ფასების გათვალისწინებით

| სიღარიბის ზოგარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % (n=4,697) | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების მთლიანი რაოდენობის % |
|---|--|--|---|---|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 7.8 | 9.2 | 13.8 | 6.0 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 24.3 | 26.8 | 34.2 | 22.2 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 21.7 | 24.0 | 30.9 | 19.6 |

ცხრილი 6.13ა გვიჩვენებს მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გავლენას სიღარიბის სიღრმეზე იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იღებენ დახმარებას. მაგალითად, უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიღება ამცირებს სიღარიბის სიღრმეს 42.3 პროცენტული პუნქტით. მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიღება ამცირებს ფარდობითი სიღარიბის სიღრმეს 28.0 პროცენტული პუნქტით და ზოგადი სიღარიბის სიღრმეს 28.3 პროცენტული პუნქტით.

თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება განხილული იქნება ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გარეშე, მაშინ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება შეამცირებს უკიდურესი სიღარიბის სიღრმეს 41.7 პროცენტული პუნქტით. ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის შემთხვევაში, სიღარიბის სიღრმე მცირდება შესაბამისად 28.2 და 29.0 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 6.13ბ).

ცხრილი 6.13ა: ღარიბი შინამეურნეობებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გავლენა სიღარიბის ნაპრალზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | მსდ+ბდ მიმღები ღარიბი შინამეურნეობები | |
|------------------------------------|---------------------------------------|---------------------|
| | სიღარიბის ნაპრალი | ეფექტი (%) ერთეული) |
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 29.7 | 42.3 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 72.0 | |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 37.8 | 28.0 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 65.8 | |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 36.6 | 28.3 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 65.0 | |

ცხრილი 6.13ბ: მიზნობრივი სოციალური დახმარების გავლენა სიღარიბის ნაპრალზე ღარიბი შინამეურნეობებისთვის 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | მიმღები ღარიბი შინამეურნეობები მსდ | |
|------------------------------------|------------------------------------|---------------------|
| | სიღარიბის ნაპრალი | ეფექტი (%) ერთეული) |
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 28.3 | 41.7 |
| მსდ -ის გამოკლებით | 70.0 | |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 37.7 | 28.2 |
| მსდ -ის გამოკლებით | 65.9 | |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 36.6 | 29.0 |
| მსდ -ის გამოკლებით | 65.6 | |

ცხრილი 6.13გ ასახავს ინფლაციით კორექტირებული მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გავლენას სიღარიბის სიღრმეზე. მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების მიღება ამცირებს უკიდურესი სიღარიბის სიღრმეს 50.9 პროცენტული პუნქტით, ფარდობითი სიღარიბის სიღრმეს 33.2 პროცენტული პუნქტით და ზოგადი სიღარიბის სიღრმეს 34.5 პროცენტული პუნქტით.

ცხრილი 6.13გ: მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარების გავლენა სიღარიბის სიღრმეზე ღარიბი შინამეურნეობებისთვის 2017 წლის ფასების გათვალისწინებით

| სიღარიბის ზღვარი | მსდ+ბდ მიმღები ღარიბი შინამეურნეობები | |
|--------------------------------------|---------------------------------------|--------------------|
| | სიღარიბის ნაპრალი | ეფექტი (% ერთეული) |
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 29.7 | 50.9 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 80.6 | |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 37.8 | 33.2 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 71.1 | |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 36.6 | 34.5 |
| მსდ+ბდ გამოკლებით | 71.1 | |

ცხრილი 6.14 მიუთითებს, 2015-2017 წლებში, მიზნობრივი და არამიზნობრივი დაფარვის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა მიზნობრივი სოციალური დახმარების დონე და დაფარვა შემცირდა იმავე პერიოდში.

ცხრილი 6.14: მიზნობრივი სოციალური დახმარების ცვლილება 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
|--|------|------|------|------|------|
| მიზნობრივი დაფარვა: უღარიბეს 40 %-ში მსდ-ის მიმღები შინამეურნეობების % | 77.8 | 73.6 | 85.0 | 86.8 | 87.3 |
| არამიზნობრივი დაფარვა: უმდიდრეს 10%-ში მსდ-ის მიმღები შინამეურნეობების % | 1 | 2.4 | 2 | 1.5 | 0.1 |
| დონე: მსდ-ს საშუალო მოცულობა ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (ლარი) | 34.9 | 35 | 68 | 73.3 | 70.9 |
| დაფარვის არეალი: მსდ-ის მიმღები უღარიბესი დეცილის % | 38.9 | 53.6 | 72.4 | 59.4 | 52.3 |
| მსდ-ის მიღების შედეგად სიღარიბის შემცირების პროცენტული ერთეული: | | | | | |
| უკიდურესი | 3.0 | 3.6 | 5.8 | 4.2 | 3.6 |

| | | | | | |
|---|-----|-----|-----|-----|-----|
| ფარდობითი | 1.8 | 2 | 3.3 | 2.9 | 1.8 |
| ზოგადი | 0.8 | 1.4 | 3.0 | 3.3 | 2.1 |
| მსდ-ის მიღების შედეგად ბავშვებში სიღარიბის შემცირების პროცენტული ერთეული: | | | | | |
| უკიდურესი | 3.7 | 5.1 | 6.8 | 6.4 | 6.0 |
| ფარდობითი | 2 | 2.2 | 2.7 | 3.7 | 2.4 |
| ზოგადი | 0.8 | 1.5 | 2.5 | 4.2 | 2.8 |

6.4.5 მიზნობრივი სოციალური დახმარება და ახლად გაღარიბებული შინამეურნეობები

ეს ანალიზი „ახლად გაღარიბებულად“ მიიჩნევს იმ შინამეურნეობებს, რომელთა მოხმარება ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვევით დაეცა 2017 წელს, მაგრამ 2015 წელს არ იყო ფარდობითად ღარიბი. 2017 წლის კვლევის პერიოდში ახლად გაღარიბებული 329 ოჯახიდან 178-მა (შეუწონავი მონაცემებით) მოითხოვა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება მაშინ, როცა დანარჩენი 2,067 შინამეურნეობიდან ასეთი განაცხადი 895-მა შინამეურნეობამ გააკეთა. ახლად გაღარიბებული შინა მეურნეობებიდან მხოლოდ 20.3%-მა მიიღო 2017 წელს მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარება (ცხრილი 6.15). დანარჩენი 288 (შეწონვის გარეშე) შინამეურნეობა სამ ჯგუფად დაიყო:

- ა) ისინი ვისაც არ მიუმართავს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის (151)
- ბ) ისინი ვინც დარეგისტრირდნენ მაგრამ ვისი სარეიტინგო ქულაც 65,000 -ზე მეტია (24)
- გ) 8 შინამეურნეობისთვის ქულა ჯერ არ ყოფილა გაანგარიშებული, 5-მა უარი თქვა მის გამუღავნებაზე და 100-მა ეს კითხვა საპასუხოდ რთულად მიიჩნია.

ცხრილი 6.15: შინამეურნეობების შეწონილი პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც მიზნობრივი სოციალური დახმარება და ბავშვებისთვის განკუთვნილი დახმარება მიიღეს 2017 წელს

| | ახლად- გაღარიბებული შინამეურნეობების % (n=178) | სხვა შინამეურნეობების % (n=895) | სულ % (n=1073) |
|---------------|---|---------------------------------------|----------------|
| მიიღეს მსდ+ბდ | 20.3 | 23.2 | 22.7 |


6.5 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები

ამ ანალიზში კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები აღარ არის წინა რაუნდების მონაცემების შესაძარისი, რამდენადაც მონაცემთა ბაზები შესწორდა და განახლდა.

6.5.1 კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების სამიზნეთა განსაზღვრა

დიაგრამა 6.4 გვიჩვენებს, რომ კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები არ არის ისევე ზუსტად მიმართული როგორც მიზნობრივი სოციალური დახმარება, მაგრამ უფრო თანაბრად მოიცავს მოხმარების დეცილებს³⁶.

დიაგრამა 6.4: სოციალური ტრანსფერების მიზნობრივი დაფარვა (n=4,697)



6.5.2 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების დაფარვის არეალი

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შინამეურნეობების 11.7%-მა მიიღო კატეგორიებზე დამყარებული შეღავათის ერთი სახეობა მაინც 2017 წელს. პირველ, მეორე და მესამე დეცილებში მყოფი შინამეურნეობების მოხმარება ფარდობითი სიღარიბის ზღვარზე (177.1 ლარი 1 ეკვივალენტ ზრდასრულ პირზე ქვემოთაა. უღარიბესი დეცილის შინამეურნეობების

³⁶პენსიებისთვის დეცილები დაფუძნებულია მოხმარების ეზპ-ს და საპენსიო ეზპ-ს სხვაობაზე; მსდ + ბდ დაფუძნებულია მოხმარების ეზპ-ს და მსდ+ბდ სხვაობაზე ეზპ-ს მიხედვით. კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათებისთვის ისინი ემყარება მოხმარების ეზპ-ს და კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების სხვაობას ეზპ-ს მიხედვით.

მხოლოდ 34.2%, მეორე დეცილის შინამეურნეობების 19.7% და მესამე დეცილის შინამეურნეობების 12.6% იღებს კატეგორიებზე დაფუძნებულ შეღავათებს (ცხრილი 6.16).

ცხრილი 6.16: კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების მიღება შინამეურნეობის მიერ, ხსენებული დახმარების მიღებამდე ეზპ-ის მოხმარების დეცილის მიხედვით, (n=4,697)

| დეცილი ^a | ეზპ-ის მინიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის მაქსიმალური მოხმარება (ლარი) | ეზპ-ის საშუალო ყოველთვიური მოხმარება კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების მიღებამდე | კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების მიმღები შინამეურნეობების % დეცილში 2017 წელს |
|---------------------|--|--|--|--|
| 1 | -820.7 | 109.8 | 56.5 | 34.2 |
| 2 | 109.8 | 155.5 | 133.3 | 19.7 |
| 3 | 155.5 | 194.7 | 175.9 | 12.6 |
| 4 | 194.7 | 239.5 | 216.3 | 5.5 |
| 5 | 239.5 | 289.1 | 264.3 | 9.2 |
| 6 | 289.1 | 341.3 | 315.0 | 10.5 |
| 7 | 341.4 | 404.9 | 372.7 | 7.6 |
| 8 | 404.9 | 497.3 | 448.6 | 6.3 |
| 9 | 497.3 | 657.1 | 569.5 | 4.0 |
| 10 | 658.2 | 4356.7 | 923.2 | 7.9 |
| სულ | -820.7 | 4356.7 | 347.4 | 11.7 |

შენიშვნა: ^aკატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების მიღებამდე ეზპ-ის მოხმარების დეცილი ყველა შინამეურნეობის რეიტინგზე დაყრდნობით დგინდება

6.5.3 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების დონე

კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების საშუალო ოდენობა მიმღებ შინამეურნეობებში თვეში 79.7 ლარს შეადგენს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. ის შინამეურნეობები, სადაც ობოლი ბავშვები ცხოვრობენ, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში 72.7 ლარს იღებენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოჯახების მხოლოდ 62.4% იღებს კატეგორიებზე დაფუძნებულ შეღავათებს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე საშუალოდ თვეში 75.7 ლარის ოდენობით; რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხსენებული დახმარებით ამ შინამეურნეობათა 75.4% სარგებლობს და გაცემული თანხის მოცულობა ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 67.5 ლარს შეადგენს ყოველთვიურად.

მთავრობის ტრანსფერებმა კატეგორიებზე დაფუძნებულ დახმარებების გადასახდელად 2017 წელს 525.5 მლნ. ლარი შეადგინა.

6.5.4 კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების ეფექტიანობა სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით

თუ კატეგორიებზე დაფუძნებული შემოსავალი ამოღებული იქნება მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი შინამეურნეობებს შორის გაიზრდება 4.3%-დან 6.1%-მდე, ფარდობითი სიღარიბე 22.5%-დან 25.0%-მდე და ზოგადი სიღარიბე 19.6% -დან 22.2%-მდე. კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები ამცირებს ეროვნული სიღარიბის მაჩვენებელს 3 პროცენტულ პუნქტზე ნაკლებით ყველა ჯგუფის მასშტაბით (ცხრილი 6.17).

კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები გაცილებით ეფექტურია მათი სამიზნე ჯგუფების შემთხვევაში ვიდრე ეროვნული სიღარიბის დონეებზე. თუ კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების სახით მიღებული შემოსავალი ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბის დონე იმ შინამეურნეობებისთვის, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია წარმოდგენილი გაიზრდება 11.2%-დან 23.8%-მდე და იმ შინამეურნეობებისთვის კი სადაც წარმოდგენილია იძულებით გადაადგილებული პირი გაიზრდება 8.5%-დან 15.6%-მდე (ცხრილი 6.18).

აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 60%, რომელიც იღებს კატეგორიებზე დაფუძნებულ შეღავათებს, ასევე იღებს პენსიას ან მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, ამდენად სოციალური ტრანსფერების სუფთა ეფექტი სათანადოდ ვერ შეფასდება.

ცხრილი 6.17: კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გავლენა შინამეურნეობის სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % (n=4,697) | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის % | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების მთლიანი რაოდენობის % |
|---|---|---|--|--|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 4.3 | 5.0 | 6.8 | 3.7 |
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 6.1 | 6.5 | 8.7 | 5.0 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 22.5 | 24.8 | 31.6 | 20.4 |

| | | | | |
|--|-------------|-------------|-------------|-------------|
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 25.0 | 27.2 | 34.0 | 22.7 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5 ლარი) | 19.6 | 21.7 | 27.6 | 17.6 |
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 22.2 | 24.1 | 30.6 | 19.9 |

ცხრილი 6.18: კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების შემოსავლის გავლენა
შინამეურნეობის სიღარიბის მაჩვენებლებზე მხოლოდ იმ შინამეურნეობებში, სადაც
ცხოვრობს თუნდაც ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან იძულებით
გადაადგილებული პირი, 2017 წ.

| სიღარიბის ზღვარი | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობის % (რომელშიც ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) (n=125) | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობის % (რომელშიც ცხოვრობს იძულებით გადაადგილებული პირი) (n=256) |
|--|---|---|
| უკიდურესი სიღარიბე (< 82.8 ლარი) | 11.2 | 8.5 |
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 23.8 | 15.6 |
| ფარდობითი სიღარიბე (< 177.1 ლარი) | 48.9 | 27.3 |
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 62.9 | 43.0 |
| ზოგადი სიღარიბე (< 165.5) | 40.8 | 23.8 |
| კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების გამოკლებით | 54.6 | 40.4 |

დასკვნა

კვლევის შედეგების თანახმად შინამეურნეობების მთელი რაოდენობის 67.5% -მა 2017 წლის განმავლობაში გარკვეული სახის სოციალური ტრანსფერი მიიღო. 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ ფოკუსირებულია შეღავათების სამ მირითად კლასზე, ესენია: პენსიები, მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად (მსდ+ბდ), და კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები. შინამეურნეობების

დაახლოებით 57.8%-მა მიიღო პენსია. ოჯახების რაოდენობამ, რომელიც იღებდა მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ბავშვებისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად 2017 წელს 11.7% შეადგინა.

პენსიებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს მოხმარების 60%-ს მარტოხელა პენსიონერის ან ისეთი შინამეურნეობების შემთხვევაში, სადაც მხოლოდ პენსიონერები არიან წარმოდგენილნი. შინამეურნეობების ნახევარზე მეტს საქართველოში (58.9%) საპენსიო ასაკის ერთი წევრი მაინც ჰყავს. შინამეურნეობებში, სადაც საპენსიო ასაკის წევრები არიან, 2017 წელს პენსიის საშუალო თვიური რაოდენობა 234 ლარს შეადგენდა თითოეულ შინამეურნეობაზე. მარტოხელა პენსიონერისგან შემდგარ შინამეურნეობებში მიღებულმა მთლიანმა საშუალო პენსიამ საშუალო მოხმარების 61.3% შეადგინა (2015 წლის შემდეგ გაიზარდა 10.1 პროცენტული პუნქტით), და შინამეურნეობებში სადაც ერთზე მეტი პენსიონერია მან 68.7% შეადგინა (2015 წლის შემდეგ გაიზარდა 11.7 პროცენტული პუნქტით). თუ საპენსიო შემოსავალი ამოღებული იქნება შინამეურნეობის მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბე პენსიონერებს შორის მკვეთრად გაიზრდება 3.7%-დან 34.1% -მდე და ბავშვებს შორის კი 6.8%-დან 13.1%-მდე. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პენსიები უდიდეს გავლენას ახდენს პენსიონერებზე. 2017 წელს მთავრობის ტრანსფერები პენსიებზე შეადგენდა 1.6 მლრდ. ლარს.

მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვის შემწეობასთან ერთად ყველაზე დადებითად მოქმედებს ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე. ამ სახის დახმარებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მთლიანი გადახდილი დახმარების 69.7% მოდიოდა შინამეურნეობებზე უღარიბეს დეცილში და ამ შინამეურნეობების 54.3% იღებდა აღნიშნულ შემწეობას. ბავშვის დახმარების გამოკლებით, მთელი მიზნობრივი სოციალური დახმარების 69.5% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 64.8% იყო) მოდის უღარიბეს ოჯახებზე და იმ ოჯახების წილი, რომელიც იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებას შეადგენს 52.3%-ს (ეს მაჩვენებელი 2015 წელს 59.4% იყო). ეს შედეგები მიუთითებს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიზნობრიობა გაიზარდა ხოლო დაფარვა შემცირდა. მიზნობრივ სოციალურ დახმარებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მისი მიმღები შინამეურნეობების მთლიან მოხმარებაში. საშუალოდ, ოჯახები იღებენ 70.9 ლარს ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე, და მიზნობრივი სოციალური დახმარება შეადგენს მისი მიმღები შინამეურნეობების მოხმარების 39%-ს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე.

თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბე ბავშვებს შორის გაიზრდება 6.8%-დან 12.9%-მდე, ხოლო პენსიონერებს შორის 3.7%-დან 5.6%-მდე. თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვის დახმარებასთან ერთად ამოღებული იქნება შინამეურნეობების მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბე ბავშვებს შორის გაიზრდება 6.8%-დან 13.1%-მდე. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვის დახმარებასთან ერთად უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვებზე. მიზნობრივი სოციალური დახმარება ასევე უკეთესად

არის მიმართული ბავშვიანი შინამეურნეობებისკენ. 2017 წლისთვის, ბავშვიანი შინამეურნეობების 15.4%-მა მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება ბავშვის დახმარებასთან ერთად. ამავდროულად, მათმა 12.6%-მა და უბავშვო შინამეურნეობების მხოლოდ 7.3%-მა მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება. მთავრობის ხარჯებმა მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და ბავშვის დახმარებაზე 2017 წელს 258 მლნ. ლარი შეადგინა.

2017 წელს, შინამეურნეობების 11.7%-მა მიიღო კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარების ერთი სახეობა მაინც. „მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევაში“, კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები აღარ არის წინა რაუნდების შესაძარისი, რადგან მონაცემთა ბაზა შესწორდა და განახლდა. კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები არსებითად მაღალია შინამეურნეობების უღარიბეს მეათედში, რომელთაგან 34.2% იღებდა ამ დახმარებას. კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარებების საშუალო თანხა ბენეფიციარ შინამეურნეობებში შეადგენდა 79.7 ლარს თვეში ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. ბენეფიციარი შინამეურნეობები, სადაც ობოლი წევრები არიან წარმოდგენილნი, იღებდნენ 72.7 ლარს თვეში ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. იმ შინამეურნეობებიდან, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია წარმოდგენილი, 62.4% იღებდა კატეგორიებზე დამყარებულ შეღავათებს საშუალოდ 75.7 ლარის ოდენობით ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში; და შინამეურნეობების 75.4%, სადაც იძულებით გადაადგილებული პირია წარმოდგენილი, იღებდა კატეგორიებზე დაფუძნებულ დახმარებას 67.5 ლარის ოდენობით ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე თვეში. მთავრობის ტრანსფერებმა კატეგორიებზე დამყარებული შეღავათებისთვის 2017 წელს 525.5 მლნ. ლარი შეადგინა.

კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები შედარებით უფრო ეფექტურია თავიანთ სამიზნე ჯგუფებზე, ვიდრე ეროვნული სიღარიბის დონეზე მოქმედების თვალსაზრისით. ეს დახმარებები ამცირებს ეროვნული სიღარიბის მაჩვენებლებს 3 პროცენტულ პუნქტზე ნაკლებად ყველა ჯგუფისთვის. თუ კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათები ამოღებული იქნება შინამეურნეობის მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბე შინამეურნეობებში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია, გაიზრდება 11.2%-დან 23.8%-მდე. იმ შინამეურნეობებში კი, სადაც იძულებით გადაადგილებული პირია, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები გაიზრდება 8.5%-დან 15.6%-მდე. აღსანიშნავია, რომ იმ შინამეურნეობების დაახლოებით 60%, რომელიც იღებდა კატეგორიებზე დამყარებულ შეღავათებს, ასევე იღებდა ან პენსიას ან მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, ამდენად, სოციალური ტრანსფერების სუფთა ეფექტი სათანადოდ ვერ შეფასდება.

7. ჯანდაცვის მომსახურებები

7.1 ზოგადი მიმოხილვა

2013 წლიდან საქართველოს მთავრობამ დანერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც სახელმწიფო დახმარებით უზრუნველყოფს მკურნალობის საჭიროების მქონე ყველა მოქალაქეს. ჯანდაცვის ამ რეფორმის ეფექტი 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევამ“ მხოლოდ ნაწილობრივ შეისწავლა.

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის წინამდებარე ანალიზი შეისწავლის ჯანდაცვის მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის ხუთ განზომილებას:

- შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯის შემადგენლობა;
- ჯანდაცვის კატასტროფული ხარჯები³⁷
- ჯანმრთელობის დაზღვევის გავრცელება
- ჯანდაცვის მომსახურების მიღების ბარიერები³⁸
- ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გამაღარიბებელი ეფექტი³⁹.

7.2 2017 წელს ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შემადგენლობა

მე-4 თავში ნაჩვენებია, რომ შინამეურნეობების 27.8%-ისთვის უმთავრესი პრობლემა მედიკამენტების შეძენაა (ცხრილი 4.19). მართალია, 2015 წლის შემდეგ შემცირდა იმ შინამეურნეობების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ მათთვის უმთავრეს სირთულეს სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდა წარმოადგენს, მაგრამ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ შინამეურნეობების რიცხვი, რომლებსაც ძალიან უჭირთ მედიკამენტების ყიდვა.

7.1 ცხრილის თანახმად, შინამეურნეობის საშუალო წლიურმა ხარჯებმა⁴⁰ ჯანდაცვაზე 2017 წელს 430.7 ლარი შეადგინა ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (მედიანური მაჩვენებელი 200.9

³⁷შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი იმ შემთხვევაში ითვლება კატასტროფულად, თუ ის შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების 10%-ს, ან ოჯახის არასაკვები პროდუქტის მოხმარების 25%-ს შეადგენს..

³⁸შინამეურნეობა აწყდება ჯანდაცვის სერვისების მხრივ დაბრკოლებას, თუკი მის ერთ წევრს მაინც ესაჭიროება სამედიცინო მომსახურება, შინამეურნეობას კი არ შეუძლია ამის საფასურის გადახდა, ან სამედიცინო დაწესებულება ხელმიუწვდომელია..

³⁹ჯანდაცვის ხარჯების საკუთარი ჯიბიდნ დაფარვის გამაღარიბებელი ეფექტის ილუსტრირება შეგვიძლია იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებლის იდენტიფიცირებით, რომლებიც სამომხმარებლო სიღარიბის გარკვეულ ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდებოდნენ, თუკი ყველა სამედიცინო მომსახურება უფასოდ იქნებოდა მიწოდებული

⁴⁰ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მოიცავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით), ექიმთან ვიზიტის, სამედიცინო პროცედურების, ქირურგიული ოპერაციის,

ლარი ეზპ-ის მიხედვით). ამ ციფრის ინფლაციის შესაბამისად კორექტირების შემთხვევაში დავინახავთ, რომ 2015 წლის შემდეგ ჯანდაცვის საშუალო ხარჯებმა 16.4%-ით (2015 წლის 346.8 ლართან შედარებით), მედიანურმა ხარჯებმა კი 6.4%-ით (2015 წლის 177 ლართან შედარებით) მოიმატა. ჯანდაცვის წლიური ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობებმა ყველაზე დიდი წილი მედიკამენტებზე დახარჯეს როგორც აბსოლუტური (296 ლარი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 2017 წელს და 233 ლარი 2015 წელს), ისე ჯანდაცვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის პროცენტული წილი თვალსაზრისით (69% 2017 წელს და 67% 2015 წელს). კვლევით მოცული შინამეურნეობების მხოლოდ 3.6%-ს საერთოდ არ გაუწევია ჯანდაცვაზე ხარჯები.

ცხრილი 7.1: ჯანდაცვის სერვისების მოხმარება და ჯანდაცვის წლიური ხარჯების შემადგენლობა გასული წლის განმავლობაში, 2017 (n= 4,697)

| | საშუალო წლიური ხარჯი (ლარი ეზპ-ზე) | ჯანდაცვის ყველა ხარ- ჯის საშუ- ალო % | იმ შინამეურნეობის %, რომელიც იყენებენ ჯანდაცვის თითოეულ ფორმას | მომსმარებლის საშუალო ხარჯები (ლარი ეზპ-ზე) |
|---------------------------------------|--|---|--|---|
| მედიკამენტების შესყიდვა | 296.6 | 68.9% | 96.0% | 309.1 |
| ქირურგიული ოპერაცია | 37.9 | 8.8% | 7.7% | 492.2 |
| ექიმთან ვიზიტები | 42.3 | 9.8% | 29.7% | 142.5 |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარება | 3.9 | 0.9% | 5.9% | 66.5 |
| ჰოსპიტალური მომსახურება | 13.5 | 3.1% | 7.7% | 174.2 |
| რეგულარული სამედიცინო შემოწმება | 17.6 | 4.1% | 18.2% | 96.4 |

ჰოსპიტალური მომსახურების, ორსულობის მონიტორინგის, ქალთა კონსულტაციის, რეგულარული სამედიცინო შემოწმების, იმუნიზაციის, ექთნის და მოვლის, მედიკამენტების, სამედიცინო სადაზღვევო პრემიის და სხვა არაოფიციალურ ხარჯებს.

| | | | | |
|---------------------------------------|--------------|------|------|-------|
| ორსულობის მონიტორინგი | 3.4 | 0.8% | 2.3% | 144.2 |
| სამედიცინო დაზღვევის გადასახადი | 8.2 | 1.9% | 3.9% | 210.0 |
| ქალთა კონსულტაცია | 2.4 | 0.5% | 3.7% | 64.0 |
| სხვა | 4.0 | 0.9% | 3.5% | 114.4 |
| ექთნისა და მოვლის ხარჯები | 0.9 | 0.2% | 0.2% | 405.8 |
| იმუნიზაციის ხარჯები | 0.0 | 0.0% | 0.4% | 11.9 |
| სულ | 430.7 | | | |

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო მნიშვნელობები ნიღბავს ჯანდაცვის ხარჯების ცვალებადობას, რამდენადაც ყველა შინამეურნეობას არ გააჩნია მსგავსი საჭიროება. მაგალითად, 7.1 ცხრილის მე-4 სვეტი უჩვენებს, რომ შინამეურნეობების 96.0%-მა (2015 წელს 96.3% იყო) ფული დახარჯა მედიკამენტების შესყიდვაზე გასულ წელს 309.1 ლარის ოდენობით ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (242.3 ლარი ეზპ-ის მიხედვით 2015 წელს) (მე-5 სვეტი). მათმა დაახლოებით 8%-მა გადაიხადა ქირურგიული ოპერაციის საფასური სამუალოდ 492.2 ლარის ოდენობით ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. თუმცა, დანარჩენ 92%-ს საერთოდ არ გაუწევია ხარჯი ამ ტიპის მომსახურებაზე, ამდენად, ყველა შინამეურნეობის საშუალო ხარჯი გაცილებით დაბალი იყო (37.9 ლარი).

სამუალო წლიური ხარჯი ჯანდაცვის ყველა სახეობაზე ეკვივალენტური ზრდასრული პირის მიხედვით გაიზარდა 448.7 ლარამდე ქალაქად, 2015 წელთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებელი შეადგენდა 342.7 ლარს ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. ინფლაციით კორექტირებისას, აღნიშნული წარმოადგენს 22.7%-იან ზრდას 2015 წელთან შედარებით. ზრდის მიზეზი დაკავშირებულია მედიკამენტების ხარჯთან. სოფლად ის გაიზარდა 351.1 ლარიდან 412.0 ლარამდე ეკვივალენტური ზრდასრული პირის მიხედვით და ინფლაციით კორექტირებისას აღინიშნა 10%-იანი ზრდა 2015 წელთან შედარებით (ცხრილი 7.2).

ცხრილი 7.2: ჯანდაცვის საშუალო წლიური ხარჯების (ლარი ეზპ-ს მიხედვით)
შემადგენლობა სოფელსა და ქალაქში, 2017 (n=4,697)

| | საშუალო წლიური დანახარჯი (ლარი ეზპ-ს მიხედვით) | | | | მხოლოდ სერვისის მომხმარებელი | |
|----------------------------------|--|--------|--------------|-------|------------------------------|--------------|
| | ქალაქად | % წილი | სოფლად | %წილი | ქალაქად | სოფლად |
| მედიკამენტების შეძენა | 303.4 | 67.6% | 289.6 | 70.3% | 315.3 | 302.6 |
| ქირურგიული ოპერაციები | 37.3 | 8.3% | 38.5 | 9.3% | 468.9 | 518.3 |
| ექიმთან ვიზიტები | 49.3 | 11.0% | 35.0 | 8.5% | 173.7 | 112.8 |
| გადაუდებელი სამედიცინო დახმარება | 2.2 | 0.5% | 5.8 | 1.4% | 52.9 | 73.9 |
| ჰოსპიტალური მომსახურება | 12.4 | 2.8% | 14.6 | 3.5% | 164.5 | 183.8 |
| რეგულარული შემოწმება | 19.7 | 4.4% | 15.4 | 3.7% | 108.7 | 83.7 |
| ორსულობის მონიტორინგი | 3.1 | 0.7% | 3.6 | 0.9% | 166.9 | 128.4 |
| სამედიცინო დაზღვევის გადასახადი | 14.0 | 3.1% | 2.1 | 0.5% | 223.8 | 147.9 |
| ქალთა კონსულტაციები | 2.6 | 0.6% | 2.2 | 0.5% | 74.7 | 54.3 |
| სხვა ხარჯები | 4.3 | 1.0% | 3.7 | 0.9% | 13.2 | 8.2 |
| ექთნისა და მოვლის ხარჯები | 0.4 | 0.1% | 1.5 | 0.4% | 240.3 | 515.9 |
| იმუნიზაციის ხარჯები | 0.07 | 0.0% | 0.02 | 0.0% | 118.8 | 109.5 |
| სულ | 448.7 | | 412.0 | | 464.2 | 428.3 |

განსხვავება ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების თვალსაზრისით ქალაქებსა და სოფლებს შორის მნიშვნელოვანი არ არის. თუმცა განსხვავებები არსებობს კონკრეტულ სერვისებზე ხარჯვის თვალსაზრისით. საერთო ხარჯები სამედიცინო სადაზღვევო პრემიაზე მნიშვნელოვნად მაღალია შინამეურნეობებისთვის ქალაქად, სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებთან შედარებით. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯები მნიშვნელოვნად დაბალია ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობებისთვის სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებთან შედარებით. სერვისის მომხმარებლებს შორის ექიმთან ვიზიტის ხარჯები მნიშვნელოვნად მაღალია ქალაქად მცხოვრები ოჯახებისთვის, ვიდრე სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის. სოფელსა და ქალაქს შორის არსებული განსხვავებებიდან სხვა არცერთი არ არის

მნიშვნელოვანი ფაქტიური მომხმარებლების ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებით (ცხრილი 7.2).

7.3 ჯანდაცვის კატასტროფული ხარჯები

2015 წლიდან შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული საშუალო ხარჯი (ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე), ინფლაციის გათვალისწინებითაც კი გაიზარდა 16.4%-ით (ცხრილი 7.3).

ცხრილი 7.3: შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე თვეები გაწეული ხარჯები, მოხმარების კვინტილების მიხედვით 2009 წლის ფასებით

| | წელი | მოხმარების კვინტილი ეზპ-ს მიხედვით | | | | | |
|---|------|------------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | სულ |
| ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი წლიური ხარჯი (ლარი, ეზპ-ზე) | 2009 | 65.2 | 115 | 188.6 | 292.2 | 593 | 250.7 |
| | 2011 | 62.5 | 121.5 | 176.2 | 244.7 | 591.2 | 239.1 |
| | 2013 | 66.1 | 142.4 | 190 | 245.9 | 396.5 | 208.2 |
| | 2015 | 102.1 | 188.6 | 250.1 | 329.6 | 495.2 | 273.1 |
| | 2017 | 108.4 | 194.7 | 293.0 | 367.8 | 625.7 | 317.9 |
| მედიკამენტების შეძენა (ლარი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) | 2015 | 77.4 | 140.8 | 179.0 | 228.4 | 293.0 | 183.7 |
| | 2017 | 87.5 | 149.9 | 208.0 | 256.4 | 393.0 | 218.9 |
| ჯანდაცვის ხარჯების % მთლიან მოხმარებასთან მიმართებაში | 2009 | 10.7 | 9.4 | 11.1 | 11.7 | 11.6 | 10.9 |
| | 2011 | 8.3 | 9.1 | 9.4 | 9.5 | 11.1 | 10.1 |
| | 2013 | 6.5 | 8.3 | 8 | 7.4 | 6.1 | 7.0 |
| | 2015 | 8.6 | 9.8 | 9.3 | 9 | 6.7 | 8.1 |
| | 2017 | 10.7 | 10.7 | 11.2 | 10.0 | 9.4 | 10.1 |
| ჯანდაცვის ხარჯების % არასაკვები პროდუქტების მოხმარებასთან მიმართებაში | 2009 | 20.5 | 20.7 | 22.2 | 21.1 | 18.2 | 20.5 |
| | 2011 | 23.5 | 24.6 | 23.8 | 21.4 | 18.7 | 20.6 |
| | 2013 | 17.5 | 19.2 | 17.2 | 14.5 | 9.7 | 13 |
| | 2015 | 20.6 | 20.4 | 18.7 | 16 | 10.6 | 14.4 |
| | 2017 | 21.6 | 20.4 | 20.6 | 16.9 | 14.1 | 16.7 |

შენიშვნა: 2009 (n=4,646), 2011 (n=4,147), 2013 (n=3,726), 2015 (n=4,533) და 2017 (n=4,697) ინფლაციის გათვალისწინებით (2009 წლის ფასებით)

ასევე, ჯანდაცვის საშუალო ხარჯები როგორც მთლიანი მოხმარებისა და მთლიანი არასასურსათო მოხმარების პროცენტული წილი გაიზარდა ყველა კვინტილის შინამეურნეობებისთვის. მედიკამენტების საშუალო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა მოხმარების ყველა კვინტილში (ცხრილი 7.3).

სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯი ზოგიერთი შინამეურნეობისთვის შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს. შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი იმ შემთხვევაში ითვლება კატასტროფულად, თუ ის შინამეურნეობის მთლიანი მოხმარების 10%-ს, ან ოჯახის არასაკვები პროდუქტის მოხმარების 25%-ს შეადგენს. 2015 წელს ჯანდაცვის ხარჯები მთლიანი მოხმარების 10%-ზე მეტს წარმოადგენდა შინამეურნეობების 34.2%-ში, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე მეტია (29.8). გარდა ამისა, შინამეურნეობათა 26.4%-ისთვის ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს არასაკვები პროდუქტის მოხმარების 25%-ზე მეტს, რაც 2015 წლის მონაცემებზე უფრო მაღალია, როდესაც ხსენებული მაჩვენებელი 25.1% იყო. აღნიშნული ზრდის მიზეზია მედიკამენტების ღირებულების ზრდა.

7.4 ჯანმრთელობის დაზღვევა

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა შეიცავს ხუთი ტიპის პაკეტს. ესენია: საბაზისო, მინიმალური, ვეტერანების, ასაკობრივი და მიზნობრივი პაკეტები. ცალკეულ პირებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ კერძო, თვითდაფინანსებული კორპორაციული, ან დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული სადაზღვევო პაკეტები.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოსახლეობის დაახლოებით 82.4%-ს ფარავს. კორპორაციული დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ან კერძო დაზღვევები უფრო ქალაქებშია გავრცელებული, ვიდრე სოფლებში. მოსახლეობის თითქმის 11% არ არის ინფორმირებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების შესახებ და თვლის, რომ არ მონაწილეობს ჯანდაცვის რომელიმე სახელმწიფო პროგრამაში.

ცხრილი 7.4: ჯანმრთელობის დაზღვევის ტიპის განაწილება ფიზიკური პირების თანახმად 2017 წელს (n = 16,038)

| ჯანმრთელობის დაზღვევის და სახელმწიფო პროგრამის ტიპი | % ¹ | | |
|---|----------------|--------|------|
| | ქალაქად | სოფლად | სულ |
| თვითდაფინანსებული კორპორაციული | 3.8 | 1.9 | 2.9 |
| დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული | 5.2 | 1.3 | 3.2 |
| კერძო | 0.7 | 0.2 | 0.4 |
| საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა | 82.5 | 82.2 | 82.4 |

| | | | |
|--|-------|--------|--------|
| უარი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არ ვიცი | 0.4 | 0.3 | 0.4 |
| არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა | 7.4 | 14.0 | 10.7 |
| ფიზიკური პირების რაოდენობა შეწონვის გარეშე | 5,108 | 10,930 | 16,038 |

7.4.1 ჯანმრთელობის დაზღვევა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მიზნობრივი სოციალური დახმარების სარეიტინგო ქულების მიხედვით

2017 წლის “მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” მიხედვით, შინამეურნეობების 40.1%-მა შეიტანა განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დასარეგისტრირებლად. ამ შინამეურნეობების თითქმის 50%-მა წარმოადგინა სარეიტინგო ქულა.

0-დან 30,000-მდე მიზნობრივი სოციალური დახმარების სარეიტინგო ქულის მქონე ფიზიკური პირების დაახლოებით 95% მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. თუმცა, ამ სოციალურად დაუცველი პირების 4.9%-ის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ ისინი არ სარგებლობდნენ ჯანმრთელობის დაზღვევის რაიმე ფორმით. 30,000-დან 57,000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირთა 98.1% ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. მათგან მხოლოდ 2%-მა აღნიშნა რომ არ ჰქონდა რაიმე ფორმის ჯანმრთელობის დაზღვევა. უფრო მეტიც, 57,000-დან 60,000-მდე ქულის მქონე პირთა 96.4% არის ჩართული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. მათგან 3.6%-მა აღნიშნა, რომ არ გააჩნდა რაიმე ფორმის ჯანმრთელობის დაზღვევა. 60,000-დან 65,000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირთა 90.9% მონაწილეობს პროგრამაში. ამ კატეგორიაში შემავალი პირების 9.1%-მა აღნიშნა, რომ არ ჰქონდა რაიმე ფორმის ჯანმრთელობის დაზღვევა. 65,000-დან 100,000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირთა 90.7% ჩართულია პროგრამაში. მათგან 8.4% -მა აღნიშნა, რომ არ ჰქონდა რაიმე ფორმის ჯანმრთელობის დაზღვევა. 100,000-ზე მეტი ქულის მქონე პირთა დაახლოებით 89% მონაწილეობს პროგრამაში, რომელთაგან 6.4%-მა აღნიშნა, რომ არ გააჩნია რაიმე ტიპის ჯანმრთელობის დაზღვევა.

7.4.2 ჯანმრთელობის დაზღვევა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოხმარების დონეების მიხედვით

მოსახლეობის უდარიბესი მეხუთედის მხოლოდ 7.7%-მა აღნიშნა 2015 წელს, რომ არ გააჩნდა რაიმე ტიპის ჯანმრთელობის დაზღვევა, ეს მაჩვენებელი 13.7%-მდე გაიზარდა 2017 წელს. თუმცა მათი უმრავლესობა შეყვანილია ჯანდაცვის ერთ-ერთ პროგრამაში (ცხრილი 7.5).

როგორც ნაჩვენებია 7.5 ცხრილში, უღარიბეს კვინტილში შემავალ პირთა 84.6% მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ ის პირები რომელთა ყოველწლიური შემოსავალი 40,000 ლარს აღემატება არ მონაწილეობენ ამ პროგრამაში სადაზღვევო სერვისის ძალზე შეზღუდული კატეგორიების გარდა (მშობიარობა, სტაციონარული მომსახურება და ინფექციური დაავადებების მართვა). 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში“ ასეთი პირები ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე შემოსავლის განაწილების 1%-ზე ნაკლებს წარმოადგენენ. იგივე შეიძლება ითქვას მოხმარებაზე ეკვივალენტური ზრდასრული პირის მიხედვით. ამდენად, გასაკვირი არ არის რომ მოხმარების უმდიდრეს კვინტილში შემავალი პირების 76.1% ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

ცხრილი 7.5: ცალკეულ ინდივიდთა ჯანმრთელობის დაზღვევისა და სახელმწიფო პროგრამის ტიპების განაწილება შინამეურნეობის (ეზპ-ის) მოხმარების კვინტილის მიხედვით, 2017 წელს

| ჯანმრთელობის დაზღვევის ტიპი | ინდივიდთა % შინამეურნეობის მოხმარების კვინტილის მიხედვით | | | | | |
|---------------------------------|---|-------|-------|-------|-------|--------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | სულ |
| თვითდაფინანსებული კორპორაციული | 0.6 | 1.5 | 3.0 | 3.1 | 7.0 | 2.9 |
| დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული | 0.3 | 1.0 | 2.7 | 4.5 | 8.8 | 3.2 |
| კერძო | 0.3 | 0.3 | 0.3 | 0.8 | 0.5 | 0.4 |
| საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა | 84.6 | 84.9 | 84.0 | 81.2 | 76.1 | 82.4 |
| უარი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არ ვიცი | 0.5 | 0.2 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 |
| არ მაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა | 13.7 | 12.2 | 9.7 | 10.0 | 7.2 | 10.7 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| პირთა რ-ბა შეწონვის გარეშე | 3,658 | 3,585 | 3,315 | 2,971 | 2,509 | 16,038 |

7.5 ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ბარიერები

2015 წელს შინამეურნეობათა მთელი რაოდენობის 43.1%-ში იყო, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, მაგრამ ოჯახს არ შეეძლო მომსახურების საფასურის გადახდა. ორი წლის შემდეგ, შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელიც ბარიერების წინაშე აღმოჩნდა ჯანდაცვასთან წვდომის თვალსაზრისით არსებითად შემცირდა და 22.3% შეადგინა. ქალაქად ეს მაჩვენებელი 41.0%-დან (2015) 22.8%-

მდე (2017) შემცირდა, ხოლო სოფლად 45.3%-დან 21.9%-მდე. ასეთი მნიშვნელოვანი ვარდნა შეიძლება მიეწეროს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას (ცხრილი 7.6).

ცხრილი 7.6: ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ბარიერები ქალაქებსა და სოფლებში 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | შინამეურნეობები, რომლებიც წააწყდნენ ბარიერს % | | | | |
|-----------------------|---|-------|-------|-------|-------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| ქალაქად | 44.8 | 47.7 | 37.0 | 41.0 | 22.8 |
| სოფლად | 52.6 | 52.2 | 39.9 | 45.3 | 21.9 |
| სულ | 48.6 | 49.9 | 38.4 | 43.1 | 22.3 |
| შინამეურნეობების რ-ბა | 4,646 | 4,147 | 3,726 | 4,533 | 4,697 |

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სერვისებთან დაკავშირებული ბარიერები მნიშვნელოვნად შემცირდა მოხმარების კვინტილების მიხედვით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ის მაინც ახდენს გავლენას შინამეურნეობების მნიშვნელოვან პროცენტულ წილზე მოხმარების ქვედა დონეებზე (ცხრილი 7.7).

ცხრილი 7.7: ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობის ფინანსური და წვდომითი ბარიერები რეგიონების მიხედვით, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წწ

| | შინამეურნეობები, რომლებიც წააწყდნენ ბარიერს % | | | | |
|------------|---|-------------|-------------|-------------|-------------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| კვინტილი 1 | 64.1 | 56.5 | 44.5 | 56.5 | 34.3 |
| 2 | 57.7 | 55.5 | 43.8 | 49.4 | 25.3 |
| 3 | 50.3 | 51.7 | 39.4 | 43.9 | 23.5 |
| 4 | 44.1 | 48.4 | 35.8 | 36.5 | 18.3 |
| კვინტილი 5 | 27.0 | 37.5 | 28.6 | 29.1 | 10.2 |
| სულ | 48.6 | 49.9 | 38.4 | 43.1 | 22.3 |

7.6 ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯების გამაღარიბებელი ზემოქმედება

ჯანდაცვის ხარჯების საკუთარი ჯიბიდან დაფარვის გამაღარიბებელი ეფექტის ილუსტრირება შეგვიძლია იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებლის იდენტიფიცირებით, რომლებიც სამომხმარებლო სიღარიბის გარკვეულ ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდებოდნენ, თუკი სამედიცინო მომსახურება უფასოდ მიეწოდებოდათ. თუ თითოეული შინამეურნეობის მიერ სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულ ხარჯს ყოველი შინამეურნეობის მთლიან ხარჯებს დავუმატებთ, შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების გზით მივიღებთ უფასო სამედიცინო მომსახურების ეფექტის იმიტაციას.

ამ სცენარის მიხედვით, სიღარიბეში მცხოვრები შინამეურნეობების რაოდენობა უფრო მცირე იქნება. ეფექტის სიდიდე სიღარიბის გამოყენებულ ზღვარზეა დამოკიდებული. უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი მხოლოდ 0.9%-ით, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლები კი, შესაბამისად 1.7 და 1.9 პროცენტული პუნქტით მცირდება, როცა ჯანდაცვაზე დახარჯული თანხა შინამეურნეობას უკან უბრუნდება. იმავე სცენარის პირობებში, ქალაქად მცხოვრები უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისად 5.8 და 4.9 პროცენტული პუნქტით მცირდება. აღნიშნულის საპირისპიროდ, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების პროცენტული რაოდენობა ერთი პროცენტული პუნქტით მცირდება, ხოლო ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისად 2.3 და 2.5 პროცენტული პუნქტით. სიღარიბის მაჩვენებლების ასეთი კლება შეიძლება მიჩნეულ იქნეს კეთილდღეობის ზრდად თუ ადგილი არ აქვს გაწეული ჯანდაცვის მომსახურების დონის გაუარესებას (ცხრილი 7.8).

ცხრილი 7.8: ჯანდაცვის სერვისების უფასოდ მიწოდების სავარაუდო ეფექტი სიღარიბის მაჩვენებლებზე 2017 წელს

| სიღარიბის ზღვარი | ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობების (n=4,697) | ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების % | სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების % |
|--------------------------------|--|--------------------------------------|-------------------------------------|
| უკიდურესი სიღარიბე (82.8ლარი) | 4.3 | 4.5 | 4.0 |
| ჯანდაცვის ხარჯების გამოკლებით | 3.4 | 3.6 | 3.1 |

| | | | |
|-------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| ფარდობითი სიღარიბე (177.1 ლარი) | 20.9 | 24.1 | 22.5 |
| ჯანდაცვის ხარჯების გამოკლებით | 19.2 | 18.3 | 20.1 |
| ზოგადი სიღარიბე (165.5 ლარი) | 18.5 | 20.8 | 19.6 |
| ჯანდაცვის ხარჯების გამოკლებით | 16.5 | 16.0 | 17.1 |

ამის ალტერნატიული მიდგომაა ჯანდაცვის საფასურის საკუთარი ჯიბიდან გადახდის შედეგად გაღარიბების ეფექტის ილუსტრირება იმ შინამეურნეობების პროცენტის იდენტიფიცირებით, რომლებიც სამომხმარებლო სიღარიბის სხვადასხვა ზღვარს ქვევით ექცევიან მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის ხარჯები აკლდება მთლიან მოხმარებას ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე. ამ სცენარის პირობებში, სიღარიბის მაჩვენებლები არსებითად იზრდება. ეფექტი გაცილებით მეტია ვიდრე 2015 წელს სიმულაციაში გათვალისწინებული სიღარიბის მაჩვენებლების შემთხვევაში. ის მიუთითებს, რომ ჯანდაცვის ხარჯები განაპირობებს გაცილებით მეტი შინამეურნეობის გადანაცვლებას სიღარიბის ზღვარს ქვევით (ცხრილი 7.9).

ცხრილი 7.9: შინამეურნეობათა სიღარიბის მაჩვენებლების ზრდა, როდესაც ჯანდაცვის ხარჯები აკლდება მთლიან მოხმარებას, 2017

| | სიღარიბეში მყოფი შინამეურნეობების % | | |
|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------|--|
| | ჯანდაცვის ხარჯების გამოკლებამდე | ჯანდაცვის ხარჯების გამოკლების შემდეგ | პროცენტული ერთეულით ზრდა 2017 (2015, 2013, 2011, 2009) |
| უკიდურესი სიღარიბე (82.8 ლარი) | 4.3 | 6.2 | 1.9 (0.6; 1.3; 2.8; 3.7) |
| ფარდობითი სიღარიბე (177.1 ლარი) | 20.9 | 29.6 | 8.7 (6.2; 4.6; 5.1; 6.7) |
| ზოგადი სიღარიბე (165.5 ლარი) | 18.5 | 26.1 | 7.6 (5.2; 4.8; 6.4; 8.4) |

დასკვნა

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა გვიჩვენებს ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას. ჯანდაცვის წლიური საშუალო ხარჯი 2017 წელს იყო 430.7 ლარი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (მედიანური მაჩვენებელი 200.9 ლარი ეზპ-ზე). 2015 წლის მონაცემებთან შედარებით (346.8 ლარი), საშუალო ხარჯი 16.4%-ით გაიზარდა, მედიანური

ხარჯი (177 ლარი) კი 6.4%-ით (2015 წლის ფასებში). საშუალოდ, ქალაქად შინამეურნეობები ხარჯავდნენ 448.7 ლარს ყოველწლიურად ჯანდაცვის სერვისებზე ხოლო სოფლის შინამეურნეობები ხარჯავდნენ 412 ლარს. ჯანდაცვის წლიური ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შინამეურნეობების ხარჯების უდიდესი წილი მოდიოდა მედიკამენტებზე, როგორც აბსოლუტური (296 ლარი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 2017 წელს და 233 ლარი 2015 წელს), ისე ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების პროცენტული წილის თვალსაზრისით (69% 2017 წელს და 67% 2015 წელს). კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების მხოლოდ 3.6%-ს არ გაუწევია ჯანდაცვის ხარჯები საერთოდ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბარიერები ჯანდაცვის სერვისებთან წვდომის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შემცირდა. შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 43.1%-ში 2015 წელს იყო ერთი პირი მაინც, რომელსაც სჭირდებოდა სამედიცინო მომსახურება და რომლის დაფინანსებაც შინამეურნეობას არ შეეძლო. ორი წლის შემდეგ, შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებიც აწყდებოდნენ ბარიერებს ჯანდაცვის სერვისებთან წვდომის თვალსაზრისით შემცირდა და შეადგინა 22.3%. ასეთი მკვეთრი ვარდნა შეიძლება განპირობებული იყოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტურობით.

შეფასების მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ფარავს მოსახლეობის 82%-ს; თუმცა, მოსახლეობის 11%-ისთვის არ არის ცნობილი ჯანდაცვის პროგრამების შესახებ. 2013 წლიდან საქართველოს მთავრობამ შემოიღო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო დახმარებას ყველა მოქალაქისთვის ვისაც სჭირდება სამედიცინო მომსახურება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოსახლეობის დაახლოებით 82%-ს ფარავს. კორპორაციული, დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ან კერძო დაზღვევები უფრო ქალაქებშია გავრცელებული, ვიდრე სოფლებში. მოსახლეობის თითქმის 11% არ არის ინფორმირებული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების შესახებ და თვლის, რომ არ მონაწილეობს ჯანდაცვის რომელიმე სახელმწიფო პროგრამაში.

სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯი ზოგიერთი შინამეურნეობისათვის შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს. ეს ხარჯები მთლიანი მოხმარების 10%-ზე მეტს წარმოადგენდა შინამეურნეობების 34.2%-ში, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე მეტია (29.8%). გარდა ამისა, შინამეურნეობათა 26.4%-ისთვის ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს არასაკვები პროდუქტის მოხმარების 25%-ზე მეტს, რაც 2015 წლის მონაცემებზე უფრო მაღალია, როდესაც ხსენებული მაჩვენებელი 25.1% იყო. აღნიშნული ზრდის ერთი მიზეზია მედიკამენტების ღირებულების ზრდა. შინამეურნეობების თითქმის 27.8% (2015 წელს ეს მაჩვენებელი 26.4% იყო) აღნიშნავდა მედიკამენტების შეძენას როგორც უმთავრეს პრობლემას. მედიკამენტებზე გაწეული საშუალო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა სამომხმარებლო კვინტილებში.

8. შინამეურნეობის მართვის სტრატეგიები

8.1 ზოგადი მიმოხილვა

კვლევის შედეგების თანახმად, წინა წლის განმავლობაში ეკონომიკური სიტუაცია „გაუარესებულად“ მიჩნეულ იქნა შინამეურნეობების 43.2%-ის მიერ. ხსენებული მაჩვენებელი შემცირდა 2015 წლის შემდეგ, როცა ეს ციფრი 44.9%-ს შეადგინდა. შინამეურნეობების თითქმის 50%-ისთვის ეკონომიკური სიტუაცია არ შეცვლილა გასული წლის განმავლობაში, ის მხოლოდ 4%-ისთვის გაუმჯობესდა (ცხრილი 8.1).

ცხრილი 8.1: რესპონდენტების მოსაზრებები შინამეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების თაობაზე 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წელს

| ცვლილება გასული წლის მანძილზე | შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის % | | | | |
|---|---------------------------------------|-------|-------|-------|-------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| გაუარესდა | 49.3 | 43.2 | 24.8 | 44.9 | 43.2 |
| არ შეცვლილა | 46 | 50.7 | 65.1 | 48.8 | 49.1 |
| გაუმჯობესდა | 2.2 | 4.1 | 8.2 | 3.7 | 4.0 |
| არ ვიცი | 2.4 | 1.8 | 1.9 | 2.5 | 3.4 |
| უარი პასუხზე | 0.1 | 0.1 | 0 | 0.1 | 0.4 |
| რესპონდენტი შინამეურნეობის რაოდენობა (შეუწონავი რაოდენობა) | 4,648 | 4,147 | 3,726 | 4,533 | 4,697 |

კვლევის წინა ეტაპების მსგავსად, ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებულ კითხვებზე სარწმუნო პასუხების ანალიზმა კვლავ მოხმარების დონესთან მნიშვნელოვანი კავშირი გამოავლინა (ცხრილი 8.2).

ცხრილი 8.2: რესპონდენტთა თვალსაზრისი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესახებ, ეკვივალენტულ პირის მოხმარების კვინტილის მიხედვით 2017 წელს (1 არის ყველაზე დაბალი)

| ცვლილება გასული წლის მანძილზე | უღარიბესი | მე-2 | მე-3 | მე-4 | უმდიდრესი | სულ |
|--|-----------|------|------|------|-----------|-------|
| მნიშვნელოვნად გაუარესდა | 23.7 | 13.1 | 10.8 | 6.5 | 3.9 | 11.6 |
| გაუარესდა | 35.5 | 40.5 | 36.9 | 30.3 | 23.3 | 33.3 |
| საგრძნობლად არ შეცვლილა | 38.8 | 45.2 | 49.4 | 57.9 | 63.6 | 51.0 |
| გაუმჯობესდა | 1.9 | 1.0 | 2.8 | 5.2 | 8.5 | 3.9 |
| მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა | 0.2 | 0.2 | 0.1 | 0.1 | 0.7 | 0.3 |
| შინამეურნეობათა რაოდენობა (შეუწონავი $n=4,405$) | 907 | 952 | 929 | 879 | 819 | 4,486 |

პირველ ორ უღარიბეს სამომხმარებლო კვინტილში ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება შედარებით უფრო გავრცელებული იყო (23.7% და 13.1%) ვიდრე უმდიდრეს მეხუთედში (3.9%). ასევე, შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის აღქმული გაუმჯობესება იზრდება სამომხმარებლო კვინტილთან ერთად. შინამეურნეობების უღარიბესი მეხუთედის მხოლოდ 1.9%-მა აღნიშნა პირობების გაუმჯობესება უმდიდრესი მეხუთედის 8.5%-თან შედარებით (ცხრილი 8.2).

8.2 შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზები

ცხრილი 8.3 წარმოაჩენს რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას იმ შინამეურნეობების პროცენტულ რაოდენობაში, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. როგორც ჩანს, შინამეურნეობებმა გარკვეულად დაძლიერ სესხების დაფარვის მძიმე ტვირთი. 2017 წელს 7.9%-მა, 2015 და 2013 წელს 10%-მა ხოლო 2011 წელს 74%-მა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად ვალი დაასახელა. 2017 წელს გაზრდილი ფასები, სერიოზული ავადმყოფობა და შინამეურნეობის შემოსავლის შემცირება რჩებოდა ძირითად პრობლემებად, რომლებიც შესაბამისად შინამეურნეობების 69.7%, 23.1% და 16.2%-ის მიერ აღინიშნა (ცხრილი 8.3).

ცხრილი 8.3: შინამეურნეობების წევრთა მიერ დასახელებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზები 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| | შინამეურნეობების % | | | | |
|---------------------------------------|--------------------|-------------------|-----------------|-------------------|-------------------|
| | 2009 (n=2,185) | 2011 (n=1,792) | 2013 (n=939) | 2015 (n=2,079) | 2017 (n=2,121) |
| ფასების ზრდა | 2.4 | 0.9 | 28.4 | 73.0 | 69.7 |
| სესხის დაფარვა | 63.9 | 74.0 | 10.0 | 10.0 | 7.9 |
| მძიმე ავადმყოფობა | 29.2 | 27.0 | 39.5 | 26.5 | 23.1 |
| შინამეურნეობის შემოსავლის კლება | 22.9 | 17.3 | 23.5 | 19.0 | 16.2 |
| სამსახურ(ებ)ის დაკარგვა | 19.7 | 13.6 | 18.5 | 10.0 | 6.9 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლება | 10.3 | 13.1 | 13.2 | 7.2 | 3.6 |
| უცხოეთიდან ფულადი გადმორიცვების კლება | 9.1 | 14.3 | 0.7 | 1.1 | 0.6 |

8.3 დამატებითი საარსებო წყაროები

კვლევის წინა ეტაპების მსგავსად, ახლაც დავინტერესდით რა დამატებითი საარსებო წყაროები მოიძიეს შინამეურნეობებმა მას შემდეგ, რაც მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ამ გამოკითხვის შედეგები 8.5 ცხრილშია ასახული.

2009 წელს გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში აღმოჩენილი შინამეურნეობების უმეტესობას (62%) არანაირი დამატებითი საარსებო წყარო არ ჰქონდა. 2011 წლისთვის ეს მაჩვენებელი 65%-მდე გაიზარდა, 2013 წლისთვის კი 41%-მდე შემცირდა. 2015 წელს ამ ციფრმა ისევ აიწია და 62.7% შეადგინა. თუმცა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 7.3 პროცენტული პუნქტით და 55.4%-ს გაუტოლდა. როგორც 8.4 ცხრილშია ნაჩვენები, შინამეურნეობების აღტერნატიულ საარსებო წყაროებს ძირითადად ნათესავებისა და მეგობრებისგან მიღებული დახმარება (16.0%) და საფინანსო დაწესებულებიდან ნასესხები ფული (8.0%) წარმოადგენს.

ცხრილი 8.4: გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში მყოფ შინამეურნეობათა წევრების მიერ დასახელებული დამატებითი საარსებო წყაროები, 2017

| | N (1,930) | % | შინამეურნეობები % (n=2121) |
|--|-----------|------|-------------------------------|
| არ ჰქონდათ დამატებითი საარსებო წყარო | 1,192 | 61.8 | 55.4 |
| ნათესავის ან მეგობრის დახმარება | 323 | 16.7 | 16.0 |
| ბანკიდან ან სხვა ფინანსური დაწესებულებიდან თანხის სესხება | 176 | 9.1 | 8.0 |
| ნათესავისგან ან მეგობრისგან თანხის სესხება | 58 | 3.0 | 3.3 |
| სოციალურად დაუცველ შინამეურნეობათა სოციალური დახმარება | 46 | 2.4 | 2.1 |
| შემოსავალზე მეტის დახარჯვა | 40 | 2.1 | 1.8 |
| ქონების (მიწის, სახლის, შინაური საქონლის, მანქანის და ა.შ.) გაყიდვა | 29 | 1.5 | 1.1 |
| დახმარება არანათესავისგან ან არამეგობრისგან | 29 | 1.5 | 2.0 |
| თანხის სესხება არანათესავისგან ან არამეგობრისგან | 8 | 0.4 | 0.5 |
| სხვა სახის სოციალური დახმარება | 7 | 0.4 | 0.5 |
| დახმარება მუნიციპალიტეტისგან | 16 | 0.8 | 1.0 |
| დახმარება რელიგიური ორგანიზაციებისგან | 4 | 0.2 | 0.2 |
| დახმარება სხვა არასამთავრობო (ან საქველმოქმედო) ორგანიზაციებისგან | 2 | 0.1 | 0.1 |
| სულ | 1,930 | | |

8.4 ცხრილში აღნიშნული ალტერნატივების ტიპების ფართო კატეგორიებად დაჯაფებისას ჩანს, რამდენად შეიცვალა ქალაქებსა თუ სოფელში მცხოვრები შინამეურნეობების რეაგირება სირთულეებზე. 2009 წელს ქალაქის შინამეურნეობებში, სოფელთან შედარებით უფრო მეტად, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დამატებით საარსებო წყაროს წარმოადგენდა ნათესავებისგან, მეგობრებისგან და სხვა პირებისგან დახმარების ნატურით მიღება. იგივე შეიძლება ითქვას თანხის სესხებაზეც. 2011 წელს ეს სურათი შეიცვალა და სოფლად მცხოვრები შინამეურნეობები უფრო გახდნენ დამოკიდებულნი მეგობრებზე, ოჯახსა თუ სესხის აღებაზე. 2013 წლიდან ნათესავებისგან, მეგობრებისგან თუ სხვა პირებისგან დახმარების ნატურით მიღება ქალაქის შინამეურნეობებისთვის ისევ მეტად გავრცელებულ დამატებით საარსებო წყაროდ იქცა. 2015-დან 2017 წლამდე პერიოდში ნასესხები სახსრების მოცულობა გაიზარდა 2.2

პროცენტული პუნქტით ქალაქად, თუმცა ის შემცირდა 0.7 პროცენტული პუნქტით სოფლად (ცხრილი 8.5).

2009 წლის განმავლობაში სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებს სავარაუდოდ არ ჰქონდათ ალტერნატიული საარსებო წყარო. ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობები ამ პოზიციაში იყვნენ მომდევნო წლებში 2017 წლამდე. სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების თითქმის 58%-ს არ ჰქონდა დამატებითი საარსებო წყარო 2017 წელს ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების 53%-თან შედარებით. 2017 წელს 2015 წელთან შედარებით ქალაქისა და სოფლის შინამეურნეობების წილი, რომელსაც არ გააჩნდა საარსებო წყარო შემცირდა შესაბამისად 12.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 8.5).

კვლევის ყველა ეტაპზე მეხუთე რაუნდის გარდა სოფლად მცხოვრები შინამეურნეობები უფრო დამოკიდებულნი იყვნენ სოციალურ დახმარებაზე, ვიდრე ქალაქებში მობინადრე შინამეურნეობები. ეს განსხვავება ყველაზე შესამჩნევი 2011 წელს იყო. მეხუთე რაუნდში სიტუაცია შეიცვალა. კერძოდ, ქალაქად შინამეურნეობები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სოციალურ დახმარებაზე როგორც დამატებით საარსებო წყაროზე ვიდრე სოფლად მცხოვრები შინამეურნეობები (ცხრილი 8.5).

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზი, 2017

ცხრილი 8.5: გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში მყოფ შინამეურნეობათა წევრების მიერ დასახელებული დამატებითი საარსებო წყაროები სოფლებსა და ქალაქებში, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წელს

| | ქალაქად | სოფლად | ქალაქად | სოფლად | ქალაქად | სოფლად | ქალაქად | სოფლად | ქალაქად | სოფლად |
|-----------------------------------|------------|--------------|------------|--------------|------------|------------|------------|--------------|------------|--------------|
| | 2009 | | 2011 | | 2013 | | 2015 | | 2017 | |
| ნატურით დახმარება | 26.8 | 17.0 | 17.8 | 23.7 | 27.0 | 23.6 | 17.6 | 15.9 | 20.0 | 14.9 |
| სესხება, ან დანაზოგის ხარჯვა | 17.6 | 12.0 | 13.1 | 22.4 | 19.2 | 34.4 | 12.7 | 11.7 | 14.9 | 11.0 |
| საქონლის გაყიდვა ან გაქირავება | 2.4 | 3.3 | 2.7 | 3.5 | 3.4 | 4.9 | 0.5 | 1.0 | 0.7 | 1.5 |
| საქველმოქმედო დახმარება | 0.5 | 1.3 | 0.0 | 0.4 | 0.0 | 0.8 | 0.1 | 0.0 | 0.2 | 0.4 |
| სოციალური დახმარება | 4.3 | 9.6 | 1.9 | 11.0 | 8.8 | 17.7 | 4.2 | 6.5 | 2.8 | 2.3 |
| არანაირი | 58.2 | 67.2 | 71.7 | 57.3 | 47.4 | 33.6 | 65.3 | 60.0 | 52.8 | 57.9 |
| შეუწონავი რაოდენობა | 711 | 1,339 | 533 | 1,032 | 281 | 658 | 683 | 1,396 | 646 | 1,475 |

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ 2017 წელს ზოგადად, უფრო შეძლებულ შინამეურნეობებს მიუწვდებოდათ ხელი ალტერნატიულ საარსებო წყაროებზე. მათ განსაკუთრებით, ჰქონდათ სესხის აღებისა და დანაზოგის ხარჯვის საშუალება. საკმაოდ საინტერესოა, რომ აღებული სესხი და დანაზოგის ხარჯვა (9.6%) უღარიბეს კვინტილში აღემატება სოციალურ დახმარებას (5.1%), როგორც დამატებით საარსებო წყაროს. შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი ალტერნატიული წყაროს გარეშე არის 55.3% უღარიბეს მეხუთედში, უმდიდრესის მეხუთედის 50.7%-თან შედარებით.

8.4 გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის ზემოქმედების შემსუბუქება

გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად (დაასახელა შინამეურნეობის თითქმის 54.1%-მა) რესპონდენტები ყველაზე ხშირად საკვების მოხმარების ცვლილებას ასახელებდნენ (სურსათის ან შემცირებული მოხმარება ან უფრო იაფი საკვების მოხმარების დაწყება). შინამეურნეობების დაახლოებით 21%-მა შეცვალა არასაკვები პროდუქციის მოხმარება (შეწყვიტა ზოგიერთი არასაკვები პროდუქტის შეძენა ან დაიწყო შედარებით უფრო იაფი პროდუქციის ან მეორადი პროდუქციის შესყიდვა). შინამეურნეობების 24.1%-ის შემთხვევაში, კონკურეტული არაფერი ყოფილა აღნიშნული გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად. სოფლად მცხოვრებმა შინამეურნეობებმა სავარაუდოდ გაზარდეს თავიანთი საარსებო წარმოება. ქალაქად მცხოვრებმა შინამეურნეობებმა, მეორე მხრივ, შეცვალეს განათლების სერვისების გამოყენება (ცხრილი 8.6).

ცხრილი 8.6: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ქალაქებისა და სოფლების შინამეურნეობის მიერ გამოყენებული საშუალებები, 2017

| | ქალაქის შინამეურნეობების % | სოფლის შინამეურნეობების % | სულ |
|--|----------------------------------|---------------------------------|-------|
| ცვლილება საკვების მოხმარებაში | 55.5 | 52.7 | 54.1 |
| სამუშაოს სამებნელად გადასვლა | 1.4 | 1.8 | 1.6 |
| საკვები პროდუქციის წარმოების გაზრდა | 0.5 | 4.1 *** | 2.3 |
| ცვლილება არასაკვები პროდუქციის მოხმარებაში | 21.8 | 19.8 | 20.8 |
| ცვლილება საგანმანათლებლო სერვისების მოხმარებაში | 4.7 *** | 1.9 | 3.2 |
| ცვლილება სამედიცინო მომსახურების მოხმარებაში | 3.5 | 4.8 | 4.2 |
| კერძო ტრანსპორტის გამოყენების შემცირება | 0.5 | 0.5 | 0.5 |
| არანაირი | 23.6 | 24.6 | 24.1 |
| შინამეურნეობების საერთო რაოდენობა | 646 | 1,475 | 2,121 |

შენიშვნა: ns - უმნიშვნელო; * $p<0.05$; ** $p<0.01$; *** $p<0.001$; გამორიცხავს ყველა შინამეურნეობას რომელიც მამაკაცებისგან შედგება

2009 და 2011 წლებში ეკონომიკური ზეწოლის შემსუბუქების მიზნით სხვადასხვა სამომხმარებლო კვინტილის მიერ გამოყენებული საშუალებები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. თუმცა, საკვებთან მიმართებაში მაინც მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა. თუკი 2011 წელს საკვების შემცირება ან იაფი საკვების შეძენა უდარიბესი კვინტილის შინამეურნეობების 96%-მა დაიწყო, უმდიდრეს ჯგუფში ამ საშუალებას მხოლოდ შინამეურნეობათა ნახევარზე ოდნავ მეტმა მიმართა. ამისგან განსხვავებით, 2013 წელს კვინტილებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება არასაკვები პროდუქციის მოხმარებაში მომხდარ ცვლილებებში შეიმჩნეოდა. 2015 წელს შექმნილ ვითარებაზე ყველაზე გავრცელებული პასუხი საკვების მოხმარების შეცვლა იყო: ეკონომიკური ზეწოლის შემსუბუქების მიზნით, პირველი კვინტილის შინამეურნეობათა 58.2%-მა შეამცირა საკვების მოხმარება, უმდიდრეს კვინტილში კი ასე შინამეურნეობათა 40% მოიქცა. 2017 წლის სიტუაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება სამომხმარებლო კვინტილებში ისევ სურსათის მოხმარების ცვლილების თვალსაზრისით აღინიშნა. შინამეურნეობების დაახლოებით 57.2%-მა პირველ კვინტილში გამოიყენა სურსათის მოხმარების ცვლილება როგორც გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების საშუალება, ხოლო უმაღლეს კვინტილში ეს გამოყენებული იყო 41.1%-ის შემთხვევაში (ცხრილი 8.7).

**ცხრილი 8.7: გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით
შინამეურნეობის მიერ გამოყენებული საშუალებები ეზპ-ის მოხმარების კვინტილების
მიხედვით (1 არის ყველაზე დაბალი) 2017**

| | კვინტილი | | | | | სულ |
|---|----------|------|------|------|------|------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| ცვლილება საკვების მოხმარებაში | 57.2 | 59.3 | 56.9 | 47.2 | 41.1 | 54.1 |
| სამუშაოს ძებნა | 1.3 | 1.2 | 2.0 | 1.8 | 2.3 | 1.6 |
| საკვები პროდუქციის წარმოების გაზრდა | 2.5 | 1.6 | 2.1 | 2.5 | 3.7 | 2.3 |
| ცვლილება არასაკვები პროდუქციის მოხმარებაში | 19.6 | 24.2 | 21.9 | 20.0 | 15.6 | 20.8 |
| ცვლილება საგანმანათლებლო სერვისების მოხმარებაში | 1.7 | 2.3 | 3.5 | 4.7 | 6.0 | 3.2 |
| ცვლილება სამედიცინო მომსახურების მოხმარებაში | 2.4 | 5.3 | 3.8 | 5.3 | 4.9 | 4.2 |

| | | | | | | |
|--|------|------|------|------|------|-------|
| კერძო ტრანსპორტის გამოყენების შემცირება | 0.4 | 0.3 | 1.2 | 0.5 | 0.1 | 0.5 |
| არანაირი | 23.8 | 18.9 | 22.9 | 28.1 | 32.0 | 24.1 |
| შინამეურნეობების საერთო რაოდენობა (შეუწონავი ი) | 536 | 528 | 456 | 346 | 255 | 2,121 |

8.5 ვალი და სესხის აღება

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ წინა წელს შინამეურნეობათა დაახლოებით 32%-ს ნასესხები ჰქონდა ფული, რაც უფრო ნაკლები იყო ვიდრე 2015 წლის მაჩვენებელი (45%), 2013 და 2011 წლის მაჩვენებელი (44%) და 2009 წლის მაჩვენებელი (36%). ნასესხები სახსრების ტიპები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. 1,534-მა შინამეურნეობამ აღნიშნა სესხის აღების 1,629 შემთხვევის შესახებ. ამ შინამეურნეობების წევრები ყველაზე ხშირად ბანკებიდან ან ლომბარდიდან სესხულობდნენ (80.9%). თუმცა ვალის აღების ყველაზე მეტად გავრცელებული სხვა საშუალებები იყო ნათესავებისგან ან მეგობრებისგან (4.6%) და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან სესხება (8.7%).

როგორც 8.8 ცხრილშია ნაჩვენები, 2009 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, ვინც ფულს მეგობრებისგან და ნათესავებისგან, ან, ასევე, საკრედიტო ასოციაციებისგან სესხულობდა. ამავდროულად, გაიზარდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც ვალის ასაღებად ბანკებსა და ლომბარდებს მიმართავენ (ცხრილი 8.8).

ცხრილი 8.8: სესხის აღების წყაროები კრიზისის შედეგად დაზარალებული შინამეურნეობებისთვის კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე (2009, 2011, 2013, 2015 და 2017)

| წყარო | აღებულ სესხთა რაოდენობა | სესხები % | შინამეურ- ნეობების % 2017 | შინამეურ- ნეობების % 2015 | შინამეურ- ნეობების % 2013 | შინამეურ ნეობების % 2011 | შინამეურ ნეობების % 2009 |
|-------------------------------|-------------------------------|--------------|---------------------------------|---------------------------------|---------------------------------|--------------------------------|--------------------------------|
| ნათესავი ან მეგობარი | 75 | 4.6 | 6.1 | 9.1 | 16.8 | 29.4 | 36.8 |
| კერძო პირი ან მევახშე | 25 | 1.5 | 2.3 | 4.5 | 8.1 | 7 | 6.6 |
| ბანკი ან ლომბარდი | 1318 | 80.9 | 84.9 | 80.3 | 71.8 | 60.4 | 48.7 |
| საკრედიტო ასოციაცია | 8 | 0.5 | 0.3 | 0.6 | 0.3 | 1.2 | 3.1 |
| მაღაზია ან აფთიაქი | 61 | 3.7 | 3.6 | 5.3 | 16.7 | 22.6 | 24.6 |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაცია | 142 | 8.7 | 10.1 | 8.3 | 4.1 | | |
| სულ | 1,629 | 100 | n=1,534 | n=2,021 | n=1,598 | n=1,667 | n=1,773 |

ნათესავებისა და მეგობრების ფინანსური დახმარების სხვა წყაროთი შეცვლა შეიმჩნევა როგორც სოფლების, ასევე, ქალაქების შინამეურნეობებში. შედეგები ასევე მიუთითებს, რომ ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობების წილი, რომელიც ბანკებს ან ლომბარდებს იყენებდა სასესხებლად 80.7%-დან (2015) 83.5%-მდე (2017 წელს) გაიზარდა. ქალაქად ასეთი შინამეურნეობების რაოდენობა 79.8%-დან (2015) 86.6%-მდე (2017 წელს) გაიზარდა (ცხრილი 8.9).

4.1.3 თავი აჩვენებს, რომ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელიც იმყოფება აღნიშნული სამი სიღარიბის ზღვრიდან თითოეულის ქვემოთ მნიშვნელოვნად მაღალია სოფლად ვიდრე ქალაქად (2017 წელს უკიდურესი სიღარიბის გარდა). ეს შეიძლება ხსნიდეს, თუ რატომ შეუძლიათ ოჯახებს და მეგობრებს სულ უფრო ნაკლებად დახმარების გაწევა. ამდენად უფრო მეტი შინამეურნეობა მიმართავს კრედიტის ოფიციალურ წყაროებს. 35 შემთხვევაში (შინამეურნეობების 0.7%), მეგობრების


ნათესავებს სთხოვეს წინა 12 თვის განმავლობაში ფულის გასესხება, მაგრამ მათ უარი თქვეს. ასეთი სიტუაციებიდან 12 შემთხვევაში უარის დასახელებული მიზეზი იყო არასაკმარისი შემოსავალი.

ცხრილი 8.9: სესხის აღების წყაროები ქალაქებისა და სოფლების კრიზისის შედეგად დაზარალებული შინამეურნეობებისთვის კვლევისჩატარებამდე ერთი წლით ადრე (%)

| წყარო | ქალაქები | სოფლები | ქალაქები | სოფლები | ქალაქები | სოფლები | ქალაქები | სოფლები | ქალაქები | სოფლები |
|--------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|--------------|------------|--------------|------------|------------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 | | | | | |
| ნათესავი ან მეგობარი | 20.9 | 52.4 | 24.2 | 35.2 | 11.8 | 22.5 | 11.0 | 7.2 | 7.9 | 4.0 |
| კერძო პირი ან მევახშე | 6.5 | 6.7 | 6.7 | 7.3 | 8.5 | 7.6 | 4.8 | 4.2 | 3.0 | 1.4 |
| ბანკი ან ლომბარდი | 64.1 | 33.5 | 69.8 | 50.2 | 80.6 | 61.9 | 80.7 | 79.8 | 83.5 | 86.6 |
| საკრედიტო ასოციაცია | 6.1 | 0.1 | 1.7 | 0.7 | 0.1 | 0.5 | 0.3 | 0.8 | 0.2 | 0.6 |
| მაღაზია | 12.9 | 36.1 | 13.4 | 32.7 | 12.0 | 21.9 | 5.6 | 5.0 | 3.5 | 3.8 |
| მიკროსაფინანს ო ორგანიზაცია | | | | | 1.4 | 7.0 | 6.3 | 10.4 | 11.6 | 8.3 |
| სულ | 824 | 839 | 925 | 849 | 510 | 1,088 | 684 | 1,337 | 550 | 984 |

მართალია, 2011 წლის შემდეგ შინამეურნეობების მიერ ბანკებიდან და ლომბარდებიდან სესხის აღების შემთხვევებმა ეზპ-ის მიხედვით ყველა კვინტილში მნიშვნელოვნად იმატა, ყველაზე დიდი ზრდა მაინც უღარიბეს კვინტილში დაფიქსირდა. მაგალითად, შინამეურნეობების რაოდენობა, რომელიც ბანკებს ან ლომბარდებს იყენებს უღარიბეს მეხუთედში გაიზარდა 10.1 პროცენტული პუნქტით 67.0%-დან (2015) 77.1%-მდე (2017). მიუხედავად იმისა, რომ უმდიდრეს მეხუთედში შინამეურნეობების წილი გაიზარდა 0.3 პროცენტული პუნქტით 91.0%-დან (2015) 91.3%-მდე (2017) საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედების შედეგები ღარიბი შინამეურნეობების უნარზე სესხის გადახდის თვალსაზრისით სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ასევე, ეს შედეგები შეიძლება საქართველოში შინამეურნეობების ჭარბვალიანობის კარგი ინდიკატორი იყოს (დიაგრამა 8.1).

დიაგრამა 8.1: იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი თითოეულ კვინტილში, რომლებმაც 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში ფული ისესხეს ბანკებიდან ან ლომბარდებიდან



შინამეურნეობების 7.4%-ს (10.4%-ს 2015 წელს), რომლებიც სესხის ასაღებად ბანკებსა და ლომბარდებს იყენებდნენ ვალები ნაწილობრივადაც კი არ ჰქონდა დაფარული. ეს მაჩვენებელი ქალაქებში 7.3%-ს (9.6% 2015 წელს), სოფლების შინამეურნეობებში კი 7.5%-ს შეადგენდა (11.2% სოფლად). კვლევის პერიოდში მოხმარების უდარიბესი კვინტილის იმ შინამეურნეობათა 18.7%-ს (25.6% 2015 წელს), რომელთაც ნასესხები ჰქონდათ ფული, თანხის ნაწილიც კი არ ჰქონდა გადახდილი. აღნიშნულის საპირისპიროდ, ეს მაჩვენებელი შეადგენდა 3.4%-ს (6.1% 2015 წელს) უმდიდრეს კვინტილში. თუმცა, ინფორმაცია სესხის ვადის შესახებ ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ეს ნიშნავს, რომ სესხის აღებას შეიძლება ადგილი ჰქონოდა ნებისმიერ დროს კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე.

2017 წელს შინამეურნეობათა მხოლოდ 5.4%-მა (5.6% 2015 წელს) მოახერხა ფულის დაზოგვა. მათი დაახლოებით ერთი მეოთხედი ამას ყოველთვიურად აკეთებდა და 75% შემოსავლის 10%-ს ან უფრო ნაკლებს ზოგავდა.

8.6 მომავლის პერსპექტივები

შინამეურნეობათა რესპონდენტებიდან, რომლებმაც გამოხატეს მოსაზრება იმის შესახებ თუ როგორ შეიცვლებოდა სავარაუდოდ მათი ეკონომიკური მდგომარეობა მომდევნო 12 თვის მანძილზე, მხოლოდ 10.3%-მა მიიჩნია რომ მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. ეს მნიშვნელოვანი კლებაა 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით (15.2%). დიდი ნაწილი (58.2%) არ ითვალისწინებდა ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებას და დაახლოებით 24.2% პროგნოზირებდა მდგომარეობის გაუარესებას. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სოფლის შინამეურნეობებსა (7.9%) და ქალაქის შინამეურნეობებს შორის (6.7%), რომლებიც ფიქრობდნენ რომ მათი ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა. პესიმისტური მოსაზრებები კვლავ თვალსაჩინოა დაბალი მოხმარების კვინტილებისთვის. მაგალითად, შინამეურნეობების დაახლოებით 30.3% უდარიბეს მეხუთედში მიიჩნევს, რომ ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში, ხოლო ეს მაჩვენებელი უმდიდრეს მეხუთედში 12.5%-ს შეადგენს (ცხრილი 8.10).


ცხრილი 8.10: შინამეურნეობების მოსაზრებები მომდევნო 12 თვის განმავლობაში ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით (ეზპ-ის) მოხმარების კვინტილების მი-ხედვით, 2017 (n= 3,544^a)

| ეკონომიკური მდგომარეობა | ეზპ-ის მოხმარების კვინტილის % | | | | | სულ |
|--------------------------------|-------------------------------|------------|------------|------------|------------|------------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
| გაუარესდება | 17.1 | 8.7 | 5.4 | 3.1 | 2.7 | 7.3 |
| მნიშვნელოვნად გაუარესდება | 30.3 | 31.6 | 27.4 | 20.2 | 12.5 | 24.2 |
| მნიშვნელოვნად არ შეიცვლება | 48.2 | 54.8 | 58.1 | 63.1 | 66.0 | 58.2 |
| გაუმჯობესდება | 4.1 | 4.8 | 8.8 | 13.3 | 17.4 | 9.8 |
| მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება | 0.3 | 0.1 | 0.3 | 0.3 | 1.4 | 0.5 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

შენიშვნა: ^a ცხრილი არ მოიცავს მათ, ვისაც პასუხი არ ჰქონდა, ან უარი თქვა პასუხის გაცემაზე.

უდარიბეს კვინტილში იმ შინამეურნეობათა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ მომდევნო 12 თვის მანძილზე, დიდი (ან ძალიან დიდი) ალბათობით, ვერ შეძლებენ თუნდაც მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას 72.1%-დან (2015 წ.) 63.9%-მდე (2017 წ.) შემცირდა. უმდიდრეს კვინტილთან დაკავშირებით ის შემცირდა 27.9%-დან (2015 წელს) 18.5%-მდე 2017 წელს (დიაგრამა 8.2).

დიაგრამა 8.2: იმ შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც თვლიან, რომ
მაღალი, ან საშუალოზე მაღალი ალბათობით ვერ შეძლებენ მომავალ წელს ძირითადი
საჭიროებების დაკამაყოფილებას (2009, 2011, 2013, 2015 და 2017)



შენიშვნა: „არ მოიცავს მათ, ვისაც პასუხი არ ჰქონდა, ან უარი თქვა პასუხის გაცემაზე.“

დასკვნა

კვლევის შედეგების თანახმად ეკონომიკური სიტუაცია მიჩნეულ იქნა „გაუარესებულად“ წინა წლის განმავლობაში შინამეურნეობების 43.2%-ის მიერ. ხსენებული მაჩვენებელი შემცირდა 2015 წლის შემდეგ, როცა ეს ციფრი 44.9 %-ს შეადგინდა. შინამეურნეობების თითქმის 50 %-ისთვის ეკონომიკური სიტუაცია არ შეცვლილა გასული წლის განმავლობაში და მხოლოდ 4%-ისთვის ის გაუმჯობესდა.

ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება შედარებით უფრო ხშირია ულარიბეს კვინტილებში უმდიდრესთან შედარებით. პირველ ორ ულარიბეს სამომხმარებლო კვინტილებში ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება შედარებით უფრო გავრცელებული იყო (23.7% და 13.1%) ვიდრე უმდიდრეს მეხუთედში (3.9%). ასევე, შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის აღქმული გაუმჯობესება იზრდება მოხმარების კვინტილთან ერთად. შინამეურნეობების უღარიბესი მეხუთედის მხოლოდ 1.9%-მა აღნიშნა პირობების გაუმჯობესება უმდიდრესი მეხუთედის 8.5%-თან შედარებით.

გაზრდილი ფასები, სერიოზული ავადმყოფობა და შინამეურნეობების შემოსავლის კლება ძირითადი მიზეზებია, რომლებიც დასახელდა შინამეურნეობის წევრთა მიერ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზებად. 2017 წელს გაზრდილი ფასები, სერიოზული

ავადმყოფობა და შინამეურნეობის შემოსავლის შემცირება რჩებოდა ძირითად პრობლემებად, რომლებიც შესაბამისად შინამეურნეობების 69.7%, 23.1% და 16.2%-ის მიერ აღინიშნა.

ალტერნატიული საარსებო წყაროები ძირითადად შედგება ნათესავების ან მეგობრების მხრიდან მიღებული დახმარებისგან ან საფინანსო ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრებისგან. 2017 წელს შინამეურნეობების 55.4%-ს, რომელიც ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების რისკის წინაშე აღმოჩნდა, არ გააჩნდა სხვა საარსებო ალტერნატივა. თუმცა, იმ შინამეურნეობებიდან, რომლებმაც აღიშნული ახსენეს, 16.0%-მა მიუთითა დახმარებაზე ნათესავებისა და მეგობრებისგან, ხოლო 8%-მა სესხის აღების შესახებ საფინანსო ინსტიტუტებიდან.

უღარიბეს კვინტილში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკებიდან და ლომბარდებიდან სესხის აღება. ამ შინამეურნეობების წევრები ყველაზე ხშირად ბანკებიდან ან ლომბარდიდან სესხულობდნენ (80.9%). 1,534-მა შინამეურნეობამ აღნიშნა სესხის აღების 1,629 შემთხვევის შესახებ (ბანკები ან ლომბარდები 80.3%; ნათესავები/მეგობრები 6.1% და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 8.7%). უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებისა და ლომბარდების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა უღარიბეს კვინტილში.

უღარიბესი შინამეურნეობების მხრიდან მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის მოლოდინი რომ შინამეურნეობა ვერ შეძლებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი მომდევნო 12 თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. უღარიბეს კვინტილში იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ რომ ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას მომდევნო 12 თვის განმავლობაში 72.1%-დან (2015) 63.9%-მდე (2017) შემცირდა.

9. ბავშვთა კეთილდღეობა

9.1 ბავშვთა სიღარიბე

2017 წლის “მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის” შედეგები გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობების 33.4%-ში ცხოვრობს 16 წლამდე ასაკის, სულ მცირე, ერთი ბავშვი მაინც და ბავშვებიანი შინამეურნეობების 50% სოფლებში ბინადრობს. სიღარიბის მაჩვენებლები ამ ბავშვებისთვის გაიზარდა თითოეული ზღვრისთვის. როგორც კვლევა მიუთითებს, ბავშვები კვლავ უფრო მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე, ვიდრე ზოგადად, მოსახლეობა, ან პენსიონერები. 2017 წელს უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები ქალაქად მცხოვრები ბავშვებისთვის გაიზარდა 5.4 პროცენტული პუნქტით ხოლო სოფლად 3.2 პროცენტული პუნქტით. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები ბავშვებისთვის გაიზარდა 7.7 პროცენტული პუნქტით ქალაქად ხოლო სოფლად კი 1.3 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება ზოგადი სიღარიბის მაჩვენებელს ბავშვებისთვის, ის გაიზარდა 8.1 პროცენტული პუნქტით ქალაქად და 3.2 პროცენტული პუნქტით სოფლად (ცხრილი 9.1).

ცხრილი 9.1: ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლების ცვლა ქალაქებსა და სოფლებში 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წელს

| | | 2009 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 3,258) | 2011 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,713) | 2013 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,374) | 2015 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,939) | 2017 % (ბავშვების რაოდენობა შეწონვის გარეშე= 2,805) |
|-----------|---------|--|--|--|--|--|
| | ქალაქად | 10.0 | 6.4 | 5.8 | 2.1 | 7.5 |
| უკიდურესი | სოფლად | 13.0 | 12.7 | 6.1 | 3.0 | 6.2 |
| | სულ | 11.5 | 9.4 | 6.0 | 2.5 | 6.8 |
| | ქალაქად | 19.6 | 19.7 | 22.6 | 22.1 | 29.8 |
| ფარდობითი | სოფლად | 37.6 | 31.0 | 31.9 | 32.1 | 33.4 |
| | სულ | 28.4 | 25.2 | 27.1 | 26.8 | 31.6 |
| | ქალაქად | 37.7 | 34.1 | 23.6 | 17.4 | 25.5 |
| ზოგადი | სოფლად | 60.7 | 48.0 | 33.6 | 26.3 | 29.5 |
| | სულ | 49.0 | 40.9 | 28.4 | 21.7 | 27.6 |

ბავშვების მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხანგრძლივი მოხმარების ნივთების თვალსაზრისით. ცხრილი 9.2 მიუთითებს, თუ რამდენად შეიცვალა 2009 წლის შემდეგ იმ ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ოჯახებსაც აკლდა

ხანგრძლივი მოხმარების საგნები. თუკი 2009 წელს ბავშვთა 20.9% ცხოვრობდა შინამეურნეობებში, რომელსაც არ ჰქონდა ხუთი ან მეტი სახეობის ნივთი, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა 8.9%, 2013 წელს 4.7%, 2015 წელს 2.8% და 2017 წელს კი მხოლოდ 2.4% შეადგინა (ცხრილი 9.2).

ცხრილი 9.2: ისეთ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები, რომელთაც ამა თუ იმ რაოდენობით აკლიათ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017წწ.

| იმ ნივთების რაოდენობა, რომლებიც აკლია შინამეურნეობებს | ასეთ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების% | | | | |
|--|---|------|------|------|------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| 0 | 10.0 | 12.6 | 16.9 | 21.9 | 21.4 |
| 1 | 16.1 | 21.0 | 26.0 | 28.9 | 27.7 |
| 2 | 15.8 | 19.1 | 25.1 | 23.7 | 28.0 |
| 3 | 19.3 | 19.6 | 17.0 | 14.5 | 14.0 |
| 4 | 17.9 | 18.9 | 10.3 | 8.3 | 6.4 |
| 5 | 14.7 | 6.2 | 3.9 | 2.3 | 1.6 |
| 6 | 5.1 | 2.3 | 0.7 | 0.5 | 0.8 |
| 7 | 1.1 | 0.4 | 0.1 | 0.0 | 0.0 |

შენიშვნა: გამუქებული გრაფები აღნიშნავს იმ შინამეურნეობებს, რომელთაც აკლიათ ხუთი ან მეტი სახის ნივთი.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს ადგილი ჰქონდა ისეთი ბავშვების რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას, რომლებიც პრობლემურ სახლებში ცხოვრობდნენ, ბავშვების წილი შინამეურნეობებში რომლებიც მიწის იატაკის ან მცირე ფართობის სახლებში ცხოვრობენ შესაბამისად გაიზარდა 1.5 და 5.0 პროცენტული პუნქტით (ცხრილი 9.3).

ცხრილი 9.3: საყოფაცხოვრებო პრობლემების მქონე შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები, 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წწ.

| | ამგვარ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის % | | | | |
|-------------------------------|--|------|------|------|------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| დაზიანებული სახურავი | 43.0 | 36.9 | 33.0 | 33.9 | 25.6 |
| დაზიანებული იატაკი ან კედლები | 40.3 | 35.0 | 28.3 | 31.4 | 23.3 |
| მიწის იატაკი | 13.9 | 11.5 | 4.7 | 5.6 | 7.1 |
| წესტიანი საცხოვრებელი | 43.1 | 38.6 | 29.0 | 31.1 | 25.5 |
| ფანჯრის ჩამსხვრეული მინები | 20.3 | 16.8 | 10.8 | 15.2 | 12.2 |
| ხმაური | 10.2 | 9.3 | 6.3 | 8.1 | 6.0 |
| ფართობის სიმცირე | 39.2 | 32.4 | 24.4 | 22.6 | 27.6 |

9.4 ცხრილში შეჯამებულია ის ცვლილებები, რომლებიც მრავალმხრივმა დეპრივაციამ „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევების“ პერიოდში განიცადა და წარმოაჩენს ბავშვების მდგომარეობას. 2009 წელს ბავშვების მთლიანი რაოდენობის 13.1% ცხოვრობდა შინამეურნეობებში, რომლებსაც აკლდა ხუთი ან მეტი ხანგრძლივი მოხმარების ნივთი, განიცდიდა საცხოვრებელთან დაკავშირებულ ორ პრობლემას მაინც და რესპონდენტების თანახმად, მათი საცხოვრისი ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. აღნიშული ორმაგი მატერიალური დეპრივაციის მასშტაბი ბავშვებისთვის შემცირდა 5.7%-მდე 2011 წელს, 2.9%-მდე 2013 წელს, 2.3% მდე 2015 წელს და 1.5%-მდე 2017 წელს. მაშინ როცა კომუნალური სერვისების არარსებობისა და ფულადი სიღარიბის მაჩვენებლები ბავშვებისთვის გაიზარდა, ორმაგი მატერიალური დეპრივაცია, სუბიექტური სიღარიბე და სოციალური გარიყულობა შემცირდა 2017 წელს (ცხრილი 9.4).

ცხრილი 9.4: სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის სხვადასხვა განზომილებაში მომხდარი ცვლილებები 2009, 2011, 2013, 2015 და 2017 წწ

| განზომილება | ღარიბ და მატერიალური დეპრივაციის პირობებში მყოფ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები (%) | | | | |
|--------------------------------|--|------|------|------|------|
| | 2009 | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| უკიდურესი სიღარიბე | 11.5 | 9.4 | 6.0 | 2.5 | 6.8 |
| ფარდობითი სიღარიბე | 28.4 | 25.2 | 27.1 | 26.8 | 31.6 |
| ზოგადი სიღარიბე | 49.0 | 40.8 | 28.4 | 21.7 | 27.6 |
| მატერიალური დეპრივაცია | 13.1 | 5.7 | 2.9 | 2.3 | 1.5 |
| სუბიექტური სიღარიბე | 36.3 | 32.1 | 22.9 | 37.2 | 27.5 |
| სოციალური გარიყულობა | 8.6 | 6.7 | 5.6 | 8.1 | 2.9 |
| კომუნალური მომსახურების არქონა | 60.3 | 59.8 | 53.7 | 53.9 | 58.1 |

საკმარისი სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა ფუნდამენტური საჭიროებაა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შინამეურნეობებისა თუ ცალკეული ინდივიდების ფიზიკური ჯანმრთელობისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. წყლის საკმარისი მარაგის არარსებობა ხშირად ხდება გარდაცვალებისა და სხვადასხვა დაავადების მიზეზი - განსაკუთრებით ბავშვებში. ამგვარად, წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა საკვანძო ელემენტია ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობისა თუ ავადმყოფობის შესამცირებლად, და ეს, ყველაზე მეტად, ქალაქების ღარიბ უბნებს ეხება. მეოთხე თავში აღწერილი საზომების გამოყენებით, 2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა“ გვიჩვენებს, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები ბავშვების 4%-ზე მეტი ცხოვრობს შინამეურნეობაში, რომლებსაც არ აქვთ სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყარო (ცხრილი 9.5).

ქალაქად ბავშვების 9%-ზე მეტი და სოფლად ბავშვების 33% ცხოვრობს შინამეურნეობებში, სადაც არ არის შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. არაგაუმჯობესებულ სანიტარულ პირობებში ხშირად იგულისხმება ორმოიანი საპირფარეშოები ბეტონის იატაკის გარეშე (ცხრილი 9.6)

ცხრილი 9.5: გაუმჯობესებული (გაუმჯობესების გარეშე) წყალმომარაგების მქონე
შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული რაოდენობა, 2017 წელს

| წყალმომარაგების წყარო | ქალაქად | სოფლად | სულ |
|------------------------------|---------|--------|-------|
| შენობაში შეყვანილი | 92.3 | 62.8 | 77.1 |
| სხვა სახით გაუმჯობესებული | 6.7 | 33.2 | 20.3 |
| გაუმჯობესების გარეშე | 1.0 | 4.1 | 2.6 |
| შეუწონავი ი-ი | 893 | 1,912 | 2,805 |

ცხრილი 9.6: გაუმჯობესებულ (გაუმჯობესების გარეშე) სანიტარულ პირობებში მცხოვრები
ბავშვების პროცენტული რაოდენობა, 2017

| სანიტარული პირობები | ქალაქად | სოფლად | სულ |
|------------------------|---------|--------|-------|
| გაუმჯობესებული | 90.6 | 65.4 | 77.6 |
| გაუმჯობესების გარეშე | 9.3 | 32.9 | 21.4 |
| საზიარო | 0.0 | 1.6 | 0.8 |
| ღია დეფეკაცია | 0.1 | 0.2 | 0.1 |
| შეუწონავი ი-ი | 893 | 1,912 | 2,805 |

9.2 შემოსავლისა და მოხმარების სტრუქტურები

ბავშვიანი და უბავშვო შინამეურნეობათა შემოსავალ-გასავლის სტრუქტურები საკმაოდ განსხვავებულია. ბავშვიან შინამეურნეობებში ყოველთვიური მთლიანი საშუალო შემოსავალი 41.5%-ით, ხელფასის სახით მიღებული საშუალო შემოსავალი კი - 53%-ით უფრო მაღალია, ვიდრე უბავშვო შინამეურნეობებში. თუმცა, როცა შემოსავალს შინამეურნეობის წევრთა რაოდენობაზე ვანაწილებთ სურათი რადიკალურად იცვლება. შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე შედარებით დაბალია შინამეურნეობაში, სადაც ერთი ბავშვი მაინცაა წარმოდგენილი და განსხვავება აღსანიშნავია სოციალური ტრანსფერების შემთხვევებში: შინამეურნეობები ბავშვების გარეშე საშუალოდ იღებენ 122.7 ლარს ერთ ზრდასრულ ეკვივალენტურ პირზე თვეში სოციალური დახმარების სახით, ხოლო ბავშვიანი შინამეურნეობებისთვის საშუალო თანხა 50.3 ლარია (ცხრილი 9.7).

ცხრილი 9.7: შინამეურნეობის ყოველთვიური მთლიანი საშუალო შემოსავალი (ლარი) და შემოსავალი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 2017 წელს (n=4,697)

| შემოსავლის წყარო | შემოსავალი | | | შემოსავალი ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე | | |
|--|------------------|--------------|--------------|--|--------------|--------------|
| | ბავშვების გარეშე | ბავშვებით | სულ | ბავშვების გარეშე | ბავშვებით | სულ |
| ხელფასი | 342.5 | 523.2 | 402.8 | 167.2 | 162.2 | 165.5 |
| თვითდასაქმება | 115.3 | 210.7 | 147.1 | 55.4 | 63.6 | 58.2 |
| სოციალური ტრანსფერები | 174.5 | 169.9 | 173.0 | 122.7 | 50.3 | 98.6 |
| კერძო ტრანსფერები | 6.5 | 4.9 | 6.0 | 5.4 | 1.8 | 4.2 |
| ქირით მიღებული შემოსავალი | 1.9 | 1.7 | 1.9 | 1.0 | 0.6 | 0.8 |
| უცხოეთიდან განხორციელებული ტრანსფერები | 9.4 | 14.1 | 11.0 | 6.4 | 5.0 | 5.9 |
| სხვა წყარო | 27.9 | 34.7 | 30.2 | 16.6 | 11.4 | 14.9 |
| სულ | 678.1 | 959.2 | 771.9 | 374.7 | 294.9 | 348.1 |

თუკი შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურას განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ტენდენცია არ იცვლება. კერძოდ, შინამეურნეობის საშუალო მოხმარება 53.1%-ით მაღალია ბავშვიან შინამეურნეობებში ვიდრე უბავშვო შინამეურნეობებში. თუმცა, მოხმარება ერთ ზრდასრულ ეკვივალენტურ პირზე 16.3%-ით დაბალია ბავშვიან შინამეურნეობებში (ცხრილი 9.8).

ცხრილი 9.8: ყოველთვიური მთლიანი საშუალო მოხმარება (ლარი) და მოხმარება ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე კატეგორიების მიხედვით 2017 წელს (n=4,697)

| მოხმარების კატეგორია | მოხმარება | | | მოხმარება ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე | | |
|--|---------------------|-----------|-------|--|-----------|-------|
| | ბავშვების გარეშე | ბავშვებით | სულ | ბავშვების გარეშე | ბავშვებით | სულ |
| სახლში კვება | 242.8 | 383.6 | 289.8 | 139.1 | 116.8 | 131.7 |
| არასაკვებ პროდუქტებზე გაწეული გრძელვადიანი ხარჯები | 226.6 | 345.5 | 266.3 | 126.0 | 107.5 | 119.9 |
| განათლება | 18.1 | 30.2 | 22.1 | 6.9 | 9.5 | 7.8 |
| ჯანდაცვა | 66.5 | 73.0 | 68.7 | 42.8 | 22.1 | 35.9 |
| გარეთ კვება | 20.8 | 32.6 | 24.7 | 11.2 | 10.1 | 10.8 |
| არასასურსათო პროდუქტებზე გაწეული მიმდინარე ხარჯები | 95.1 | 160.6 | 117.0 | 51.3 | 49.7 | 50.8 |
| სულ | 670.0 | 1025.5 | 788.6 | 377.3 | 315.6 | 356.7 |

9.3 დაბადების რეგისტრაცია

ბავშვების რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს სამართლებრივი იდენტიფიცირების უფლება, დაბადების რეგისტრაციის მონაცემებს ეფუძნება. ეს მონაცემები აღებულია მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევიდან (Multiple Indicator Cluster Survey (MICS)), რომელიც საქართველოში 2005 წელს ჩატარდა. 9.9 ცხრილში 2005 წლის დაბადების რეგისტრაციის მონაცემები 2011, 2013, 2015 და 2017 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგებთანა შედარებული. როგორც კვლევიდან ჩანს,

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზი, 2017

მონაცემებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სქესი, რეგიონი, ადგილმდებარეობა, ქალთა განათლების მაჩვენებელი, მოხმარების დონე ან ეროვნება.

ცხრილი 9.9: 0-დან 59 თვემდე ასაკის ბავშვთა დაბადების რეგისტრირების მაჩვენებლები 2005 და 2017 წლებში.

| | დაბადების რეგისტრირების % 2005 კვლევის (MICS) მიხედ- ვით (n=2,222) | დაბადების რეგისტრირების% 2011 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედ- ვით (n=888) | დაბადების რეგისტრირების% 2013 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედ- ვით (n=788) | დაბადების რეგისტრირების% 2015 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედ- ვით (n=972) | დაბადების რეგისტრირების % 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით (n=893) |
|------------------------------------|--|--|---|---|--|
| სქესი | | | | | |
| მამრობითი | 91.6 | 98.1 | 99.4 | 99.7 | 98.5 |
| მდედრობითი | 92.3 | 99 | 99.9 | 99.5 | 98.6 |
| ადგილმდებარეობა | | | | | |
| ქალაქად | 96.6 | 98.7 | 99.6 | 99.7 | 98.3 |
| სოფლად | 87.1 | 98.3 | 99.7 | 99.5 | 98.7 |
| ასაკი | | | | | |
| 0-11 თვე | 91.7 | 99 | 99.8 | 98.6 | 97.5 |
| 12-23 თვე | 93.7 | 100 | 99.5 | 99.6 | 98.6 |
| 24-35 თვე | 90.7 | 95.4 | 100 | 100 | 99.6 |
| 36-47 თვე | 92.1 | 99.5 | 98.9 | 100 | 99.4 |
| 48-59 თვე | 91.5 | 100 | 100 | 99.6 | 97.2 |
| დედის განათლება^a | | | | | |
| საშუალოზე დაბალი | na | 100 | 100 | 100 | 100 |

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემთა ანალიზი, 2017

| | | | | | |
|---|------|------|------|------|------|
| საშუალო | 86.3 | 98.1 | 99 | 98.8 | 98.8 |
| პროფესიული | 95 | 97 | 100 | 100 | 99.5 |
| უმაღლესი | 96.2 | 99.5 | 100 | 100 | 97.8 |
| კეთილდღეობის ინდექსის კვინტილები^a | | | | | |
| უღარიბესი | 89.1 | 98.8 | 98.9 | 98.7 | 98.7 |
| მეორე | 83.7 | 97.8 | 100 | 99.7 | 99.3 |
| საშუალო | 89.8 | 98.1 | 100 | 100 | 99.4 |
| მეოთხე | 96.7 | 99.5 | 99.5 | 100 | 99 |
| უმდიდრესი | 98 | 98.4 | 100 | 100 | 95.7 |
| შინამეურნეობის თავკაცის კროვწება | | | | | |
| ქართველი | 94.1 | 99 | 99.9 | 99.8 | 98.4 |
| აზერბაიჯანელი | 72.7 | 96.6 | 97.1 | 99.1 | 100 |
| სომები | 89.8 | 95.5 | 100 | 100 | 98 |
| სხვა ეროვნების | 96.9 | 100 | 100 | 91 | 100 |
| სულ | 91.9 | 98.5 | 99.6 | 99.6 | 98.5 |

შენიშვნა: ^a 2011, 2013, 2015 და 2017 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემები დაფუძნებული შინამეურნეობაში ყველა ქალის უმაღლესი განათლების დონეზე; ^b 2011, 2013, 2015 და 2017 წლების მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მონაცემები დაფუძნებული სამომხმარებლო კვინტილებზე.

9.4 დასწრება სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში

2013 წელს საქართველოს მთავრობამ შემოიღო სკოლამდელი აღზრდის უფასო სისტემა. წინამდებარე ანგარიში შეისწავლის ბავშვთა დასწრებას ფორმალურ სასწავლო დაწესებულებებში.

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, კვლევის წინა სასწავლო წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში 3-5 წლამდე ბავშვების 63.7% დადიოდა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა დიდი უმრავლესობა (98.8%) დადიოდა სახელმწიფო დაწესებულებაში და მხოლოდ 1.2% კერძო ბაგა-ბაღში. საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა 42.7% იყო 3 წლის, 73.3% იყო 4 წლის და 74.4% კი 5 წლის. არ არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება გოგონებისა (66.5%) და ვაჟების (61.3%) დასწრების მაჩვენებლებში. მთლიანობაში დასწრების მაჩვენებელი მცირედ გაიზარდა, ხოლო კერძო სკოლამდელ დაწესებულებაში დასწრება შემცირდა (ცხრილი 9.10).

ცხრილი 9.10: 3-5 წლის ბავშვთა საბავშვო ბაღში დასწრების მაჩვენებლები დაწესებულების ტიპის მიხედვით, 2011, 2013, 2015 და 2017 წლებში

| საბავშვო ბაღის ტიპი | % 3-5 წლის ბავშვების დასწრება | | | |
|---------------------|-------------------------------|------|------|------|
| | 2011 | 2013 | 2015 | 2017 |
| საჯარო | 36.6 | 52.7 | 60.3 | 62.9 |
| კერძო | 4.4 | 5.2 | 2.0 | 0.7 |
| სულ | 41 | 57.9 | 62.3 | 63.7 |

მთლიანობაში, 3-5 წლის ბავშვთა საბავშვო ბაღში დასწრების მაჩვენებელი ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლებში. კერძოდ, მათი 57.5% დადის საბავშვო ბაღში ქალაქად და 42.5% კი სოფლად (ცხრილი 9.11).

ცხრილი 9.11: 3-5 წლის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში დასწრების მაჩვენებელი ქალაქებში/სოფლებში და რეგიონებში, 2017 წელს

| ადგილმდებარეობა | ბალში მოსიარულე 3-5 წლის ბავშვთა % |
|-----------------|------------------------------------|
| ქალაქებში | 57.5 |
| სოფლებში | 42.5 |

შედარებით შეძლებულ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია სკოლამდელი სერვისები, ვიდრე ღარიბი შინამეურნეობების ბავშვებისთვის. 9.12 ცხრილი გვიჩვენებს, რომ თუკი საბავშვო ბაღში უმდიდრესი კვინტილის 3-დან 5 წლამდე ბავშვების თითქმის 71.3% (69.9% 2015 წელს) დადიოდა, უღარიბესი მეზუთედისთვის ეს ციფრი მხოლოდ 57.7%-ს შეადგენდა (2015 წელს 51.8%).

ცხრილი 9.12: 3-დან 5 წლამდე ბავშვების საბავშვო ბაღში დასწრება შინამეურნეობის (ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე) მოხმარების კვინტილის მიხედვით 2017 წელს (n=553)

| კვინტილი ს ჯგუფი | ბალში მოსიარულეთ ა მთლიანი რაოდენობა | % | გოგონები ს % | ბიჭები ს % | % 2013 წელს |
|------------------------|---|-------------|--------------------|---------------|-------------------|
| 1 (უღარიბესი) | 82 | 57.7 | 55.9 | 59.1 | 51.8 |
| 2 | 68 | 58.7 | 67.0 | 52.8 | 62.4 |
| 3 | 63 | 63.6 | 73.7 | 54.4 | 66.2 |
| 4 | 59 | 73.7 | 79.9 | 69.6 | 67.9 |
| 5 (უმდიდრესი) | 49 | 71.3 | 64.4 | 82.1 | 69.9 |
| სულ | 321 | 63.7 | 66.5 | 61.3 | 62.3 |

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ თანახმად, სახელმწიფო სრულად აფინანსებდა 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების სახელმწიფო საბავშვო ბაღებში დასწრებას (97.6%), მაშინ როცა შინამეურნეობები თვითონ სრულად აფინანსებდნენ 2.5%-ს. მოხმარების უღარიბეს კვინტილში ეკვივალენტური ზრდასრული პირის მიხედვით სახელმწიფომ სრულად დააფინანსა საბავშვო ბაღების 98.6% მაშინ, როცა შინამეურნეობებმა იმავე კვინტილში სრულად დააფინანსეს მხოლოდ 1.4%.

საბავშვო ბალში სიარულზე უარის მიზეზების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ 3- დან 5 წლის ასაკამდე (დაახლოებით 14,000) ბავშვების 8.9% არ დადის საბავშვო ბალში მათ საცხოვრებელ რაიონში საბავშვო ბალის არარსებობის გამო. ინფრასტრუქტურის არარსებობა გავრცელებული პრობლემას სოფლად. იმავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების დაახლოებით 5.1% არ სარგებლობს სკოლამდელი განათლების მომსახურებით არსებულ საბავშვო ბალებში ვაკანტური ადგილების არარსებობის გამო. ასევე, ქალაქში მცხოვრები ბავშვების დაახლოებით 4.5% მოლოდინის სიაშია შეყვანილი ვაკანტური ადგილების არარსებობის გამო, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 5.5%-ია. (ცხრილი 9.13).

ცხრილი 9.13: მიზეზები თუ რატომ არ დადიან 3-5 წლის ბავშვები ბაგა-ბალში (მიზეზები ადგილმდებარეობის მიხედვით), 2017

| | ქალაქად | სოფლად | სულ |
|--|---------|--------|------|
| დადის საბავშვო ბალში | 78.0 | 51.0 | 63.7 |
| ჯერ ძალიან პატარაა | 6.9 | 12.6 | 9.9 |
| რაიონში არ არის საბავშვო ბალი | 0.0 | 16.8 | 8.9 |
| საბავშვო ბალი ძალიან შორსაა | 0.0 | 3.7 | 1.9 |
| ვერ ვიხდით გადასახადს/არ გვაქვს საშუალება | 0.4 | 0.9 | 0.6 |
| გვყავს ოჯახის წევრი, რომელიც უვლის ბავშვს | 3.0 | 2.6 | 2.8 |
| გვყავს სხვა ოჯახის წევრი პიროვნება, რომელიც უვლის ბავშვს | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არ არის მისი ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი ბაგა-ბალი | 0.8 | 1.3 | 1.0 |
| ვართ მომლოდინეთა სიაში | 4.5 | 5.5 | 5.1 |
| სხვა | 1.6 | 1.9 | 1.8 |
| გვიჭირს პასუხის გაცემა | 4.9 | 3.7 | 4.3 |
| სულ | 100 | 100 | 100 |

კვლევის მომენტისთვის 3-დან 6 წლამდე ბავშვთა დაფარვის მიზნით ჩატარებული განმეორებითი ანალიზის შედეგები მოცემულია 9.14 ცხრილში. შედეგების მიხედვით ამ ასაკობრივ კატეგორიაში, 65.3% დადიოდა საბავშვო ბალში. ასევე, დასწრების მაჩვენებლები შედარებით მაღალია შეძლებულ ოჯახებში და განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p= 0.0317$).

ცხრილი 9.14: 3-დან 6 წლამდე ბავშვების საბავშვო ბაღში დასწრება შინამეურნეობის (ეზპ-ის) მოხმარების კვინტილის მიხედვით, 2017 (n=712)

| კვინტილის ჯგუფი | ბაღში მოსიარულეთა მთლიანი რაოდენობა | % | გოგონების % | ბიჭების % | % 2015 წელს |
|--------------------|--|-------------|----------------|-------------|-------------------|
| 1 (უღარიბესი) | 107 | 59.0 | 61.5 | 57.2 | 56.4 |
| 2 | 97 | 60.1 | 66.4 | 55.4 | 64.8 |
| 3 | 84 | 67.3 | 76.3 | 58.1 | 70.5 |
| 4 | 75 | 74.9 | 79.9 | 72.0 | 69.0 |
| 5 (უმდიდრესი) | 65 | 73.5 | 67.8 | 81.9 | 73.2 |
| სულ | 428 | 65.3 | 68.9 | 62.3 | 65.6 |

7 წლის ბავშვთა სკოლაში სიარულის თვალსაზრისით, კვლევამ უღარიბესსა და უმდიდრეს ჯგუფებს შორის თითქმის ვერანაირი სხვაობა ვერ გამოავლინა. სკოლის გაკვეთილებს ბავშვთა 96.4% ესწრება: გოგონათა 96.3%, ხოლო ბიჭების 96.4%. გენდერული ეფექტი უმნიშვნელოა, ისევე როგორც თითქმის არ შეიმჩნევა მოხმარების თვალსაზრისით კვინტილებს შორის განსხვავება (ცხრილი 9.15).

ცხრილი 9.15: 7 წლის ბავშვთა დასწრება სკოლაში, შინამეურნეობის (ეზპ-ის) მოხმარების კვინტილის მიხედვით, 2017 (n= 379)

| კვინტილის ჯგუფი | სკოლაში მოსიარულეთა მთლიანი რაოდენობა | % | გოგონების % | ბიჭების % | % 2015 წელს |
|--------------------|--|-------------|----------------|--------------|----------------|
| 1 (უღარიბესი) | 102 | 95.1 | 94.7 | 95.7 | 94.5 |
| 2 | 87 | 97.7 | 98.5 | 97.1 | 94.1 |
| 3 | 72 | 96.2 | 96.8 | 95.6 | 99.3 |
| 4 | 69 | 97.0 | 100.0 | 94.8 | 99.5 |
| 5 (უმდიდრესი) | 49 | 96.2 | 93.0 | 100.0 | 97.7 |
| სულ | 379 | 96.4 | 96.3 | 96.4 | 96.9 |

2017 წლის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით გოგონებისა და ვაჟების სამუალო სკოლაში სიარულის მაჩვენებლები სტატისტიკურად არ განსხვავდება. სამუალო სკოლის უფროს კლასებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილმდებარეობის ფაქტორი:


ქალაქებში 15-18 წლის ბავშვთა 91.0% დადის საშუალო სკოლაში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოფლებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 82.4%-ია (ცხრილი 9.16).

ცხრილი 9.16: დაწყებით და საშუალო სკოლაში დასწრება 2017 წელს

| | დაწყებით სკოლაში დასწრების მაჩვენებელი | საშუალო სკოლაში დასწრების მაჩვენებელი | |
|-----------------|--|---------------------------------------|-----------------------|
| | 6-12 წლის ბავშვები | 12-15 წლის ბავშვები | 6-12 წლის ბავშვები |
| | (n=1068) | n=(486) | n=(575) |
| სქესი | | | |
| მდედრობითი | 97.4 | 97.5 | 86.6 |
| მამრობითი | 96.9 | 97.7 | 86.6 |
| ადგილმდებარეობა | | | |
| ქალაქად | 97.6 | 97.6 | 91.0 |
| სოფლად | 96.7 | 97.5 | 82.4 |
| სულ | 97.1 | 97.6 | 86.6 |

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება უღარიბესი და უმდიდრესი კვინტილების ბავშვების სასწავლო დაწესებულებაში დასწრების თვალსაზრისით. როგორც 9.1 დიაგრამაზეა ნაჩვენები, ადრეულ ასაკში ბავშვები ნაკლებად შეძლებული ოჯახებიდან არ დადიან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან დაწყებით სკოლაში. 15-18 წლის ასაკის უღარიბესი ბავშვების დაახლოებით 81% დადიოდა სკოლაში, ხოლო უმდიდრეს კვინტილში იმავე ასაკობრივი ჯგუფის 98% განაგრძობს განათლებას. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი 15-18 ასაკობრივი ჯგუფიდან აღარ სწავლობს. განსხვავება გაცილებით თვალსაჩინო ხდება 18 წლის შემდეგ, როცა ბავშვები ღარიბი შინამეურნებებიდან ტოვებენ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სავარაუდოდ იმიტომ რომ ეკონომიკურად დაეხმარონ საკუთარ ოჯახებს. უღარიბესი კვინტილიდან 20 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 5% დადიოდა რაიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმდიდრესი კვინტილის 77%-თან შედარებით. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა უღარიბესი კვინტილიდან უბრუნდება ფორმალიზებულ განათლებას სავარაუდოდ ეკონომიკურად გაძლიერების შემდეგ (დიაგრამა 9.1).

დიაგრამა 9.1: საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასწრება ასაკის მიხედვით უღარიბეს და უმდიდრეს სამომხმარებლო კვინტილებში



9.5 ბავშვის განვითარება

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბავშვის გონიერივი განვითარება განსაკუთრებით სწრაფად ცხოვრების პირველი 3-4 წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ამ პერიოდში ოჯახის ზრუნვის ხარისხი გადამწყვეტ როლს თამაშობს მის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ, კვლევაში შეგროვებულია ინფორმაცია ადრეული სწავლების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. მათ შორისაა, ბავშვებთან ერთად უფროსთა ჩართვა ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა წიგნების კითხვა, ან ილუსტრირებული წიგნების თვალიერება; ზღაპრების მოყოლა; სიმღერა; ბავშვების გაყვანა შემოღობილ ტერიტორიაზე, ან ეზოში; ბავშვებთან თამაში და მათთან ერთად სახელების შერქმევა, თვლა ან ხატვა.

9.17 ცხრილი წარმოგვიდგენს შერეულ ინდიკატორს, რომელიც უკავშირდება 36-დან 59 თვემდე ასაკის ბავშვებისთვის სწავლის, სასკოლო მზადყოფნისა და წიგნების მფლობელობის საკითხებს. უფროსი ჩართულია ოთხზე მეტ აქტივობაში, რომლებიც ხელს უწყობს სწავლას და სასკოლო მზადყოფნას 3-5 წლის ასაკის ბავშვების 86.3%-ის შემთხვევაში (უღარიბესი კვინტილის 82% და უმდიდრესი კვინტილის 96%) (ცხრილი 9.17). თუმცა, მამა ჩართულია ამ აქტივობებიდან ერთში მაინც ბავშვების 46.7%-ისთვის. არ აქვს ადგილი გენდერულ

განსხვავებას ბავშვების განვითარებაში მამის ჩართულობასთან დაკავშირებით. თუმცა, უფროსები შედარებით უფრო მეტად არიან ჩართულები აქტივობებში მდედრობითი სქესის (88.7%) ბავშვებთან ვიდრე მამრობითი სქესის ბავშვებთან (84.1%). მნიშვნელოვნად არ განსხვავდება უფროსის ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ სწავლას უღარიბესი და უმდიდრესი შინამეურნეობების შედარებისას (ცხრილი 9.17).

ცხრილი 9.17: 36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება, შინამეურნეობის უფროსი წევრის მიხედვით, რომელიც ბავშვთან ერთად ჩართულია აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს სწავლას და სასკოლო მზაობას, და შინამეურნეობაში საბავშვო წიგნების რაოდენობის მიხედვით (n= 371).

| | 36-59 თვის ბავშვთა პროცენტული რაოდენობა | აქტივობების საშუალო რა- ოდენობა | აქტივობების საშუალო რა- ოდენობაში არის: | შინამეურ- ნეობაში არის: |
|--|---|--|--|--------------------------------------|
| | ვისთან ერთადაც შინამეურნეობის უფროსი წევრები ჩართულები იყვნენ ოთხ, ან მეტ აქტივობაში | ვისთან ერთადაც მამა ჩართული იყო ერთ, ან მეტ აქტივობაში | ბავშვთან ერთად აქტივობებში ჩართული შინამეურნეობის რომელიმე უფროსი წევრი | სამი ან მეტი საბავშვო წიგნი |
| სქესი | | | | |
| მამრობითი | 84.10 | 49.32 | 5.08 | 59.17 |
| მდედრობითი | 88.74 | 43.63 | 5.20 | 58.36 |
| ადგილმდებარეობა | | 46.65 | | |
| ქალაქები | 88.75 | 47.92 | 5.31 | 66.30 |
| სოფლად | 84.25 | 45.61 | 4.99 | 52.64 |
| ასაკი | | | | |
| 36-47 თვე | 88.13 | 42.48 | 5.21 | 58.61 |
| 48-59 თვე | 84.44 | 50.82 | 5.06 | 58.98 |
| სიმდიდრის ინდექსის კვინტილები | | | | |
| უღარიბესი | 82.14 | 34.21 | 4.84 | 36.21 |
| მეორე | 80.60 | 45.42 | 4.88 | 47.83 |
| შუალედური | 85.39 | 51.71 | 5.14 | 67.97 |
| მეოთხე | 92.56 | 60.18 | 5.56 | 75.76 |
| უმდიდრესი | 96.11 | 50.67 | 5.56 | 87.82 |
| სულ | 86.28 | 46.65 | 5.13 | 58.79 |

წიგნებთან ადრეულ წლებში ზიარება არა მხოლოდ ეხმარება ბავშვს ბეჭდვითი კულტურის უკეთ გააზრებაში, არამედ აძლევს მას სხვების კითხვის პროცესის ნახვის საშუალებას - მაგალითად, როგორ ასრულებენ უფროსი და-ძმები სასკოლო დავალებებს. ოჯახში წიგნების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომი აკადემიური მოსწრებისა და IQ ქულებისთვის. საქართველოში 36-59 თვის ბავშვთა მხოლოდ 59%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი, მათ შორის მხოლოდ 36%-ს უღარიბესი და 88%-ს უმდიდრესი ჯგუფებიდან. ეს ნიშნავს, რომ ღარიბი ოჯახებიდან 10 ბავშვიდან ექვსს არ აქვს საკმარისი წვდომა საბავშვო წიგნებთან. ამასთან ერთად, ქალაქში მცხოვრებ ბავშებს (3-დან 5წლამდე) მნიშვნელოვნად უფრო მეტი წვდომა აქვს საბავშვო წიგნებთან (66.3%) ვიდრე მათ ვინც სოფლის შინამეურნეობებში ცხოვრობს (52.6%) (ცხრილი 9.17).

ბავშვის ადრეული განვითარების ინდექსი (ECD Index) აფასებს, სწორად ვითარდება თუ არა ბავშვი კითხვა-დათვლის, ფიზიკურ, სოციალურ-ემოციურ და სწავლის სფეროებში. 3-დან 5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 22.8%-ს შეუძლია „კითხვა და დათვლა“. ანუ ბავშვს შეუძლია ამოიცნოს/დაასახელოს ანბანის, სულ მცირე, ათი ასო; ამოიცნოს, მინიმუმ, ოთხი მარტივი, ხელით დაწერილი სიტყვა; ან დაასახელოს და ამოიცნოს ყველა ციფრი 1-დან 10-ის ჩათვლით. 48-59 თვის ბავშვებშიც კი, მხოლოდ 32.3%-ს შეუძლია „კითხვა და დათვლა“. ბავშვთა ადრეული განათლების სისტემაში ჩართული 3-5 წლის ბავშვებიდან 28.3%-მა იცის „კითხვა და დათვლა“ მაშინ როგა ეს მაჩვენებელი შეადგენს 15.3%-ს იმ ბავშვებისთვის, ვინც არ დადიან ბაგა-ბაღში (ცხრილი 9.18).

განვითარების დანარჩენი ინდიკატორები – ბავშვის ფიზიკური განვითარების, სოციალურ-ემოციურ და სწავლის სფეროებში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე „კითხვისა და დათვლის“ მხრივ. 3-დან 5 წლამდე ბავშვების თითქმის 98.9%, ფიზიკური უნარების თვალსაზრისით, სწორად ვითარდება, რაც გულისხმობს, რომ ბავშვს შეუძლია მიწიდან ისეთი მცირე ზომის საგნების ორი თითით აღება, როგორებიცაა ჯოხი ან ქვა; ან რომ ზოგჯერ ავადმყოფობა ხელს არ უშლის თამაში (ცხრილი 9.18).

სოციალურ-ემოციური უნარები ბავშვთა 96.1%-ს აქვს, რაც გულისხმობს ბავშვის შესაძლებლობას ჩხუბის ან ადვილად გაღიზიანების გარეშე დაამყაროს ურთიერთობა სხვა ბავშვებთან. ბავშვების 94.4% სწორად ვითარდება სწავლის სფეროში რაც ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია მარტივი მითითების შესრულება თუ როგორ გააკეთოს რაიმე სწორად ან როდესაც მისცემენ რაიმე დავალებას ის დამოუკიდებლად შეასრულოს (ცხრილი 9.18).

განსაზღვრების თანახმად, 3-5 წლის ასაკის ბავშვების 92.8% სწორად ვითარდება 4 უნარიდან სამის მიმართულებით მაინც. ადგილი აქვს განსხვავებას 1.5 პროცენტული პუნქტით ბავშვის ადრეული განვითარების ინდექსის (ECD Index) მიხედვით იმ ბავშვებს შორის, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში (93.4%) და ვინც არ დადის (91.9%) (ცხრილი 9.18).

ცხრილი 9.18: 36-59 თვის იმ ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სწორად ვითარდებიან კითხვა-დათვლის, ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და სწავლის თვალსაზრისით და ადრეული განვითარების ინდექსის ქულების მხრივ (n=371)

| | 36-59 თვის იმ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც სწორად ვითარდებიან კითხვა-დათვლის, ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და სწავლის თვალსაზრისით და ადრეული განვითარების ინდექსის ქულების მხრივ | | | | ბავშვის ადრეული განვითარების ინდექსის ქულა |
|--|--|--------------|-------------------|--------------|--|
| | კითხვა-დათვლა | ფიზიკური | სოციალურ-ემოციური | სწავლითი | |
| სქესი | | | | | |
| მამრობითი | 22.66 | 98.80 | 95.56 | 92.91 | 90.50 |
| მდედრობითი | 23.03 | 99.00 | 96.65 | 96.03 | 95.32 |
| ადგილმდებარეობა | | | | | |
| ქალაქად | 27.41 | 100 | 96.50 | 96.54 | 95.96 |
| სოფლად | 19.08 | 97.98 | 95.71 | 92.59 | 90.13 |
| ასაკი | | | | | |
| 36-47 თვე | 13.33 | 98.33 | 95.00 | 91.04 | 89.89 |
| 48-59 თვე | 32.32 | 99.45 | 97.13 | 97.69 | 95.63 |
| სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში სიარული | | | | | |
| დასწრება | 28.31 | 99.19 | 96.22 | 95.75 | 93.40 |
| დაუსწრებლობა | 15.26 | 98.49 | 95.85 | 92.46 | 91.87 |
| კეთილდღეობის ინდექსის კვინტილები | | | | | |
| უღარიბესი | 24.34 | 98.51 | 97.44 | 93.78 | 93.78 |
| მეორე | 14.57 | 98.64 | 93.61 | 91.54 | 87.57 |
| საშუალო | 35.17 | 100 | 94.72 | 95.14 | 94.68 |
| მეოთხე | 22.59 | 98.90 | 98.53 | 96.27 | 94.80 |
| უმდიდრესი | 15.86 | 98.62 | 95.35 | 96.23 | 92.96 |
| სულ | 22.83 | 98.89 | 96.07 | 94.37 | 92.76 |

დაბოლოს, ბავშვზე არასათანადო ზრუნვად ითვლება მდგომარეობა, როცა ბავშვებს კვირაში ერთხელ მაინც ერთ საათზე მეტი ხნით ტოვებენ მარტო, ან 10 წელზე უმცროსი სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ. ცხრილი 9.19 გვიჩვენებს 3-დან 5 წლამდე ბავშვთა პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც უკანასკნელი კვირის განმავლობაში, სულ მცირე, ერთი საათით მაინც დატოვეს მარტო, ან 10 წელზე უმცროსი სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ. 3-დან 5 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა 7.1% (დაახლოებით 11 000) კვლევის დაწყების წინა კვირაში ერთხელ მაინც იქნა დატოვებული არასათანადო ზრუნვის პირობებში. ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობები უფრო ხშირად ტოვებენ პატარა ბავშვებს მარტო ვიდრე სოფელში მცხოვრები შინამეურნეობები (10.9% და 3.8%). და ასევე, მეოთხე კვინტილში შემავალი შეძლებული ოჯახები (12.7%) უფრო ხშირად ტოვებენ ბავშვებს მარტო ვიდრე სხვა ჯგუფები.

ცხრილი 9.19: მარტო დატოვებულ 3-დან 5 წლამდე ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი (n= 539)

| | 3-დან 5 წლამდე ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი | | | |
|---|---|---|--|--|
| | მარტო დატოვეს წინა კვირაში | დატოვეს წინა კვირაში ათ წელზე უმცროსი სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ | დატოვეს წინა კვირაში არასათანადო ზრუნვის პირობებში | |
| სქესი | | | | |
| მამრობითი | 2.4 | 7.3 | 7.5 | |
| მდედრობითი | 5.4 | 2.0 | 6.7 | |
| ადგილმდებარეობა | | | | |
| ქალაქიად | 5.6 | 7.0 | 10.9 | |
| სოფლიად | 2.2 | 3.0 | 3.8 | |
| კეთილდღეობის ინდექსის კვინტილები | | | | |
| უღარიბესი | 4.4 | 4.2 | 6.9 | |
| მეორე | 5.8 | 6.1 | 7.9 | |
| საშუალო | 0.4 | 0.6 | 1.0 | |
| მეოთხე | 5.7 | 7.9 | 12.7 | |
| უმდიდრესი | 1.5 | 6.1 | 7.7 | |
| სულ | 3.8 | 4.8 | 7.1 | |

დასკვნა

ბავშვთა სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა, ხოლო სიღარიბის არაფულადი მაჩვენებლები გაუმჯობესდა. 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევისთვის შერჩეულ რესპონდენტთა ჯგუფში, შინამეურნეობების 33.4%-ს ჰყავდა მინიმუმ ერთი 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ბავშვებიანი შინამეურნეობების 50% სოფლად ცხოვრობს. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბავშვების სიღარიბის ალბათობა უფრო მაღალია ზოგადად მთელ მოსახლეობასთან ან პენსიონერებთან შედარებით. ბავშვების მატერიალური საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა შინამეურნეობებში ხანგრძლივი მოხმარების საქონლის არსებობის თვალსაზრისით, იმ ბავშვთა წილი კი, რომლებიც ცუდი პირობების მქონე საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ, საგრძნობლად შემცირდა. ასევე შემცირდა ბავშვებში სუბიექტური სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის დონე. თუმცა, 2017 წელს ფულადი სიღარიბის დონე გაიზარდა. გარდა ამისა, საქართველოში სოფლად მცხოვრები ბავშვების 4.1% ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, რომელთაც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროზე ხელი არ მიუწვდებათ. ქალაქში ბავშვების 9.3% არასათანადო სანიტარული პირობების მქონე შინამეურნეობაში ცხოვრობს, მაშინ როცა სოფლად ეს მაჩვენებელი 32.9%-ს შეადგენს. შინამეურნეობები, რომლებსაც არ ჰყავთ ბავშვები, საშუალოდ თვეში სოციალური დახმარების სახით ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე 122.8 ლარს იღებენ, მაშინ, როცა ბავშვებიანი შინამეურნეობების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50.5 ლარს შეადგენს. ბავშვებიანი შინამეურნეობების საშუალო ხარჯი, იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომელთაც არ ყავთ ბავშვები, 53%-ით მაღალია. ამის საპირისპიროდ, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, ბავშვიანი შინამეურნეობების ხარჯები 19.5%-ით დაბალია.

საბავშვო ბალების არარსებობის გამო, ბავშვების 8.9% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ დადის. 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების 63.7% დადიოდა საბავშვო ბაღში. საბავშვო ბაღის აღსაზრდელების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო ბაღებში დადიოდა. ზოგადად, ქალაქში საბავშვო ბაღებში 3-5 წლის ბავშვების უფრო დიდი პროცენტული წილი დადიოდა ვიდრე სოფლად (78% და 51% შესაბამისად). უმდიდრეს კვინტილში შემავალი შინამეურნეობების შემთხვევაში, საბავშვო ბაღში დადიოდა 3-5 წლის ბავშვების თითქმის 71.3%, ხოლო უღარიბესი კვინტილის შემთხვევაში - 57.7%. 3-5 წლის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 8.9% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ დადიოდა იმის გამო, რომ მათ რაიონში საბავშვო ბაღი არ იყო. ინფრასტრუქტურის არარსებობა უფრო მეტად სოფლისთვის არის დამახასიათებელი (16.8%). არსებულ საბავშვო ბაღებში ადგილის არქონის გამო ბავშვების მთლიანი რაოდენობის თითქმის 5.1% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიღმა დარჩა.

სავალდებულო განათლების საფეხურზე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 97% იყო; ამის მიუხედავად, განათლების სისტემას ტოვებდა 15-18 წლის ყოველი მეოთხე ბავშვი. ოფიციალურ საგანმანთლებლო დაწესებულებებში უღარიბესი და უმდიდრესი კვინტილების ბავშვთა დასწრების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ღარიბი ოჯახების ბავშვები უფრო იშვიათად იღებენ სკოლამდელ ან დაწყებით განათლებას. უღარიბესი კვინტილის 15-18 წლის ბავშვებში სკოლის დასწრების მაჩვენებელი თითქმის 81%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის იგივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში - 98%. განსხვავება კიდევ უფრო აშკარა ხდება 18 წლის ასაკის შემდეგ, როდესაც ღარიბი ოჯახების ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებებს ტოვებენ. სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას აგრძელებს უღარიბესი კვინტილის 20 წლის ბავშვების თითქმის 5% და უმდიდრესი კვინტილის ბავშვების 77%.

ყველაზე ღარიბი ოჯახების ყოველი ათი ბავშვიდან ექვსს ხელი არ მიუწვდება ან საკმარისად არ მიუწვდება საბავშვო წიგნებზე. 86.3% შემთხვევებში შინამეურნეობის უფროსი წევრები ჩართულნი იყვნენ 3-4 წლის ბავშვების (უღარიბესი კვინტილში - 82%-ის, ხოლო უმდიდრეს კვინტილში - 96%-ის) განათლებისა და სკოლისთვის მომზადების ოთხზე მეტ აქტივობაში. თუმცა, თუნდაც ერთ აქტივობაში მამების მონაწილეობის შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ 46.7%-ში. საქართველოში 36-59 წლის ბავშვების მხოლოდ 59%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. უღარიბესი კვინტილის ბავშვების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 36%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის ბავშვების შემთხვევაში - 88%. ამასთან ერთად, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი საბავშვო წიგნებზე (66.3%), ვიდრე სოფლად მცხოვრებ ბავშვებს (52.6%). კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ 3-5 წლის ბავშვების 92.8%-ის განვითარება „ადრეულ ასაკში განვითარების ინდექსს“ (ECD-ს) შეესაბამება.

დაბოლოს, არასათანადო ზრუნვის ფაქტები უფრო ხშირად გვხვდება ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობების შემთხვევაში, ვიდრე სოფლად. ამ კვლევის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 3-5 წლის ბავშვების თითქმის 7.1% არაა დეკვატურ ზრუნვას იღებდა. ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობები ბავშვებს მარტო უფრო ხშირად ტოვებენ, ვიდრე სოფლის შინამეურნეობები (შესაბამისად 10.9% და 3.8%). მეოთხე კვინტილში შემავალი შეძლებული შინამეურნეობები ბავშვებს მარტო უფრო ხშირად ტოვებენ, ვიდრე სხვა ეკონომიკურ ჯგუფებში შემავალი შინამეურნეობები.